საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში
®
www.tbiliselebi.ge
№21(647) • 20–26
1,50 ლარი



გვ. 18
რისი გაცოცხლება უნდა ბნელ და უკედლო სივრცეში მაქსიმე ჩარკვიანს

გვ. 50
რა ხდება ლევან ყოჩიაშვილის რეალურ ცხოვრებაში და რა ურთიერთობა აქვს მას 15-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მეუღლესთან

ვინ ცდილობდა ეკა ბერიძის პოლიტიკურ ანგაჟირებას და რა არ იცოდა მან საკუთარ ვაჟზე
გვ. 22



რა შანსი მისცა „სახალხო პარტიის“ ლიდერს, მამუკა გიორგაძეს, ლენინმა და როგორ მოაწყო მან სახლში კონსპირაციის ბუდე
გვ. 10



რატომ ვერ გაასახლა ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილმა საქართველოდან და რატომ არ უნდა დაარტყა მოწინააღმდეგეს ნახევარი ძალით
გვ. 7



გვ. 74
სად ახურებს დუტა სხირტლაძე და როგორი მამაა ის

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ ანიჭებდნენ საქართველოს მოქალაქეებს პირადი ნომრების მიხედვით სპეციალურ კოდებს და რა ინფორმაციაა თავმოყრილი თითოეულის შესახებ სპეციალურ ფაილებში ............. 6

რატომ ვერ ხვდება მიხეილ სააკაშვილი თავისი დამარცხების მიზეზებს, რატომ არ განიცდის სინანულს და მოახერხებს თუ არა საკუთარი პერსონის რებრენდინგს ............................................ 7

რატომ დაემთხვა გელა ხვედელიძის დაპატიმრება გეი-აღლუმს და რატომ ზის ბაჩო ახალაია ციხეში ვანო მერაბიშვილის თანხმობით ....................... 8



რა გავლენა მოახდინა სამხრეთ აფრიკის პირველმა შავკანიანმა პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ ცნობილ ჰომოსექსუალებზე და როგორ გახდა ის კომიქსების გმირი ................................. 12

ვინ არის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი პლანეტაზე ....................... 13

რის გამო მოჰპარა ლენინის ძეგლს „ვენოკი" თემურ ცაგურიამ და სად შეხვდა ის ზვიად გამსახურდიას ......... 14

რის გამო უჩივლა ნიუ-იორკის სასამართლოში ფოტოგრაფმა ალბერტ უოტსონმა მხატვარ დევიდ დათუნას . 15

ადვოკატი გირჩევთ ................................ 16

საუკეთესო საკვები ჩვენი თმისთვის .. 19

სჭირდება თუ არა ქალს კაცის ერთგულების შესანარჩუნებლად გარეგნული მომხიბვლელობა ................ 20

როგორ ეხმარება ცოლი ქმარს ქართველი მამის პოვნაში და ვის ეძებენ რუსეთიდან საქართველოში .................. 21

რით იყო ცნობილი ბაზარი „ერევანსკის მოედანზე" მეცხრამეტე საუკუნის თბილისში და სად მდებარეობდა თბილისის პოლიცმეისტერის კანცელარია ................................................ 23

რა ექვსი თხოვნა უნდა გააჩნდეს ადამიანს უფლის წინაშე და როდის უშვებს ღმერთი მასზე სხვადასხვა სახის დაბრკოლებას................24

NBA-ს რომელი ვარსკვლავები მოხვდნენ „სლემ-დანკის" საუკეთესო შემსრულებლების ტოპ-ათეულში.........................26

ექიმის რჩევები...........29

ვის ახრჩობდა ოთარ მეღვინეთუხუცესი ბიჭვინთაში და როგორ შეუჭამა ტვინი გურანდა გაბუნიას მის გამო რუსის ქალმა ................................ 30

როდის ხდება სიზმარი ბედის წინასწარმეტყველი და რომელ დღეებში გვესიზმრება ისეთი რამ, რასაც ყურადღება აუცილებლად უნდა მივაქციოთ ................................................... 32

თურქული კინოს ვარსკვლავების –



სერიალ „სიყვარულისა და სასჯელის" მსახიობთა ცხოვრების დეტალები ....... 34

როგორ განახორციელა სტალინმა კამოს მეშვეობით ტერორისტების მიერ ბანკიდან გატაცებული ფულის საქართველოდან გატანა ........................ 35

შეკითხვა ასტროლოგს ........................... 36

საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს სწორად მოწყობა თქვენს ფინანსებს გაზრდის, ურთიერთობებს კი მოაწესრიგებს ........................................... 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ...... 45

როგორ გაიხსნა მძარცველთა ბანდის საქმე თბილისის ერთ-ერთ სახლში მომხდარი ხანძრის შედეგად ................ 48

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ... 51



ვეტერინარის რჩევები............56

ფლორის სამყაროში.........56

რატომ აბრალებდა ნარკოტიკებით მოვაჭრე ქალი საკუთარ დანაშაულს ყოფილ ქმარს და რის კვალს მალავდა ის მასთან „გარიგებაში" ................................................. 57

მე – დაქირავებული მკვლელი ............. 58

რა პროცესები ელის ქართულ პოლიტიკურ სპექტრს შემოდგომაზე და როგორია პრემიერ-მინისტრის ფსიქომატრიცული სქემა ....................... 68

რა საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ ... 69

რის გამო ეძახდა ლევან მასპინძელაშვილს დედა „ანჟელა დევისს" და ვისთან აქვს მას დღეს არანორმალური კავშირი ........................ 70

რატომ ამშვენებდა გერმანული ჟურნალების ყდებს მამია ახობაძის ფერწერული ნამუშევრები ....................... 75



# ყურადღება!

„აკადემია ლიბერთი-პროფი" სასწავლებელი, რომელიც გჭირდებათ თქვენ!
ჩვენი დევიზია: თუ იცი – საქმე თვითონ გეძებს!
ჩვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, ერთდროულად მიიღოთ, როგორც საშუალო განათლების ატესტატი, ისე პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. ვიღებთ 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულებსაც (კოლეჯის პროგრამებზე). გარდა ამისა, შესაძლებელია სწავლა ექსტერნად და შესაბამისი ატესტატის მიღება. მიიღებიან რუსულენოვანი მოქალაქეებიც.

მისამართი: ბაზიაშვილის ქუჩა №1 (საავ. ცენტრ. „ქარვასლასთან") მე-4 სართული. ტელეფონის ნომრები: 295-20-16; 599 55-02-95; 790 50-60-98; 574 05-06-12.

ვრცლად: facebook-ზე აკადემია ლიბერთი-პროფ



**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის" სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ქლენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „მე რომ ჟურნალისტი ვიყო“!

## შენ რომ ჩემთვის ყელსაბამი არ მოგიტანიაო?!

**ვინაიდან ხალხის რჩეულია,** ბუნებრივია, რომ **საკუთარ აზრებსაც ხშირად გამოხატავს** (კანონებს გვიწერს და, ამ ფონზე აზრთა ფრქვევა რა მოსატანია?!), **ოღონდ, ძირითადად, სოციალურ ქსელში** (რასაც აქვს თავისი როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები).

სულ ბოლოს, **ყველაზე ნორჩმა ქართველმა კანონშემოქმედმა პრემიერ-მინისტრისა და ჟურნალისტების შეხვედრა შეაფასა** (ბუნებრივია, **FB-ს საკუთარ გვერდზე,** იმ მარტივი მიზეზით, რომ **კონკრეტულად ამ მოვლენით, მისი აზრით, ქართული ჟურნალისტიკა არ დაინტერესებულა.** 😊 .



კერძოდ, ბ-ნ **ივანიშვილს მედიასთან ურთიერთობის მანერა დაუწუნა,** მეტიც – **ჩემს კოლეგებს უფასო რჩევებიც შესთავაზა.** სახელდობრ, ბრძანა (მომყავს ციტატა): **„მე რომ ჟურნალისტი ვიყო, ძალიან გავბრაზდებოდი პრემიერის პრესკონფერენციაზე!“** 😊 გაბრაზდებოდა, ვინაიდან, ნორჩი კანონშემოქმედის აზრით, **„ჟურნალისტებისთვის „რუპორის“ წოდება, კითხვებზე პასუხის გაცემის ნაცვლად პასუხის მოთხოვნა და ერთმანეთში ე.წ. „საქმის გარჩევა,“ სცილდება დამოუკიდებელ მედიასთან ურთიერთობის ყველანაირ ეთიკის ნორმებს“.** 😊 .

შესაბამისად, ჟურნალისტებს სოლიდარობაც გამოუცხადა. მე არ ვიცი, **რას არგებს ქართულ ჟურნალისტიკას** ქ-ნი **საჯაიას სოლიდარობა,** თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **მისი მშობელი პარტია,** ძირითადად, **ჟურნალისტების, რბილად რომ ვთქვათ, იგნორირებით იყო დაკავებული** (თუმცა, შესაძლოა, **სწორედ სინორჩის გამო არ ახსოვდეს** ქ-ნ **საჯაიას ქართული ჟურნალისტიკის უახლესი ისტორიის ეს და სხვა არანაკლებ ტრაგიკული დეტალები**) და, ზედაც, დავამატებთ, რომ **კვლავაც ბუნდოვანია მისთვის საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი სამკაულის ისტორია,** იქნებ, კრიტიკის პათოსი ასეთიც იყოს: **შენ რომ ჩემთვის ყელსაბამი არ მოგიტანიაო?!**

# „აურზაური სალხინეთში“

## „გამშველებელს მეტი მოხვდა, რაც მართალია“

ავად თუ კარგად, **ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქციაც გადავაგორეთ და ამ აქციის მოწინააღმდეგეთა აქციაც.** თუმცა, სავარაუდოდ, **შედეგებს** (როგორც დადებითს, ისე უარყოფითს) **დრო გამოაჩენს.**

როგორც მოსალოდნელი იყო, **ჩვეულებისამებრ, საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო** (ისევე, როგორც ქცევისა და გამოხატვის ფორმები). **ნაწილმა გაამართლა აგრესია, ნაწილმა – დაგმო;** ზოგი პოლიციას აკისრებს პასუხისმგებლობას, ზოგი – საერთოდაც, **პრემიერ-მინისტრს.**



მაგალითად, ქ-ნ **თაქთაქიშვილს გული უწუხს, რაკი საკუთარი ერის თალიბანიზაციას ადევნებს თვალს;** ბ-ნი **ბოკერიასთვის ეს სამარცხვინო დღეა,** მისი **მეუღლე კი მოძალადე სასულიერო პირების დაკავებას ითხოვს.** უფრო შორს მიდის ქ-ნი **ჩაფიძე – თავს იმ უმცირესობის წარმომადგენლად მიიჩნევს,** რომლებიც 17 მაისს დაარბიეს. **იუსტიციის მინისტრი დარწმუნებულია, რომ პროტესტის გამოხატვის უფლება ორივე მხარეს ჰქონდა** (ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ გამოხატვის ფორმებში მოვიკოჭლებთ); **არასამთავრობოების ნაწილი კი შსს-ს აკრიტიკებს** (ვერ უზრუნველყო პროტესტის მონაწილეთა უსაფრთხოებაო).

ერთი სიტყვით, **დიდი აურზაურია.** ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ **აქამომდე პოლიცია,** ძირითადად, **საპროტესტო აქციების მონაწილეების** (განურჩევლად სქესისა ეთნიკური წარმოშობისა თუ სექსუალური ორიენტაციისა) **მისიკვდილებით იყო დაკავებული,** აწ კი **როლები შეცვლილია** (ძირითადად, პოლიციელები ზარალდებიან), მე რომ მკითხოთ, **პროგრესი აშკარაა.**

ოღონდ, **თუ ამას სამართალდამცველებისადმი არასამთავრობოების კრიტიკას დავუმატებთ** („ჭრელი პეპელას“ სტილში: „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“), **იქნებ, ჩამოვყალიბებულიყავით,** ბოლოს და ბოლოს, **რა გვირჩევნია – როდესაც პოლიციელი დემონსტრანტს ურტყამს თუ როდესაც მის შეკავებას ცდილობს?!**

# გაკეთილებულები

## და კაკალგაგდებულები

სრულიად უცნობ მიზეზთა გამო, ამ ჩვენს **მაშინ „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ „ნაციონალურ“ სამშობლოში „აისაფის“ მისიაში დაღუპულ ჯარისკაცებს ჩუმჩუმად ასაფლავებდნენ** (დაჭრილების შესახებ ინფორმაციას კი მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევაში ვიღებდით, თუკი მათ უცხოურ ჰოსპიტლებში აშშ-ის პრეზიდენტი ან ჰოლივუდელი რომელიმე ვარსკვლავი ეწვეოდა).



როგორც უნდა ყოფილიყო, ვითარება შეიცვალა და **ავღანეთში დაღუპული სამი სამხედრო მოსამსახურის:** კაპრალ **ალექსანდრე კვიწინაძის,** უმცროს სერჟანტ **ზვიად დავითაძისა** და კაპრალ **ვლადიმერ შანავას სამოქალაქო პანაშვიდი ქაშუეთის ეკლესიაში გაიმართა.** ხოლო, **რაკი ვითარება შეიცვალა,** შესაბამისად, **ყველა გაკეთილდა. სახელდობრ,** თბილისის მერმა ბ-ნმა **უგულავამ,** ჯერ ერთი, ქაშუეთის ეკლესიაში ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროების ხსოვნას პატივი მიაგო და, მეორეც, მისივე გადაწყვეტილებით, **დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს სარეზერვო ფონდიდან 10 000-10 000 ლარი გადაეცემა.**

ჩვენ, ბუნებრივია, არ ვიცით, **რატომ არ იმეტებდა აქამომდე თბილისის მერია სარეზერვო ფონდიდან თანხებს ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებისთვის,** თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, **არ არის ურიგო,** ადრე თუ გვიან, **არა მხოლოდ ყვავს, კაკალს თუ გააგდებინებ** (აი, **ასეთი მატერიალისტურია კონკურენციის მოკრძალებული ხიბლი).** 😊

# ღრუბელ-ღრუბელ

**რაკი ფანტაზია უსაზღვროა** (ან, იქნებ, სულ სხვა, ამაღლებულ თუ პროზაულ მიზეზთა გამო), გაირკვა, რომ ამიერიდან და სამარადჟამოდ რფ-ის **პრ.** ვლადიმირ **პუტინი ვერტმფრენით იმგზავრებს** (ანუ, **სწორ მიწაზე საპრეზიდენტო კორტეჟით გადაადგილების ნაცვლად, იფრენს**).



როგორც შევიტყვეთ, **კრემლში არათუ უკვე მომზადებულია სპეციალური მოედანი,** მასზე **კიდეც გამოსცადეს აფრენა-დაფრენის სხვადასხვა რეჟიმი**. სპეციალისტებს ყველა ნიუანსი გაუთვალისწინებიათ, რომ ხშირმა გაფრენებმა კრემლის ისტორიული შენობები არ დააზიანოს. .

# ანუ, ის აფრენს...

**თურმე**, აქამომდე რფ-ის **საპრეზიდენტო ვერტმფრენი ივანოვის მოედანზე ჯდებოდა**, რაც **ივანე დიდის სამრეკლოს აზიანებდაო**. ამჯერად კი ასაფრენი მოედანი ტაინიცკის ბაღში განუთავსებიათ.

**პრ. პუტინსა** და **პრ.-მინისტრ მედვედევს ვერტმფრენებით გადაადგილების გადაწყვეტილება მოქალაქეების საკეთილდღეოდ მიუღიათ**: ჩვენ **თუკი ვიფრენთ, დედამიწას**, სახელდობრ, რფ-ის დედაქალაქს, **კორტეჟის მიერ შექმნილი საცობები აღარ შეაწუხებსო**. .



თუ გავითვალისწინებთ, რომ **ჩვენი მას, თუ მათი ჩვენსას პერმანენტულად ჰბაძავდა**, შეიძლება, ითქვას, გაგვიმართლა, რაკი **ჩვენსას ვადა ოქტომბრის ბოლომდე დარჩა**.

# დაბრუნება

## ანუ, უარყოფილი

თუმცა **არაერთი მოწვევის პარლამენტის წევრია, სხდომებს არც არასდროს სწყალობდა** (ალბათ, უფრო დიდ-დიდი საქმეებით იყო დაკავებული). შესაბამისად, **გამონაკლისს ვერც ახლა დაუშვებდა**. არც დაუშვა და ბ-ნი **გივი თარგამაძე პარლამენტის სხდომებზე** დიდხნიანი პაუზის შემდეგ **ოდენ გასულ კვირას ამობრწყინდა**.

ამობრწყინდა და **„ნდობის ჯგუფში" გაწევრიანებაც მოითხოვა** (უმცირესობის კვოტით), **მაგრამ, უარი სტკიცეს** . ბ-ნი თარგამაძე დარწმუნებულია (მომყავს ციტატა): **„რამე ხელშესახები არგუმენტი, თუ რატომ არ უნდა ვიყო მე ჯგუფის წევრი, უმრავლესობას არ გააჩნია**, მით უმეტეს, ეს მათი საქმე არაა, რადგან, უმცირესობის კვოტაა. აქედან გამომდინარე, **ვფიქრობ, საქმე გვაქვს უბრალოდ ახირებასთან."**

**ახირების მიზეზად კი სიყვარულის დეფიციტს ასახელებს**: „მე **რუსებს არ ვუყვარვარ, პუტინს არ ვუყვარვარ,** შესაბამისად, **საგანელიძეს არ ვუყვარვარ** და **არ ვუყვარვარ პრემიერ-მინისტრს**." ოღონდ, უარყოფილს გულს ის უმაგრებს, რომ **ეს გრძნობა ორმხრივია** („არც მე მიყვარს ისინი").



ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ 2004 წლის მოწვევის პარლამენტში **დავით გამყრელიძე, როგორც უმცირესობის წარმომადგენელი, „ნაცმოძრაობამ" „ნდობის ჯგუფში" არ შეიყვანა** (არასანდოობის მოტივით), **უმრავლესოელ ბ-ნ გივის კი კოლეგა უმცირესოელის უფლებების დასაცავად ზემომოყვანილი არგუმენტების მოხმობა არც გახსენებია,** ვფიქრობ, **სავსებით ლოგიკურად მიუღია უარი** (პრინციპით: უმრავლესობა, უმრავლესობაზე ნაკლები კოჰაბიტაციამ შეჭამაო) და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **უპასუხო სიყვარული არაფერ შუაშია** .

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# მზეჩასვენებულები

იმ მარტივი მიზეზით, რომ **ყველა დროსა და ეპოქას**, ისევე, როგორც **ყველა პირველსა თუ მეორე პირს**, თავისი **ფავორიტები ჰყავს**, სავსებით ბუნებრივია, რომ **წინა ფავორიტთა მზე ჩაესვენა** (თუ მთლად არა, ჩასვენების პროცესშია), , თუმცა, ისიცაა, რომ, საბედნიეროდ, ახლები არ ამობრწყინებულან.



და, **თუკი აქამომდე მას ლამის „საქართველოს დედოფლობა დამშვენდებოდა" და,** თუ მთლად მის ერთ სიტყვაზე ქალაქები არ შენდებოდა, **ყველა ასაკის ვარსკვლავებთან იწერებოდა მისი დუეტები,** აწ უკვე **მოკრძალებული ღონისძიებებით უწევს დაკმაყოფილება**. .

# „ნუ ჩაუჯდები ხელმწიფეს ნავში"

კერძოდ, 10 მაისს **ბაქოში პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის 90 წლის იუბილე აღინიშნა,** საიუბილეო **საღამოში კი, აზერბაიჯანელ მომღერლებთან ერთად, სოფო ნიჟარაძემაც მიიღო მონაწილეობა**. მან აზერბაიჯანელ **მსმენელთა ყური „თბილისოთი" დაატკბო**.

ჩვენ არ ვიცით, **მოვა თუ არა კვლავ** ქ-ნი **ნიჟარაძის კარიერაში** (სამშობლოში) **გაზაფხული** (ეჭვი მაქვს, ეს **პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული „ნაცმოძრაობის" წარმატებულ რებრენდინგზე**), მაგრამ, ერთი რამ უდავოა: „ნუ ჩაუჯდები ხელმწიფეს ნავში" როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ...

# შიგნით – ატლასი, გარეთ – ათასი

## „წამოდი, ერთად ვიაროთ..."

ისე მოხდა, რომ **ჩვენს პირველ პირს გარეთ უფრო ბევრი მსმენელი ჰყავს, ვიდრე – შიგნით.** . მეტიც, **გარეთ უფრო მეტ კომპლიმენტს იმსახურებს**, ვიდრე – შიგნით (სულ ბოლოს ბ-ნი **ბაიდენისგან ქართველი ჯორჯ ვაშინგტონის სტატუსიც კი ებოძა**).

შესაბამისად, ამ თუ სხვა მიზეზთა გამო, **თითქმის მთელი გასული კვირა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოკეანის გაღმა გაატარა** (ამიტომაც, **ოდენ შორიდან თუ შემოგვაშველებდა ხოლმე ხმას**). მეორე მხრივ, **მმართველი უმრავლესობა პრეზიდენტის ვიზიტების ხარჯვითი ნაწილით დაინტერესდა** (ეს უკანასკნელი **კვლავაც მოფარებულშია დაინტერესებული თვალისგან**).



ასეა თუ ისე, ხალხის რჩეულმა **ზაქარია ქუცნაშვილმა პრეზიდენტის ხარჯების გასაჯაროება მოითხოვა**; საპასუხოდ, ასევე ხალხის რჩეულმა **ირმა ნადირაშვილმა რჩევა შეაგება – პრეზიდენტმა არაერთხელ მოუწოდა მთავრობას, ჩემთან ერთად იაროთო** („წამოდი, ერთად ვიაროთ, ქვეყანა შემოვიაროთ").

თუ გაითვალისწინებთ, რომ საპრეზიდენტო ვიზიტების **ხარჯების გასაჯაროების მოთხოვნის მოტივია, შევიტყოთ, ადეკვატურია თუ არა დახარჯული თანხა**, ქ-ნი **ნადირაშვილის რჩევა-პასუხი**, სავარაუდოდ, **შემდეგნაირად უნდა გავიგოთ**: ერთად ვიაროთ, ანუ, **ერთად დავხარჯოთო**. .

ესე იგი, **შენ ხილი ჭამე, მებაღეს რას კითხულობო?!**


ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ისედაც ვიცოდით, თუმცა ახლა უკვე ფაქტობრივად დადასტურდა, რომ ჩვენი პირადი ცხოვრება გადაშლილი წიგნივით იყო და ამ ცხოვრების პიკანტური დეტალების ამსახველი მასალების მთელი არქივია (ნაწილი საქართველოში, ნაწილი კი, ექსპერტთა ვარაუდით, მავანთა სახლებშია ან უკვე უცხოეთშია გატანილი). ცნობილი ჩანაწერის ინტერნეტით გავრცელების საპასუხოდ, იმას გარდა, რომ შს მინისტრის პირველი მოადგილე დააკავეს, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ფარული ჩანაწერების არქივი განადგურდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ჩანაწერები ნივთმტკიცებაა, რაც მის ჩამწერთა ბრალეულობის დასადასტურებლად და დასასჯელადაა აუცილებელი, კახი კახიშვილთან ერთად შევეცდებით, გავარკვიოთ, არის თუ არა მიზანშეწონილი არქივის განადგურება.**

# რატომ ანიჭებდნენ საქართველოს მოქალაქეებს პირადი ნომრების მიხედვით სპეციალურ კოდებს და რა ინფორმაციაა თავმოყრილი თითოეულის შესახებ სპეციალურ ფაილებში



**საქართველოს კანონმდებლობით, ფარული ჩანაწერების არქივის განადგურება არ შეიძლება მანამ, სანამ ეს ჩანაწერები წარმოადგენს ნივთმტკიცებას**

**– თუ არქივი განადგურდება, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამ ჩანაწერების დამმზადებლები არასდროს აგებენ პასუხს ამ უკანონობის გამო და ყველაფერი ხახვივით შერჩებათ?**

– ჩემი აზრით, შინაგან საქმეთა მინისტრმა ეს განცხადება გააკეთა მხოლოდ და მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლების ზეწოლის გამო. თუმცა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული მასალის განადგურება არ შეიძლება მანამ, სანამ იმ საქმეზე, რომელიც აღძრულია პოლიციის ყოფილი თანამშრომლების მიმართ უკანონო თვალთვალზე, მოსმენაზე, პირად ცხოვრებაში ჩარევის ფაქტებსა და უფლებამოსილების გადამეტებაზე, ეს ჩანაწერები წარმოადგენს ნივთმტკიცებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს ნივთმტკიცების შენახვის წესებს. იმავდროულად, ჩვენ პირდაპირ გვიწერია კოდექსში, ნივთმტკიცება შეიძლება, განადგურდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეზე იქნება გამოტანილი სასამართლო განაჩენი და შევა კანონიერ ძალაში, ანუ ნივთმტკიცება ინახება საქმესთან ერთად, სანამ არის საქმის შენახვის ვადა. ამდენად, ნებისმიერ შემთხვევაში, ნივთმტკიცების განადგურება კანონდარღვევაა, სანამ საქმეზე განაჩენი არ დადგება. ანუ, სანამ არ დადგება განაჩენი ყოფილი პოლიციელების წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე.

**– გულისხმობთ იმ საქმეს, რომელიც უკვე აღძრულია და რომელიც, სავარაუდოდ, უნდა აღიძრას?**

– თვითონ მინისტრმა განაცხადა პრესკონფერენციის დროს, რომ ბატონმა ხვედელიძემ ეს ფირი მოიპოვა იმ დალუქული პაკეტიდან, რომელიც ნივთმტკიცების სახით ერთვოდა სისხლის სამართლის საქმეს ყოფილი პოლიციელების წინააღმდეგ. დღეს რომ ეს ნივთმტკიცება განადგურდეს, გამოდის, რომ იმ პირების მიმართ განაჩენი არ დადგება. წარმოიდგინეთ, ვთქვათ, დააკავეს რომელიმე ყოფილი პოლიციის მაღალჩინოსანი ამ მასალების მომზადებისთვის. სასამართლო პროცესზე მოსამართლე ვალდებულია, გამოიკვლიოს მტკიცებულება და დაცვის მხარეც, ბუნებრივია, ჰკითხავს ბრალდებას, რით უსაბუთებენ ჩადენილ დანაშაულს მისი დაცვის ქვეშ მყოფს. ასეთი ტიპის ფირები იქნება ზუსტადაც ნივთმტკიცება, რითაც უნდა დასაბუთდეს მათი უკანონო ქმედებები. ეს ფირი რომ განადგურდეს, ნიშნავს, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევა ველარ მოხდება სასამართლო პროცესზე და საქმეზე არანაირი განაჩენი არ დადგება. ასე რომ, თუ ის ადამიანები, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას ნივთმტკიცების განადგურების შესახებ, უკანონობას ჩაიდენენ; მეტიც, დაუკარგავენ იმ საქმეს სასამართლო პერსპექტივას. ეს ყველაფერი რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მოდი, ისიც ვთქვათ, ვისაც უნდოდა ამ ფირების შინაარსის გაგება და კოპირება, მან ყველაფერი უკვე გააკეთა. ამიტომ ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, როგორ გავანადგუროთ მტკიცებულება, რომ ვინმემ უფლებამოსილება ბოროტად არ გამოიყენოს და არ ისარგებლოს ასეთი ტიპის მასალებით ადამიანების მანიპულირების მიზნით, არამედ, უნდა ვიფიქროთ ისეთი სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომ ეს შეუძლებელი გახდეს ნებისმიერი რანგის თანამდებობის პირისთვის, სურვილიც რომ გაუჩნდეს, შექმნას ასეთი მასალები. ვფიქრობ, ბატონმა ხვედელიძემ ეს იმიტომაც ჩაიდინა, რომ მას არ ჰქონდა მაგალითი იმისა, რომ მისი წინამორბედები დაისაჯნენ ანალოგიური ტიპის მასალების, ჯერ ერთი, მომზადებისთვის და, მეორეც, მანიპულირებისთვის.

**– ისე, ერთი გელა ხვედელიძე ამდენს მოახერხებდა დამოუკიდებლად?**

– ბატონი გელა ხვედელიძე იყო შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ფაქტობრივად, უშიშროების მინისტრი. ასე რომ, ამხელა ძალაუფლების მქონე ადამიანს არ მგონია, „ფლეშკით" ერბინა, საიტები გაეხსნა და მასალები

**ისიც ვთქვათ, რომ, ვისაც უნდოდა ფარული ჩანაწერების შინაარსის გაგება და კოპირება, მან ყველაფერი უკვე გააკეთა**

აეტვირთა. ვფიქრობ, კონკრეტული ჯგუფისთვის გაიცა დავალება. ამდენად, გამოძიებამ უნდა დაადგინოს ყველა ის პირი, რომლებსაც პირდაპირი თუ ირიბი შეხება ჰქონდათ ამ მასალების განთავსებასთან. ამას გარდა, მივმართავ შინაგან საქმეთა სამინისტროს, დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ეს ფირები მოამზადეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, იმიტომ რომ გამოქვეყნებული ფირი ზღვაში წვეთია იმ მასალასთან შედარებით, რაც 9 წლის განმავლობაში ინახებოდა „კუდში". „კუდი" სპეციალურად ასეთი ტიპის მასალების შესაგროვებლად იყო შექმნილი, რომ შემდეგ მათი საშუალებით მოეხდინათ ადამიანების მანიპულაცია, შანტაჟი, ბიზნესების წართმევა და ასე შემდეგ. უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც 9 წლის განმავლობაში პოლიციის ამდენ თანამშრომელს ჰქონდა ამ ბინძურ საქმიანობაში მონაწილეობა მიღებული და არავინ დასჯილა ადეკვატურად.

**– ძალიან საინტერესოა ამ ჩანაწერების ავტორების, ანუ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების ლოგიკა: ჩვენ დროს არც ერთი ჩანაწერი არ გამოქვეყნებულაო. გამოქვეყნება რაში სჭირდებოდათ, დაიბარებდნენ ადამიანს, ერთი-ერთზე აჩვენებდნენ ასეთ ჩანაწერს და აკეთებინებდნენ, რაც მოესურვებოდათ.**

– რა თქმა უნდა, რა საჭირო იყო ამ მასალის გამოქვეყნება, ეს, სულაც, არ იყო მათთვის ხელსაყრელი, რადგან გამოიწვევდა პოლიტიკურ სკანდალს, ამიტომ ისინი ამ ფირებს ინახავდნენ, იბარებდნენ ადამიანებს და ამ ფირების განთავსების მუქარით, მათზე ახდენდნენ ზეგავლენას. დარწმუნებული ვარ, უფრო მნიშვნელოვანი მასალა გატანილია მოდულის შენობიდან და არც ის არის გამორიცხული, რომ დღეს ვიღაც იჯდეს თავის ოფისში ან უცხოეთში და კონკრეტულად, რომელიმე ადრინდელ ოპოზიციონერსა და დღეს თანამდებობის პირს აშანტაჟებდეს და სთხოვდეს ლობირებას ამ ფირების გამოქვეყნების მუქარით. ასე რომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აუცილებლად უნდა მიიღოს იმ თანამდებობის პირების დასჯის გადაწყვეტილება, რომლებიც ასეთ სიბინძურეში იყვნენ ჩაბმულნი და ამაში ფლანგავდნენ საბიუჯეტო თანხას. რადგან ასეთი ტიპის ჩანაწერების გაკეთება არა მხოლოდ აკრძალულია, არამედ, ძალიან დიდი ფუფუნებაა. ამდენად, არა მხოლოდ იმ პირების დასჯაა აუცილებელი, არამედ ოპერატიულადაა დასადგენი გატანილი მასალების ადგილმდებარეობა, ამოღება და შემდგომში უკვე კარგად შენახვა.

**– შესაბამისად, ამჟამად ნებისმიერ დროს თითქმის ნებისმიერ ადამიანზეა შესაძლებელი აიტვირთოს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა? თუნდაც, ეს იყოს მხოლოდ შიშველი ფოტო, საკმაოდ დამამცირებელია...**

– ჩვენ ვნახეთ, რომ მინისტრის პირველ მოადგილეს ნერვებმა უმტყუნა, ვერ აიტანა კრიტიკა და ასეთი ფორმით მოახდინა რეაგირება. შესაბამისად, არაფრისგან არ არის დაზღვეული. გათვლა გაკეთდა ასეთ ფირზე, რადგან ვიღაც ფიქრობდა, რომ ასეთი ფირის განთავსების შემდეგ საზოგადოება უფრო მასალის შინაარსზე იმსჯელებდა, ვიდრე იმ ადამიანის სიბინძურეზე, ვინც განათავსა ეს მასალა.

**– ძალიან ბეცი გათვლაა დე-ფაქტო უშიშროების მინისტრისგან, თუ ასეთი გათვლა იყო.**

– რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, ამ მასალის განთავსებას რომ რეაგირება არ მოჰყოლოდა, ძალიან ბევრი სხვა მასალა დაიდებოდა სხვადასხვა დროს, იმიტომ რომ პირადი ცხოვრება ხომ მხოლოდ სექსი არ არის?! ყველას თავისი სუსტი წერტილი აქვს, უბრალოდ იმდენად მკაცრად უნდა იყოს დაცული პირადი ცხოვრება და საიდუმლოება, რომ არავის გაუჩნდეს სურვილი, შესაძლებლობის შემთხვევაში, ეს პირადი ან პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. ამას გარდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელიც სჯის ამგვარი მოქმედებისთვის, საკმაოდ ლმობიერია. ამ მუხლის მესამე ნაწილი

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

**მან ორი პრეზიდენტი გააცოცხლა ანიმაციაში, რაც, სულ მცირე, იმას მაინც ნიშნავს, რომ ამ ორი პირველი პირის ხასიათის თავისებურებები კარგად აქვს შესწავლილი. ის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდეც გამოირჩეოდა აქტიურობით და არც არჩევნების შემდეგ პასიურობს, ერთი ისაა, რომ ამპლუა ოდნავ შეიცვალა. ერთი სიტყვით, შალვა რამიშვილი მოგვიყვება „ნაციონალებისა“ და „მეოცნებეების“ მართვის დადებით და უარყოფით მხარეებზე, საკუთარ მოლოდინებსა და იმაზეც, თუ რა დოზით გაამართლეს თუ ვერ გაამართლეს მისი იმედები როგორც ახლებმა, ისე ძველებმა.**

# რატომ ვერ გაასახლა ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილმა საქართველოდან და რატომ არ უნდა დაარტყა მოწინააღმდეგეს ნახევარი ძალით

**– აწ უკვე მმართველმა უმრავლესობამ არჩევნების შემდეგაც შეინარჩუნა წინასაარჩევნო პათოსი. ისინი კვლავ აკეთებენ განცხადებებს, რომ დღეს აღარ აწამებენ ადამიანებს, აღარ ხოცავენ ქუჩებში, არ ართმევენ ბიზნესებს, ეს ცოტა კომიკურ ელფერს ხომ არ იძენს? ასეთი შეფასებები შესაძლოა, გააკეთოს მოქალაქემ, მაგრამ, როდესაც ხელისუფალი ხარ და ამდენი იცი, დაიჭირე, ვინც ამას აკეთებდა თუ არადა, ნუ მაღიზიანებ დამატებით.**

– სააკაშვილი შევარდნაძის ჩრდილიდან კარგა ხანს ვერ გამოვიდა, თავის საქართველოს მუდმივად ადარებდა ვარდების რევოლუციამდელ საქართველოს და შევარდნაძეს ექიშპებოდა. დღეს იმდენი დრო  არ არის გასული იმისთვის, რომ დავივიწყოთ, რაც პირველ ოქტომბრამდე ხდებოდა, მაგრამ ხელისუფლების წევრები უნდა გამოვიდნენ იმ განცდიდან, რომ სააკაშვილს მოუგეს, რომ აღარ ხდება ის, რაც ხდებოდა სააკაშვილის დროს. სააკაშვილი პოლიტიკური არარაობაა, თუმცა მე ისედაც არარაობად მიმაჩნია და მათ შორის, მეც უნდა გავთავისუფლდე ამ კაცის კომპლექსისგან, აღარ შევედაროთ და ნიშნი აღარ მოვუგოთ.

**– არარაობა იყოო, ამბობ, იყო თუ არა, 9 წელს გვმართა ერთპიროვნულად, მაშინ რის ხარჯზე?**

– უპირველესად, ეს მოხდა იმიტომ, რომ კარგად ხვდებოდა, სად უნდა მოეძებნა ოპოზიციისთვის სუსტი წერტილი და ამარცხებდა ოპოზიციას. ასევე, დაჩაგრა მედია  და შექმნა ერთგვაროვანი პროპაგანდისტული ველი, სასამართლო დაიმორჩილა და ყველა პოლიტიკური განაჩენი მიმართული იყო ოპონენტების დასაშინებლად და გასანეიტრალებლად. მისი სიძლიერე იყო ის, რომ მან შექმნა ნახევრად ავტორიტარული ქვეყანა და ამან დაამარცხა კიდეც. აბსურდი მოხდა: მან გადაწყვიტა, შეექმნა აზიური ტიპის ავტორიტარიზმი, მაგრამ არჩევნები ჩაატარა ისე, რომ ძალით ვერ გადაწყვიტა ამ არჩევნების ბედი. მაგალითად, ვერ გაასახლა ბიძინა ივანიშვილი ქვეყნიდან, მიუხედავად იმისა, რომ წაართვა მოქალაქეობა და ასე შემდეგ. ეს მაინც ნახევრად ზომები იყო და ასეთი ზომები არ ჭრის. თუ გადაწყვიტე, რომ კანონი დაარღვიო, მაშინ ნახევრად ზომებს რატომ მიმართავ?! თუ სერიოზული მოწინააღმდეგეს ურტყამ...

**– ისე უნდა დაარტყა, ველარ ადგეს.**

– უნდა გაიმეტო, რომ გაიმარჯვო, როდესაც ნახევარი ძალით ურტყამ და გეშინია სხვა რაღაცეების, რაც შეიძლება, ამ დარტყმას მოჰყვეს, მაშინ საერთოდ არ უნდა დაარტყა. აი, ეს შეეშალა მიშას. მან ვერ დაამყარა დიქტატურა და ამ ნახევრად ზომებმა შეიწირა იგი.

**– გამსახურდია ცოტა ხანს იყო პრეზიდენტი, შევარდნაძე ისევე დიდხანს, როგორც სააკაშვილი და ორივეს მართვის თავისი სტილი ჰქონდა, თუმცა ვერც ერთმა ვერ შეძლო საპრეზიდენტო სტანდარტის შექმნა.**

– აღმოჩნდა, რომ ჩვენ არ ვართ საპრეზიდენტო ქვეყანა.

**– შევარდნაძეს კარგად იცნობდი, სხვანაირად მის პერსონაჟს ვერ შექმნიდი, ასევე, შექმენი სააკაშვილის პერსონაჟი. როგორები იყვნენ, როგორც  პრეზიდენტები?**

– საქმე ის კი არ არის, როგორები იყვნენ ისინი, არამედ, როგორები გახდნენ უკონტროლო ძალაუფლების პირობებში. უპირველესად, ეს ეხება სააკაშვილს და არა შევარდნაძეს, რომელსაც არ ჰქონია ისეთი ავტორიტარული მიდრეკილებები, როგორიც მიშას. არ ვიცი, რატომ იყო ბოლო ხანებში ასეთი მიმტევებელი: ასაკის თუ სხვა რამის გამო, მაგრამ ეს სხვა თემაა. მიშას ფსიქოლოგიური პორტრეტი ჩანს მისი მმართველობის დროს აშენებულ სახლებსა და მის გადაწყვეტილებებში. ამიტომ კარგი იქნება, ისეთი ქვეყანა გავაკეთოთ, რომელშიც პირველი პირის ინდივიდუალურ თავისებურებებს არ ექნებათ ასე მძაფრად გამოხატვის საშუალება.

**– სტანდარტი ისევ არ გვაქვს.**

– როგორ იძერწება სტანდარტი? არა იმით, რომ მაინცდამაინც ასეთი და ასეთი ფსიქოლოგიური ტიპის პიროვნება უნდა გახდეს პრეზიდენტი. ჩვენ ვიცით, როგორია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სტანდარტი: იქ არის უამრავი გამაწონასწორებელი ფაქტორი, სენატი, მედია და ამ ფილტრებს მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში გადის პრეზიდენტობის თითოეული კანდიდატი. იქ სტანდარტი საუკუნეების და ათწლეულების განმავლობაში შემუშავდა, ჩვენ ჯერ ახლა ვიწყებთ.



**უნდა გაიმეტო, რომ გაიმარჯვო, როდესაც ნახევარი ძალით ურტყამ და გეშინია სხვა რაღაცეების, რაც შეიძლება, ამ დარტყმას მოჰყვეს, მაშინ საერთოდ არ უნდა დაარტყა**

**– ახლა რომ ვიწყებთ, შეგვეტყო პრეზიდენტის ფარული ხარჯების გამოქვეყნების შეფასებაშიც: პრეზიდენტმა თქვა, რატომაც არ უნდა დამეხარჯაო, იგივე გაიმეორეს მისმა თანაგუნდელებმა. ნოდარ დუმბაძის გმირის სტილში, ქართველი კაცი რომ „ზალას“ ოთახად ჩაგითვლისო.**

– ეს ფარული ხარჯები უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია.

**– მე რეაქციაზე ვამბობ.**

– თვითონ რას ამბობს, არ აქვს მნიშვნელობა. ის ძალიან ცუდ დღეშია, მას ხელიდან ეცლება ის ილუზორული სამყარო, რომელიც ააშენა. რა თქმა უნდა, არც სინანულს განიცდის და  არც პატიებას ითხოვს, იმიტომ რომ მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკური ცხოველი. მაგრამ ახლა უკვე, მისი ლექსიკით თუ ვიტყვით, გაფარჩაკებული პოლიტიკური ცხოველი. მას ძალიან მძიმე დღეები უდგას, ყოველდღიურ სტრესშია, ყოველდღიურად აწყდება მოქალაქეების ზიზღს. საყოველთაო სიყვარულიდან ასეთი დონის სიძულვილამდე მისვლას მოხერხება უნდა და ეს მიშამ მოახერხა. ადამიანურად ძალიან საცოდავია.

**– ელოდი, რომ დამარცხებული სააკაშვილი ასეთი გახდებოდა?**

– რა თქმა უნდა, ეს არის ადამიანი, რომელსაც არ აქვს სინანულის გრძნობა, მან არ იცის, რატომ წააგო, არ იცის, რომ მისი მმართველობა იყო დანაშაულებრივი. მას სჯერა, რომ, რადგან ლიფონავამ უთხრა ღამის საათზე, ციხის სცენები დადგმული იყოო, მას მართლაც მოუწყვეს ეს: რუსეთმა, ბიძინა ივანიშვილმა...

**– მართლა ჰგონია?!**

– რა თქმა უნდა. მას მიაჩნია, რომ კარგი უნდოდა ქვეყნისთვის და რუსეთს ებრძოდა. რაღაცას ხშირად რომ იმეორებ, იჯერებ.

**– მაგრამ ეს ხომ ცოტა არაჯანსაღია?**

– მან მოახერხა იმ მიზეზების დავიწყება, თუ რატომ წააგო. იმიტომაც არის საბრალო, რომ ვერ ხვდება, რატომ წააგო. ის უყურებს, როგორ ინგრევა მის მიერ ნაშენები ილუზორული სამყარო და მტკივნეულად განიცდის ამ ყველაფერს. მხოლოდ თუ ვუთანაგრძნობთ, იმიტომ რომ ეს გაგრძელდება, უფრო მეტ ინფორმაციას გავიგებთ მისი ცხოვრების წესზე, მისი გუნდის დანაშაულებებზე.

**– სააკაშვილი არასდროს გამოირჩეოდა დახვეწილი მანერებით და კულტურული მეტყველებით. მაგრამ ძალიან დაიბინძურა ლექსიკა. ესეც სტრესის ბრალია?**

– უბრალოდ ცუდ ვითარებაშია და შეცდომებს უშვებს.

**– უბრალოდ შეცდომაა, როდესაც სტუდენტებს ეუბნები პრეზიდენტი, ჩემი მეგობარი პროქტოლოგი ცოლს დასდევდა, ცოცხი შეგეტევა თუ არაო; მეც გამომადგება ბუსუსებიანი პრეზერვატივიო. ზვიგენების ამბავი ამასთან „იავნანაა“?**

– მას ყოველთვის ახასიათებდა ექსტრავაგანტური საუბარი. უნდა გავუგოთ, ამ ადამიანს აქვს ღრმა ფსიქოლოგიური სტრესი და მისი ფსიქიკა უფრო და უფრო ღრმა ჭაობში ჩაეფლობა. პირველი, ვინც მას ბოლოს მოუღებს, არის მისი საკუთარი მე. ის არის ადამიანი, რომელსაც საკუთარი მე შეჭამს და ეს ძალიან სამწუხაროა. შეიძლება, ვურჩიოთ, გადადგეს, მოინანიოს და სადმე სოროში შეძვრეს, მაგრამ არ გამოდის, იმიტომ რომ აქვს პოლიტიკაში დაბრუნების ამბიციები.

**– მოახერხებს თავისი თავის რებრენდინგს?**

– თუნდაც, ის ხარჯები, რომლებიც გამოქვეყნდა, მეტყველებს, რომ ეს არის ხაზინის ქურდი, რომელიც საკუთარ და საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას ახმარდა ქვეყნის ფულს. ეს არის დანაშაული, რომელიც დასავლური ყაიდის არც ერთ პოლიტიკოსს არ ეპატიება და არ ვიცი, როგორ უნდა გამოძვრეს ამ საშინელი ვითარებიდან.

**– უმრავლესობის წევრებმა შეიფერეს მმართველის ამპლუა? ხანდახან ზოგ მათგანს ისეთი კმაყოფილი სახე აქვს, იმ ანეკდოტის არ იყოს, სურვილი გიჩნდება, ლიმონი მიაწოდო, რომ ასეთი ნასიამოვნები სახე არ ჰქონდეს.**

– ვიცით, რომ ეს სია არ არის სრულყოფილი, ისევე, როგორც არც ჩვენ ვართ სრულყოფილები. მაგრამ რა არის კარგი: წინა ხელისუფლების დროს კლანური მმართველობა ჩამოყალიბდა და, თუ პოლიტიკურად ლიალური იყავი მიშა სააკაშვილისადმი, სწორედაც რომ გქონდა საფუძველი, კმაყოფილიც ყოფილიყავი, გაღიმებულიც, შეცდომებიც დაგეშვა და დანაშაულიც ჩაგედინა. ეს ბიძინას დროს არ მოხდება, ამიტომ შეიძლება, შეეგუო „ოცნების“ ზოგიერთი წევრი დეპუტატის არაბუნებრივად კმაყოფილ სახეს, თუმცა მე არ შემიმჩნევია, მაგრამ გამშვიდებს ის, რომ ეს კმაყოფილი სახე არის პირველ შეცდომამდე, რომელსაც ის დაუშვებს. ამიტომ ლოიალურები უნდა ვიყოთ.

**ნინო ხაჩიძე**

**თუმცა სამართლიანობის აღდგენას ქართული ველოსიპედის გამოგონება არ სჭირდება (ამის გამოცდლება თვით დასავლეთ ევროპასაც კი მოეპოვება), მაგრამ, ამის მიუხედავადაც, ჩვენი სამართალი მოყანყალებულბორბლებიანი ურმით დადის და, სანამ ჭრიალით გადაადგილდება, გასულ კვირას ერთ-ერთ რესტორანში ერთადერთი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებსა და სამ მოქალაქეს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. ეს მხოლოდ პრეცედენტად დარჩება თუ ბლოკბასტერის მორიგი სერიებიცაა მოსალოდნელი, – ამის გარკვევას ირინა სარიშვილთან ერთად შევეცდებით.**

# რატომ დაემთხვა გელა ხვედელიძის დაპატიმრება გეი-აღლუმს და რატომ ზის ბაჩო ახალაია ციხეში ვანო მერაბიშვილის თანხმობით

**– ასე ჭრიალით მოძრავი სამართლის პირობებში, როგორ ფიქრობთ, ანგარიშსწორებათა სერია ხომ არ გველის?**

– დავიწყოთ იმით, რომ მე არ მიმაჩნია ტერმინები: „ანგარიშსწორება“ და „შურისძიება“, სწორად იმ ვითარებაში, რაც გვაქვს. თავიდან ბოლომდე ყველა იმ გართულებაზე, რაც მომხდარა ქუჩასა თუ რესტორანში და რაც შეიძლება, მომავალში უფრო მძიმე ფორმებითაც მოხდეს, პასუხს აგებს ხელისუფლება, ანუ ის ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია საკუთარი კანონების შესასრულებლად.

**– დავაზუსტებ: მოწოდებულია, მაგრამ პოლიცია პოსტფაქტუმ ერევა, რაც დაზარალებულებისთვის შეღავათი არ არის, თუმცა, კანონიერების თვალსაზრისით, ყველაფერი წესრიგშია.**

– გავაგრძელებ აზრს. უპირველესი დაკვეთა, სოციალური დაკვეთის გარდა, რის გამოც ხალხი გაჰყვა არა კოალიციას, არამედ ერთ კაცს, ბიძინა ივანიშვილს, იყო ის, რომ სააკაშვილის დამარცხებით, ერთი მხრივ, დამარცხდებოდა სოციალური სიდუხჭირე და, მეორე, უფრო მნიშვნელოვანი – დამარცხდებოდა უსამართლობა. სამართლიანობის აღდგენისკენ, თუ არ ჩავთვლით ციხეებიდან პატიმრების გამოშვებას, ისიც ძალიან გაუგებარი ქრონოლოგიით, არც ერთი ნაბიჯი ამ ხელისუფლებას არ გადაუდგამს. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი გამონაკლისი ახალაია ზის ციხეში და ისიც ყველამ მშვენივრად იცის, რომ ახალაიას ციხეში ჯდომა უნდათ ვანო მერაბიშვილსაც და „ნაციონალებსაც“ და ამიტომაც ზის.



**ან თქვან, რომ ის ბრალდებები, რომლებსაც უყენებდნენ „ნაციონალებს“ არჩევნებამდე ტყუილი აღმოჩნდა და მაშინ დაემხონ მუხლებზე და მოუხადონ ბოდიში, ან პასუხი აგებინონ**

**– რატომ უნდათ?**

– ოჯახური დაპირისპირება აქვს ვანო მერაბიშვილს ახალაიასთან, თავისი მეუღლიდან გამომდინარე. ამაზე მეტის თქმა არ არის საჭირო, ფართოდ ცნობილი ოჯახია. ყველა დანარჩენ შემთხვევაში არავინ, ვინც პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე, არ გასამართლებულა. მიტევებაზე, პატიებაზე, სასჯელის რაღაც რბილი ფორმით შეცვლაზე ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ განაჩენის გამოტანის შემდეგ. სხვა შემთხვევაში ეს ლიტონი სიტყვებია.

**– მარტივი ფორმულაა, მე რომ ვაპატიო, იმან ხომ უნდა იცოდეს რომ საპატიებლად აქვს საქმე?**

– მეც ზუსტად ამას ვამბობ: დამნაშავეს ჯერ უნდა მიესაჯოს, გამოცხადდეს მისი ბრალეულობა დადასტურებულად და ამის შემდეგ უნდა ვილაპარაკოთ პატიება-არპატიებაზე. თან, თუ ის ადამიანი თვითონ არ იხდის ბოდიშს და არ ინანიებს, ვის რაში სჭირდება მაშინ შენი პატიება?! ის მდგომარეობა, რაც დღეს ქუჩებშია, თავიდან ბოლომდე დღევანდელი ხელისუფლების კისერზეა. მე ძალიან კარგად მახსოვს, როგორ კნუტებივით გრძნობდნენ თავს „ნაციონალები“ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პირველი ორი დღის განმავლობაში და თანდათან როგორ შეემატათ რიხი ხმაში. მე არ ვამბობ, რომ ყველას დათრგუნულს და შეშინებულს უნდა ევლო, მაგრამ, ვისაც უნდა შეშინებოდა საკუთარი ჩადენილი დანაშაულებების გამო კანონის, ისინი, რა თქმა უნდა, თავდახრილნი უნდა ყოფილიყვნენ და არა მიკროფონით ხელში, აქეთ რომ გვასწავლიან დემოკრატიას.

**– ის, რაც ერთ რესტორანში მოხდა, შეიძლება, გახშირდეს?**

– ის, რაც რესტორანში მოხდა და სხვაგანაც შეიძლება მოხდეს, იმას გარდა, რომ კარგისკენ არ მიგვიყვანს, იძლევა განცდას, მათ შორის, ჩემშიც, რომ ეს დამნაშავეები, თუ ხელისუფლების ხელიდან არა, ქუჩაში მოსიარულე ადამიანების ხელიდან მაინც იღებენ სასჯელს და ამდენ დამნაშავეს რესტორნებში, კაფეებსა თუ ბარებში შესვლისას, სულ მინიმუმ, დისკომფორტი მაინც შეექმნება იმით, რომ არ გაესვლება ისე ადვილად ქუჩაში, როგორც მათ უსუფაშვილი ჰპირდება. ბევრად უფრო გამაღიზიანებელია ჩემთვის ამ უტიფარი ადამიანების ტელევიზიით, ქუჩაში, სანავარდოდ უპრობლემოდ ყოფნა, ვიდრე ის, რაც მოხდა. თუმცა ეს კარგისკენ მაინც არ მიგვიყვანს და, რა თქმა უნდა, საუკეთესო გამოსავალია, ხელისუფლებამ თვითონ გასცეს პასუხი დამნაშავეებს და ყური არ უგდოს სპეკულაციებს თემაზე, რომ ეს პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. პოლიტიკური დევნა ეწოდება, როდესაც ადამიანს თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო დავსჯით და, თუ ეს არ იცის ბიძინა ივანიშვილმა, იქნებ აუხსნან მის გვერდზე მყოფმა პოლიტიკოსებმა. ყველა სხვა შემთხვევაში, თუ ადამიანი სჩადის დანაშაულს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს მის პოლიტიკურ და სექსუალურ ორიენტაციას. კანონები იმიტომ შეიქმნა, რომ რაღაცნაირად დარეგულირდეს ადამიანთა უფლებები. თუ ამას არ აკეთებს ის, ვის ხელშიც კანონია, მაშინ ამის გაკეთებას იწყებენ ადამიანები, თუ მთლად დამონებული ფსიქიკა არ აქვთ. მე არც ჩხუბი მომწონს, არც დანის ტრიალი და იარაღის გავარდნა, რაც შესაძლოა, მოხდეს, მაგრამ ეს არის იძულებითი მდგომარეობა, რომელშიც საკუთარ საზოგადოებას აყენებს დღევანდელი ხელისუფლება, სადაც დღეს არიან ადამიანები, რომლებთანაც ძალიან გამიჭირდება ღირსებაზე, თავმოყვარეობაზე ლაპარაკი.

**– ვის გულისხმობთ?**

– ვერანაირად ვერ ავუხსნი უსუფაშვილს, რას ნიშნავს, კაცური კი არა, ადამიანური ღირსება და თავმოყვარეობა, ვინც ამას წაიკითხავს, მიხვდება, რატომაც ვერ ავუხსნი. ამიტომ ემოციურ მხარეს თავი უნდა დავანებოთ და ამ ადამიანებს პირდაპირ მოვთხოვოთ კანონის შესრულება: ან უნდა თქვან, რომ ის ბრალდებები, რომლებსაც უყენებდნენ „ნაციონალებს“ არჩევნებამდე, ტყუილი აღმოჩნდა და მაშინ დაემხონ მუხლებზე და მოუხადონ ბოდიში, ან, თუ მათი ბრალდებები არ არის ცილისწამება და დასტურდება, ამ ადამიანებმა პასუხი უნდა აგონ და შემდეგ საზოგადოება და შესაბამისი გაერთიანებები გადაწყვეტენ, გამოცხადებული სასჯელიდან, რა ფორმით და რა რაოდენობით მოიხადონ.

**– ძალიან საინტერესო ლოგიკა აქვთ „ნაციონალებს“: ისინი გმობენ პარლამენტის წევრებზე თავდასხმას და, იმავდროულად, ამტკიცებენ, რომ ძველი ფაქტები, როდესაც მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ესხმოდნენ თავს პარლამენტარებს, უნდა დავივიწყოთ. მათ, მართლაც, ჰგონიათ, რომ საზოგადოებას ლოგიკა არ აქვს?**

– არაფერს ფიქრობენ, ისინი გამიზნულად მოქმედებენ. ეს განცხადებები კეთდება საზოგადოების გასაღიზიანებლად. „ნაციონალებმა“ მშვენივრად იციან, რომ იმაზე მეტად, ვიდრე სძულთ, ქართველი საზოგადოება მათ ვეღარ შეიძულებს. ხოლო მათი ასეთი თავხედური, ყოვლად უტიფრული დემონსტრაციული განცხადებები უკვე იწვევს აგრესიას დღევანდელი ხელისუფლების მიმართაც, როდესაც ის, თავის მოქალაქეებს აიძულებს ამის მოთმენას. შენ თვითონ მიმტკიცებდი, რომ ისინი დამნაშავეები იყვნენ, ახლა მე მიქნევ თითს და ხელი რომ გავანძრიო, კიდევ მე დამსჯი. ამდენად, „ნაციონალებს“ ძალიან ოსტატურად ჰყავთ მიყენებული კედელთან დღევანდელი ხელისუფლება. „ნაციონალები“ ვეღარ აიმაღლებენ რეიტინგს, მაგრამ საკმაოდ წარმატებით ახერხებენ უტიფარი გამოსვლებით საზოგადოების წყობიდან გამოყვანას და ეს წყობიდან გამოყვანა არ არის მიმართული მხოლოდ „ნაციონალებისადმი“.

ახლა კიდევ ერთი თემა დაემატება ამ ხელისუფლებას თავში სახლელად: სექსუალური უმცირესობების. ფარესაშვილთან დაკავშირებული ამბები ძალიან საინტერესო გამოსაკვლევია. თავი რომ დავანებოთ იმასაც, რომ ეს შეიძლება, ვინმეს შურისძიება ყოფილიყო, ძალიან საეჭვოდ დაემთხვა ეს ფაქტი მოახლოებულ გეი-აღლუმს. ვხედავთ, პირველი პრეცედენტი მოხდა და ხვედელიძე დაიჭირეს. ადამიანის ტვინი, მართალია, მაიმუნივით მარტივად არ არის მოწყობილი, მაგრამ რაღაც-რაღაც კლიშეები ამ ტვინში ყველას გვაქვს. ამიტომ, როდესაც კონკრეტული ადამიანი რაღაცაზე აიმაღლებს ხმას, ამ შემთხვევაში, ფარესაშვილი და დასტურდება, რომ ის მართლაც მსხვერპლია, განსაზღვრული ორიენტაციის ადამიანის უკვე მსხვერპლად ქცევა ძალიან ბევრის თავში აღრევას გამოიწვევს. ხვედელიძის გათავისუფლებას არანაირ აღფრთოვანებაში არ მოვყავარ, რადგან ძალიან მეპარება ეჭვი, რომ ხვედელიძეა ამ ამბის თავი და ბოლო. ნაკლებად მაინტერესებს, ასევე, ეს კადრები ნამდვილია თუ მონტაჟი, თუმცა თვითონ ფარესაშვილმა მშვენივრად გაყო: ტანი სხვისი იყო, თავი – ჩემიო. თუ გავიხსენებთ, თავი რას აკეთებდა და ტანი – რას, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ არჩია თავი. მაგრამ ეს არ არის განსახილველი თემა.

**– ყველანი ვთანხმდებით, რომ ადამიანის შანტაჟი დაუშვებელია და პირადი ცხოვრება ხელშეუხებელი, მაგრამ, რატომღაც, არავინ ახსენებს, მათ შორის, არც ფარესაშვილი მას, ვინც გასცა ამ კადრების გადაღების ბრძანება?**

– მართალი გითხრათ, არ მინახავს ის კადრები ბოლომდე, მაგრამ, როგორც ამბობენ, დანარჩენი ორი მონაწილე აშკარად იყურებოდა კამერისკენ. არ ვიცი, იმ ორმა ამით რა მოიგო, შეიძლება ეს ჭორიც იყოს. ფაქტია, გეი-აღლუმის წინ მოიხსნა და დაისაჯა ადამიანი, რომელმაც შელახა ჰომოსექსუალის უფლება. თან, ფარესაშვილი ძალიან კატეგორიულად არაფერს ამტკიცებს, უბრალოდ ამბობს, რომ ეს არის მონტაჟი

# რატომ ანიჭებდნენ საქართველოს მოქალაქეებს პირადი ნომრების მიხედვით სპეციალურ კოდებს და რა ინფორმაციაა თავმოყრილი თითოეულის შესახებ სპეციალურ ფაილებში

(მე-6 გვერდიდან)

სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს. ანუ ეს მუხლი მიეკუთვნება სასჯელის ნაკლებად მძიმე კატეგორიას და ასეთი მუხლით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ დანაშაულის ჩამდენს პატიმრობა შეეფარდოს. ესე იგი, არც ამ დანაშაულის ჩადენის გამო დასჯის პრეცედენტი არსებობს და სასჯელიც ლმობიერია. ამდენად, აუცილებელია, დაიწყოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადება, რომ, ერთი მხრით, ძალიან სერიოზულად იყოს დაცული ადამიანის პირადი ცხოვრება და, ამავდროულად, სანქციები უნდა გამკაცრდეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც სურვილი გაუჩნდებათ პირადი ცხოვრების მასალების გავრცელებით მიაღწიონ პირად მიზნებს.

**– შესაძლებელია ასეთი ტიპის მასალის კანონიერად მოპოვება?**

– ასეთი ტიპის მასალის მოპოვება კანონითაა აკრძალული, იმიტომ რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კანონი ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ ფარულ თვალთვალსა და მოსმენას უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაღებული ან მოსმენილი მასალა ასახავს სისხლის სამართლის დანაშაულის მომზადებას ან ჩადენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც განზრახ აყენებ სათვალთვალო აპარატურას მხოლოდ იმიტომ, რომ გაინტერესებს ადამიანის პირადი ცხოვრება, ეს უკვე აკრძალულია კანონით. ასე რომ, ამგვარი მასალა კანონის დაცვით ვერ იქნება მოპოვებული. თუ გამოქვეყნებულ ფირს დააკვირდებით, ნახავთ, რომ სამი მოქმედი პირიდან, ორი კამერაზე თამაშობს. ისინი კამერის წინ მოქმედებენ.

**– არანაკლებ საინტერესოა, რომ ის ორი ადამიანი არაფერს აპროტესტებს, არადა, მათი უფლებებიც ხომ შეილახა?**

– დასადგენია, ის ორი ადამიანი ვინ არის. ისიც გასარკვევია, ის ორი ადამიანი რატომ იღებდა მონაწილეობას ამ სცენაში, ისინიც ხომ არ აიძულა შინაგან საქმეთა სამინისტრომ სხვა დროს გადაღებული მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნების მუქარით, იმ სცენაშიც მიეღოთ მონაწილეობა?! ან იქნებ სხვა მიზეზი იყო?! ეს ყველაფერი დასადგენია. ამავე დროს, შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდ ფულს ხარჯავდა აგენტების წასახალისებლად. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია და მოვლენათა ანალიზიც გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ, რომ იქიდანაც ბევრი ფული იხსნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან – როდესაც ვიღაც აგენტზე, წახალისების მიზნით, გააფორმებდნენ 2 000 ლარს, იქიდან აგენტს მისცემდნენ 200 ლარს, დანარჩენ თანხას თვითონ იდებდნენ ჯიბეში. პირობითად ვამბობ ამ ციფრებს, მაგრამ ეს ნაწილიც შესასწავლია, რადგან საბიუჯეტო სახსრების ძალიან დიდი ნაწილი ასეთი ფორმითაც იყო მითვისებული.

**– ეს ხომ ძალიან დიდი ინფორმაციაა, მას სჭირდება დახარისხება, გაანალიზება. ჰქონდათ ამდენი რესურსი?**

– ამაზე მუშაობდა „კუდის“ სპეციალური სამსახური, რომელსაც კურირებდა „კუდის“ უფროსის მოადგილე, ვისაც პირდაპირ ევალებოდა ასეთი ტიპის მასალების მოპოვება. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, იქამდეც კი მივიდნენ, რომ თითოეულ ადამიანზე, რომელსაც ამა თუ იმ დოზით შეიძლება, ჰქონოდა შეხება პოლიტიკასთან, ფაილები იყო გახსნილი, სადაც იყრებოდა ამ ადამიანების მაკომპრომეტებელი მასალები არა მარტო მათი, ოჯახის წევრების შესახებაც. სწავლობდნენ ყველა ადამიანის სუსტ წერტილებს და შემდგომში ამ სუსტი წერტილების გამოყენებით ზემოქმედებდნენ. ეს იყო სახელმწიფოს დავალება და დაკვეთა და ამაში ძალიან დიდი თანხა იხარჯებოდა. როგორც ვიცი, ბოლოს იქამდეც კი მივიდნენ, რომ პირადი ნომრის შეყვანის შემთხვევაში, ადამიანზე შეეძლოთ გაეგოთ აბსოლუტურად ყველაფერი. ეს ინფორმაცია თავს იყრიდა ერთიან ბაზაში და ხელმისაწვდომი იყო ყველა მსურველისთვის, ვისაც, თანამდებობიდან გამომდინარე, ხელი მიუწვდებოდა ამ ტიპის ინფორმაციაზე.

**– არ შეიძლება, რომ ეს ფაილები, როდესაც სასამართლო პროცესები დასრულდება, გადასცენ ადრესატებს?**

– როგორც ჩემთვის ცნობილია, არა მხოლოდ პირადი ინფორმაციის შემცველი ფაილები იყო შექმნილი, არამედ ადამიანებისთვის კოდები ჰქონდათ მინიჭებული. მაგალითად, როდესაც ინდმეწარმე გადმოჰკვეთავდა საზღვარს, მისი პასპორტის ნომრის შეყვანისთანავე, საბაჟოზე პირდაპირ იწერებოდა, რომ ეს ინდმეწარმეა და საბაჟოს უნდა გაეჩხრიკა. ცალკე კოდები ჰქონდათ მინიჭებული ოქროს შემომტანებს, მათ, ვინც ერთხელ მაინც იყო შემჩნეული ნარკოტიკებზე და ასე მთელი საზოგადოება ვიყავით დახარისხებულები კოდებით და საზღვრის გადაკვეთისას პირადი ნომრის შეყვანის შემდეგ მთელი ინფორმაცია იხსნებოდა.

**ნინო ხაჩიძე**

და მხოლოდ თავია მისი. ანუ რეალურად, ყველას გონებაში ეს მაინც ჰომოსექსუალზე გადაღებული კადრებია და ამ ფონზე ჩატარდა გეიაღლუმი. გაკეთდა რამდენიმე განცხადება, რომ ბარბაროსობაა სექსუალური უმცირესობების დაჩაგვრა, არადა, მათ არავინ ჩაგრავს, თუ არ მიყვარს, ეს ჩაგვრას ნიშნავს?! მაინცდამაინც ამ დღეებში რატომ შეწუხდა ყველა ამ კატეგორიის ადამიანების ბედით?! თან, როდის იყო, რომ ამ ადამიანებს ვინმე შეუცვივდა სახლებში?! ჩემი, როგორც მართლმადიდებლის, უფლებები არ ილახება აღლუმის ჩატარებით?! მათ არავინ უკრძალავს არსებობას და თავიანთ სახლში, რაც უნდათ, იმის კეთებას, მაგრამ რატომ შემოდიან ჩემს სახლში?! აღლუმი ჩემს სახლში შემოსვლაცაა. იმიტომაც ვაკეთებ ხშირად პედალირებას „რესპუბლიკურ პარტიაზე“, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც მათ „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრები შეუერთდნენ. ეს პარტია ქადაგებს იდეოლოგიას, რომელიც არ ცნობს ეროვნულ, სექსუალურ და რელიგიურ საზღვრებს. ეს ხალხი შემთხვევით არ მოსულა ხელისუფლებაში. მთელ მსოფლიოში ამ მიმართულებით ტენდენცია აშკარად გაძლიერებულია, უბრალოდ, ისტორიულად, ყოველთვის უფრო ძლიერი პრესი იყო მართლმადიდებლური ქვეყნების მიმართ. ფაქტია, რომ დაკვეთა ქვეყნის გარედან მოდის, მაგრამ ეს ყველაფერი კეთდება იმ ადამიანების ხელით, ვისთვისაც ეს მართლაც სულერთია. ასე დაიწყო ყველა ქვეყანაში ამ თემის განვითარება და უკვე რამდენიმე ქვეყანაში დაშვებულია ერთსქესიანი ქორწინება.

**– პარიზში ამას მასობრივი გამოსვლები მოჰყვა, ოღონდ ფრანგებს ეს ანტიდემოკრატიულ გამოვლინებად არ ჩაუთვალეს.**

– საფრანგეთში რომელიღაც კაფეს დააწერეს, რომ მოწევა აკრძალულია და მეორე დილით არც ერთი შუშა არ ჰქონდა იმ კაფეს. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ამის ჩამდენთა უმეტესობა არ ეწეოდა. აბსოლუტურად ჯანმრთელი რეაქციაა, თუ სიგარეტი მავნეა, გამოაცხადე მისი მოწევა დანაშაულად, ან ნუ მიკრძალავ მოწევას, როდესაც სიგარეტი იყიდება. მეორე მაგალითი, როდესაც საფრანგეთში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ჯერ უნდა გაყიდულიყო ევროკავშირის თევზი და შემდეგ – ფრანგული ნაწარმი, მებადურებმა გაუკეთეს ორგანიზება და დაწვეს პარლამენტის ძველი შენობა. კანონიც მაშინვე შეიცვალა. აქ კი მე მეუბნებიან, რომ კაცისმკვლელი და სისხლისმსმელი ვარ, თუ არ მომეწონება, როდესაც ჩემს ქუჩაზე ორგანიზებულად ჩაივლის ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელთა აღლუმი.

**– პირადად ჩემთვის ბუნდოვანია აღლუმის ჩატარების მიზანი, ამ ლოგიკით, აღლუმი უნდა მოაწყონ იმ ქალებმაც, ვისაც გათხოვება უნდა და ვერ თხოვდება?**

– ვისაც არ გვყავს ქმარი უნდა გავიყოთ: ვისაც არ ჰყავს, მაგრამ უნდა და ვისაც არ ჰყავს, მაგრამ არც უნდა.

**– და ვისაც ჰყავს, მაგრამ გამოცვლა უნდა.**

– მანდ, მგონია, ყველაზე მეტნი მოგროვდებიან, თუ ანონიმურობას დავიცავთ.

**– თქვით, რომ „ნაციონალები“ თავიანთ რეიტინგს ვერ აიმაღლებენო, მაგრამ ამ განცხადებების შედეგად გამოწვეული საზოგადოებრივი აგრესიის არ ეშინიათ?**

– სრულ უმოქმედობას ის სჯობდა, რაც ქუჩაში მოხდა, იმიტომ რომ ეს უკვე აღარ შედის „ნაციონალების“ ინტერესში. მათ უნდა ეპარპაშათ და ამით უბრალოდ უნდა გალიაზიანებულიყო მოსახლეობა, ოღონდ არა მათი მისამართით, არამედ, ხელისუფლების მიმართ, რატომ არ სჯით.

**– ეს ხომ მაინც უსაფუძვლო გათვლა იყო „ნაციონალების“ მხრიდან?**

– რა გგონიათ, ის ხალხი პირველად შევიდა რესტორანში?! უბრალოდ რაღაც-რაღაცეები ზღვარს გასცდა და საპასუხოდ მიიღეს ეს, რაც არ მოხდებოდა, კანონს რომ ეკანონა. მაგრამ კარგია ამათ ჭკუის სასწავლებლად, იმიტომ რომ ძალიან მშიშრები არიან და არ მგონია, ახლა ვინმემ ამის შემდეგ დარდიმანდულად შეაბიჯოს რესტორანში.

**– კითხვათა კითხვა: რატომ მოიკოჭლებს ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის გზაზე?**

– კოჭლობაზე უნდა ჰკითხოთ კოჭლს. მე არ მიკვირს, რაც მოხდა, იმიტომ რომ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური მხარე, მაინცდამაინც, არ აინტერესებს. ის მიიჩნევს, რომ თავისი გასაკეთებელი გააკეთა, დაამარცხა ბოროტება, რითაც მისი, თუნდაც, როგორც მილიარდერის ამბიციები დაკმაყოფილდა. პოლიტიკურად მან გააკეთა აბსოლუტურად გასაგები არჩევანი – „რესპუბლიკური პარტია“.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**მამუკა გიორგაძე ქართული პოლიტიკისთვის „რეკორდსმენია" – მის გარეშე, ათეული წლებია, ამ ქვეყნაში არც ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესს არ ჩაუვლია. შესაბამისად, პარტია, რომელსაც ის ლიდერობს, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს დღემდე აქტიურად შემორჩა. ეროვნული მოძრაობა, სიონის ტაძრის ეზოში დაწყებული მეგობრობა და დაუწერელი წესები, რომელსაც ის პოლიტიკოსის რანგშიც არ არღვევს – ჩვენი რესპონდენტი დღეს კადრს მიღმა დარჩენილ იმ ამბებს იხსენებს, რომელიც მთელი ცხოვრების საგზლად ერგო.**

# რა შანსი მისცა „სახალხო პარტიის" ლიდერს, მამუკა გიორგაძეს ლენინმა და როგორ მოაწყო მან სახლში კონსპირაციის ბუდე

**– ბატონო მამუკა, რამდენიმე ათეული წელია, ქართული პოლიტიკა წარმოუდგენელია თქვენს გარეშე, თუმცა ბოლო დროს თითქოს ტაიმ-აუტი აიღეთ?**

– არა, ეს არ არის პაუზა და ტაიმაუტი. ცხოვრება არ არის სხვადასხვა დღის მექანიკური ჯამი. ცხოვრება უწყვეტი პროცესია, სადაც ყველა დღე, რომელთაგან ზოგი მოგვწონს, ზოგი კი არა – ჩვენია. ჩვენ არასდროს მიგვიტოვებია ჩვენი საზოგადოება. როდესაც პროცესები ცოდნაზე, ენერგიასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული, ასეთ დროს ყოველთვის აქტიურად ვჩანვართ. მაგრამ, არის ისეთი პერიოდებიც, როდესაც მონოპოლიზებულია პოლიტიკური გარემო, რომელიც არ ტოვებს ჯანსაღი პოლიტიკური ქმედებების გამოჩენის შესაძლებლობას. ვინ-ვინ და, მე ყველაზე კარგად ვიცი ქართული პოლიტიკა. სამწუხაროდ, ჩვენთან პოლიტიკა ძალაუფლებისთვის ბრძოლის საშუალებად იქცა. ქართულ სინამდვილეში იოანე ბატონიშვილი გვაძლევს პოლიტიკის ყველაზე ზუსტ განსაზღვრებას – პოლიტიკა ეს არის ცხოვრების წესის განსაზღვრისათვის ბრძოლა. რასაც, რა თქმა უნდა, სჭირდება ხელისუფლებაში ყოფნა და ძალაუფლება, მაგრამ როდესაც თვითმიზანი ხდება ძალაუფლების პყრობა, იქ იწყება ქვეყნის პრობლემები. ჩვენ ვერ მოვახერხეთ პოლიტიკა ცხოვრების წესის განსაზღვრის ბრძოლად გვექცია. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არ ყოფილა მოვლენა, ჩვენს პარტიას რეაგირება არ მოეხდინა, ჩვენ არ გავქცეულვართ არც ერთ კითხვას, არ დაგვიძვრენია თავი არც ერთი უხერხული მდგომარეობიდან. ჩვენ ყოველთვის გულწრფელად გამოვხატავდით ჩვენს თავისუფალ პოზიციას და პასუხისმგებლები ვიყავით და ვართ კიდეც ამ პოზიციაზე, თორემ საარჩევნო დაპირების თქმას რა უნდა? ერთი იტყვის 200 ლარს დავარიგებ პენსიასო, მე გამოვალ და ვიტყვი, 225 ლარს დავარიგებ-მეთქი. მაგრამ მერე რას შვრები, ასეთ ტყუილში იცხოვრებ? ყველაფერი ხომ ღვთიური კანონზომიერებით ხდება და ყველა თავისას აქვე იღებს. საკუთარ თავს შენვე ასამართლებ შენი ქმედებებით. გადავავლოთ თვალი ქართულ პოლიტიკას – ვიღაცეებს იოლად უნდოდათ ფონს გასვლა, ვიღაცეეებს პირადი და ქვენა გრძნობები ჰქონდათ, ყველამ მიიღო თავისი მისაღები. ვინც კაცი იყო, ღირსეულად, ბრძოლით გავიდა ცხოვრებიდან და თავისი გაყვანითაც საქმეს აკეთებს; ვინც კაცი არ იყო, ისე წავიდა ერთი შემბრალებელი არ ჰყოლია; ვიღაც კი ისე გაიდევნა პოლიტიკური ასპარეზიდან, დღეს ქილიკის საგნად არის ქცეული. ჩვენ სხვა ჩამოსხმის პარტია ვართ, არასდროს არავისთან ვყოფილვართ შეკედლებული, არავის არც ერთ არჩევნებზე არ ავკიდებივართ. რა უნდა კოალიციაში შესვლას? ცოტაა თუ რა? ვინ არ მიგიღებს, მარტო ის განაცხადე, რომ ლოიალური ხარ და თვალს დახუჭავ ნებისმიერ საკითხზე. დახუჭე ბატონო არჩევნებამდე, მერე გაახილე, თქვი: ახლა გავიგე ეს რომ ხდებოდაო. ამის გაკეთებას რა უნდა, მაგრამ – არა! ამას ვერ ვაკადრებ ვერც ხალხს და ვერც ჩვენს წარსულს. რაც გაგვიკეთებია ჩვენი ოფლით და სისხლით გაგვიკეთებია. ჩვენ ადამიანების იმ ძალიან მცირერიცხოვან წრეს მივეკუთვნებით, რომელსაც საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა არა მარტო სწამდა, არამედ იბრძოდა ამისთვის იმ დროს, როდესაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ეს სასაცილოდ არ ყოფნიდა.

**– ვინ „ჩაგითრიათ" მაშინ, სამოცდაათიან წლებში მიმდინარე პროცესებში და როგორ დაუკავშირეთ ცხოვრება ეროვნულ მოძრაობას?**

– ჩვენ ვეძებდით ჩვენს ადგილს სამყაროში, ვეძებდით პასუხებს შეკითხვებზე, რა იყო ჭეშმარიტება, მამული და სამშობლო. ამ ძიებამ მიგვიყვანა ეკლესიაში. პატარები, სკოლის მოსწავლეები ვიყავით. მაშინ სიონი იყო ერთადერთი მოქმედი ლეგალური ინსტიტუტი, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობას განასახიერებდა. ეს ხომ არ იყო მხოლოდ სამოცდაათიანი წლების ქართული ეკლესია. როდესაც მისი უწმინდესობა ტაძარში მობრძანდებოდა, მარტო პატრიარქი კი არ მოდიოდა ტაძარში, უკან საქართველოს ისტორია და ჩვენი დიდი წინაპრების დასი მოჰყვებოდა. როდესაც ჩვენ პატრიარქს მივაწოდებდით თავსაბურავს, მიტრას, ვეხებოდით შესამოსელს, რომელიც იმ პატრიარქებს ჰქონდათ ღირსეულად ნატარები, რომლებიც ყოველთვის დარჩებიან საქართველოს ისტორიაში, ეს ჩვენში, ახალგაზრდა ყმაწვილებში საოცარი განცდას და რწმენას ბადებდა. მზად ვიყავით, ტკივილიც კი მიგველო. თუმცა, ხშირად ვხუმრობდით კიდეც ამ თემაზე: ლენინს რევოლუცია რომ არ მოეხდინა, ჩვენ პატრიარქის გვერდით ვინ დაგვააყენებდაო *(იცინის).*



**სამჯერ გამრიცხეს ინსტიტუტიდან, დიპლომი რომ ავიღე, დიდი ხნის გაცდენილი ვიყავი სტუდენტის ასაკს**

**– თქვენ იყავით მისი უწმინდესობის ერთ-ერთი პირველი თაობის სტიქაროსანი, როგორი იყო თქვენი ურთიერთობები პატრიარქთან?**

**როდესაც მამაჩემს უთხრეს, შენი შვილი ქუჩაში კაბით ვნახეთო, დედაჩემის გარდერობში ეძებდა ჩემს „კაბას"**

– უწმინდესს არასდროს სჩვეოდა ლექციების წაკითხვა, თუ როგორ უნდა მოიქცე. ისეთი დროს, ისეთ ფრაზებს გვეტყოდა ხოლმე ჩვენთვის მნიშვნელოვან თემებზე, უცებ ვიღებდით პასუხს. იმავე კვირის ქადაგებაში მოყვებოდა ამბავს, რომელიც ზუსტად იმ დროს ყველაზე მეტად „გვჭირდებოდა". როგორც კი ეს საჭირო გახდა ჩვენი ეკლესიისთვის, ჩავიცვით სტიქარები. მაშინ საქართველოს ისტორიის ბედუკუღმართობის გამო წირვაში რუსი სტიქაროსნები იღებდნენ მონაწილეობას. ალექსანდრე ნეველის ტაძრის სტიქაროსნები მოდიოდნენ მისი უწმინდესობის წირვებზე სიონის ტაძარში. იყო შემთხვევები, როდესაც ისინი იგვიანებდნენ, პატრიარქი კი ელოდა, როდის მოვიდოდა სტიქაროსანი და მედავითნე, რომ წირვა ჩატარებულიყო. ამ დროს გამოჩნდა ახალგაზრდების პირველი თაობა, რომელმაც თავის თავზე აიღო ეს საქმე. ეს ის ადამიანები არიან, ვინც იმ პერიოდში ქმნიდნენ საქართველოს ისტორიის ცხოვრების წესს. დღეს მათი უმეტესობა მაღალი სამღვდელოების წარმომადგენლები არიან – მეუფე დიმიტრი, მეუფე იობი, მამა რევაზ სიხარულიძე, მამა ალექსი ადამაშვილი. ჩვენ შორის იყვნენ გიორგი ჭანტურია, გიორგი შიოლაშვილი, რეზო ანთიძე; მამა თეოდორე და სოსო წერეთელი, რომლებიც შემდეგ დახვრიტეს. ჩვენ ვახლობლობდით, სოსო ძალიან საინტერესო ახალგაზრდა კაცი იყო, რომელიც არ დააკმაყოფილა ეკლესიამ და კიდევ სხვაგან ეძებდა თავის სამყაროს. ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა მამა თეოდორესთან. ეს დამოკიდებულება ეკლესიაში ჩამოყალიბდა. მამა თეოდორე ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, საოცარი ფანტაზიის უნარით. მახსოვს, ჯერ კიდევ იქამდე, სანამ სასულიერი პირი გახდებოდა, ცდილობდა, გერმანელი ესესელის ფორმა გამოეტანა კინოსტუდიიდან. ამ ფორმით სამამულო ომის ვეტერანების შეკრებაზე გაუვლია. მერე ხუმრობდა: პატივი ვეცი იმ ხალხს, იქ მეორედ ისე მისვლა აღარ შეიძლებოდაო. ცხოვრების ის წესი, რაც ჩვენ გვქონდა, სხვა სტანდარტებს გვიყენებდა. როცა იცი, რომ ხვალ შეიძლება დაგიჭირონ, ბოლომდე გასცემ, ბოლომდე იხარჯები სიყვარულში.

**– ოჯახი როგორ ხვდებოდა თქვენს დისიდენტურ ცხოვრებას?**

– ოჯახისთვის, რა თქმა უნდა, მძიმე იყო. როდესაც მამაჩემს უთხრეს, შენი შვილი ქუჩაში კაბით ვნახეთო, კაცი კინაღამ გაგიჟდა: რას ჰქვია, ჩემი შვილი კაბით იყოო და დედაჩემის გარდერობში ეძებდა ჩემს „კაბას". როცა გაიგო, რომ კაბა კი არა სტიქარი მეცვა, მითხრა: ჯანდაბას, იარე ეკლესიაში, ეგ იმას სჯობია, რაც მე ვიფიქრეო *(იცინის).* მერე და მერე ისე შეეჩვია ჩემგან ასეთ პრობლემებს, სახლში ჩხრეკას რომ ატარებდნენ, სტუმრები თუ გვყავდა, მამა სუფრასაც არ ტოვებდა, იმდენად ჩვეულებრივი რამ იყო ეს მისთვის. სახლში კონსპირაციის ბუდე მქონდა მოწყობილი, „ბიაზის" ქვეშ ვმალავდი აკრძალულ ლიტერატურას. ისეთი მეგობრებისა და ახლობლების ბინებს ვიყენებდით, რომლებზეც ეჭვს არავინ აიღებდა. იყო შემთხვევები, როცა პროკლამაციის გადატანა მინდოდა და ჩემს პატარა ძმას დავიხმარებდი ხოლმე. ერთხელ „ბულკის" საყიდლად გაჩერდა და იქ დარჩა ჩვენი პროკლამაციები. ის პატარა იყო და პასუხს ვერავინ მოსთხოვდა. ახალგაზრდები ვიყავით, გაბედულები, რისკიანები. ყველა ასაკს თავისი ცდუნებები აქვს. სწორედ იმიტომაც არ ვარ სასულიერო პირი, რომ ამ ცდუნებემა გადაწონა ეს ყველაფერი. ვინც ამ ცდუნებებს გაუძლო, მათ გააგრძელეს კიდეც სასულიერო ცხოვრება. ჩვენ სხვა მხარეს წავედით. ყოველგვარი განსაკუთრებული შერჩევის გარეშე ავირჩიე პროფესია – ქართული მენტალიტეტით, ოჯახი დაჩაგრული რომ არ ყოფი-

# რა უნიკალური თვისებებით გამოირჩევა ლელა გეჯაძის ნაყენი, რომელსაც მამა აკაკის კურთხევა აქვს და სასულიერო პირები „ღვთიური მადლით გაჯერებულ ბუნების საჩუქარს – უკვდავების ნაყენს“ უწოდებენ

*ლელა გეჯაძის ნაყენმა – „ქავთასმა“ არაერთ პაციენტს გადაუჭრა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამიტომაც უწოდებენ მის ნაყენს „სასწაულმოქმედს“: ტაოკლარჯეთის ეპარქიის წმიდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მამა ლუკა (კონჩაკო), სამგორის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ცოტნე. „ღვთიური მადლით გაჯერებული ბუნების საჩუქარი – უკვდავების ნაყენი” – ასე უწოდა ლელა გეჯაძის ნაყენს დმანისის ეპარქიის წმიდა ბასილ დიდის ტაძარში მოღვაწე დედა გაიანემ (ფილიშვილი). ქალბატონი ლელა მიიჩნევს, რომ მის ნაყენს უფრო მეტი ძალა მეტეხის ეკლესიის წინამძღვრის, მამა აკაკის (მელიქიძე) კურთხევამ მისცა, რომლის საფუძველი გახდა ეკლესიის მსახურთა და მრევლის განკურნების შემთხვევები. „ქავთასის“ მოქმედების სპექტრი მეტად ფართოა: ხელს უწყობს ეროზიების, წყლულების, ღია ჭრილობების შეხორცებას; თრგუნავს ორგანიზმში ინფექციურ დაავადებებს, ზრდის არტერიების ელასტიკურობას, კარგია ვარიკოზული ვენების, ტროფიკული წყლულების სამკურნალოდ; აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას; ხსნის ხელ-ფეხის სიცივეს; ამცირებს სისხლის პლაზმაში შაქრის დონეს, ქოლესტერინს; ზრდის ჰემოგლობინს; იცავს ორგანიზმს ლეიკემიის განვითარების, რადიაციული დასნებოვნებისა და სიმსივნის წარმოქმნისგან; აძლიერებს ადამიანის ფიზიკურ აქტივობას, შრომისუნარიანობას; აუმჯობესებს საკვების შეთვისებას; აღადგენს ბუნებრივ მიკრობულ ფლორას ნაწლავებში; კარგია დისბაქტერიოზის, თოტმეტგოჯა ნაწლავზე წყლულის, ფილტვების მწვავე და ქრონიკული დაავადების, ფრონტიტის სამკურნალოდ; აწესრიგებს არტერიულ წნევას, ძილს, ნერვულ სისტემას; აქრობს ტანზე სხვადასხვა სახის გამონაყარს, პირში სუნს; აყუჩებს ტკივილებს; გამოდევნის ორგანიზმიდან მარილებს; გვეხმარება დეპრესიის დაძლევაში; ადამიანს უნარჩუნებს და აღადგენს ნორმალურ სექსუალურ ფუნქციას; ეფექტურია წინამდებარე ჯირკვლის ადენომების, ფიბრომიომების, კისტების, მასტოპათიების, მენსტრუალური ციკლის დარღვევის დროს; აადვილებს ქალთა კლიმაქსის სინდრომს; ხსნის ართროზის, ართრიტის, ოსტეოპოროზის ტკივილებს, აწესრიგებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას; ეფექტურია დიფუზური, გიგანტური, კვანძოვანი ჩიყვის მკურნალობის დროს; ხელს უწყობს ორგანიზმში იოდის ბალანსს; აღადგენს ღვიძლის ქსოვილს; მუშაობს ცხიმოვან ჰეპატოზზე, ქრონიკულ დაავადებებზე (C ჰეპატიტი, ციროზი); წმენდს ნაღვლის ბუშტსა და თირკმელებს სხვადასხვა ტიპის ნალექისგან, კენჭებისგან; კარგია ქოლეცისტიტის, პიელონეფრიტის სამკურნალოდ.*



*ქალბატონი ლელას პაციენტების მდგომარეობას თვალს ადევნებს და კვლევებს უტარებს ექიმი-რადიოლოგი* **მარინა სახელაშვილი:** აქტიურად ვადევნებ თვალს ლელა გეჯაძის ნაყენს, რომელიც დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ექოსკოპიურად მისი არაერთი პაციენტი მინახავს – მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ. ბევრჯერ გახარებული, გაოცებული ფეხზე წამოვმდგარვარ და გადამიხედავს მკურნალობამდე ჩატარებული კვლევებისთვის. ასეთ დროს ყოველთვის ვხედავ აბსოლუტურად განსხვავებულ სურათს როგორც ექოსკოპიურ, ასევე, ლაბორატორიულ კვლევებში... ყოველი 5 კურსის შემდეგ პაციენტებს უტარდებათ სხვადასხვა კვლევა. შედეგები მართლაც რომ, სახარბიელოა: იცვლება სისხლის ანალიზები, ექოსკოპიური სურათები, პაციენტები თავს გრძნობენ უკეთესად. ცოტა ხნის წინ ლელა გეჯაძის ნაყენს იღებდა დედა გაიანე. მკურნალობამდე გულდასმით დავათვალიერე მისი ორგანიზმი. ჰქონდა ქრონიკული, გათიშული ნაღვლის ბუშტი საგოზავის ტიპის მასებით და სხვა პრობლემები. „ქავთასით“ მკურნალობის შემდეგ ნაღვლის ბუშტი გაიწმინდა და დედა გაიანე თავს კარგად გრძნობს.

**დედა გაიანე**: დაახლოებით 20-25 წლის განმავლობაში ვიტარებდი გამოკვლევებს როგორც საქართველოში, ასევე რუსეთის სხვადასხვა კლინიკაში. საბოლოოდ, დიაგნოზს ყველგან კითხვის ნიშნით მისვამდნენ. კონსულტაციისთვის არაერთხელ მიმიმართავს ნევროლოგისთვის, კარდიოლოგისთვის, თერაპევტისთვის, გინეკოლოგისთვის. მინიშნავდნენ ძვირად ღირებულ პრეპარატებს, მაგრამ შედეგი არ მქონდა და ჩემს ორგანიზმს არანაირი შვება არ უგრძნია. შემდეგ, ჩემი ინიციატივით, დავუკავშირდი ლელა გეჯაძეს, დავლიე მისი დამზადებული ნაყენი და, მიღებული საოცარი შედეგიდან გამომდინარე, მას „უკვდავების წამალი“ დავარქვი.

***P.S ასე რომ, ვისაც გსურთ, უკეთესად იგრძნოთ თავი, გამოჯანმრთელდეთ, დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 595-26-32-17. მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით.***

**ნათია უტიაშვილი**

---

ლიყო და უსწავლელი შვილი არ ჰყოლოდა. მე კომაროვის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში ვსწავლობდი, ჩემი აქტიურობის გამო სკოლაში პრობლემები შემექმნა და საბოლოოდ, ვეკუას სახელობის მათემატიკური სკოლა დავამთავრე. კარგი მოსწავლე ვიყავი და ჩემთვის ჩაბარება პრობლემა არ ყოფილა – „გეპეიში“ ჩავაბარე ჰიდროტექნიკის ფაკულტეტზე. სტუდენტური ცხოვრება არ მქონია, დისიდენტური საქმიანობის გამო, ინსტიტუტიდან სამჯერ გამრიცხეს და ეს პერიოდი გამოვტოვე. დიპლომი ავიღე, როცა სტუდენტობის ასაკს კარგა ხნის გაცილებული ვიყავი. 1983 წელს ორი წლით გამამწესეს ბაქოში, ზოგი ციხეში მოხვდა, ზოგი ასეთ „გადასახლებაში”. ოფიციალურად ვითვლებოდი როგორც ჯარისკაცი, თუმცა ვიყავი პოლიტიკური ტუსაღი, რომელიც სამხედრო ნაწილში ჩაირიცხა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის პირადი ბრძანებით. როცა ბაქოში ჩავედი, ჩემზე იფიქრეს, ეს წვერით დადის, ეტყობა, დიდი პატრონი ჰყავსო. აბა, რა იქნებოდა, მინისტრის მოადგილის პირადი ბრძანებით ვიყავი იქ გამწესებული.



სახლში კონსპირაციის ბუდე მქონდა მოწყობილი, „ბიაზის” ქვეშ ვმალავდი აკრძალულ ლიტერატურას

– **როგორ მიდიოდა თქვენი პირადი ცხოვრება კადრს მიღმა?**

– პირადი ცხოვრებისთვის გვიან მოვიცალე, გვიან დავოჯახდი. იმ დროს ისეთ დრამატულ ამბებში ვიყავი გახვეული, სად მეცალა პაემნებისა და გრძნობების გამოვლენისთვის ***(იცინის).*** ამას გარდა, როდესაც იცი, რომ ათასნაირ პროვოკაციაზე შეიძლება წამოგაგონ, არ გინდა, პრობლემები შეუქმნა საყვარელ ადამიანს. როცა ნონა ცოლად მოვიყვანე, უკვე სხვა რეალობა იყო, მაგრამ ჩვენს სახლს უშიშროების მანქანები მაინც არ შორდებოდნენ. ნონასთვის ეს უცხო იყო, მე კი იმდენი რამ მქონდა გავლილი, ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. მერე ნონაც შეეჩვია. უდროობის გამო, რომელიც სულ იყო ჩემი პრობლემა, ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული მეოჯახე ვიყავი და ვარ, მაგრამ არის ისეთი იშვიათი შემთხვევებიც, როცა მოგინდება კაცს, ოჯახურ ფუსფუსში ჩაერთო. მაგალითად, ოჯახში ღვინის თემას მე ვაგვარებ, ეს ყოველთვის ასე იყო. სახლშიც ყველაფერი მაქვს – მინი არყის სახდელი, კასრები. ღვინის კულტურის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ოჯახში რომ შევალ და ნაკლულ ბოცას ვხედავ, სურვილი მიჩნდება, იმ ოჯახიდან ის ბოცა წამოვიღო. ორ რამეზე მაქვს გართულება – ბავშვებსა და ღვინის ჭურჭელზე. ასეთი ტრადიციული კაცი ვარ, თუმცა ზოგიერთი მამაკაცური გატაცებისგან შორს ვარ. მაგალითად, არასდროს ვყოფილვარ გატაცებული ნადირობით, სულ ვამბობდი, რომ ყველაზე კარგი სანადირო ადგილი იყო დეზერტირის ბაზარი, სადაც არც თოფი გჭირდება და არც ტყე-ღრეში ხეტიალი. თუმცა, ახალგაზრდობაში მეც ბევრი მივლია. მთელი საქართველო ფეხით მაქვს შემოვლილი. როცა საშუალება მქონდა, შვილებიც დამყავდა თან – ბავშვმა პატარაობიდან უნდა შეიგრძნოს თავისი სამშობლო, საკუთარი ეთნოსი. როცა ჩემი ბიჭი პატარა იყო, ძალიან უყვარდა „ბაშიაჩუკის” სიმღერა. ერთხელ წამომცდა შუამთის ამბავი. შემჭამეს ბავშვებმა, წაგვიყვანე და გვაჩვენე „ბაში-აჩუკის” დები სად იმალებოდნენო. ბოლოს წავედით შუამთაში, მეუფე დავითმა მითხრა: ბავშვების ნახევარი ამ მიზნით მოდიან აქო. ამ მხრივ, ცოტა მეოთხე, ნაბოლარა შვილი, ქეთო „დამეჩაგრა”. ბოლო პერიოდში ვერ ვახერხებ ბავშვებთან ერთად ქალაქიდან ხშირად გასვლას. მაგრამ, სამაგიეროდ, ახლოს გვაქვს დიდუბის პანთეონი, სადაც ნებისმიერ დროს შეგიძლია მიხვიდე და ერთი ყვავილით შეამკო ღირსეული წინაპრის საფლავი. ქეთო 4 წლისაა, მაგრამ უკვე ხშირად დამყავს პანთეონში, ის თავისუფლებაში დაბადებული თაობაა, აუცილებლად შეიმეცნებს და შეიგრძნობს საქართველოს. ქეთო პატრიარქის ნათლულია და მასზე დიდი მადლი უკვე სუფევს, მას ჩემს ანტიდეპრესანტს ვეძახი, ძალიან შეცვალა ჩემი ცხოვრება. აგვისტოს ომის დროს ახალი დაბადებული იყო. რომ არა ქეთო, იმის გამო, რაც ქვეყანაში ხდებოდა, საკუთარ გულს შევასკდებოდი.

**თამუნა სამადაშვილი**

# რა გავლენა მოახდინა სამხრეთ აფრიკის პირველმა შავკანიანმა პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ ცნობილ ჰომოსექსუალებზე და როგორ გახდა ის კომიქსების გმირი

*სამხრეთ აფრიკის პირველ შავკანიან პრეზიდენტსა და აპარტეიდის რეჟიმთან ყველაზე ცნობილი მებრძოლს – ლეგენდარულ ნელსონ მანდელას 2013 წლის ივლისში 95 წელი შეუსრულდება და აფრიკის ამ სახელმწიფოში დიდი ზეიმისთვის მზადება მიმდინარეობს. ნელსონ მანდელა – ადამიანი, რომელმაც 27 წელი გაატარა ციხეში, გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში და საკულტო ფიგურა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში.*



* ნელსონ მანდელა დინასტია ტემბუს წარმომადგენელია. ის 1918 წლის 18 ივლისს დაიბადა სოფელ მვეზოში, ქალაქ უმტატისთან ახლოს. მისი დიდი ბაბუა მამის მხრიდან ტემბუს დინასტიის უფროსი იყო. მანდელას მამას ჰყავდა ოთხი ცოლი და 12 შვილი. ნელსონი მესამე ცოლისგან შეეძინა და თავდაპირველად, მამამ მას ჰოლილალი დაარქვა, თუმცა, მოგვიანებით, სკოლაში წასულ მანდელას ინგლისური ენის მასწავლებელმა ნელსონი უწოდა. ბავშვობაში ნელსონი გატაცებული იყო სირბილით და კრივით. შემდეგ ფორტ-ჰერის უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ნელსონის თქმით, მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მაჰათმა განდიმ, რომელსაც თავის მასწავლებლად მიიჩნევს.

* ნელსონ მანდელა ყმაწვილობაში ღორებს იპარავდა. ამ ფაქტის შესახებ მან „ოსკარის", „საუკეთესო უცხოური ფილმის" ნომინაციაში გამარჯვებულ სამხრეთაფრიკულ ფილმ „ცოცის" შემქმნელებს უამბო. სამხრეთ აფრიკაში გადაღებული ფილმის მთავარი გმირი, პატარა განგსტერია და მანდელამ საკუთარი თავი დაინახა მასში. ისიც მასავით ძირითადად ქუჩაში ატარებდა დროს და წვრილმან ხულიგნობებსა და ძარცვას სჩადიოდა. მანდელამ გაიხსენა, რომ ის და მისი მეგობრები მეზობლებს ღორებს ჰპარავდნენ, კლავდნენ და შემდეგ ხორცს ცეცხლზე წვავდნენ. „ღორები თავისი ფეხით მოდიოდნენ ჩვენამდე, რადგან მოხარშული ლუდისგან დარჩენილ ნალექს ვასხამდით მიწაზე, რომელიც ღორებს ძალიან უყვართ და ისინი სუნზე პირდაპირ ჩვენთან მოდიოდნენ," – იხსენებდა მანდელა. მისი თქმით, ყველა მსოფლიო ლიდერს ბავშვობაში ჩადენილი აქვს მცირე მაგრამ, მაინც დანაშაული. მოგვიანებით, ყველამ კარგი საქმის კეთებით უნდა გამოისყიდოს ეს დანაშაულებანი.

* ნელსონ მანდელამ საკმაოდ დიდი უბედურება გადაიტანა შვილებთან დაკავშირებით. მისი უფროსი ვაჟი, მაკგახო მანდელა 2005 წელს, 54 წლის ასაკში „შიდსის" ვირუსით გარდაიცვალა. უმცროსი ვაჟი – ტემბელე მანდელა ავიაკატასტროფაში დაიღუპა, მაგრამ მის დაკრძალვას ნელსონი არ დასწრებია, რადგან იმ პერიოდში ციხეში იჯდა და მთავრობამ უფლება არ მისცა, დაკრძალვას დასწრებოდა. მანდელას სამი ქალიშვილი ჰყავს დარჩენილი პირველი ორი ქორწინებიდან. მანდელას ამჟამინდელი, რიგით მესამე მეუღლე, გრასა მაშელი იმით არის გამორჩეული, რომ ის ერთადერთი ქალია მსოფლიოში, რომელიც ორი ქვეყნის პირველი ლედი იყო. გრასას პირველი ქმარი, მოზამბიკის პრეზიდენტი, სამორ მოიზეს მაშელი გახლდათ.

* სამხრეთ აფრიკის მთავრობის წარმომადგენლები შეშფოთებულები არიან იმ ფაქტით, რომ ველური კურდღლები ანადგურებენ კუნძულ რობენს, სადაც ნელსონ მანდელამ თავის 28-წლიანი პატიმრობის დიდი ნაწილი გაატარა. კურდღლები ანადგურებენ კუნძულის ფლორას და ფაუნას. თხრიან გვირაბებს და აზიანებენ იმ ციხის ფუნდამენტს, სადაც მანდელა იჯდა. 1997 წლიდან კუნძულ რობენზე განთავსებული ციხე მუზეუმად გადაკეთდა და „იუნესკოს" მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანეს. ყოველწლიურად კუნძულს ათასობით ტურისტი სტუმრობს. სამხრეთ აფრიკის კულტურის მინისტრი, ლულუ კსინგვანუ კურდღლების საკითხის გატანას ქვეყნის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გეგმავს.

* მანდელას არანორმალურმა პოპულარობამ მსოფლიო მასშტაბით, მის ადვოკატებს საფიქრალი გაუჩინა. უამრავი იურიდიული და ფიზიკური პირი იყენებს მანდელას სახელს ფირმის დასახელებაში ან სარეკლამო აქციაში. ამის გამო, მანდელას იურისტებმა გადაწყვიტეს, „მანდელა" სავაჭრო ნიშნად აქციონ. გარდა ამისა, ისინი აპირებენ დააპატენტონ მანდელას სატომო სახელი – „როლიხლალა" (მანდელა სამხრეთაფრიკული ტომის, კოსას წარმომადგენელია) და პატიმრობის პერიოდში მისი პირადი ნომერი – 46664. მარტო სამხრეთ აფრიკაში საქმიანობს დახლოებით 200 კომერციული ორგანიზაცია, რომელიც ფირმის სახელწოდებაში სიტყვას „მანდელა" იყენებს. ნელსონ მანდელას იურისტები გეგმავენ, რომ საგრძნობლად გაიზრდება ფინანსური შემოწირულობების რაოდენობა ყოფილი პრეზიდენტის საქველმოქმედო ფონდში, მას შემდეგ, რაც „მანდელა" საფირმო სავაჭრო ნიშნად გადაიქცევა.

* 2009 წელს ლონდონში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მათ მიეძღვნათ, ვინც თანამედროვე ცნობილ ჰომოსექსუალებსა და ლესბოსელებზე იქონია გავლენა. გამოფენის ავტორები იყვნენ: მომღერალი – ელტონ ჯონი, მსახიობი – იან მაკკელანი, ჩოგბურთელი – ბილი ჯინ კინგი, მედიამაგნატი და ლორდი – ვაჰიდ ალი, მწერალი – ალან ჰოლინგჰერსტი, დიდი ბრიტანეთის ყოფილი კულტურის მინისტრი, ლორდი – კრის სმიტი. სექსუალური უმცირესობის ცნობილმა წარმომადგენლებმა იმ ადამიანების ფოტოები გამოფინეს, რომლებმაც მათი აზრით დიდი წვლილი შეიტანეს მათი პიროვნებად ჩამოყალიბებაში და გავლენა იქონიეს მათი ცხოვრების არსზე. ყველასთვის მოულოდნელად, მარტინა ნავრატილოვას, პეტრე ჩაიკოვსკის, ამერიკელი გეი-პოლიტიკოსის, ჰარვი მილკის მხარდამხარ, „გეი-კერპებად" წარმოდგენილნი იყვნენ – ნელსონ მანდელა, ლედი დიანა და ვიოლონჩელისტი მსტისლავ როსტროპოვიჩი. თუ რა სახის გავლენა იქონია ჰეტეროსექსუალმა ნელსონ მანდელამ ელტონ ჯონისა და იან მაკკელანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე გამოფენის სტუმრებისთვის უცნობი დარჩა.

* ნელსონ მანდელა კომიქსების გმირი გახდა. სამხრეთაფრიკულმა გამომცემლობამ დაიწყო ნელსონ მანდელას ცხოვრებაზე აგებული კომიქსების გამოცემა, სადაც მანდელა ბოროტებასა და უსამართლობასთან მებრძოლ რაინდად არის გამოსახული. კომიქსების პირველი ხუთი ნაწილი მილიონნახევრიანი ტირაჟით დაიბეჭდა და სკოლებში უსასყიდლოდ დარიგდა. კომიქსების გამოცემით იდეის ავტორები აპირებენ, ბავშვებს ადრეული ასაკიდან გააცნონ ნელსონ მანდელას ფენომენის შესახებ. ცნობისთვის, სამხრეთ აფრიკაში, სადაც მოსახლეობის 14 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია, კომიქსები დიდი პოპულარობით სარგებლობს.

* ჰოლივუდელი ლამაზმანი და წარმოშობით სამხრეთაფრიკელი შარლიზ ტერონი, რამდენიმე წლის წინ, არცთუ სასიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა. ერთ-ერთ საქველმოქმედო საღამოზე ვარსკვლავმა აუქციონის სახით ნელსონ მანდელასთან შეხვედრის ორგანიზება გაყიდა და აღმოჩნდა, რომ ამ ფაქტის შესახებ არც თვითონ მანდელამ და არც მისმა წარმომადგენლებმა არაფერი იცოდნენ. „მანდელასთან შეხვედრის წინ, მსურველმა რთული ბიუროკრატული პროცედურები უნდა გაიაროს, გარდა ამისა, მანდელას წარმომადგენლები არ იყვნენ გაფრთხილებული, რომ ქალბატონი ტერონი მსგავსი აქციის ჩატარებას გეგმავდა," – განაცხადა „მანდელა ფაუნდეიშენის" ხელმძღვანელმა, აჰმეტ დენგორმა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის გაყიდვის ინიციატორები საღამოს ორგანიზატორები იყვნენ, შარლიზ ტერონი არ გაურბის თავის პასუხისმგებლობას და მზად არის დაუბრუნოს გადახდილი თანხა ინკოგნიტო მსურველს, რომელმაც რამდენიმე ასეული ათასი დოლარი დახარჯა მანდელასთან შეხვედრისთვის. საინტერესოა, რომ მსგავსი აუქციონი 2007 წელს ინტერნეტ-მაღაზია „იბეიზეც" იმართებოდა და მაშინ ლოტის – „სადილი მანდელასთან" დაწყებითი ფასი 17 ათასი დოლარი იყო.

* 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში და ამასთან დაკავშირებით, ქვეყანაში რამდენიმე ახალი, ულტრათანამედროვე სტადიონი აშენდა. ერთ-ერთ ასეთ სტადიონს, რომელიც ქალაქ-პორტელიზაბეტში აშენდა, ნელსონ მანდელას პატივსაცემად „ნელსონ მანდელა ბეი" ეწოდა. სამიარუსიანი სტადიონი 48 ათას მაყურებელზეა გათვლილი. გარდა მოედნისა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურისა, არქიტექტორებმა და მშენებლებმა სპეციალური ტერასა ააგეს, რომლის საშუალებით, გულშემატკივრები სტადიონიდან პირდაპირ ოკეანის სანაპიროზე გადიან.

* 2009 წლის დეკემბერში მსოფლიოს კინოეკრანებზე გამოვიდა კლინტ ისტვუდის ახალი ფილმი, რომელიც ნელსონ მანდელას ცხოვრების იმ ეპიზოდებს ეხება, როცა ის ციხიდან გამოვიდა და გახდა პირველი შავკანიანი პრეზიდენტი სამხრეთ აფრიკის ისტორიაში. ფილმში მთავარ როლებს მორგან ფრიმენი და მეთ დეიმონი ასრულებენ. ფილმის გადაღებების დაწყებამდე, მორგან ფრიმენი რამდენიმე დღის განმავლობაში ხვდებოდა ნელსონ მანდელას, რათა უკეთ გაეცნო ადამიანი, რომელიც მას ეკრანზე უნდა განესახიერებინა.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# ვინ არის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი პლანეტაზე

*ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერების რეიტინგი, რომელთა ასაკი 40 წელს არ აღემატება. სულ ასეთი 29 მილიარდერია, მათ შორის 11 ამერიკელია. ახალგაზრდა მილიარდერებიდან, ათი მაღალი ტექნოლოგიების სექტორის წარმომადგენელია, მათ შორის ოთხი – უმსხვილეს სოციალურ ქსელ „ფეისბუქს" წარმოადგენს. გთავაზობთ რეიტინგის პირველ 15 პოზიციას.*

**დასტინ მოსკოვიცი – ასაკი: 28 წლის; კაპიტალი: 3,8 მილიარდი დოლარი**

მარკ ცუკერბერგის ყოფილი მეზობელი საერთო საცხოვრებლიდან და „ფეისბუქის" თანაავტორი, რომელიც აღარ მუშაობს კომპანიაში. მოსკოვიცი ბილ გეითსის და უორენ ბაფეტის ფილანტროპული ინიციატივის მომხრეა და თავისი ქონების ნახევარს მომავალში ქველმოქმედებაზე დახარჯავს. მოსკოვიცი არატიპური მილიარდერია. ის ველოსიპედით გადაადგილდება და წელიწადში ერთხელ კარავით მიდის მთაში სრულიად მარტო.



**მარკ ცუკერბერგი - ასაკი: 28; კაპიტალი: 13,3 მილიარდი დოლარი**

მარკ ცუკერბერგი სულ რაღაც 8 დღით არის უფროსი დასტინ მოსკოვიცზე. ის გახლავთ ყველაზე ცნობილი და პოპულარული სოციალური ქსელის „ფეისბუქის" მფლობელი, აღმასრულებელი დირექტორი და თანადამფუძნებელი. ცუკერბერგის კაპიტალი მთლიანად დამოკიდებულია „ფეისბუქის" აქციების ფასზე.

**ალბერტ ფონ ტურნი უნდ ტაქსისი – ასაკი: 29; კაპიტალი: 1,5 მილიარდი დოლარი**

ტურნი-ტაქსისების საგვარეულოს მეთორმეტე წარმომადგენელი – ალბერტი ფლობს ლუდის ქარხანას, მიწის ფართობებს, წისქვილებსა და ბანკს. პირველად მილიარდერების რეიტინგში ალბერტი 2001 წელს, 18 წლის ასაკში მოხვდა, მას შემდეგ, რაც მემკვიდრეობით მიიღო ქონება. ავტოსპორტით გატაცებული ალბერტი ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სასიძოა ევროპაში.

**სკოტ დუნკანი – ასაკი: 30 წლის; კაპიტალი: 5,1 მილიარდი დოლარი**

სკოტ დუნკანი ნავთობმაგნატის, დენ დუნკანის უმცროსი ვაჟია. 2010 წელს გარდაცვალების შემდეგ, დენ დუნკანმა თავის ოთხ ვაჟს დაუტოვა კომპანიის მართვის სადავეები. ცნობისთვის, დუნკანების კომპანია „ენტერპრაიზ პროდუქტს პარტნერსი" 12,5 მილიარდ ამერიკულ დოლარად არის შეფასებული.

**ედუარდო სავერინი – ასაკი: 30 წლის; კაპიტალი: 2,2 მილიარდი დოლარი**

„ფეისბუქის" თანადამფუძნებელი და მარკ ცუკერბერგის ყოფილი მეგობარი, რომელიც მილიარდერების რეიტინგში მას შემდეგ მოხვდა, რაც სასამართლოს დახმარებით, ცუკერბერგს კომპანიის აქციების კუთვნილი 5 პროცენტი გამოართვა. ამჟამად ბრაზილიის მოქალაქე სავერინი სინგაპურში ცხოვრობს, სადაც ინვესტიციებს ახორციელებს.

**იან ჰუეიანი – ასაკი: 31 წლის; კაპიტალი: 5,7 მილიარდი დოლარი**

ყველაზე მდიდარი ჩინელი ქალი მსოფლიოში და დეველოპერული კომპანია „ქანთრი გარდენის" უმსხვილესი აქციონერი. იან ჰუეიანი 2007 წლიდან გახლავთ „ფორბსის" რეიტინგის წევრი.

**ფაჰდ ჰარირი – ასაკი: 32 წლის; კაპიტალი: 1,35 მილიარდი დოლარი**

ლიბანის მოკლული პრემიერ-მინისტრის, რაფიკ ჰარირის ვაჟი, რომელიც 2005 წლიდან ფლობს კომპანია „საუდი ოგერის" აქციებს. ფაჰდ ჰარირი ჩართულია სატელეკომუნიკაციო, სამშენებლო და უძრავი ქონების ბიზნესში.

**მარია ბენიე ბევალოტი – ასაკი: 32 წლის; კაპიტალი: 1,5 მილიარდი დოლარი**

მარია ოჯახთან ერთად ფლობს ფრანგული სარძეო კონცერნის, „ლაქტალისის" აქციებს. კომპანია მსოფლიოს 148 ქვეყანაშია წარმოდგენილი და მისი საფირმო პროდუქტია ყველი „პრეზიდენტი". გარდა ამისა, 2011 წლიდან ბევალოტები ფლობენ იტალიურ რძის პროდუქტების კომპანია „პარმალატს".

**შონ პარკერი – ასაკი: 33 წლის: კაპიტალი: 2 მილიარდი დოლარი**

შონ პარკერი ცნობილია, როგორც უფასო მუსიკალური კომპოზიციების გადმოსაწერი ინტერნეტ-რესურსის, „ნეპსტერის" ავტორი და ასევე, „ფეისბუქის" პირველი პრეზიდენტი. ამჟამად პარკერი ახალ პროექტზე მუშაობს, ვიდეოჩატი „ეირთაიმი".

**აიმან ჰარირი – ასაკი: 34 წლის; კაპიტალი: 1,35 მილიარდი დოლარი**

რაფიკ ჰარირის კიდევ ერთი ვაჟი, რომელიც საოჯახო ბიზნესშია ჩართული. ის აკონტროლებს სამშენებლო ბიზნესს და სამხრეთ აფრიკის მობილურ ოპერატორ „3C-ს."

**ივონ ბაუერი – ასაკი: 35 წლის; კაპიტალი: 2,4 მილიარდი დოლარი**



ივონა ბაუერების საგამომცემლო იმპერიას „ბაუერ მედია გრუპის" აქციების 85 პროცენტის მფლობელია. ივონა კომპანიის მეხუთე თაობის მეთაურია. ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი მედია-ჰოლდინგი 1875 წელს დაარსდა და მსოფლიოს 16 ქვეყანაში 570 ჟურნალ-გაზეთს ფლობს.

**იოშიკაცუ ტანაკა – ასაკი: 36 წლის; კაპიტალი: 1,8 მილიარდი დოლარი**

იაპონელი ტანაკა უმსხვილესი იაპონური სოციალური ქსელის, Gree-ის ავტორია, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი სათამაშო ინტერფეისია. სხვა მხრივ, „ფეისბუქთან" კონკურენცია იაპონურ სოცქსელს უჭირს.

**მაქსიმ ნოგოტკოვი – ასაკი: 36 წლის; კაპიტალი: 1,3 მილიარდი დოლარი**

სკოლაში სწავლის პერიოდში მაქსიმი მობილური ტელეფონებითა და კომპიუტერული ტექნიკით ვაჭრობდა. მოგვიანებით, მან დააფუძნა კომპანია „სვიაზნოი", რომელიც რუსეთის უმსხვილეს საცალო ვაჭრობის ქსელად გადაიქცა. ნოგოტკოვი ამჟამად მობილური ტელეფონებით, ციფრული ფოტო და ვიდეოტექნიკით ვაჭრობს.

**ალეხანდრო სანტო-დომინგო დავილა – ასაკი: 36 წლის; კაპიტალი: 11,7 მილიარდი დოლარი**

ალეხანდრო ლუდის მაგნატ ხულიო მარიო სანო დომინგო პუმარეხოს უფროსი ვაჟია. მას შემდეგ, რაც ხულიო მარიო 87 წლის ასაკში 2011 წელს გარდაიცვალა, ალეხანდრო სათავეში ჩაუდგა კომპანია „სანტო დომინგო გრუპს".

**ჯეკ დორსი – ასაკი: 36 წლის; კაპიტალი: 1,1 მილიარდი დოლარი**

ჯეკ დორსი პოპულარული მიკრობლოგის „ტვიტერის" ავტორია. ის გასულ წელს გახდა მილიარდერი და უმალ დაიკავა ადგილი „ფორბსის" რეიტინგში. მილიარდერმა კაპიტალი მობილური გადახდების სერვისის, „სქუერის" ამოქმედების შემდეგ მიიღო დორსიმ.

**უშანგი რუხაძე**

# კალეიდოსკოპი

## ფინეთი – დედობისთვის იდეალური ადგილი

საერთაშორისო ორგანიზაციამ „Save the Children", რომელიც იცავს ბავშვების უფლებებს მთელ მსოფლიოში, წარმოადგინა ქვეყნების ყოველწლიური რეიტინგი, სადაც ყველაზე კარგია დედობა. ლიდერობენ სკანდინავიის სახელმწიფოები, ხოლო ყველაზე ცუდი პირობები დედებისთვის აფრიკის ცალკეულ ქვეყნებშია.



176 ქვეყანა განალაგეს განსაზღვრული რიგით შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: დედათა და 15 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის დონის მაჩვენებლები; სკოლაში სწავლის საშუალო ხანგრძლივობა; ქალების შემოსავლის დონე და მართვის ორგანოებში მათი წარმომადგენლობის პროცენტულობა.

დედებისთვის იდეალურ ადგილად აღიარეს ფინეთი. მათთვის საუკეთესო პირობებით, ათეულში შევიდნენ: შვედეთი, ნორვეგია, ისლანდია, ნიდერლანდები, დანია, ესპანეთი, ბელგია, გერმანია და ავსტრალია. სლოვენია მე-14 ადგილზეა, საფრანგეთს მე-16 ადგილი უკავია, იტალიას – მე-17, ესტონეთს – 21-ე, დიდი ბრიტანეთი 23-ე პოზიციაზეა, ისრაელი – 25-ზე, შემდეგ მოდის ბელორუსია (26), ლიტვა (27), ამერიკის შეერთებული შტატები (30), საქართველო (34), სლოვაკია (35), არგენტინა (36), სერბია (37), მაკედონია (40), ბაჰრეინი (44), საუდის არაბეთი (46), მექსიკა (49), გრენადა (52), ქუვეითი (55), ტუნისი (56), ლიბია (57), ყატარი (58), რუსეთი (59), შემდეგ მოდიან თურქეთი, რუმინეთი და მავრიკა.

სიის ბოლოშია აფრიკის ქვეყნები – მალი, სიერა-ლეონე, სომალი და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა. როგორც „გარდიანი" აღნიშნავს, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 30-დან ერთი მშობიარე კვდება. ფინეთში 12 209-დან – მხოლოდ ერთი. რაც შეეხება ბავშვთა სიკვდილიანობას, იმ ქვეყნებში, რომლებიც ყველაზე ცუდ ქვეყანათა ათეულშია, ტრაგიკული ხვედრი აქვს ყოველ მეშვიდე ბავშვს, რომლებიც 5 წლის ასაკს ვერ აღწევენ, ფინეთში კი 345-დან ერთი ბავშვი კვდება.

ორგანიზაცია „Save the Children" დააარსა ეგლანტაინ ჯებმა და მისმა დამ – დოროთი ბაქსტონმა 1919 წელს დიდ ბრიტანეთში. მისი ძირითადი მიზნებია: განათლების სისტემის გაუმჯობესება, ჯანდაცვა, ეკონომიკური შესაძლებლობები, ბავშვთა დაცვა ძალადობისა და სტიქიური უბედურებისგან, აგრეთვე, სხვა საქმიანობა ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. 1970 წელს ორგანიზაცია განსაკუთრებით ზრუნავს განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**მოამზადა ლაშა გაბელიამ**

**„ყვავილების ქვეყანა", „დაუკარით", „ჩვენი სიცოცხლე", „სალამურა" და კიდევ სხვა მრავალი ქართული სიმღერაა, რომლებსაც დაუვიწყარი თემურ ცაგურია ასრულებს. უფროსი თაობის ქართველ მსმენელს დღესაც კარგად ახსოვს. ყველასთვის საყვარელმა მომღერალმა დიდი ხნის წინ დატოვა საქართველო და საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა, მაგრამ, ბატონი თემური შორეულ ამერიკაშიც ჩვეულად განაგრძობს მოღვაწეობას. ჩვენ „სოციალური ქსელის" საშუალებით დავუკავშირდით და მან თავისი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები გაიხსენა, რომლებსაც ჩანახატების სახით გთავაზობთ.**

# რის გამო მოპარა ლენინის ძეგლს „ვენოკი" თემურ ცაგურიამ და სად შეხვდა ის ზვიად გამსახურდიას

### პირველი სამახსოვრო კონცერტი

1964 წელს, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს, ყველა მატჩის წინ, ჩვენი თვითშემოქმედება კონცერტს უტარებდა. ჩვენმა თილისმობამ გაამართლა და იმ წელს „დინამო" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. სპორტის სასახლეში დიდი ზეიმი და კონცერტი დაინიშნა. მოსკოვიდან საბჭოთა კავშირის პარტიული მაღალჩინოსნები და კოსმონავტი ლეონოვი გვეწვია. მე ორი ნომრის შესრულების უფლება მომცეს, პირველი რუსული სიმღერა – „მესამე უნდა წავიდეს". ჩემი თავმოყვარე ახალგაზრდული ჭკუით დავასკვენი, რომ ეს სიმღერა იმიტომ შემირჩიეს საქართველოს კომპარტიის ლიდერებმა, რომ სიმღერის ტექსტის ავტორი ქებას ასხამდა მეგობარს, რომელიც მეგობრის გამო გაეცალა სატრფოს და მას დაუთმო. ესე იგი, რა, მადლობა რუსებს, რომ დაგვითმეს ჩემპიონობა?! არ გამოგივათ!" – გავიფიქრე, ავედი გადატენილი დარბაზის სცენაზე და ჩვენი ბენდის ბიჭებს ხმამაღლა შევძახე: „როკენროლ მიუზიქ!" ბიჭებმა გაიხარეს და მთელი დარბაზი ცეკვავდა ბითლზების ამ მართლაც მშვენიერი მუსიკის რიტმში – ნამდვილი ზეიმი იყო. სიმღერა დავასრულე თუ არა სპორტის სასახლიდან საჩქაროდ გავიქეცი – არ მინდოდა საყვედურების მოსმენა. ტროლეიბუსების გაჩერებაზე ათ წუთში „დამიჭირეს" და ისევ სცენისკენ გამაქანეს – თურმე, მაყურებელმა კონცერტის გაგრძელების საშუალება არ მისცა, ისევ მე მითხოვდნენ. სცენაზე ავირბინე და ისევ ომახიანად შევძახე ბიჭებს – „როკენროლ მიუზიქ"-მეთქი. ნამდვილი ზეიმი იყო. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ მას შემდეგ მთავრობის კონცერტებს აღარ მაკარებდნენ.



**კანარის ერთ-ერთ ულამაზეს კუნძულზე, ბოტანიკურ ბაღში სკამზე ვზივარ და მზეზე ვთბები. დიდმა, ლამაზმა თუთიყუშმა ჯერ ალმაცერად მიყურა, შემდეგ ყელი მოიღერა და წმინდა მეგრული გამოთქმით მომაძახა: „მუჭო რექ, წიე!.." კინაღამ სკამიდან ჩამოვვარდი**

### ბულბულის ერთგულება

ბარდის გზა ვარჩიე. ბევრი საავტორო სიმღერა მაქვს, ბევრი მათგანი გამოვაქვეყნე „იუთუბიზე" და „ფეისბუქზე." ჩემი სიცოცხლის უმეტესი დრო ახალი სიმღერების შექმნაში მიდის. ეს ისე მიყვარს, რომ ხანდახან ყველაფერი მავიწყდება: მავიწყდება, რომ ემიგრაციაში ვარ; მავიწყდება, რომ პურის ფულიც უნდა ვიშოვო ხანდახან. სამაგიეროდ, გამიჩნდა უზარმაზარი საკონცერტო დარბაზი „იუთუბისა" და „ფეისბუქის" სახით. მიხარია, რომ ქართველები მისმენენ და ისევ საქართველოში ვგრძნობ თავს. ამერიკის ცენტრალურმა პრესამ („ვაშინგტონ პოსტი", „ვაშინგტონ თაიმსი", „სითიფეფერი") საშემსრულებლო ხელოვნება შემიქო. მაგრამ, ყველაზე დიდი ჯილდო, რომელიც მე ცხოვრებაში მერგო, ეს ბულბულის სიყვარულია: ამერიკაში ჩამოსული უენო ემიგრანტი პატარა რუსული მაღაზიის მეპატრონემ შემიკედლა. ათიოდე მაგიდა ჰქონდა სავაჭრო ცენტრში. მაგიდები პირდაპირ ქუჩაში ედგა. უამრავი ხალხი იკრიბებოდა, როცა სიმღერას ვიწყებდი. ერთხელ სიმღერა რომ დავიწყე, ჩემს თავთან, ხეზე ბულბული ჩამოჯდა და ჩემთან ერთად დაიწყო გალობა, ზუსტად ჩემს ტონალობაში. ასე გაგრძელდა ორი საათის განმავლობაში. იგივე განმეორდა მეორე დღეს, ერთი კვირის შემდეგ... გავიდა დრო. მე ვაშინგტონის მუსიკალურ რესტორან „მოცარტში" დავიწყე მუშაობა. სამი წლის შემდეგ, ამ რუსული მაღაზიის პატრონმა, წარმოშობით ებრაელმა, კარგმა კაცმა მიშა ვასილევსკიმ, მთხოვა, კვირა დღეს, იქვე, ფესტივალზე მემღერა. ხათრი არ გავუტეხე და დავთანხმდი. მაგრამ, დავიწყე თუ არა სიმღერა, მოფრინდა ჩემი ბულბული და, ვინ მაცალა სიმღერა – უნდა გენახათ, როგორ გალობდა! არ მახსოვს, ხალხი მე მიკრავდა ტაშს თუ – ბულბულს.

### ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი საგასტროლო მოგზაურობა

საქართველოს ფილარმონია დროდადრო გვაგზავნიდა ყიზლარის საძოვრებზე. ერთ-ერთ ასეთ ტურნეს ჩემთვის მეტად სასიამოვნო მოვლენა ახლდა – დაღესტანში გადასახლებულ ზვიად გამსახურდიასა და მის მეუღლეს, ქალბატონ მანანა არჩვაძეს დავუმეგობრდი. ზვიადი ყველა სამწყემსო კუნძულში წამომყვა. უნდა გენახათ, როგორი სიყვარულითა და რუდუნებით ხვდებოდნენ მწყემსები. დაუვიწყარ მოგონებად დამაქვს თან ის ოცი დღე. ზვიადმა თავისი კოლექციიდან ხალხური ლექსი მომცა – იქნებ, სიმღერა გააკეთოო. სიმღერა შევქმენი ფანდურზე, ჩავწერე და მის ნათელ ხსოვნას მივუძღვენი.

კიდევ ერთი კონცერტი დამამახსოვრდა ხმელთაშუა ზღვაში, საკრუიზო გემის – „შოთა რუსთაველის" მუსიკალურ სალონში ჩავატარე: ნეაპოლიტანური რომანსი 20 წამში შემაწყვეტინეს, 300 კაცი ფეხზე ადგა და აპლოდისმენტებისა და შეძახილების შტურმი მომიწყვეს. ჩაბნელებულ დარბაზში, პროჟექტორების შუქით დაბრმავებულმა, გავიფიქრე, ალბათ, იტალიის ნაციონალური გმირი შემოვიდა-მეთქი დარბაზში და სცენიდან გავედი. მაგრამ, კულისებში საკრუიზო კომპანიის ადმინისტრატორი ამოვიდა და ამიხსნა, რომ ეს ოვაციები მე მეკუთვნოდა. ლამაზმა ქალბატონმა ხელი მომკიდა და სცენაზე დამაბრუნა. იმ დღეს ეს სიმღერა სამჯერ გამამეორებინეს.

### „რერო"

საქართველოს სახელმწიფო ანსამბლი „რერო" წლების განმავლობაში ყველაზე პოპულარული საესტრადო კოლექტივი იყო საბჭოთა კავშირში. მოსკოვში „ცეესკას" სპორტულ დარბაზში, სადაც 15 000 მაყურებელი ეტევა, 21 კონცერტი ჩავატარეთ. 300 000 მაყურებელი დაგვესწრო. განსაკუთრებული სითბოთი მინდა მოვიხსენიო აწ გარდაცვლილი კომპოზიტორი და „როროს" მთავარი დირიჟორი, კონსტანტინე პევზნერი. ის ჩემი საესტრადო ხელოვნების მთავარი მასწავლებელი იყო. ყველას ძალიან გვიყვარდა ეს იუმორითა და სიკეთით სავსე კაცი. არასდროს დამავიწყდება ტამბოვი, საკონცერტო დარბაზის ჰოლი. მოსკოვიდან მნიშვნელოვან ზარს ველოდებით – სამთვიანი საზღვარგარეთული ტურნე ყოველი მუსიკოსისთვის ოცნება იყო. ზარი გაისმა. ჩვენმა ადმინისტრატორმა აიღო ყურმილი. პაუზის შემდეგ ჩვენ მოგვიტრიალდა და გვითხრა: ტურნე შედგება, თუ შეძლებთ, რომ პევზნერის გარეშე ჩაატაროთ კონცერტებიო. მთელი ძალით დავიყვირე: „ნეეეტ!" – და ჩემს ხმას 50 ჩვენიანის ხმა შეუერთდა. ეს იყო მკვეთრი პროტესტი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ზღუდავდა ადამიანის უფლებებს ებრაული წარმოშობის პირთა მიმართ. ამის შემდეგ ორკესტრს ყველა გზა ჩაეკეტა.

### ჰობი

ყველაზე მეტად ბუნება მიყვარს, სანახევროდ შავ ზღვაზე გაზრდილს, ამავე დროს – წყალბურთელს, ახალგაზრდობაში ასეთი ჰობი მქონდა: დაახლოებით საღამოს 11 საათისთვის ზღვაში შევცურავდი ხოლმე თვალდახუჭული და მხოლოდ მაშინ გავახელდი თვალებს, როცა მზის სხივს ვიგრძნობდი. ხან ზღვაში, შორს ნაპირიდან, ხან – შორს, ნაპირის გასწვრივ, ხან კი წრეს დავარტყამდი და ისევ იმ ადგილას ვიყავი, საიდანაც დავიწყე ცურვა. ერთხელ, ასე გავახილე თვალები და თეთრი ნისლის გარდა ვერაფერი დავინახე. მზის ორიენტაციით განვაგრძე ცურვა. დაახლოებით ორი საათის შემდეგ ნისლი გაიფანტა და გაგრის მთები გამოჩნდა. მას შემდეგ ჰობი ცოტა შევცვალე და თვალახელილი ვცურავდი.

### თუთიყუში

სანტა-კრუსი, კანარის ერთ-ერთი ულამაზესი კუნძული, უმშვენიერესი ბოტანიკური ბაღი. სკამზე ვზივარ და მზეზე ვთბები. დიდმა, ლამაზმა თუთიყუშმა ჯერ ალმაცერად მიყურა, შემდეგ ყელი მოიღერა და წმინდა მეგრული გამოთქმით მომაძახა: „მუჭო რექ, წიე!.." კინაღამ სკამიდან ჩამოვვარდი. მერე მივხვდი, ფოთელმა მეზღვაურებმა ასწავლეს მეგრული. მეც, ავდექი და მეგრული სიმღერა ვუმღერე. ვინ იცის, იქნებ ახლა გამვლელებს უმღერის ***(იცინის).***

### მოპარული „ვენოკის" ისტორია

1978 წელს, ლენინის მოედანზე, ილიჩს უშველებელი „ვენოკი" მოვპარე, რომ იმავე საღამოს, ჟურნალისტთა სახელით, ისევ ლენინისთვის „მიმერთმია" საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობის დელეგატთა სახელით ***(იცინის).*** პროფესიით ჟურნალისტი ვარ და, როგორც ცნობად სახეს, მე მომანდეს გვირგვინის საქმე. დილით, მაღაზია, სადაც გვირგვინი იყო შეკვეთილი, დაკეტილი დამხვდა და სასოწარკვეთილებამ დანაშაულებრივი ქმედებისკენ მიბიძგა – ლენინს დავუპირე „ვენოკის" მოპარვა. მილიცია კი იცავდა ძეგლსაც და გვირგვინებსაც, მაგრამ, მიცნეს და გამომატანეს. იმ „ვენოკის" საზეიმო დაბრძანების დროს, ერთი ნიუანსი მაინც გაიპარა: გვირგვინზე დაბნეულ წითელ ლენტს ამშვენებდა წარწერა: „პროლეტარიატის ბელადს, მადლიერი ჭიათურელი მაღაროელებისგან". იმ ფული კი, რომლითაც ვენოკი უნდა მეყიდა, მე, ჩემმა მეგობარმა თამაზ ჭეიშვილმა და იმ ორმა მილიციელმა, ძეგლს რომ იცავდნენ, ველიამინოვის სახინკლეში ავიღეთ: ასი ხინკალი, ორი არაყი და რვა ლუდი ***(იცინის).*** მერე ეს საქმე გასკდა, მე ემიგრაციაში წავედი, თამაზი კი პარტიის ცეკამ „დააპატიმრა" და გამოსწორების მიზნით ენგურჰესის გაზეთის რედაქტორად დანიშნა.

**უშანგი რუხაძე**

# რის გამო უჩივლა ნიუ-იორკის სასამართლოში ფოტოგრაფმა ალბერტ უოტსონმა მხატვარ დევიდ დათუნას

*ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელსაც გავლენიანი ამერიკული გამოცემები და საინფორმაციო სააგენტოები („Businessweek”, „CNN”, „Yahoo”, „Bloomberg”) მსოფლიო ხელოვნებაში დაწყებულ „ახალ არტ-ომად” მოიხსენიებენ. ცნობილმა ფოტოგრაფმა ალბერტ უოტსონმა შეიტანა სარჩელი ნიუ-იორკის სასამართლოში, წარმოშობით თბილისელი და ამჟამად ამერიკაში მცხოვრები კონცეპტუალისტი მხატვრის, დევიდ დათუნას წინააღმდეგ. მანჰეტენის ფედერალურ სასამართლოში შეტანილი სარჩელის თანახმად, უოტსონი საავტორო უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს დათუნას და თავის მიერ გადაღებული სტივ ჯობსის ცნობილი ფოტოს უკანონოდ გამოყენებაში სდებს ბრალს. დევიდ დათუნამ ცნობილი ამერიკელი მწერლისა და ფილოსოფოსის, აინ რენდის მცირე ზომის პორტრეტებიდან სტივ ჯობსის პორტრეტის ინსტალაცია ააწყო ოპტიკური ლინზების გამოყენებით, რომელიც 2011 წელს მაიამიში 210 ათას დოლარად გაიყიდა. საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით, დევიდ დათუნას ნიუ-იორკში დავუკავშირდით:*

**დევიდ დათუნა**: „ჩემი, როგორც ხელოვანის მიზანია, შევქმნა ხელოვნების ნიმუში, რომელიც წაახალისებს ადამიანებს, ახალი თვალით შეხედონ გამოსახულებებს ან ადამიანს, რომლებსაც იცნობენ და იკვლევენ. ამ შემთხვევაში, ციფრული ერის უდიდესი გამომგონებლის, სტივ ჯობსის პორტრეტის აწყობა ლიბერტანელი ავტორის – აინ რენდის მცირე ზომის პორტრეტების გამოყენებით, სრულიად ახალი სიტყვაა თანამედროვე ხელოვნებაში. ჯობსის პორტრეტი არ გახლავთ მხოლოდ ჯობსის პორტრეტი, ეს არის თანამედროვე მსოფლიო სახე სტივ ჯობსის გამოსახულებით. ასევე, ხაზი მინდა გავუსვა იმ ფაქტს, რომ ალბერტ უოტსონი არ გახლავთ ფოტოს ორიგინალური იდეის ავტორი – სტივ ჯობსის მსგავსი ხასიათის, იმავე კონცეფციის ფოტო 1984 წელს გამოქვეყნდა და მას სულ სხვა ავტორი ჰყავს. აქედან გამომდინარე, ალბერტ უოტსონის ბრალდება უსაფუძვლოდ მიმაჩნია და გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ”.



დევიდ დათუნას ცნობით, ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ, რამდენიმე ხნის წინ, მსგავსი საქმის განხილვის დროს, მხატვარ რიჩარდ პრინსის მხარი დაიჭირა და გაამართლა. პრინსმა ფოტოგრაფ პატრიკ კერიუს ფოტოალბომიდან „დიახ, რასტა” რასტაფარების ფოტოები გამოიყენა სრულიად ახალი მხატვრული ნამუშევრების შექმნის მიზნით, რომლებიც შემდგომში 10 მილიონ დოლარად გაყიდა. სასამართლომ დაადგინა, რომ პრინსმა სრულიად ახალი, ორიგინალური ნიმუშები შექმნა და ფოტოგრაფის სარჩელი არ დააკმაყოფილა. ამ პრეცედენტის გათვალისწინებით, დევიდ დათუნა დარწმუნებულია, რომ ალბერტ უოტსონის სარჩელი არ დაკმაყოფილდება და მას მოუწევს დათუნას მიერ დაქირავებული ადვოკატების ხარჯების ანაზღაურება, თანხა კი საკმაოდ სოლიდურია – დაახლოებით 100-150 ათასი დოლარი.

თბილისში დაბადებული და გაზრდილი დევიდ დათუნა თავის შემოქმედებას „ახალ მიმდინარეობას“ უწოდებს არტ-მიმართულების ხელოვნებაში. იგი ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ მხატვრად ითვლება მსოფლიოში. მის მიერ შექმნილი ოპტიკური ინსტალაციები: „პუტინი – მონა ლიზა” – 2011 წელს 269 ათას დოლარად, „ვოდიანოვა – მილიონების სიყვარული” კი 2012 წელს 600 ათას ევროდ გაიყიდა.

აღსანიშნავია, რომ ალბერტ უოტსონი ფოტოსამყაროში ცნობილი პიროვნებაა. იგი ძირითადად პოპულარული ადამიანების პორტრეტებზე მუშაობს; არის ჟურნალ „ვოგის” 200-მდე გარეკანის ფოტოს ავტორი. უოტსონი ყველა დროის 20 ყველაზე გავლენიანი ფოტოგრაფის სიაშია.

**უშანგი რუხაძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური 237-80-50
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 298-39-43; 299-53-50
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
**ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, სისხლის სამართლის კოდექსში ახლად განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, როგორ ხდება სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას, ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს. დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ანდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება. ამასთანავე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა, არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს.



**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ მოხდება სასჯელის დანიშვნა იმ შემთხვევაში, როდესაც განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდება, რომ უკვე მსჯავრდებულ პირს ბრალი ედება სხვა დანაშაულშიც?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ ამ შემთხვევაშიც, მოქმედებს სასჯელის შთანთქმის პრინციპი. კერძოდ, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის სხვა დანაშაულშიც, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა, საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ გადაწყდება საკითხი სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, განაჩენთა ერთობლიობის დროს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს. ანდა, ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი შთანთქავს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს. განაჩენთა ერთობლიობის დროს დანიშნული საბოლოო სასჯელი აითვლება ბოლო განაჩენის მიღების დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა არ იყო გასული ბოლო დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის. ასეთ შემთხვევაში, სასჯელი აითვლება ბოლო განაჩენით გათვალისწინებული დანაშაულისთვის პირის დაკავების დღიდან.

**კითხვა: მაინტერესებს, სასჯელის რა მაქსიმალურ ვადას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულთა ერთობლიობის დროს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ზოგადად ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით. შესაბამისად, ეს არის დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მაქსიმალური ვადა, თუ არ გვაქვს დანაშაულის რეციდივი დანაშაულთა ერთობლიობასთან ერთად.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორია განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელებისთვის გათვალისწინებული ვადის მაქსიმალური ზღვარი?**

პასუხი: განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს, ანუ განაჩენთა ერთობლიობით თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადაა 35 წელი.

**კითხვა: მაინტერესებს და გთხოვთ, მაცნობოთ, დანაშაულთა ერთობლიობის დროს შეიძლება თუ არა დაენიშნოს პირს დამატებითი სასჯელის რომელიმე სახე?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს, ძირითად სასჯელთან ერთად, შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი. ოღონდ სასჯელთა შეჯამებისას დანიშნული საბოლოო დამატებითი სასჯელის ზომა, არ უნდა აღემატებოდეს ამ სასჯელის მოცემული სახისთვის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზომას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ, რა სამართლებრივი პროცედურებით უნდა მოხდეს შთანთქმის პრინციპის განხორციელება იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც უკვე დანიშნული აქვთ დანაშაულთა ერთობლიობითი სასჯელები?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას, სასჯელის დანიშვნის წესის შეცვლა ითვლება ახლად გამოვლენილ გარემოებად, ხოლო „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილ სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის რედაქციას კი, აქვს უკუძალა იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებთაც დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს, საბოლოო სასჯელი დაენიშნათ აღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე არსებული რედაქციით. შესაბამისად, რადგან კანონში შესული ცვლილება მიიჩნევა ახლად გამოვლენილ გარემოებად, მოქმედებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ხდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა ხორციელდება სააპელაციო სასამართლოში შუამდგომლობის დაყენებით. კერძოდ, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობა წერილობით შეაქვთ სააპელაციო სასამართლოში განსჯადობის მიხედვით. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვთ პროკურორსა და მსჯავრდებულს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში – მის კანონიერ მემკვიდრეს. ადვოკატს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს განაჩენის გადასინჯვის საფუძველი და მტკიცებულებები.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გასაჩივრების შემდეგ, სასამართლო განხილვის პროცედურები?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის შეტანიდან 2 კვირის ვადაში, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და რამდენად არის ის დასაბუთებული. თუ შუამდგომლობა კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არ არის დაყენებული ან დაუსაბუთებელია, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით, დაუშვებლად ცნობს მას. განჩინებაზე შეიძლება, შეტანილ იქნეს საკასაციო საჩივარი საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მისი გამოტანიდან 2 კვირის ვადაში. თუ შუამდგომლობა კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არის დაყენებული და დასაბუთებულია, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებს მას, ნიშნავს საქმის არსებითი განხილვის თარიღს და მხარეებს აძლევს გონივრულ ვადას საქმის არსებითი განხილვისთვის მოსამზადებლად. საქმის არსებითი განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საქმის არსებითი განხილვის შედეგად, სასამართლო უცვლელად ტოვებს განაჩენს, ან ცვლის მას, ან აუქმებს და ადგენს ახალ განაჩენს.

# ინტიმური საუბრები

## ყველა კაცი კაცი არ არის

ორი ბიძაშვილი მყავს – ტყუპი ძმები. უკვე ასაკში არიან – 44 წლის გახდნენ. არც გარეგნობით ჰგვანან ერთმანეთს, არც ხასიათითა და ცხოვრების წესით: ერთი ქერაა, მეორე – შავგვრემანი. ქერას ვახო ჰქვია, შავგვრემანს – კოტე. ორივეს ჰყავს ცოლი და სამ-სამი შვილი. გარეგნობითა და ქცევით ვახო დახვეწილი ინტელიგენტია, ოღონდ, მარტო ოჯახს გარეთაა ინტელიგენტი, სახლში კი, ცოლ-შვილთან, ნამდვილი დესპოტია – უხეში, უხასიათო; მისი „საშინაო“ ლექსიკონი ძირითადად საგინებელი სიტყვებისგან შედგება. თან, შეუძლია, სხვისი თანდასწრებითაც კი, სრულიად დაუმსახურებლად აგინოს ცოლ-შვილს, განსაკუთრებით კი – ცოლს. თუმცა, გინება კი არა, როცა აგრესია მოეძალება (რაც საკმაოდ ხშირად ხდება) და ლანძღვა-გინება „განმუხტვას“ არ ჰყოფნის, ცოლს ხელითაც (ზოგჯერ ფეხითაც) ეხება და, არცთუ იშვიათად მომხდარა, ამ სცენას შვილებიც შესწრებიან. მაგრამ, ისე ეშინიათ მამის, რომ დედის დასაცავად ხმას ვერ იღებენ, რაშიც მე, მსუბუქად რომ ვთქვა, სამივეს ვამტყუნებ. მართალია, გოგო ჯერ პატარაა (8 წლისაა), მაგრამ, ბიჭები უკვე იმ ასაკში არიან, შეუძლიათ, თუნდაც სიტყვიერი პროტესტი გამოხატონ მამის ძალადობის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, მათაც უკვე გამრუდებული აქვთ ფსიქიკაც და ბიჭური თავმოყვარეობაც, რაც ძალიან მწყინს. ამას წინათ ვუთხარი კიდეც ორივეს, მამათქვენი თქვენ ვერ უნდა გიბედავდეთ (კადრებაზე აღარაფერს ვამბობ) დედათქვენის შეურაცხყოფას-მეთქი. მათ თავის მართლება დაიწყეს – რომ ჩავერიოთ და რამე ვუთხრათ, ჩვენც გადაგვივლის და მამას ხომ არ გავარტყამთ. თანაც, დედას უარეს დღეს დააყრის, როცა სახლში არ ვიქნებითო. მათ სიტყვებში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ, მაინც ვერ გავამართლებ ვერც ერთს. თვითონ ვახოსაც ბევრჯერ ველაპარაკე, თან, საკმაოდ მკაცრადაც, მაგრამ ასე მითხრა, ჩემს ცოლს ასე რომ არ მოვექცე, სულ მთლად აიწყვეტსო. ბოლოს კი დაამატა, – ძალიან გთხოვ, ჩემს ცხოვრებაში ცხვირს ნუ ყოფ, შენს ცოლ-შვილს მიხედე, თავზე რომ გასხედანო. რა უნდა მეთქვა, საერთოდ შევწყვიტე მასთან ურთიერთობა. რაც შეეხება ჩემს ცოლ-შვილს, ჩემს ოჯახში არავინ არავის არ აზის თავზე და არავინ ლახავს ერთმანეთის უფლებებს. მართალია, წვრილ-წვრილი პრობლემები ჩვენც გვაქვს, ისევე, როგორც ყველა ნორმალურ ოჯახს, კამათიც მოგვსვლია, შვილებთანაც მქონია პრეტენზიები, მაგრამ, ყველაფერი მუშტის, წიხლისა და გინების გარეშე გადაწყვეტილა და მოგვარებულა.

რაც შეეხება ჩემს მეორე ბიძაშვილს, ვახოს ტყუპისცალს – კოტეს, ის სულ სხვა ტიპაჟია, ძმისგან ყველაფრით რადიკალურად განსხვავებული: მოქეიფე, დარდიმანდი, მხიარული, „ღადო“, ძმაკაცების სული და გული. ხშირად მიფიქრია, ერთი დედ-მამის გაჩენილი და გაზრდილი ძმები, თან – ტყუპები, რაღაცით მაინც როგორ არ ჰგვანან ერთმანეთს-მეთქი. კოტე ისეთი ლაღი და გახსნილი იყო ნათესავებთან, მეზობლებთან თუ მეგობრებთან, ვფიქრობდი, კიდევ კარგი, ეს მაინც არის ნორმალური და ამისი ცოლ-შვილი მაინც ცხოვრობს მშვიდად-მეთქი, მაგრამ, თურმე, არც ისე ყოფილა საქმე, როგორც მეგონა. ერთხელ მათთან მივედი ბავშვების სანახავად. კოტე სახლში არ იყო, ჩემი რძალი ნამტირალევი დამხვდა, ბავშვები კი საცოდავად აბუზულები ისხდნენ და შეშინებული თვალებით შესცქეროდნენ დედას. გული გამისკდა, ვიფიქრე, კოტეს არყოფნაში რამე უბედურება შეემთხვათ-მეთქი და რძალს ვკითხე, რა ხდებოდა. მერე ბავშვებმა მითხრეს, მამაჩემი მოვიდა მთვრალი, დედას აგინა, მერე ყველას დაგვემუქრა, ჩემი სახლიდან გაგყრით, თქვე მუქთამჭამელებოო და სადღაც წავიდა. ღამით ისევ მთვრალი მოვა, ჩხუბს დაგვიწყებს და გვეშინიაო. რა დაემართა ამ სიბერეში, გაგიჟდა-მეთქი? – ვკითხე რძალს. სიბერეში კი არა, თითქმის ყოველდღე ასეთ დღეში გვაგდებს. სადღაც გამოთვრება და მერე ცოლ-შვილს აწიოკებსო. ეს ისეთი მოულოდნელი იყო ჩემთვის, თავიდან მეგონა, ჩემი რძალი აბუქებდა ყველაფერს, ან რაღაცაზე წყენის გამო ტყუილს ამბობდა, მაგრამ, ბავშვებმა ისეთი რამეები მითხრეს, თმა ყალყზე დამიდგა. ხელითაც ხომ არ გეხება-მეთქი, – ვკითხე რძალს კოტეზე გაცოფებულმა. არ მეხება, მაგრამ ყოველთვის, როცა თავისი ძმისგან ბრუნდება, განსაკუთრებით აგრესიულია ჩემ მიმართ და სულ მიზეზს ეძებს, რომ მცემოს, მაგრამ მამაჩემის ეშინია და ვერ ბედავს, ისე კი, მშვიდ სიტუაციაში, ვითომ ხუმრობით, სულ მაყვედრის, რომ არ ვუცემივარ. ერთხელ ვუთხარი კიდეც, ამაზე შენი ძმა გაგულიანებს-მეთქი, რაც კატეგორიულად უარყო, მაგრამ, ზუსტად ვიცი, ასეა. ერთხელ თვითონ მითხრა ვახომ, კარგმა ქმარმა დღეში ერთხელ მაინც უნდა წამოარტყას ცოლს, რომ თავის ადგილზე დასვას. ჩემი ძმა სუსტი გამოდგა, ზედმეტად გელოლიავებათ და ყველა თავზე დაგისვათო. მე რომ ეს მითხრა, ხომ წარმოგიდგენია, თავის ძმას რას ეუბნება ჩემ წინააღმდეგო.

ისეთი გაოგნებული წამოვედი კოტეს ოჯახიდან, ჭკუაზე არ ვიყავი. მერე საშინელმა სიბრაზემ შემიპყრო და გადავწყვიტე, ორივე ძმისთვის ჭკუა მესწავლებინა. მაშინვე წავედი ვახოსთან, ქვემოდან დავუძახე და ვუთხარი, ეზოში ჩამოდი-მეთქი. ეჭვი არაფერზე აულია, ჩამოვიდა და მკითხა, ხომ მშვიდობაა. არ ყოფილა მშვიდობა, მაგრამ დღეიდან იქნება-მეთქი და პირდაპირ ცხვირში დავარტყი მუშტი. მაგრად ვცემე, სულ დავალურჯე, მერე წამოვაყენე და ვუთხარი: სასიამოვნო ყოფილა, არა, როცა შენზე ძლიერი გცემს? იცოდე, ეს მასაჟი ყოველდღე გექნება გამოწერილი, თუ შენს ცოლ-შვილს უბატონოდ გასცემ ხმას-მეთქი. მერე, ამ გაცეცხლებულ გულზე კოტესთან დავბრუნდი. სახლში დამხვდა ვაჟბატონი და ისევ მრისხანებას აფრქვევდა თავზე საწყალ ცოლს. ჯერ იქვე მინდოდა, მეცემა, მაგრამ, ბავშვები დავინდე, ხელი მოვკიდე, კორპუსის უკან, პატარა ეზოში გავიყვანე და იმასაც დაახლოებით იგივე დავმართე, რაც მის იდიოტ ძმას და გავაფრთხილე: ან გონზე მოხვალ და კაცურად მოექცევი შენს ცოლსა და შვილებს, ან შენს სიმამრს ვეტყვი, როგორც ეპყრობი მის შვილსა და შვილიშვილებს და, რაც მე დაგაკელი, ის შეგისრულებს-მეთქი. გულგახეთქილმა დამიწყო ხვეწნა, ოღონდ ეს არ ქნა და, რასაც მეტყვი, ყველაფერს შევასრულებო.

იმ დღის შემდეგ ჩემს ბიძაშვილებთან, რომლებთან ერთადაც გავიზარდე, აღარ მისვსულვარ. მხოლოდ ჩემს რძლებსა და ბავშვებს ვეხმიანები და ვეკითხები მდგომარეობას. მათი თქმით, სიტუაცია ორივეგან გამოსწორებულია, მაგრამ, მე იმ კაცის კაცობა შევარცხვინე, რომელიც მხოლოდ ვილაცის შიშით არ სცემს და არ აგინებს ცოლ-შვილს.

**მერაბი, 43 წლის**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**როდესაც აქვს თავისუფალი ფული და დრო, თბილისში ჩამოდის, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გიჟურ ქალაქში მცხოვრები თბილისურ რიტმს დიდხანს ვერ უძლებს და რამდენიმე დღეში უკან გარბის. მაქსიმე ჩარკვიანმა დროსა და ბიუჯეტს ეს რამდენიმე დღე მოჰპარა და თბილისში ჩამოვიდა. ამ დღეებში ქეთათო დოკუმენტურ ფილმს იღებს ირაკლი ჩარკვიანზე და იმ ეპოქაზე, რომელიც მან ქართულ კულტურაში შექმნა. მაქსიმემ გადაღებებში მონაწილეობაც მიიღო და უკვე თბილისი დატოვა.**

# რისი გაცოცხლება უნდა ბნელ და უკედლო სივრცეში მაქსიმე ჩარკვიანს

**მაქსიმე ჩარკვიანი**: ძალიან მიჭირს თავისუფალი დღეების გამონახვა, რადგან სამსახურის გარდა, საკუთარ პროექტებზე ვმუშაობ, მუსიკითაც ვარ დაკავებული. უბრალოდ, დასასვენებლად, გარემოს შესაცვლელად ჩამოვედი, საშინლად დაძაბული გრაფიკი მქონდა. თან, მოსკოვური ზამთრის შემდეგ, აუცილებელი იყო განტვირთვა.

**– ქეთათო და კიდევ რამდენიმე ადამიანი ირაკლიზე ფილმს იღებენ. შენ არ გქონია სურვილი მასთან დაკავშირებით რამე გადაგეღო, რამდენადაც მახსოვს, იდეებიც გქონდა...**

– კლიპის გადაღება მინდოდა და მინდა. გამზადებული სცენარი კი არა კადრირებაც მაქვს. მაგრამ მისი გადაღება ძალიან დიდ ბიუჯეტს ითხოვს, ანუ ისე გადაღება, როგორც საჭიროა და როგორც მინდა. კლიპის გადაღება მინდა სიმღერაზე „დამდევ“ – ერთ-ერთი ყველაზე ბოლო სიმღერაა ირაკლის შემოქმედებაში. სიუჟეტი ასეთია: ადამიანი და მისი შინაგანი ბნელი მხარე, მისი დემონი. დემონის მატერიალიზება მინდა, რომელსაც მსახიობი განასახიერებს. ლარს ფონ ტრიერის „დოგვილის“ მსგავსი დეკორაციის გაკეთება მინდა – სრულიად ბნელ, უკედლო სივრცეში, სადაც მხოლოდ ჩარჩოები, კარი და ფანჯრები იქნება და მათი უსიტყვო ურთიერთობა ამ სივრცეში მოხდება. მაგრამ ეს არ არის ისეთი თემა, მომინდა და გადავიღე, საჭიროა იდეალური დეკორაცია, განათება და სხვა.



პირველი რამდენიმე დღე კარგია, მაგრამ მერე უკვე თბილისის ტკბილ და კეთილ მდგომარეობას ვეღარ ვუძლებ. მოსკოვურ რიტმში ვარ არსებობას მიჩვეული

**– ბევრ სფეროში მოღვაწეობ, გარკვეული თუ ხარ საერთოდ, რისი კეთება გინდა?**

– ქართულ ენაში არის ძალიან კარგი სიტყვა – გაფანტული. ვერ ვარკვევ და ვერ ვწყვეტ, რისთვის ვარ დაბადებული – მუსიკისთვის, ვიდეოსთვის... კინო ისეთი სფეროა, მისი ხსენებისაც კი მეშინია; თუ უბრალოდ, უნდა ვიჯდე ოფისში და ვიყო მენეჯერი?! არ მინდა, მაგრამ შეიძლება, ამ სფეროშიც აღმოაჩინოს ადამიანმა საკუთარი თავი. პრინციპში, ახლა სამსახურში მენეჯერის პოზიციაზე ვარ, ვმართავ ადამიანებს პოსტ-პროდაქშენის დროს.

**– მაიოროვთან ისევ მუშაობ?**

– კი და მიხარია, რომ მისი კომპანია სულ უფრო და უფრო იზრდება. მუშაობა რომ დავიწყე, დოკუმენტური ფილმების განყოფილებაში, სულ ოცდაათნი ვიყავით და ახლა ორმოცდაათი ვართ. გვაქვს კიდევ მხატვრული ფილმების განყოფილება, ახლა სერიალის მეორე სერიას იღებს, რომელიც „ესტეეს-ზე“ გავიდა და რეიტინგში პირველი იყო საღამოს პრაიმ-ტაიმში.

**– ცალკე რა კომპანიაც გაქვს, იქ რაზე მუშაობთ?**

– რამდენიმე მეგობარი, მას შემდეგ, რაც მივხვდით, რომ საკუთარი ძალებით, ცალ-ცალკე უკვე ძალიან ბევრი ადამიანისთვის გვქონდა კლიპი გადაღებული აბსოლუტურად უფასოდ, გადავწყვიტეთ, ძალები გაგვეერთიანებინა და დამატებითი ფულიც გვეშოვა. მარტო ფულიც არ არის, ძალიან საინტერესო პროცესია. თვითონ ვწერთ სცენარს, თავად ვწყვეტთ, ვინ ითამაშებს, ვიღებთ, ვამონტაჟებთ. რამდენიმე ადამიანი შემოვიერთეთ, რადგან მოთხოვნა გაჩნდა. კომერციულ გადაღებებს გვთავაზობენ, როგორიც ვთქვათ, ქორწილის გადაღებაა. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი გვაქვს, უფრო ახლოს ვიყოთ თეატრთან, მაგრამ გამოდის, რომ უფრო ახლოს ბაზართან ვართ *(იცინის).*

**– დარწმუნებული ვარ, სიმღერის ნიჭიც გექნება, მამაზე აღარ ვლაპარაკობ, დედაც მიუზიკლების ძალიან ცნობილი მომღერალია.**

– სიმღერის ნიჭი ხმამაღალი ნათქვამია *(იცინის).* არის რაღაცეები, რაც არ მოგეცემა ან არ გაინტერესებს. ვიმღერებდი, სტივ უანდერივით რომ ვმღეროდე *(იცინის).* უბრალოდ, კარაოკეს დონეზე მიკროფონი ვაწვალო, ამის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. ისევ და ისევ მშობლების ფონზე. მათზე უკეთესად რომ ვმღეროდე კიდევ ჰო...

**– არ ცდილობდნენ შენში სიმღერის ნიჭი აღმოეჩინათ?**

– არა, არც ერთ მშობელს არასდროს უთქვამს: აბა, დადექი, შვილო, ახლა კედელთან და იმღერეო. ირაკლი შუაღამისას არ მაღვიძებდა და ძმაკაცების წინ არ მეუბნებოდა, ლექსი თქვიო *(იცინის).* ასე რომ, სიმღერამ გვერდით ჩამიარა. ერთადერთი, თუ ალკოჰოლის დახმარებით ხასიათზე ვარ, რაღაც შეიძლება წავიმღერო, რადგან ვიცი, მოსმენილისგან გული არავის წაუვა.

**– თბილისში ყოფნა გიყვარს?**

– კი, მაგრამ დიდხანს არა. არ მინდა, ამით ვინმეს გული დავწყვიტო, უბრალოდ, წლების განმავლობაში სხვა ქვეყანაში ცხოვრებას სხვა რიტმზე გადაჰყავხარ, ეჩვევი იქაურ მოძრაობის, ურთიერთობების, კომუნიკაციის, გადაწყვეტილების მიღების და საქმის კეთების რიტმს. პირველი რამდენიმე დღე კარგია, მაგრამ მერე უკვე თბილისის ტკბილ და კეთილ მდგომარეობას ვეღარ ვუძლებ. მოსკოვურ რიტმში ვარ არსებობას მიჩვეული. ვიცი, რომ მიუხედავად უზარმაზარ მანძილზე დაშორებისა და საცობებისა, დღეში მაინც მოვასწრებ ოცდაშვიდ ადგილას მისვლას და ძალიან ბევრი საქმის გაკეთებას. აქ კი ორ საქმეს გავაკეთებ და მორჩა. ეს არც ცუდია, არც კარგი, უბრალოდ, აქ ასეთი მოცემულობაა. ამ ყოფით დეტალებს თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, აქ ყოფნა მსიამოვნებს. თბილისში მყავს ოჯახის წევრები, უამრავი მეგობარი. ალბათ, ერთ წელიწადს თუ გავატარებ აქ, მერე უკვე მეც მივეჩვევი.

**– არ ფიქრობ, ამერიკაში წასვლას? ამ რიტმიდან გამომდინარე, ალბათ, ამერიკაში თავს კარგად იგრძნობდი.**

– ხშირად ვსაუბრობთ ამ თემაზე, მოსკოვიდან სიამოვნებით წავიდოდი სადმე, მაგრამ არა იმიტომ, რომ იქ ცუდია, უბრალოდ, ადგილის შეცვლის, მრავალფეროვნების გამო. ნებისმიერ ადგილას წავიდოდი, თუნდაც ცოტა ხნით და არა იმიტომ, რომ პრობლემებს გავექცე. თბილისშიც ვცხოვრობდი რაღაც პერიოდი, ბაღი და პირველი კლასი აქ დავამთავრე. რაღაც უცნაური ბაღი იყო, მელიქიშვილის რომელიღაც ზედა ქუჩაზე, პირველი სამი კლასიც ბაღთან ერთად იყო. შვიდი წლის ვიყავი, მოსკოვში რომ წამიყვანეს.

**– გახსოვს ის პერიოდი?**

– სასტიკი რაღაცეები ხდებოდა *(იცინის).* ბაღთან დაკავშირებით ძალიან ცუდი მოგონებები მაქვს. მე, გიორგი შენგელაია და გიორგი ონიანი ვიყავით საშინელი ხულიგნები, სულ ვჩხუბობდით, მასწავლებლები გვცემდნენ. აუ, რაებს გვიშვრებოდნენ... დიდად ამ ბაღში არავის ვუყვარდით *(იცინის).*

**– მოსკოვში არ გქონია პრობლემები ქართველობის გამო, მით უმეტეს, ოთხმოცდაათიან წლებში?**

– როგორც კი ჩავედი, ეგრევე მივხვდი, რომ პრობლემები მექნებოდა. პირველ სექტემბერს სკოლაში მივედი თუ არა, რუსულად წესიერად ვერც ვლაპარაკობდი. მასწავლებელი მიხაკებით და ბავშვები „ბანტებით“ დამხვდნენ. მასწავლებელმა სკოლის შესასვლელ გერბზე იკითხა, რისი გერბიაო. იქიდან გამომდინარე, რომ გერბზე წმინდა გიორგი იყო გამოსახული, საქართველოს გერბია-მეთქი, ვთქვი. არადა, მოსკოვის გერბი ყოფილა. აი, იქიდან დაიწყო ყველაფერი *(იცინის).* მეც, რა თქმა უნდა, არაფერს ვთმობდი, თბილისში ეს არ მოსულა-მეთქი, რაღაცეებზე ვამბობდი და სულ ვჩხუბობდი. მეხუთე კლასამდე ყველა ჩემს თანაკლასელთან, დღეს უახლოეს მეგობრებთან ჩხუბი მოვასწარი. სულ ერთმანეთს ვცემდით. სერიოზული პრობლემები უკვე მერვე კლასიდან დაიწყო, როდესაც ნეოფაშისტური ტალღა დაიძრა, გამოჩნდნენ სკინჰედები. გავიგეთ, რომ ადამიანებს კლავდნენ რასის, კანის ფერის, თვალის ჭრილის, მუსიკის სტილის გამო. მთელი ფაშისტური მოძრაობა რეპერებიდან წამოვიდა, ადამიანებისგან, რომლებიც ერთი წლის წინ როკერებს იმის გამო სცემდნენ, რომ საყურეს ატარებდნენ. მერე უცებ ფაშისტები გახდნენ და რეპერების ცემა დაიწყეს. კოშმარი იყო. სუბკულტურული საკითხები ძალიან სერიოზულ, სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომელიც ახალგაზრდულ, ბავშვურ სისასტიკეზე იყო დაყრდნობილი. ბავშვური სისასტიკე და დაუნდობლობა კი ცნობილია. სკინჰედებს 88-ს ეძახდნენ. 88-ს რომ გაჭრი, SS გამოდის, მთელი ფილოსოფია იყო.

**– არ გეშინოდა?**

– რა თქმა უნდა მეშინოდა. ყოფილა შემთხვევები, გავქცეულვარ და უკან სკინჰედების ბრბო მომდევდა. თან, ყველაფერთან ერთად, სნოუბორდისტიც ვიყავი. მათ კი, სნოუბორდისტები ყველაზე მეტად ეზიზღებოდათ. სნოუბორდისტებს ჩაჩაჩული შარვლები, მკვეთრი ფერის სამოსი აცვიათ და ეს განსაკუთრებულ აგრესიას იწვევდა. სნოუბორდი მაშინ მქონდა, როცა ის მფრინავი თეფში ეგონათ *(იცინის).* ჩვენს სკოლაში სნოუბორდის ჩემპიონი, ძალიან ცნობილი ბიჭი სწავლობდა. მისი დახმარებით, ამერიკიდან ვიყიდეთ ეს სნოუბორდები. ძალიან სასაცილო იყო, იმდენ ხანს ვაგროვებდით ფულს, საჭმელს აღარ ვჭამდით. მოკლედ, ამ სნოუბორდებით სკინჰედებს ვუცემივართ, ჩვენც გვიცემია... მილიონნაირი რაღაც მომხდარა.

**– საშინელებაა.**

– არა, ეს მაინც ყმაწვილური რომანტიზმია – ეტაპი, რომელიც ყველა პატარა ბიჭმა უნდა გაიაროს.

**– ეს იმიტომ, რომ ტრაგედია არ მომხდარა, თორემ რომანტიზმიც ერთ წამში მოკვდებოდა.**

– გეთანხმები. სკინჰედებმა ახლა ფორმა იცვალეს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დაჯგუფებებად, პარტიებად გადაიქცნენ. მკვლელობები

**(გაგრძელება 67-ე გვერდზე)**

ბაკურიანი

# საუკეთესო საკვები ჩვენი თმისთვის

ჯანმრთელ საკვებსა და დიეტური კვების რეჟიმზე ბევრჯერ გსმენიათ. დღეს იმ საკვებზე მოგიყვებით, რომელიც ჯანმრთელი თმისთვისაა საჭირო.

თმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი პროტეინია, რასაც დიდი ოდენობით შეიცავს ორაგული და ამიტომაც არის სასარგებლო თმისთვის. ამას გარდა, ორაგულის შემადგენლობაში შემავალი ცხიმოვანი მჟავები არანაკლებ დადებითად მოქმედებს თავის კანის ჯანმრთელ მდგომარეობაზე.

ორაგულის გარდა, პროტეინების კარგი წყაროა კვერცხი და რძის პროდუქტები. კვერცხი $B_{12}$ ვიტამინს შეიცავს და თმის გარდა, ზოგადად ჩვენი სილამაზისთვისაც ძალიან სასარგებლოა.

იმისათვის, რომ თმები მსხვრევადი არ იყოს და საკმარისზე მეტი რაოდენობით არ დაგვცვივდეს, საჭიროა, ორგანიზმმა საკმარისი რაოდენობით თუთია მიიღოს. თუთიის კარგი წყაროა თხილი, ნიგოზი. თუთიის გარდა, თხილეული B ჯგუფის ვიტამინებითაც არის მდიდარი.

ძალიან სასარგებლოა ბოსტნეული. ბროკოლი და ისპანახი თქვენი კვებითი რაციონის საუკეთესო დამხმარეა, ვინაიდან ბროკოლის და ისპანახის მუქი მწვანე ფოთლები დიდი რაოდენობით A და C ვიტამინებს შეიცავს, რომლებიც ჩვენი თმების ტენიანობას უზრუნველყოფს.

ხშირად მიიღეთ ზეითუნის ზეთი, ვინაიდან ის ჩვენს ორგანიზმს E ვიტამინის საჭირო რაოდენობით ამარაგებს. ასე რომ, გააგრძელეთ სალათების ზეითუნის ზეთით შეკაზმვა.

და ბოლოს, არ დაგავიწყდეთ დღის განმავლობაში საკმარისი, უფრო სწორად, დიდი რაოდენობით „ბაკურიანის" დალევა. ხომ გახსოვთ ოქროს წესი: საშუალოდ 1.5 ლიტრი წყალი დღის განმავლობაში. ორგანიზმის გაუწყლოვანება, რომელიც ძალიან ნელ-ნელა და შეუმჩნევლად შემოგვეპარება ხოლმე, ყველაფერთან ერთად, თმის მდგომარეობაზეც ძალიან ცუდად აისახება.

**ანა თაყაიშვილი**





# სჭირდება თუ არა ქალს კაცის ერთგულების შესანარჩუნებლად გარეგნული მომხიბვლელობა

**ამბობენ, რომ ყველა ადამიანი თავად არის საკუთარი ბედის მჭედელი. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ხარ და როგორი გარეგნობის. მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ ლამაზებს მეტად უმართლებთ ცხოვრებაში, მაგრამ, რეალობა საპირისპიროს ამტკიცებს. ჩვენი ბებიები ამბობდნენ კიდეც – ქალი ლამაზი კი არა, ბედნიერი უნდა გაჩნდესო. ასეა თუ ისე, თუნდაც იმიტომ, რომ სილამაზე საკმაოდ ფარდობითი ცნებაა და არავინ იცის, ვისთვის ვინ არის ლამაზი. ამიტომ, ბედნიერების ძიების პროცესში, გარეგნობას კი არა, სხვა ღირსებებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტები. როგორც ქალების უმრავლესობა ამტკიცებს, მამაკაცი მარტივი არსებაა და, შეიძლება, სილამაზე უფრო მალე მოჰბეზრდეს.**

ლალიკო *(29 წლის)*: ბედნიერება, თურმე, უნდა დაიმსახურო, გარეგნობა აქ საერთოდ არაფერ შუაშია. ღმერთმა უნდა მოინდომოს შენი ბედნიერება, მარტო სილამაზე ვერაფერს გიშველის. კი ამბობენ, რომ ჩვენი ბედი თითოეული ჩვენგანის ხელშია, მაგრამ, ჩემი ცხოვრების მაგალითით ვამბობ, რომ ღვთის ნება და ძალაა გადამწყვეტი. ფიზიკური სილამაზე ძალიან მიმზიდველია თვალისთვის და მამაკაცები ხშირად პრიორიტეტად სწორედ ამას ირჩევენ გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ, მათი ბუნებიდან გამომდინარე, ძალიან მალე „უფუჭდებათ" მხედველობა.

**– ანუ, იმის თქმა გინდათ, რომ სილამაზეს ველარ ხედავენ?**

– დიახ. სწორედ ამის თქმა მინდა. კაცი ერთი შეხედვით არის მარტივი და უპრობლემო არსება. ქალი მთელი ცხოვრება ჯარისკაცივით სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს, თანაც ნებისმიერ ფრონტზე საბრძოლველად და ამ შემთხვევაშიც არა აქვს გარანტია, რომ არ უღალატებენ და არ მიატოვებენ. ამ ყველაფერზე რომ ვფიქრობ, ისე ვბრაზობ, ხმამაღლა ყვირილი მინდება. ვინც მხოლოდ ვიზუალურად მიცნობს, ფიქრობს, რომ არანაირი პრობლემა არ მაქვს. ასეთ ლამაზს რომელი კაცი ეტყვის უარს, ნეტავი მას, გარეგნობა მისცა ღმერთმა ისეთი, მის წინაშე ყველა გზა და კარი გახსნილიაო... – ასეთი სიტყვები ძალიან ხშირად გამიგონია ჩემი მისამართით. სინამდვილეში კი სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია.

**– არ მოგწონთ, კარგი გარეგნობა რომ გაქვთ?**

– როგორ არ მომწონს, მაგრამ, ადრე კიდევ უფრო მომწონდა და მეამაყებოდა ჩემი გარეგნობა. მეც ვიყავი იმ სტერეოტიპის ტყვე, რომ ლამაზებისთვის ცხოვრება ადვილია. მჯეროდა, რომ ბედნიერება სილამაზესავით დამყვა დაბადებიდან. მაგრამ, ცხოვრებაში გარეგნობა საერთოდ არ ყოფილა მთავარი. უფრო მეტიც, მას ერთი ძალიან ნეგატიური თვისება აქვს, როგორც იტყვიან – უკუჩვენება: პიროვნების შთანთქმა შეუძლია.

**– რას გულისხმობთ?**

– აგიხსნით: როცა ლამაზი ხარ და მიგაჩნია, რომ ეს სრულიად საკმარისია ადამიანების მოსახიბლავად, აღარ ავლენ იმ ღირსებებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში მიაქცევდი ყურადღებას და შეეცდებოდი, წინა პლანზე წამოგეწია, რადგან, ფიქრობ, მე ისედაც ყველას მოვეწონები და ყველა შემიყვარებსო. სხვა ქალები რომ ცდილობენ, კაცს თავი სხვადასხვა საშუალებით მოაწონონ – მოხიბლონ იუმორით, მახვილგონიერებით, კეკლუცობით, სითბოთი, მზრუნველობით, საბოლოოდ, ლამაზებზე უფრო მოგებულები რჩებიან. კაცმა, შეიძლება, ადვილად აგირჩიოს, მაგრამ, ასევე ადვილად გიღალატებს. ლამაზ ქალებსაც ღალატობენ. დიახ! მით უფრო, როცა თავისად დაგიგულებენ, შენი სილამაზე უკვე აღარ არის მიმზიდველი. ამიტომ სრული საფუძველი მაქვს, ვთქვა, რომ ქალური ბედნიერება არანაირ კავშირში არ არის სილამაზესთან. დარწმუნებული ვარ, ლამაზები არ გააპროტესტებენ ამას და ზუსტად მიხვდებიან, რისი თქმაც მინდა. ნეტავი, არასოდეს ეთქვათ ჩემთვის – „აუ, რა ძალიან ლამაზი ხარო.

**– მამაკაცები, ალბათ, ახლაც ხშირად გეუბნებიან ამას.**

– დიახ, მაგრამ უკვე აბსოლუტურად განსხვავებული რეაქცია მაქვს. ერთია, რომ აღარ მიხარია და მეორეც – მეცინება მამაკაცებზე. სხვათა შორის, ერთი ლექტორი მყავდა უნივერსიტეტში, რომელმაც მითხრა, თუ დაბადებიდან არ დაგყვა ბედი, შენი სილამაზე ცრემლების მეტს არაფერს მოგიტანსო. სულ ეს სიტყვები მახსენდება. უნდა შეიყვარო ის, ვინც შენი სილამაზის მიღმა დაგინახავს და აღმოგაჩენს. მაგრამ, კაცებს ქალის სილამაზე კიდევ უფრო უშლით ხელს რეალობის აღქმაში.

**– ანუ, მამაკაცია დამნაშავე?**

**ქალი მთელი სიცოცხლის განმავლობაში მზადყოფნაში უნდა იყოს ნებისმიერ ფრონტზე საბრძოლველად. ამ შემთხვევაშიც არ აქვს გარანტია, რომ არ უღალატებენ და არ მიატოვებენ**

– დიახ და დაგიკონკრეტებთ, რაში: მამაკაცი, ზოგადად, ძალიან ბევრ რამეშია დამნაშავე. მაგალითად, ქალების დაკომპლექსებაში, ქალების დაჩაგვრაში, ოღონდ, ჩაგვრაში ძალიან ფართო სპექტრი იგულისხმება, მარტო სამსახურში გაშვება-არგაშვებაზე ან მოკლე კაბის ჩაცმა-არჩაცმაზე არ არის ლაპარაკი, პრობლემა გაცილებით ღრმაა და სერიოზული. მე მიყვარს ჩემი ქმარი. საკმაოდ ახალგაზრდა ვარ იმისთვის, რომ ასეთი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდე ცოლქმრულ ურთიერთობას. 26 წლის გავთხოვდი და ოთხი წელია, ოჯახი მაქვს. სამწუხაროდ, მხოლოდ ორი თვის წინ აღმოვაჩინე, რომ ჩემი სილამაზე ჩემი ქმრისთვის უბრალო გასართობი ყოფილა. ჭირვეული ბავშვივით დაიღალა, მოჰბეზრდა ეს „ერთფეროვნება" და ახალ გასართობს დაუწყო ძებნა. მე გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ჩემი სილამაზე ღალატისგან დამიცავდა, მაგრამ, გარეგნული მომხიბვლელობა არ ყოფილა საკმარისი მამაკაცის ერთგულების შესანარჩუნებლად. ჩემმა ქმარმა ყველაფერი გააკეთა, რომ ჩემი შესაძლებლობების რწმენა დამეკარგა. დამაკომპლექსა და თვითშეფასების კრიტერიუმი დამიქვეითა. შეიძლება, გიკვირთ, როგორ უნდა დააკარგვინო თვითშეფასების უნარი ქალს, რომელიც საკუთარი თავით, საკუთარი გარეგნობით კმაყოფილია. მაგრამ, მამაკაცებს აქვთ ამის უნარი, ყველაზე ლამაზ ქალსაც კი დააჯერონ, რომ არაფერს წარმოადგენს.

**– ქმარი გეუბნებათ ამას?**

– კონკრეტულ სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს? ნელ-ნელა, წვეთ-წვეთობით, მცირე დოზებით მაწვდის შხამს და მეც დებილივით ვყლაპავ. წელიწადზე მეტია, ეს გრძელდება, მე კი მხოლოდ ახლა გამოვფხიზლდი. შეყვარებული ვიყავი და ვერ ვამჩნევდი. მეამაყებოდა, რომ ჩემს ქმარს შეეძლო, ჩემით თავი მოეწონებინა, ის კი, თურმე, არაფრად მაგდებდა. ისეთი მესიჯები ვნახე, სხვა ქალს რომ სწერდა, შოკში ვარ. როგორ შეეძლო, ასეთი რამ გაეკეთებინა?

**– ვინ ქალს სწერდა მესიჯებს?**

– ვიღაცას, რა მნიშვნელობა აქვს? გარეგნობით ჩემზე ბევრად ნაკლებს „აბამდა" და ხოტბას ასხამდა მის ფიზიკურ მონაცემებს. ისე მწარედ ვიტირე, ეს ყველაფერი რომ წავიკითხე... ჩემი ქალობა ეგრევე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

**– რატომ? თქვენი ქალობა რა შუაშია თქვენი ქმრის უზნეობასთან?**

– ეჰ, ახლა კი ვხვდები, რომ არაფერ კავშირში არ არის, მაგრამ, ისეთი სულიერი ტკივილი განვიცადე... ახლაც არ ვარ კარგად. ჩემი საყვარელი ქმარი უკანასკნელი ნაძირალასავით მომექცა, საერთოდ არაფრად ჩამაგდო. პირველივე იაფფასიანი ძუკნა ამჯობინა ცოლს და მიწასთან გამასწორა. რა სამწუხაროა, რომ არაფრისგან არ ვართ დაზღვეულები. ვინ, როდის, სად და რაში გიმუხთლებს, ვერ გაიგებ. გულისმომკვლელი იყო ის ფრაზები, რომლითაც იმას ამკობდა. ჩემზე კი ისეთ რაღაცეებს წერდა, ცოლზე კი არა, ერთი ღამე რომ აქვს ქალთან გატარებული, იმაზე არ იტყვის ღირსეული კაცი. იცით, ყველაზე ძალიან იმის გაცნობიერება მიჭირს, რომ უღირსის გვერდით ვცხოვრობდი და ვცხოვრობ.

**– გაშორდით, მერე...**

– ასე მარტივად რომ არ არის საქმე?! ჩემი ქმარი მემუქრება, თუ ჩემგან წახვალ, სახელს გაგიტეხო. მპირდება, ყველას ეტყვის, რომ უზნეო ვარ – ჩემს გარეგნობას კაცების მოსახიბლ-

# როგორ ეხმარება ცოლი ქმარს ქართველი მამის პოვნაში და ვის ეძებენ რუსეთიდან საქართველოში

***30 წლის ალისა კოსოვა და ანტონ მირონოვი ეძებენ დაახლოებით 51-52 წლის ამირან მაღლაკელიძეს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემი მეუღლის, ანტონ მირონოვის მამას – დაახლოებით 51-52 წლის ამირან მაღლაკელიძეს. ჩემს მეუღლეს მამა არ უნახავს, რადგან, ის სამი თვის იყო, როდესაც მისი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. ამირანი დაბრუნდა თავის სამშობლოში, საქართველოში და 1980 წლიდან მის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ ჰქონიათ. ძალიან მინდა, დავეხმარო ჩემს ქმარს და მამა ვაპოვნინო. იმედი მაქვს, ამირანიც მოინდომებს შვილთან დაკავშირებას.

**– გვიამბე თქვენი ისტორია, როგორ დაკარგა მამა-შვილმა ერთმანეთი და როგორ მოხდა, რომ შენ ეძებ მამამთილს?**

– მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთი ორი წლის წინ გავიცანით, შეგვიყვარდა და დავოჯახდით. აღმოჩნდა, რომ ჩემი მეუღლის ბიოლოგიური მამაც ქართველია, ისევე, როგორც ჩემი. ანტონი სამი თვის იყო, როდესაც მისი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. მამამისის შესახებ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ის ამჟამად დაახლოებით 51-52 წლის უნდა იყოს. ანტონის მშობლებმა ერთმანეთი ბელოგორიის რაიონში, ამურის მხარის სოფელ ტომიჩიში გაიცნეს. სწორედ იქ გადიოდა სამხედრო სამსახურს ამირან მაღლაკელიძე დაახლოებით 1978-1979 წლებში. ანტონის დედამ, ნინამ, შვილს დაბადებისთანავე თავისი გვარი მისცა და ის მირონოვია. ჩემი მეუღლე ამჟამად უკვე 32 წლისაა და მას მამა არასდროს უნახავს. მე ძალიან მინდა, მამის პოვნაში დავეხმარო, მაგრამ, დამოუკიდებლად ეს ვერ შევძელი.

**– კიდევ რა იცით მეუღლის მამის შესახებ და თავად თქვენმა ქმარმა თუ იცის, მამამისს რომ ეძებთ?**

– ანტონმა იცის, რომ მამამისს ვეძებ და



მას ეს ძალიან უხარია. მას მამისგან არაფერი უნდა, გარდა იმისა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც ნახოს. დარწმუნებულები ვართ, ამირანს აქვს თავისი ოჯახი და შვილებიც ეყოლება, მაგრამ, ვფიქრობ, ცუდი არაფერია იმაში, რომ დაუკავშირდეს თავის ვაჟიშვილს. მე არაერთხელ ვთხოვე ჩემს ქართველ ნათესავებს (მამის მხრიდან), რომ დამხმარებოდნენ ამირანის პოვნაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ის ვერ იპოვეს. ამიტომ, დახმარებას თქვენ გთხოვთ. ჩემს დედამთილს მხოლოდ ის ახსოვს, რომ ამირანი ცხოვრობდა თბილისში, დიღმის რაიონში, უფრო კონკრეტული მისამართი ჩვენთვის უცნობია.

**– ესე იგი, თქვენც და თქვენს მეუღლესაც ქართული ფესვები გაქვთ და ამის შესახებ მხოლოდ ქორწინების შემდეგ გაიგეთ?**

– დიახ ***(იცინის).*** მართლაც საინტერესოა, მაგრამ, ამის შესახებ მანამდე არც ერთს არ გვისაუბრია და, აღმოჩნდა, რომ მეც და ანტონიც ქართველები ვართ. საბედნიეროდ, მე ვიცნობ მამაჩემს, მაგრამ, ანტონს ეს ბედნიერება ჯერ არ ჰღირსებია. ამიტომ მინდა, რომ მამა ვაპოვნინო. დიდი იმედი მაქვს, მამამისიც მოინდომებს მასთან დაკავშირებას, რადგან ის მართლაც არაჩვეულებრივი ბიჭია. თანაც, ორივეს ქართული გარეგნობა გვაქვს, ანტონს – მით უმეტეს. სულ გვაინტერესებს, ჰყავს თუ არა ჩემს მეუღლეს საქართველოში ნახევარდები ან ნახევარძმები, ჰგვანან ისინი ერთმანეთს თუ არა. ნამდვილად კარგი იქნებოდა, მათაც სცოდნოდათ, რომ ნახევარძმა ჰყავთ.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

ავად ვიყენებ და ყველას ლოგინში ვუწვები. ესეც ფსიქოლოგიური ტერორის ერთ-ერთი მეთოდია მისი მხრიდან. შვილიც ამ ფსიქოლოგიური ტერორით არ გამაჩენინა. ახლა კი დედაჩემისთვის უთქვამს, თითქოს შვილი იმიტომ არ გავაჩინე, რომ ჩემი გარეგნობისთვის ზიანი არ მიმეყენებინა.

**– და, ასეთ კაცთან უნდა განაგრძოთ ცხოვრება?**

– ამ ეტაპზე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ყველაფერზე წამსვლელი რომ არის, ეს ჩემთვის უკვე ნათელია. უკადრებელი იკადრა და რისი

## ორი თვის წინ აღმოვაჩინე, რომ ჩემი სილამაზე ქმრისთვის მხოლოდ გასართობი ყოფილა

მოერიდება?! როცა ვუსმენ, ვერ ვიჯერებ, რომ ამ ყველაფერს ჩემი საყვარელი ქმარი ლაპარაკობს... ერთ დროს საყვარელი, რა თქმა უნდა. სწორად გამიგეთ, ძალიან ახალგაზრდა ვარ იმისთვის, რომ დარჩენილი ცხოვრება სიმარტოვეში გავატარო.

**– რატომ გაატარებთ სიმარტოვეში? შეხვდებით მამაკაცს, რომელიც თქვენს სილამაზესაც დააფასებს და სხვა ღირსებებსაც.**

– ძალიან მეპარება ეჭვი და, გეტყვით, რატომაც: ჯერ ერთი, მამაკაცების რუხ მასაში ღირსეული კანდიდატურის ძიებისა და ურთიერთობის სურვილი აღარ მაქვს, რატომღაც, მგონია, რომ ასეთები სანთლით საძებრები არიან. ყველა მხოლოდ ჩემს მკერდსა და ფეხებს ხედავს და, როცა სახეზე მსუნაგ ღიმილს ვამჩნევ, გულისრევის შეგრძნება მიჩნდება. მეორე მიზეზი არის ის, რომ გადავწყვიტე, ყველაფერი გავაკეთო ჩემი პიროვნული რეალიზებისთვის. მინდა, მამაკაცების გულის გასახეთქად, რაღაცას წარმოვადგენდე. იცით, როგორი ბოღმა მაქვს მათ მიმართ?! ვინ დაარქვა ძლიერი სქესი, ერთი, იმის ტვინში ჩამახედა. მარტო მე ხომ არ ვარ ამ დღეში?! მამაკაცებს მესაკუთრეობის განცდა პათოლოგიაში გადაუვიდათ. სულერთია, როგორი ცოლები ჰყავთ: ლამაზები, ახალგაზრდები, წარმატებულები თუ წინსაფარმოუხსნელი დიასახლისები, ცოლი მათთვის შინამოსამსახურეა – ამ სიტყვის ფართო გაგებით. იმსახურებენ, ბოლომდე იყენებენ, თან კი ღალატობენ და თავსაც აყვედრიან.

**– ყველა ოჯახში ასე არ ხდება.**

– შესაძლოა, მაგრამ, მე ბედნიერ წყვილებს იშვიათად ვხედავ. რა ვქნა, შეიძლება, ახლა ასეთი განწყობა მაქვს და იმიტომ ვფიქრობ ასე. ერთს კი ცხადად ვამჩნევ – ჩემს თვალებში ნაპერწკალი აღარ ანთია, ის ნაპერწკალი, რომელიც ქალს განუმეორებლობას ანიჭებს. იყავი ლამაზი – რა აზრი აქვს? მაინც გიღალატებენ და მიგაგდებენ, გამოყენებული და მობეზრებული ნივთივით.

**– და მაინც, ალბათ, სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ ლამაზი ხარ.**

– ახლა უკვე ველარ დაგეთანხმებით. მე აღარ მსიამოვნებს ჩემი სილამაზე. არ ვარ ბედნიერი და აღფრთოვანებული. სიცოცხლის ხალისს რომ დაკარგავ, მერე რაღა მნიშვნელობა აქვს, როგორ გამოიყურები?!

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**წარმოუდგენელი რაღაც დამემართა. შეყვარებული ვარ, თანაც, პატარა გოგოსავით, თავდავიწყებით. არადა, კარგა ხანია, ქმარი მყავს და მასთან თავს კარგად ვგრძნობ. ნორმალური, სტაბილური ოჯახი გვაქვს, იცით, როგორი განცდა დამეუფლა? თითქოს ისევ ჩვიდმეტი წლის ვარ. ემოციებს ვერ ვუმკლავდები. ისიც ცოლიანია. ხანდახან, ცოტა ხნით ვხვდებით ერთმანეთს. სერიოზული არაფერი გვაქვს, მხოლოდ მოკრძალებული ალერსის უფლებას ვაძლევ მასაც და საკუთარ თავსაც, სახლში დაბრუნებულს კი სინდისის ქენჯნა მკლავს. საკუთარ თავს ვეუბნები, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. პირობასაც ვდებ, რომ „იმას“ აღარ შევხვდები, მაგრამ, ცდუნებას ვერ ვძლევ. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** კარგად დაფიქრდით, რა უფრო მეტია თქვენს ამ ურთიერთობაში – ნამდვილად სიყვარული თუ სურვილი იმისა, თავი ისევ ახალგაზრდა, სასურველ ქალად იგრძნოთ. ასევე, გააანალიზეთ, რა გაკლიათ ქმართან ურთიერთობაში. იქნებ, სწორედ რაღაცის დეფიციტი (შეიძლება, რომანტიზმის) გიბიძგებთ ამ რომანისკენ? ოჯახი გაცილებით ღირებულია და მის შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ეკა ბერიძე გარკვეული პაუზის შემდეგ ტელეეკრანს დაუბრუნდა და თოქ-შოუს წამყვანის ამპლუაში მოგვევლინა. თუმცა, ამბობს, რომ პროფესიულ პაუზას დეპრესიაში არ ჩაუგდია და ეს დრო ნაყოფიერად გამოიყენა. როგორც ყველა ტელეჟურნალისტს, ოჯახის წევრებისთვის ნაკლები დრო რჩება – ოჯახის წევრებიც ამ ამბავს „გაგებით ეკიდებიან".**

# ვინ ცდილობდა ეკა ბერიძის პოლიტიკურ ანგაჟირებას და რა არ იცოდა მან საკუთარ ვაჟზე

**– ეკა, ამდენი წელია, ჟურნალისტიკაში მუშაობთ, თქვენს სახელს ბევრი ამბავი უკავშირდება. არასოდეს გინანიათ პროფესიული არჩევანი?**

– როგორ გითხრათ, შეიძლება ზოგჯერ მინანია, რადგან ძალიან მენატრება მშვიდი ცხოვრება, რაც ჩვენი პროფესიის თანმდევი ნამდვილად არასოდეს არის. ამიტომ მინანია მარტო მაშინ, როცა ძალიან ვიღლები. თუმცა, იმ საქმეს ვაკეთებ, რომელიც ძალიან მიყვარს და სხვა რამის კეთება ამ ეტაპზე, ვერ წარმომიდგენია. მაგრამ, არც ის მიმაჩნია სწორად, რომ ადამიანი რამით შეიზღუდოს და თქვას, მხოლოდ ერთი რამის კეთება იცის და სხვას არაფერს არასდროს გააკეთებს. არ არის გამორიცხული, ერთ დღეს სრულიად სხვა საქმით დაკავება მომინდეს ***(იცინის)***. რომ არა ჟურნალისტიკა, ნამდვილად არ ვიცი, დღეს სად ვიქნებოდი. განათლებით ჟურნალისტი არ ვარ, კლასიკური ფილოლოგია მაქვს დამთავრებული და ძალიან მინდოდა, სამეცნიერო კუთხით საქმიანობის გაგრძელება. პრინციპში, მაგისთვის ვემზადებოდი, მერე ძალიან სპონტანურად მოხდა ყველაფერი, ტელევიზიაში მოვხვდი და მეცნიერებისთვის დრო აღარ დამრჩა, სამწუხაროდ. ჩემი მშობლები ექიმები იყვნენ და უნდოდათ, მეც ექიმი გავმხდარიყავი. მე კი საერთოდ არ მაინტერესებდა მედიცინა.

**– რაში გზღუდავთ ტელეჟურნალისტიკა ყველაზე მეტად?**

– თავისუფალი დროის განკარგვა არ შემიძლია ისე, როგორც მე მინდა – სამსახური მართავს ჩემს დროს და არა პირიქით. მე ვარ „ტელევიზიაზე დამოკიდებული", მით უმეტეს, ჩემი რეჟიმის პირობებში, როცა ყოველდღიური გადაცემაა, საღამოს გადის ეთერში და მე საერთოდ არ მაქვს საღამო! ნორმალურ ადამიანებს საღამო აქვთ თავისუფალი, მე არა..

**– თვითკრიტიკული ხართ?**

– სხვათა შორის, საშინლად თვითკრიტიკული ვარ – ბევრად უფრო მკაცრი საკუთარი თავის, ვიდრე სხვების მიმართ. საშინლად მტკივნეულად ვრეაგირებ კრიტიკაზე, ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე ადამიანის აზრი მეტად ავტორიტეტულია, ან ნაკლებად. ყველას ერთნაირად განვიცდი, ერთადერთი ვარჩევ, როდის არის კრიტიკა ობიექტური და როდის – რაღაც სხვა ემოციები, მაგალითად, ლანძღვა.

**– თქვენ გარკვეული პროფესიული პაუზა გქონდათ და არ გაგიჭირდათ შემდეგ ჟურნალისტიკაში დაბრუნება?**

– ვერ ვიტყვი, არანაირ განსაკუთრებულ სირთულეებთან არ ყოფილა ეს პერიოდი დაკავშირებული. მეტი თავისუფალი დრო მქონდა, თუმცა უქმად არ დამიკარგავს – ვსწავლობდი, გავიარე რამდენიმე კურსი, დავამთავრე ბიზნესის ადმინისტრირებაში მაგისტრატურა „თავისუფალ უნივერსიტეტში". მიუხედავად იმისა, რომ ურთულესი სწავლა იყო და ღამეებს ვათენებდი, მაინც მეტი დრო მქონდა, ვიდრე ახლა მაქვს და ოჯახიც მაქსიმალურად მიწყობდა ხელს. სხვათა შორის, კახა ახლა, მისი რეჟიმიდან გამომდინარე, ნაკლებად უყურებს ჩემს გადაცემას, თორემ ადრე, როცა ჩემი უშუალო ხელმძღვანელი იყო, მუდმივად ადევნებდა თვალ-ყურს და საკმაოდ კრიტიკულიც იყო ჩემ მიმართ. კახა საერთოდ ძალიან კრიტიკული ადამიანია – მთიულ-გურულის ნაზავია და ცოტა არ იყოს, „ფეთქებადი ნაერთია" ***(იცინის).*** ძალიან პირდაპირი და ობიექტურია, არავითარ შემთხვევაში, მოუხეშავი და ხეპრე, ყოველთვის ზუსტია და კონკრეტული. ბოლო ხმამდე ჩხუბი ნამდვილად არ გვაქვს, გამწვავებულ ჩხუბამდე არ მიდის საქმე. თუმცა, მიმაჩნია, რომ ჩხუბი განმუხტვაა, ის ურთიერთობას ინარჩუნებს და არა პირიქით, როგორც ბევრს ჰგონია. სადაც ჩხუბი საერთოდ არ არის, იქ სიგნალი ინთება, რომ ადამიანებს უკვე აღარ აინტერესებთ ერთმანეთი.



**იყო პერიოდი, რომ ბოტოქსს ვიკეთებდი, მაგრამ ღიმილი ძალიან ხელოვნური გამიხდა, თვალი სტატიკური, რაც არ მომწონდა და ამიტომ, უარი ვთქვი ბოტოქსზე საბოლოოდ**

**– ეკა ბერიძე ოდესმე თუ იფიქრებდა პოლიტიკაში წასვლაზე?**

– არა, გმადლობთ, ისიც მეყოფა, რომ ვარ ჟურნალისტიკაში, რომელიც პოლიტიკასთან ძალიან ახლოსაა და დამღლელია. მეეჭვება, რომ ოდესმე პოლიტიკაში წასვლა მომინდეს. ერთადერთი, თუ ოდესმე იქნება ისეთი კრიტიკული მომენტი და ვიფიქრებ, რომ არიქა, თუ პოლიტიკაში არ ჩავერთე, ქვეყანა დაიღუპება და პასუხისმგებლობა უნდა ავიღო-მეთქი. ბევრი შემოთავაზება მქონდა არჩევნებამდე, მაგრამ უარი ვთქვი. უშუალოდ პრემიერ-მინისტრისგან არ მქონია შემოთავაზება.

**– ეკა ბერიძეს რთული ხასიათი აქვს?**

– ნამდვილად, არც ისე იოლი. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველასთან მე მიწევს კომპრომისზე წასვლა, მათ შორის ოჯახის წევრებთანაც. თანამშრომლებთან არ ვარ მაინცდამაინც მკაცრი, თუმცა ახლა ძალიან რთული რეჟიმი გვაქვს.

**– ხშირ შემთხვევაში, არ მიწყინოთ, მაგრამ ამბობენ, „მეცხრე არხი" საკმაოდ სუსტია და კონკურენციას ვერ უწევს სხვა არხებსო.**

– არანაირად, რატომ? ვერ დაგეთანხმებით. რეიტინგებს თვალყურს ვადევნებ და ბოლო ჩვენი გადაცემა, მაგალითად, „ვოისის" შემდეგ, მეორე ადგილზე იყო. ტელევიზიებში თოქ-შოუების საშინელი პროფიციტია და შეიძლება, მაყურებელს მოჰბეზრდეს ამდენი ერთნაირი თოქ-შოუ და მოითხოვოს გასართობი გადაცემები.

**– თქვენს ვაჟზე, ბექაზე მინდა გკითხოთ, მას ამნისტია შეეხო?**

– მასზე სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა ბოროტი ხულიგნობის მუხლით. თუმცა, მის საქმეს ამნისტია შეეხო და სასამართლო პროცესებიც შეწყდა. ძალიან რთულად გადასატანი იყო ჩემთვის ეს ყველაფერი, როგორც დედისთვის, რა თქმა უნდა. მით უმეტეს, რომ ბექას განზრახ დაუმძიმეს მუხლი და სხეულის მსუბუქ დაზიანებას განზრახ მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაცია მიანიჭეს, მაშინ როდესაც დაზარალებული საავადმყოფოში ერთი დღეც კი არ გაუჩერებიათ. განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია მისცეს ზუსტად იმისთვის, რომ საქმე ინტერპოლისთვის გადაეცათ. ბექა ინტერპოლმა დააკავა ბელორუსის საზღვარზე და 3 თვეზე მეტი ბელორუსის ციხეში გაატარა. მე თბილისში ვიყავი და ყოველდღე ისე თენდებოდა და ღამდებოდა, წარმოდგენა არ მქონდა, როგორ იყო – ცოცხალი იყო თუ არა. მარტო ადვოკატს ვეკონტაქტებოდით, ისიც მეილის საშუალებით. ჩასვლასაც ვერ ვახერხებდით, რადგან წინა ხელისუფლების პირობებში ეს გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ძალიან მძიმე პერიოდი გადავიტანე. მთელი რიგი პროცედურები დასჭირდა იმას, რომ მუხლის კვალიფიკაცია შეცვლილიყო და აღმკვეთი მოხსნოდა ბექას, რადგანაც ბელორუსის ციხიდან არ უშვებდნენ და პროცესზე დასწრებას ვერ ახერხებდა. ყველაზე მტკივნეული იმ ადამიანების განცხადებები გახლდათ, რომლებიც თავს რატომღაც ჩემს პოლიტიკურ ოპონენტებად მიიჩნევენ, არადა მე არ ვარ პოლიტიკოსი და ვერავინ იტყვის, რომ მხარეს წარმოვადგენ გადაცემებში. რატომღაც მათ ოპოზიციონერ ჟურნალისტად გამომაცხადეს. ამ თემაზე ფიარის აგება უკანასკნელ საქმედ და გულნამცეცობად მიმაჩნია.

**– თქვენი დედაშვილური ურთიერთობა როგორია?**

– ორივე შვილთან ახლო ურთიერთობა მაქვს, ბექასთან უფრო მეგობრული, ლამის ერთად გავიზარდეთ. საკმაოდ პატარა ვიყავი, 21 წლის, ბექა რომ გამიჩნდა, მარიამი 10 წლის ხდება და მასთან უფრო დედაშვილური ურთიერთობა მაქვს, ბექასთან – მეგობრული. მაინც მგონია, რომ ასეთ პატარა ასაკში ბავშვის გაჩენა შეცდომაა, მეგობრებთან გინდა ყოფნა, გარეთ გასვლა და ბავშვს აკლდება რაღაცეები. ბექას ჩემი დეფიციტი ჰქონდა, ალბათ, მაშინ „რუსთავი 2-ში" ვმუშაობდი, გიჟი რეჟიმი მქონდა და ბექა ბებიასთან იზრდებოდა, ფაქტობრივად, ჩემთან კვირის ბოლო იყო. ამიტომ მიმაჩნია, რომ შვილს რაღაც დავაკელი. მარიამის შემთხვევაშიც, პრინციპში, ასეა. ბექას 2 წელია, მეუღლე ჰყავს. ძალიან კარგი რძალი მყავს, ისე მიყვარს, ბექა ეჭვიანობს კიდეც ხშირად. არაფერი დაუმალავს ჩემთვის, როგორც კი ურთიერთობა დაიწყო, ყველაფერი ვიცოდი. მარიამი უფრო გულჩათხრობილი და მორიდებულია. ამიტომ მგონია, რომ რაღაცეებს მიმალავს. მგრძნობიარე ბავშვია და ცოტა მიჭირს, რომ გავხსნა. სხვა მხრივ უპრობლემო ადამიანია. ზოგჯერ მეუბნებიან, რომ ზედმეტად გადაფოფრილი დედა ვარ და ვცდილობ, მათი წილი პასუხისმგებლობები ჩემს თავზე ავიღო.

**– „რუსთავი 2-ის" ჟურნალისტებიდან კიდევ თუ მეგობრობთ ვინმესთან?**

– თამრიკო რუხაძესთან, ნათია ლაზაშვილთან, რომლის მეუღლე – გოგა ფრუიძე ბექას მამის მეგობარი იყო. ბექას მამა აღარ არის ცოცხალი. ძალიან დაგვეხმარა გოგიტა, როცა ბექა ბელორუსში იყო დაპატიმრებული. ჩავიდა იქ და ამბავი ჩამოგვიტანა, როგორ და სად იყო ბექა.

**– ეკა, კორექტივები ხშირად შეგაქვთ საკუთარ გარეგნობაში?**

– ადრე უფრო ხშირად ვატარებდი ექსპერიმენტებს, ახლა – ნაკლებად. პირველმა გავიდიდე ტუჩი, ერთი ამბავი ატყდა ამაზე. ოღონდ ნემსით შემიყვანეს გელი, მითხრეს, რომ 2-3 წელი დარჩებოდა, მაგრამ არ გაიწოვა და აგერ უკვე 12 წელია მაქვს ***(იცინის).*** იყო პერიოდი, რომ ბოტოქსს ვიკეთებდი, მაგრამ ღიმილი ძალიან ხელოვნური გამიხდა, თვალი სტატიკური, რაც არ მომწონდა და ამიტომ უარი ვთქვი ბოტოქსზე საბოლოოდ. 9 წელია, აღარ გამიკეთებია, არ მომწონს, როცა ღიმილი მეყინება. ამ ეტაპზე რადიკალურ ჩარევებს არ მივმართავ. თმაც კარგა ხანია, ამ ფერზე მაქვს და სხვათა შორის, ზამთარში არასოდეს ვირუჯები.

**– მეუღლე რით განებივრებთ ხოლმე?**

– ჩვენ იმ ასაკში აღარ ვართ, რომ განსაკუთრებულად გამანებივროს რამით – ჩვეულებრივად. ამას წინათ, ბარსელონაში ვიყავით და კარგი დრო გავატარეთ. თუმცა, უცხოეთში წასვლასაც იშვიათად ვახერხებთ.

**ქეთი დიდებულიძე**

# რით იყო ცნობილი ბაზარი „ერევანსკის მოედანზე" მეცხრამეტე საუკუნის თბილისში და სად მდებარეობდა თბილისის პოლიცმეისტერის კანცელარია

*თბილისის ცენტრალურ მოედანს, ისტორიის განმავლობაში რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება და ამჟამად თავისუფლების მოედანი ეწოდება. ისტორიულ წყაროებში არაერთი საინტერესო ცნობა უკავშირდება მოედნის შექმნას და მის შემდგომ არსებობას, რასაც ძველი ფოტოების დახმარებით გავაცოცხლებთ.*

## თავისუფლების მოედანი

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პლატონ იოსელიანის ცნობით, დღევანდელი მოედნის ჩრდილოეთ მხარეს, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ხელოვნების მუზეუმია, მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს, ლევან მეფის ქარვასლა იდგა. ის საკმაოდ დიდი ყოფილა და ოთხმოცამდე სადგომს მოიცავდა. მისივე ცნობით, ქარვასლა თურქებს დაუნგრევიათ 1724 წელს. ვახუშტისა და მეთვრამეტე საუკუნის 80-იან წლებში შედგენილ თბილისის გეგმებზე მოედნის ტერიტორია სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ბაღებით იყო გარშემორტყმული. ვახუშტის მიხედვით, აქ იყო მეფის, დედოფლისა და მამასახლისის ბაღები. პიშჩევიჩის, 1785 წლის გეგმაზე კი, მეფისა და დედოფლის ბაღების გარდა, გიორგი ბატონიშვილის ბაღიც არის აღნიშნული. ვახუშტი ბატონიშვილს ამ ადგილებში ერთადერთი შენობა აქვს ნაჩვენები, რომელსაც „ბეჟანის ქარვასლას" უწოდებს. ის დაახლოებით იქ იდგა, სადაც ახლა ქალაქის საკრებულოს შენობაა.



„ერევანსკის მოედნის" ერთ-ერთი პირველი ფოტო, ხედი პოლიცმეისტერის კანცელარიაზე (1850-იანი წლები)



„საქალაქო სახლის" შენობა, ამჟამინდელი თბილისის საკრებულო (1910-იანი წლები)

მოედნის ინტენსიური განაშენიანება მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო. მოედნის დღევანდელი მოშენება, რამდენიმე ნაგებობის გარდა, მეცხრამეტე საუკუნეშია ჩამოყალიბებული და სტილისტურად საკმაოდ ჭრელ სურათს ქმნის. ადრინდელ შენობათაგან, ჩვენამდე მოაღწია 1824 წელს აგებულმა კავკასიის კორპუსის შტაბმა. შენობის არქიტექტურა რუსული კლასიციზმის ნიშნებს ატარებს. მოედნის მოპირდაპირე მხარეს, გალავნის გასწვრივ ერთორსართულიანი სახლები იდგა, იმდროინდელი თბილისისთვის დამახასიათებელი შეკიდული აივნებით, რომელთაც აჟურული ორნამენტებით შემკობილი მოაჯირები და ტიმპანები ამშვენებდა. ერთ ასეთ სახლში 1829 წელს ალექსანდრე პუშკინი გაჩერებულა.



„ერევანსკის მოედანი" (ა. როინაშვილის ფოტო, 1890-იანი წლები)

მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში მოედნის შუაგული გასაყიდი შეშის ურმების გასაჩერებელი ადგილი იყო. კვირაობით კი დიდი და აურზაურიანი ბაზრობა იმართებოდა. მოედანზე პრაქტიკულად ყველაფერი იყიდებოდა: მწვანილი, ფართალი, ავეჯი, ოთხფეხა საქონელი, ქათიბი, მუნდირი, შეშა, თივა და ბუკინისტური წიგნებიც კი. როდესაც მიხეილ ვორონცოვის ბრძანებით, 1847 წელს თამამშევმა მოედანზე თეატრი და ქარვასლა ააგო, ბაზარი ცოტა ქვევით დასწიეს, სწორედ იქ, სადაც ახლა პუშკინის სკვერია. ბაზრის ხალხის მოსაზიდად და გასართობად, ბაზარში „ბალაგანები" იყო გამართული. აქ იაფფასიანი ცირკის არტისტები ოინბაზობდნენ. ერთ მხარეს ჯამბაზი გადიოდა თოკზე, მეორე მხარეს ცნობილი აბელა იდგა ოჩოფეხებზე და ხალხს აცინებდა. ამ ბაზარს ჩოჩქოლი და ღრიანცელი არ აკლდა. დღე ბაზრობა იყო, საღამოთი ცირკი. „ერევანსკის მოედნის" ბაზარმა 1885 წლამდე იარსება, იმავე წლის 23 ივნისიდან ბაზარი ვერაზე გადაიტანეს, ხოლო ბაზრის ადგილზე ბაღი გაშენდა, რომელსაც დღეს პუშკინის სკვერად ვიცნობთ.

1830-იან წლებში მოედნის სამხრეთ მხარეზე, იქ, სადაც ადრე „ბეჟანის ქარვასლა" იდგა, ააგეს ქალაქის პოლიციის განყოფილების შენობა, პოლიცმეისტერის კანცელარიით. შენობას სახანძრო-სამეთვალყურეო კოშკიც ჰქონდა, თუმცა ერთი უსახური ნაგებობა იყო, რომელსაც არანაირი არქიტექტურული ღირებულება არ გააჩნდა. 1851 წელს მოედანზე, პოლიციის წინ, გაკეთდა შადრევანი, რომელიც სოლოლაკის წყაროებიდან მარაგდებოდა წყლით. პოლიცმეისტერის კანცელარია და პოლიციის განყოფილება ამ შენობაში 1879 წლამდე იყო. 1878 წელს გამოცხადდა კონკურსი შენობის „საქალაქო სახლად" გადაკეთების პროექტზე. კონკურსში გაიმარჯვა არქიტექტორ პაულ შტერნის პროექტმა. გარე არქიტექტურაში ასახულია იმ დროისთვის დამახასიათებელი ტენდენცია, ეგრეთ წოდებული „ეგზოტიკური" სტილის შექმნისა. 1910 წელს შენობას დააშენეს, ხოლო 1912 წელს – გააფართოეს. ამჟამად ის თბილისის საკრებულოს საკუთრებაშია და იქ რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1930-იან წლებში მოედანს ძირფესვიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, რამაც თამამშევის ქარვასლის შენობაც იმსხვერპლა, რომელიც მოედნის შუაგულში მდებარეობდა. ლავრენტი ბერიას პერიოდში, მოედნის ჩრდილოეთით, დანგრეული ქარვასლის ადგილზე, მარმარილოს ტრიბუნა აშენდა. გეგმაში იყო ასევე, ვლადიმირ ლენინის მონუმენტის დადგმა. თუმცა, პროლეტარიატის ბელადის ძეგლი, მხოლოდ 1956 წლის 21 აპრილს გაიხსნა საზეიმოდ. აღსანიშნავია, რომ, თავდაპირველად, ლენინის ძეგლის გარშემო შემოსაზღვრულ ფართობს ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა და მხოლოდ 1960-იან წლებში მიიღო მან მრგვალი ფორმა. ლენინის ძეგლი 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აიღეს და მის ადგილზე მცირე ხანს შადრევანი ფუნქციონირებდა. 2006 წლის 23 ნოემბერს კი საზეიმო ვითარებაში, მოედნის შუაგულში წმიდა გიორგის ქანდაკება დაიდგა, რომლის ავტორი ზურაბ წერეთელია. 1991-1992 წლების „თბილისის ომის" დროს,

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)



„ზაკფედერაციის მოედანი" 1930-იანი წლები



„ბერიას მოედანი" 1940-იანი წლები

**ადამიანები დავდივართ ეკლესიაში, ვლოცულობთ, მაგრამ ხშირად არ ვიცით, რა უნდა ვითხოვოთ უფლისგან, რომ სულიერ ცხოვრებაში უფრო მეტ წარმატებას, სიმშვიდეს, სიხარულს მივაღწიოთ. წმიდა მამების გადმოცემით, არსებობს 6 თხოვნა, რომელიც სულიერ ცხოვრებაში უფრო მეტად გაგვაძლიერებს. რა არის ეს 6 თხოვნა, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რა ექვსი თხოვნა უნდა გააჩნდეს ადამიანს უფლის წინაშე და როდის უშვებს ღმერთი მასზე სხვადასხვა სახის დაბრკოლებას



**ყველა ადამიანი არის დაცემული, სუსტი, მერყევი არსება, ამიტომ ყველა უნდა ითხოვდეს ძალას**

– როდესაც მთავრდება მარხვა, ადამიანების დიდი ნაწილი გარკვეული დროის განმავლობაში, ერთი თვე ან 6 თვე, ზოგჯერ მთელი წელიც კი, არ მოდის ეკლესიაში და არ ახსენდება მოძღვარი, სულიერი და-ძმა. კარგად ჩაიხედეთ თქვენს გულებში: როდის თქვით ბოლოს აღსარება, როდის ეზიარეთ, როდის იყავით ბოლოს ეკლესიაში, როდის ილოცეთ გულიანად? მაგრამ ჩვენ ხშირად მხოლოდ ოცნებებში ვართ ჩაფლული, ვფიქრობთ: ხვალ ყველაფერი უკეთ იქნება და რაში გვჭირდება იესო ქრისტე, მოძღვარი, ეკლესია? სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: დადგება დრო, როცა ხორციელი შვება იქნება და ადამიანებს აღარ მოუნდებათ ეკლესიაში მოსვლა, არ დასჭირდებათ ღმერთი, მანამდე, სანამ არ ჩავარდებიან ცუდ მდგომარეობაში. ყველას ვურჩევ, არ მიატოვონ ეკლესია, სამწყსო, მოძღვარი, რადგან ეს ყველაფერი თქვენ გჭირდებათ და არა უფალს. უფალი ხომ სიყვარულია და თუ სიყვარული, კეთილდღეობა არ გჭირდება, მაშინ შეგიძლიათ, მხოლოდ ადამიანების იმედზე იყოთ. ეკლესიის ზარიც ჩვენს მოსახმობად რეკავს, რომ მიხვიდე ეკლესიაში, ილოცო. ზარი, უპირველეს ყოვლისა, ირეკება მაშინ, როცა ფსალმუნება იწყება, შემდეგ წირვის წინ და შემდეგში კი მაშინ, როდესაც მსხვერპლი შეიწირება, მოძღვრის ლოცვა-კურთხევით სულიწმიდა გარდამოვა და პური გადაიქცევა უფლის ხორცად, ხოლო ღვინო – სისხლად. ძალიან მნიშვნელოვანია ზარის დარეკვა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, შენს გულში უნდა დაირეკოს ზარი, შენს სულში და უნდა მიხვდე, რატომ ირეკება ზარი. სახარებაში წერია: გამოვიდა მთესველი, რომ დათესოს თესლი. მთესველი, ბუნებრივია, არის უფალი, თესლი კი – უფლის სიტყვა, ხოლო ნიადაგი – ჩვენი გული. სახარების ამ ადგილას 4 მდგომარეობაა გადმოცემული: პირველი – ეს არის შარა, ანუ ყამირი, სადაც ეცემა თესლი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გაიდგამს ფესვს და ვერ აღმოცენდება. ჩვენი გული ნიადაგია და თესლი, ანუ უფლის სიტყვა უნდა ჩაითესოს, რომ მერე აღმოცენდეს. მაგრამ, თუ ჩვენი გული ყამირია, ფართე, შედის და გადის მასზე ყველა გრძნობა, ვნება, ამაო ფიქრები, მაშინვე მოიტაცებს ღვთის სიტყვას ეშმაკი და ის ველარ აღმოცენდება. როგორც სახარება გვასწავლის, ეს შარა ძალიან ფართე, დაუმუშავებელია და ეს მდგომარეობა ძირითადად ეხება დაუდევარ, დაბნეულ ადამიანებს, რომლებსაც ესმით ღვთის სიტყვა, მან კი ვერ იპოვა ადგილი, რომ აღმოცენდეს.

– **როგორია მეორე მდგომარეობა?**

– მეორე მდგომარეობა ეს არის კლდეზე დათესილი თესლი. კლდე, რა თქმა უნდა, კარგია, მასზე უნდა დაფუძნდეს ჩვენი სარწმუნოება, ეკლესია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ძალიან ცუდია. როდესაც ღვთის მარცვალი ეცემა კლდეზე, ბუნებრივია, ის ნაყოფს ვერ გამოიღებს. ანუ კლდე, ეს არის ამპარტავანი ადამიანის გული, მასში ვერ გაიდგამს ფესვებს ღვთის მარცვალი. ასეთი ადამიანებიც არიან ჩვენ გარშემო. რაც შეეხება მესამე მდგომარეობას, ეს არის ეკალ-ბარდებში ჩავარდნილი თესლი. ეკალთა შორის ჩავარდნილი მარცვალი აღმოცენდება, მაგრამ ეკალი არ აძლევს იმის საშუალებას, გაიზარდოს, ნაყოფი გამოიღოს. ანუ, ეკალი ეს არის ამქვეყნიური საზრუნავი, ცრუ მიზნები, აზრები – ცრუ გეგმები მოაშთობს ღვთის სიტყვას და თუ ის არ გამოიღებს ნაყოფს, მაშინ რა საჭიროა, თქვენს გულში მისი აღმოცენება. ამიტომ ჯობია, ეს ეკალი მოთხაროთ გულიდან, რადგან უფლის სიტყვა, რომელიც დაითესა თქვენს გულში, აღმოცენდეს და გამოიღოს ნაყოფი. თუ არ გამოიღო ნაყოფი, მაშინ დავრჩებით ცხონების გარეშე. მეოთხე მდგომარეობა, რომელიც საკმაოდ შორს არის ჩვენგან, ეს არის თესლი, რომელიც ნაყოფიერ ნიადაგზე დავარდება და გამოიღებს ბევრ ნაყოფს. ასეთი ნიადაგი უნდა იყოს ჩვენს გულში: მოხნული, განაყოფიერებული, მორწყული. ისევე როგორც ღმერთმა ადამს უთხრა, დაემუშავებინა ედემის ბაღი, რათა მას გარკვეული სამუშაო აღესრულებინა. ადამიანი იმ დროს პატარა ღმერთი იყო, თითქმის ყოვლისშემძლე, იცოდა ფიზიკა, ქიმია, მაგრამ ვერ მოახერხა საკუთარი გონების, არსებული მდგომარეობის დამუშავება და გამოძევებული იქნა სამოთხიდან. მიუხედავად ამისა, ღმერთი გვაძლევს იმის საშუალებას, დავამუშავოთ ჩვენი გული.

**მოძღვარზე გიჟდები, პატრიარქზე, ღმერთზე და ამ დროს მეზობელს სწყევლი, როგორ შეიძლება, სიყვარული გქონდეს?! მთავარია, ის ადამიანები შეიყვარო, ვისაც უფალი გიგზავნის**

– **ეს როგორ უნდა მოხდეს?**

– სანამ დაიწყება თესვა, ღვთის სიტყვას მოისმენთ, მანამდე უნდა შეიქმნათ შესაფერისი განწყობა. როცა საკუთარ თავს აკვირდებით სარკეში, ლამაზ სამოსს იცვამთ, მოწესრიგებულები მოდიხართ ეკლესიაში, რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია, ადამიანი ყოველთვის მოწესრიგებული უნდა იყოს. მაგრამ, როცა წახვედი ეკლესიიდან, მოისმინე სახარება, დაესწარი მწუხრს, მაშინ ძილის წინ იფიქრე იმაზე, თუ რა ხდება ქვეყანაზე, ოჯახში, სამეგობროში, საკუთარ გულში, სულში.

– **რა უნდა ითხოვოს ადამიანმა, რომ მისი მომავალი ცხოვრება უკეთესი იყოს?**

– წმიდა მამების დარიგებით არსებობს 6 თხოვნა, რომელიც ადამიანს უნდა გააჩნდეს უფლის წინაშე. 1. ყველა ადამიანი არის დაცემული, სუსტი, მერყევი არსება, ამიტომ ყველა უნდა ითხოვდეს ძალას. ძალა არის უფლისა, სულიწმიდა, ცხონება, სიკეთე. წმიდა მამა ასეთ სიტყვებს ამბობს: მე ვითხოვე ძალა და მან სირთულეები მომცა, რათა ძლიერი გავხდე. პავლე მოციქულიც ამბობს: როდესაც ვარ უძლური, მაშინ ვარ ძლიერი. ამიტომაც უნდა ითხოვოთ სირთულეები, ოღონდ ისეთი, რის გადატანაც შეგიძლიათ. 2. ითხოვე სიბრძნე, რაც აკლია ყველა მდგომარეობაში მყოფ ადამიანს. დღეს ძალიან ძნელია ბრძენი ადამიანის პოვნა, რადგან ყველა საკუთარი თავით ბრძენობს – არა ბიბლიით, წიგნებით, საკუთარი გონების იმედი აქვთ და გვარიგებენ ჭკუას. სიბრძნე არის ღვთაებრივი, ღმერთისგან უნდა ვითხოვოთ და არა ადამიანებისგან. წმიდა მამა ამბობს: ვითხოვე სიბრძნე, მან კი პრობლემები მომცა, რომ მომეგვარებინა ისინი. ანუ, ღმერთი ჯერ გიგზავნის პრობლემებს და შემდეგ გეხმარება მათ მოგვარებაში. გაჩნდა რამე პრობლემა, მიხვდი: ეს ღმერთმა დაუშვა და იმ სიბრძნესაც მოგცემს, მდგომარეობიდან გამოსვლაში რომ დაგეხმარებათ. 3. ითხოვეთ სიმდიდრე. „მე ვითხოვე სიმდიდრე და მან ძალა და ღონე მომცა, რათა მემუშავა და მეშრომა“. ანუ, გინდა სიმდიდრე? – სთხოვე უფალს, რომ მოგცეს ძალა, შემწეობა, რომ იმუშაო, იშრომო და შრომით მოიპოვო ლუკმა შენი. და იმდენი სიმდიდრე მომცეს, რომ ამპარტავნებაში არ ჩავვარდე და ყველაფერი იყოს კარგად. 4. მე ვითხოვე ფრენის საშუალება და ღმერთმა მომცა დაბრკოლებები, რათა გადამელახა ისინი. ეს პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაიგოთ. ფრენა – ეს ოცნება, ცრუ იმედებია და ჩვენც დავფრინავთ ამასთან ერთად. ჩვენც გვქონდა სამოთხეში ფრენის საშუალება, მაგრამ ჩამოვვარდით. ამიტომ ოცნებისგან, ცრუ დაპირებისგან შორს იყავით. ჩვენ შეგვიძლია, ვცხონდეთ მხოლოდ უფალში. ღმერთმა ჩამოგვიყვანა დაბლა, ფრთები შეგვაჭრა, დაბრკოლებები მოგვცა, რათა მივხვდეთ, რომ ფრთების ტყლაშუნით ვერაფერს გავხდებით. 5. ყველაზე საინტერესო: მე ვითხოვე სიყვარული, მან კი ადამიანები მომცა, რომლებსაც დავეხმარები პრობლემების მოგვარებაში. თუ გინდა სიყვარული გქონდეს, მიიხედ-მოიხედე ირგვლივ, დაინახავ ბევრ გაჭირვებულ ადამიანს და დაეხმარე მათ. თუ შენ იტყვი, რომ მინდა სიყვარული მქონდეს – ეკლესიაში მივდივარ, ჩემი მოძღვარი, ეკლესია მიყვარსო და ამ დროს მეზობელს ისე ჩაუვლი, არ მოიკითხავ, არ დაეხმარები, არ დაინტერესდები, მასთან რა ხდება. მოძღვარზე გიჟდები, პატრიაქზე, ღმერთზე და ამ დროს მეზობელს სწყევლი, როგორ შეიძლება, სიყვარული გქონდეს. მთავარია, ის ადამიანები შეიყვარო, ვისაც უფალი გიგზავნის, ვისაც არ უყვარხარ, ვინც გწყევლის და მათთან ერთად გაიზრდები სიყვარულში. 6. მე ვითხოვე სიკეთე და მან შესაძლებლობა მომცა, მეკეთებინა სიკეთე. გინდა სიკეთე? ღმერთი მოგცემს საშუალებას, რომ ეს აკეთო. ძალიან ბევრი ადამიანი ელოდება ამას. ხედავ, ადამიანი ქუჩაში გდია, წამოაყენე, სახლში წაიყვანე. ხედავ, დახეული აცვია, შენი მიეცი და ასე შემდეგ. დღეს ადვილია დავინახოთ, რამდენი სიკეთეა გასაკეთებელი, მაგრამ ვერ ვხედავთ. თუმცა, როცა ვიგებთ, ეკლესია, სამრეკლო შენდება, მაშინვე მილიონები მიგვაქვს, სამაგიეროდ, გვერდზე ვერ ვხედავთ გაჭირვებულს, ისეთს, ვისაც ჩვენი შემწეობა სჭირდება. და ბოლოს რეზიუმეს სახით: ჩვენ ვითხოვთ იმას, რაც გვინდა, მაგრამ ვიღებთ იმას, რაც გვჭირდება.

**ნათია უტიაშვილი**

# სწავლანი მამათა ცხოვრებიდან

## აღიღე ჯვარი, რომელიც მოგცა შენ ღმერთმა

იყო ერთი ხელმოკლე გლეხი კაცი, რომელიც ცხოვრობდა თავისი შრომით, მაგრამ ისე ღარიბად, რომ ძლიერ გაჭირვებით ასაზრდოებდა ცოლ-შვილს. ერთხელ ის წავიდა ზღვის პირად, ჩამოჯდა ქვაზედ და იდაყვებდაბჯენილი გასცქეროდა ძვირფასი საქონლით დატვირთულ მოცურავე გემებს, რომლებსაც ცლიდნენ ზღვის პირზე და მიჰქონდათ ქალაქში გასაყიდად. გლეხკაცს გულში ბოროტმა ფიქრმა გაუარა და თქვა: „შე დალოცვილო ღმერთო, სხვებისთვის ამდენი სიმდიდრე მიგიცია და მე კი ლუკმაპურის მოპოვებაც მიჭირს. რა იქნება, მეც მომხედო წყალობის თვალით და გამიუმჯობესო ტანჯული ცხოვრებაო“.

შუადღის მზის ლული იდგა. ფიქრებში გართულ გლეხს თვლემა დააწყებინა და დაეძინა. ძილში მან ნახა, ვითომ იგი დგას მაღალი მთის ქვეშ, მიდის მასთან ერთი პატიოსანი თეთრწვერა მოხუცი და ეუბნება:

– ჰოი, კაცო, ადე და გამომყე მე!

გლეხი კაცი მიჰყვება მოხუცს. კაი ხნის მსვლელობის შემდგომ ისინი მივიდნენ ერთ ალაგს, სადაც ეწყო უანგარიშო რიცხვი ჯვრებისა: ოქროისა, ვერცხლისა, სპილენძისა, რკინისა, ქვისა და ხისა.

– ხედავ ამ ჯვრებსა? – ჰკითხა მოხუცმა გლეხსა, – ამოარჩიე, რომელიც გინდა და აიტანე იმ მთაზე, რომლის ქვეშაც შენ გეძინაო.

გლეხმა ჯვრებს თვალი გადაავლო, ამოირჩია, ერთი დიდი, მზესავით ბრწყინვალე ოქროს ჯვარი, წაატანა ხელი, მაგრამ, ვერ დაძრა ადგილიდან. ვერც ვერცხლის ჯვარს მოერია გლეხკაცი. ასევე დაემართა სპილენძის, რკინისა და ქვის ჯვრების აღებაზეც. ბოლოს აიღო ერთი მორჩილი ხის ჯვარი და მჩატედ აიტანა ნაჩვენებ მთაზე.

– რით მაჯილდოებ ამ ჯვრის მთაზე ატანისთვის? – ჰკითხა გლეხმა მოხუცს.

– მე დაგაჯილდოებ შენ იმით, რომ აგიხსნი მნიშვნელობას ამა ჯვრისასაო, – უთხრა მოხუცმა და მოყვა:

– ოქროს ჯვარი, რომელიც შენ ასე ძლიერ მოგეწონა და წაატანე ხელი – არის ჯვარი მეფისა. შენ ფიქრობ გუნებაში: „რა კარგი და ადვილი ხელობაა მეფობაო. მაგრამ, ამას კი აღარ ფიქრობ, თუ რა ძნელია ხელობა მეფისა და რაზომ მძიმეა მისი ჯვარი. აი, როგორ მოსვენებით გეძინა ზღვის პირად; შენ არ გაწუხებდა არავითარი დარდი და ვარამი. ფიქრობდი მხოლოდ დღიურ საზრდოს მოპოვებაზე, რომელსაც ცოტად თუ ბევრად კიდევაც პოულობ, მაგრამ, სულ სხვაა დარდი და ვარამი მეფისა: მას აქვს მინიჭებული ღვთისაგან სამეფო, რომელზედაც უნდა ზრუნავდეს იგი.

ჯვარი ვერცხლისა არის ჯვარი მწყემსთა ეკლესიისა და დაახლოებულთა მსახურთა მეფისათა: ვეზირთა და მრჩეველთა მისთა, რომელნიც ეხმარებიან მეფეს სამეფო მართვაში.

ჯვარი სპილენძისა ეკუთვნის მათ, ვისთვისაც ღმერთს მიუცია სიმდიდრე. შენ გშურს მათთვის სიმდიდრე და ამბობ გუნებაში: ოჰ, რა ბედნიერები არიანო. არ არის საშურველი მათი ცხოვრება. მართალია, ისინი თავის თავად არ მუშაობენ და ყოველისფერი საკმაოდ აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ, მათ მტერიც ბევრი ჰყავთ და მოშურნეც.

ჯვარი რკინისა არის ჯვარი მხედართა. აბა, ჰკითხე მათ, რომელნიც ყოფილან ომში და ისინი გიამბობენ შენ, თუ რამდენჯერ შეხვედრიათ მათ ღამისთევა ღია ცის ქვეშ, ნოტიო მიწაზე; სიცივე, შიმშილი და სხვა ამგვარი გაჭირვება; ამას გარდა – სიცოცხლის შეწირვა მამულისა და სარწმუნოებისათვის.

ჯვარი ქვისა არის ჯვარი მოვაჭრეთა. არც მათი ცხოვრებაა სანატრელი, რადგან ხშირად მთელი ნავაჭრი ქონება მათ ზღვის ტალღებში დაღუპვიათ და შინ გაღატაკებულნი მისულან. მიწის მუშას, არა გაქვს შემთხვევა არც სიცრუისა, არც ქურდობისა, არც მოტყუებისა და არც ამაო ფიცისა. ვაჭარი კაცი კი ამაებს ვერ ასცდება.

ის ხის ჯვარი, რომელიც შენ აიღე და აიტანე მთაზე, შენი ნამდვილი ჯვარია. შენი ხელობა, მიწის მუშაობა, უცოდველი ხელობაა, მდიდარი რომ ყოფილიყავი, ღმერთს დაივიწყებდი, დიდებული თუ იქნებოდი – სხვას შეაწუხებდი, ვაჭარი რომ ყოფილიყავი – ყველას მოატყუებდი, მხედარი თუ იქნებოდი – სამხედრო ბეგრის ტანჯვა-წვალებას ვერ აიტანდი და აყვედრიდი ღმერთსა. გულთამხილავმა უფალმა კარგად იცოდა, რომ შენ ყოველგვარ სხვა ხელობაში, გარდა მიწის მუშაობისა, შენს სულს დაღუპავდი და ამისათვის მოგეცა თვით მდაბალი და მსუბუქი ჯვარი – ჯვარი ხისა. წარვედ მშვიდობით, იყავ კმაყოფილი შენი ბედისა და ნუღარ აყვედრი ღმერთსა შენი მდგომარეობისათვის.

მოხუცის უკანასკნელ სიტყვებზე გლეხს გამოეღვიძა. მადლობა შესწირა ღმერთს კეთილი ჩვენებისთვის და ამიერ ჟამიდგან კმაყოფილი იყო თავის ბედისა.

**მღვდელი მიხეილ გავაშელი.**
**„მწყემსი“ (804 წ., № 19-20, გვ. 18-20).**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: შეიძლება თუ არა მართლმადიდებელი ქრისტიანი დაკავებული იყოს აღმოსავლური ორთაბრძოლებით?**

**პასუხი**: აღმოსავლური ორთაბრძოლების იდეოლოგია და ფილოსოფია ანტიქრისტიანულია, თუმცა ამ ორთაბრძოლების ელემენტები შესაძლებელია, გამოყენებული იყოს წვრთნის დროს საჯარისო ფორმირებებში – ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ უგულებელყოფილი იქნება ის ფილოსოფია და რელიგიური საფუძვლები, რომელსაც ეყრდნობა საბრძოლო ხელოვნების მათეული ილეთები. ამდენად, აღმოსავლური ორთაბრძოლების იდეოლოგია მიუღებელია, ხოლო მათი ცალკეული ხერხების გამოყენება – შესაძლებელი.

**კითხვა: შეიძლება თუ არა მართლმადიდებელი ქრისტიანის ოჯახში ინახებოდეს კათოლიკური ხატი?**

**პასუხი**: მართლმადიდებელი ქრისტიანის ოჯახში



შეიძლება ინახებოდეს კათოლიკური ხატი, ისევე, როგორც ბევრი სხვა ნივთი, ოღონდ ამ ხატზე არ შეიძლება ლოცვა და მასთან სანთლის დანთება.

**კითხვა: ეკლესიაში შესული მორწმუნე პირჯვარს იწერს და ემთხვევა ხატსა და ჯვარს. რამდენად ჰიგიენურია ეს და ხომ არ გამოიწვევს რაიმე ინფექციურ დაავადებას?**

**პასუხი**: ეკლესიის 2000 წლის ისტორიის განმავლობაში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ჯვრისა და ხატის ამბორისყოფისა და ზიარების შედეგად, ინფექციები გავრცელებულიყო. პირიქით კი მრავალი შემთხვევაა ცნობილი: გავრცელებულ ინფექციებს გვერდი აუვლია სწორედ ერთი საზიარებელი კოვზით მაზიარებელთათვის. ზიარება არაერთი მორწმუნისთვის გამხდარა სასწაულებრივი კურნების მიზეზი. ასეთი აზრები, რაც თქვენ დაგებადათ, მცირედმორწმუნეობის ბრალია.

**კითხვა: რამდენად არის საფრთხის შემცველი, როდესაც მართლმადიდებელი ბავშვების გვერდით იეღოველები სწავლობენ? როგორ დავიცვათ მათგან ჩვენი შვილები?**

**პასუხი**: რადგან საქართველოში განათლება საეროა, შესაძლებელია, სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანმა ერთად ისწავლოს. თქვენი შვილების დაცვა სხვა სარწმუნოების მიმდევართაგან იმით შეგიძლიათ, რომ მართლმადიდებლურად აღზარდოთ ისინი, აჩვენოთ საკუთარი მაგალითით, როგორ უნდა იყოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, ხშირად წაიყვანოთ ეკლესიაში, აზიაროთ, რათა მათი რწმენა ისეთი მყარი იყოს, რომ სხვა სარწმუნოებით დაინტერესება საფრთხეს აღარ წარმოადგენდეს.

# მამათა შეგონებანი

**წმიდა სილუანი**: აბსოლუტურია მხოლოდ ღმერთი. ბოროტება არ არის რა თვითარსებული ყოფიერება, არამედ მხოლოდ წინააღმდეგობა თავისუფალი ქმნილებისა და დასაბამიერი ყოფიერების – ღმერთის მიმართ, არ შეიძლება იყოს აბსოლუტური. ამიტომაც ბოროტება სუფთა სახით არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ყოველგვარი ბოროტება, შესრულებული თავისუფალი ქმნილებების მიერ პარაზიტულად ცხოვრობს სხეულზე. მისთვის აუცილებელია თავის თავში ნახოს გამართლება, წარსდგეს კეთილის სამოსელში გახვეული და ხანდახან ზეკეთილის სამოსელშიც, ბოროტება ყოველთვის და გარდაუვლად შეერევა ხოლმე რაღაც ნაწილით, ფორმით დადებით ძიებას და ამ მხრივ ხიბლავს ადამიანს. თავისი დადებითი ასპექტით ბოროტება მიისწრაფის, წარდგეს ადამიანის წინაშე, როგორც იმდენად ღირებულების მქონედ, რომ მის მისაღწევად დაშვებულ იქნას ყველა საშუალება. ადამიანის ემპირიულ ყოფიერებაში აბსოლუტური სიკეთე არ მიიღწევა. ყოველგვარ ადამიანურ წამოწყებაში არის არასრულქმნილების რაღაც ნაწილი. ადამიანურ სიკეთეში არასრულქმნილების არსებობა, ერთი მხრივ, და გარდაუვალი არსებობა კეთილი საბაბისა ბოროტებაში – მეორე მხრივ, იწვევს იმას, რომ ძალიან ძნელია განასხვავო სიკეთე ბოროტებისგან.

**არქიმანდრიტი რაფაელი**: მშვენიერი სიყვარული – ეს იმისაგან დამოკიდებულებაა, ვინც უყვართ, მასში არ არის თავისუფლება. ეს ხორცისადმი სიყვარულია, ხოლო რამდენადაც ხორცი ხრწნადია, ხრწნას ექვემდებარება და მასში ყოველგვარი ხრწნადია, იმდენად მშვინვიერი სიყვარული რეალობას ფანტაზიით ცვლის, იმას ხედავს, რისი დანახვაც უნდა, და არა იმის, რაც სინამდვილეშია. მასში განუწყვეტლად მღელვარება და განგაშია: მღელვარება – როგორმე მოიპოვოს; განგაში – როგორმე არ დაკარგოს. იმედგაცრუებაა, როცა ადამიანი საკუთარი ზმანებიდან გონს მოვა.

**გაბრიელ ეპისკოპოსი**: სულიერი სიყვარული თავისუფალი ნებით ჩნდება და არა იძულებით. ადამიანმა ქრისტესთან მიახლოება თვითონ უნდა მოინდომოს. როგორ უნდა შევიდეს იესო ქრისტე იმ კაცის გულში, რომელიც სოფლის ამაო საზრუნავებითაა სავსე და იქ უფლის დასამკვიდრებლად ადგილი აღარაა. ვისაც უფალთან ყოფნა უნდა, ხშირად უნდა ფიქრობდეს მასზე, მის ღვთაებრივ ხატს ხშირად უნდა წარმოიდგენდეს, ყოველდღე უნდა კითხულობდეს სახარებას და მაშინ შეიტყობს, რომ მისი აღთქმა უტყუარია. სადაც სახარების სიტყვა სუფევს, ქრისტე იქაა, ანუ მასთან, ვის გულშიც სიტყვამ შეაღწია, გაანათლა და ზნეობრივად უკეთესი გახადა. ასევე, ქრისტეა იქ, სადაც მისი მადლი და სიწმინდე სუფევს. მადლისა და სიწმინდის სუფევის ნიშანი ისაა, როცა კაცი ცოდვას ადვილად ველარ სჩადის, როცა იგი განუწყვეტლივ ებრძვის ბოროტებას.

# NBA-ს რომელი ვარსკვლავები მოხვდნენ „სლემ-დანკის" საუკეთესო შემსრულებლების ტოპ-ათეულში

*„სლემ-დანკი" კალათბურთში მიღებული ტერმინია, რომლითაც ეგრეთ წოდებულ „კალათში ჩატენას" მოიხსენიებენ. ეს ტერმინი პირველად „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" კომენტატორმა ჩიკ ჰერნმა გამოიყენა და მას შემდეგ დამკვიდრდა სპორტის ამ სახეობის ქომაგების ლექსიკონში. „სლემ-დანკს" საკუთარი ოსტატები ჰყავს, რომლებიც საუკეთესოდ ახერხებენ ან ახერხებდნენ ბურთის ჩატენას კალათში. გთავაზობთ „დანკის" ოსტატების ტოპ-ათეულს ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციიდან.*

## ლარი ნენსი

„ფინიქს სანზისა" და „კლივლენდ კავალიერსების" ლეგენდარული დამცველი, 208 სანტიმეტრი სიმაღლის ლარი ნენსი ყველა დროის „დანკერებს" შორის მეათეა რეიტინგში. მისი დებიუტი ნაციონალურ ასოციაციაში 1981 წელს შედგა, 1984 წელს კი იგი „სლემ-დანკის" კონკურსის გამარჯვებული გახდა NBA-ს ყველა ვარსკვლავთა მატჩის დაწყებამდე. კლემსონის კოლეჯის კურსდამთავრებული ნენსი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლებოდა 1980-იანებში და მისი ნომერი „კლივლენდის" შემადგენლობაში – 22-ნომრიანი მაისური – მის სამუდამო მფლობელობაში გადავიდა. ლარი ნენსი ბურთის კალათში ჩატენის ექსპერტი რომ იყო, ამაში დასარწმუნებლად საკმარისია, მისი გვარი ავკრიფოთ „იუთუბის" საძიებო ველში.




## ნეიტ რობინსონი

ნეიტ რობინსონი NBA-ს ჩვენი დროის ვარსკვლავია, რომელიც, კალათბურთელისთვის „ჯუჯა" სიმაღლის მიუხედავად (175 სანტიმეტრი), ახერხებს, გახდეს ლიგის საუკეთესო „დანკერი". ნეიტი სამჯერ გახდა დანკ-ტურნირების გამარჯვებული და დღემდე გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, თუ როგორ ახერხებს მისი სიმაღლის კალათბურთელი კალათში ბურთის ჩატენას. ძირითადი მიზეზი კი, რის გამოც მოხვდა ნეიტი აღნიშნულ ათეულში, 2008 წელს უკავშირდება, როდესაც მან დუაით ჰოვარდთან ერთად ნამდვილი შოუ დადგა „ჩატენების" კონკურსში.




## სპად უები

NBA-ში ნეიტ რობინსონის გამოჩენამდე, „დანკების მეფის" ტიტულს „ჯუჯა" კალათბურთელებს შორის ლეგენდად ქცეული ენტონი ჯერომ უები ატარებდა, რომელსაც სპად უების სახელით იცნობდნენ. სპადის სიმაღლე 170 სანტიმეტრი იყო და, მაქსი ბოუზისთან ერთად, მან დაუდო სათავე 180 სანტიმეტრამდე სიმაღლის კალათბურთელების გამოჩენას ლიგაში, რომლებიც ფართან გიგანტებს უწევდნენ თანაბარ კონკურენციას. ამბობენ, სპად უებს თანამედროვე ლიგაში რომ ეთამაშა, მისგან გაცილებით უფრო მეტი სარგებელი იქნებოდა და მეტ დანკს ვიხილავდით.

## ჯეისონ რიჩარდსონი

ჯეისონ რიჩარდსონი, რომლის სიმაღლე 198 სანტიმეტრია, თანამედროვე ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დანკერია. ის 2001 წლიდან, ანუ, მას შემდეგ ითვლება ჩატენის ოსტატად, რაც ასოციაციის კლუბ „გოლდენ სტეიტ უორიორზის" წევრი გახდა. 2002 და 2003 წლებში იგი ზედიზედ ორჯერ გახდა დანკ-შეჯიბრის გამარჯვებული. „ფილადელფია სიქსერსის" წევრი რიჩარდსონი ნამდვილი რისხვაა მეტოქე გუნდის კალათებისთვის და „იუთუბიზე" მისი დანკების ტოპ-ასეულის ნახვის შესაძლებლობაც კი არსებობს.



## დევიდ ტომპსონი

დევიდ ტომპსონი ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში შორეულ 1970-იან წლებში ასპარეზობდა და მისი დანკები მხოლოდ კალათბურთის ერთგულ ქომაგებს ემახსოვრებათ. ამბობენ, რომ „დენვერ ნაგითსისა" და „სიეტლ სუპერსონიქსის" წევრი ტომპსონი კალათბურთს არა ფულის, არამედ, სიამოვნების გამო თამაშობდა. ლეგენდის თანახმად, მას იმდენად კარგი ნახტომი ჰქონდა, რომ ერთხელ ფარის თავზე მიმაგრებული ერთდოლარიანი კუპიურის მოხსნა მოახერხა. ტომპსონსვე ეკუთვნის იმ დროის კიდევ ერთი რეკორდი – იგი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი ლიგაში, როდესაც 5-წლიანი კონტრაქტისთვის 4 მილიონი დოლარის ანაზღაურება მიიღო.

## ჯულიუს ირვინგი

დოქტორ ჯეი, როგორც ჯულიუს ირვინგს უწოდებდნენ, თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო დანკერი გახლდათ. ყველა ახალგაზრდა კალათბურთელი ცდილობდა, ირვინგს დამსგავსებოდა; 1970-იან წლებში ის იყო მათთვის ნამდვილი კერპი, მოდის ფუძემდებელი და ნომერ პირველი ვარსკვლავი ასოციაციაში. ირვინგი NBA-ს ყველა დროის 50 საუკეთესო კალათბურთელს შორის ფიგურირებს, ხოლო მის მიერ შესრულებული დანკები დღემდე სამაგალითოდ ითვლება.




## შონ კემპი

იმ პერიოდში, როდესაც ლიგაში ასპარეზობდნენ ლარი ნენსი, დერილ დოუკინსი, კონი ჰოუკინსი და სხვები, შონ კემპი საოცრებებს სჩადიოდა. 206-სანტიმეტრიანი კემპი ყველაზე გრაციოზულად ახერხებდა ბურთის ჩატენას კალათში და, თუკი ვინმე მას ამის უფლებას უზღუდავდა, დანკების ოსტატისგან არნახულ აგრესიას იღებდა. გავრცელებული აზრის თანახმად, შონ კემპი ყველაზე ლამაზად ახერხებდა ბურთის ჩატენას. „კლივლენდის", „ორლანდოს", „პორტლენდისა" და „სიეტლის" ვარსკვლავი შონ კემპი ექვსჯერ იღებდა მონაწილეობას და 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდთან ერთად. შონ კემპის დანკების ვიდეო „იუთუბიზე" ასევე მრავლად მოიძებნება.



## მაიკლ ჯორდანი

კალათბურთის მეფე და ჰაერის ბატონ-პატრონი, ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი ყველაფერში საუკეთესო იყო და არცაა გასაკვირი, რომ ჯორდანს დანკებიც ოსტატური ჰქონდა. ჯულიუს ირვინგის პენსიაზე გასვლის შემდეგ ჯორდანმა კალათში ჩატენის თავისებური ხელწერა შეიმუშავა, რომელიც დღემდე სამაგალითოა ლიგაში. საინტერესოა, რომ ბურთის ჩატენის მომენტში ჯორდანს მუდამ გამოყოფილი ჰქონდა ენა და ეს მისი ერთგვარი საფირმო „დანკის" ნაწილი იყო. ჯორდანის სიდიადეზე, არა მარტო ბურთის ჩატენის ამბავში უსასრულოდ შეიძლება საუბარი.

## დომინიკ უილკინსი

დომინიკ უილკინსს შონ კემპისა და მაიკლ ჯორდანის გაერთიანებულ ვარიანტს უწოდებენ. პარიზში დაბადებული უილკინსი ორჯერ გახდა სლემ-დანკის შეჯიბრის გამარჯვებული – 1985 და 1990 წლებში. კალათბურთის სტაჟიან ქომაგებს კი ემახსოვრებათ მისი და სპად უების დუელი აღნიშნულ შეჯიბრებებზე, როდესაც მავანნი ამბობდნენ, რომ მონდომების შემთხვევაში უილკინსი ყველა შეჯიბრების გამარჯვებული გახდებოდა. უილკინსი ცხრაჯერ მონაწილეობდა NBA-ს ყველა ვარსკვლავის მატჩში და 1994 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა აშშ-ს ნაკრებთან ერთად.

## ვინს კარტერი

ვინს კარტერის დანკებზე ლეგენდებს თხზავენ. მისი ყველა ჩატენა შოუს ელემენტებს შეიცავს და, ექსპერტების აზრით, კარტერი ფიზიკურად ყველაზე ძლიერი კალათბურთელია, რომელსაც კი უასპარეზია დანკების შეჯიბრებაში. კარტერისთვის მაშინაც კი არ წარმოადგენს სირთულეს დანკის შესრულება, როდესაც მისი ოპონენტი მასზე მაღალი ან ძლიერია. ამჟამად „დალას მავერიქსის" წევრი კარტერი რვაჯერ მონაწილეობდა ყველა ვარსკვლავის მატჩში, 2000 წელს სლემ-დანკის შეჯიბრების გამარჯვებული გახდა და იმავე წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიგო.

## ფლოიდ მეივეზერი – პლანეტის უმდიდრესი სპორტსმენი

მოკრივე ფლოიდ მეივეზერი პლანეტის უმდიდრეს სპორტსმენად დასახელდა. ექსპერტების გათვლით, 2016 წლისთვის მეივეზერის კაპიტალი 250 მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატება. მეივეზერი უმდიდრეს სპორტსმენად 2011 და 2012 წლებშიც დასახელდა. აღნიშნული ტიტული მეივეზერს ვიქტორ ორტისთან და მიგელ კოტტოსთან ჩატარებულმა ბრძოლებმა მოუტანა – შესაბამისად, 40 და 45 მილიონი დოლარი. რეიტინგში, რომელიც ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა, მეივეზერმა არაერთ ცნობილ სპორტსმენს გაუსწრო, მათ შორის, ფილიპინელ მოკრივეს, მენი პაკიაოს, რომელიც მეივეზერის ძირითადი მოწინააღმდეგეა პირველი ადგილისთვის ბრძოლაში. მეივეზერის ჰონორარების ზრდის ტემპის გათვალისწინებით, ახლო მომავალში მან შესაძლოა, ყველა დროის ყველაზე შემოსავლიანი მოკრივის ტახტიდან ამერიკელი ოსკარ დე ლა ჰოიაც ჩამოაგდოს, რომლის კაპიტალი აქტიურ სპორტში ყოფნის პერიოდში 616 მილიონ დოლარს უტოლდებოდა.

## ჰოლივუდური ფილმი ლიონელ მესიზე

„ბარსელონას" თავდამსხმელის, ლიონელ მესის ცხოვრება ახალი ჰოლივუდური ფილმის სცენარად იქცევა. ლოს-ანჯელესში მოღვაწე მსხვილმა საპროდიუსერო კომპანიამ ლუკა კაიოლის ბიოგრაფიული წიგნის – „მესი" ეკრანიზაციის უფლება შეიძინა. სცენარის მიხედვით, ფილმი ლიონელ მესის ცხოვრების ადრეულ ეტაპს შეეხება, როდესაც მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. კერძოდ, სიმაღლეში ზრდის ჰორმონების ნაკლებობას განიცდიდა და ოჯახს მისი მკურნალობის თანხები არ გააჩნდა, რასაც ბარსელონაში ჩასვლა და ცხოვრების იქ გაგრძელება მოჰყვა. ფილმის პრემიერას 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ელოდებიან.

## კობი ბრაიანტის დაპირისპირება დედასთან




კალათბურთის ვარსკვლავმა კობი ბრაიანტმა სასამართლოში უჩივლა საკუთარ დედას და მას ქურდობაში დასდო ბრალი. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ვარსკვლავმა განაცხადა, რომ დედამ მას პირადი ნივთები მოჰპარა, რათა აუქციონზე გაეყიდა. პამელა ბრაიანტმა აუქციონს კობის მაისურები, საჩემპიონო ბეჭდები, თასები და სხვა 100-მდე ნივთი გადასცა და ამაში 450 ათასამდე დოლარი მიიღო. კობი მოითხოვს, რომ სასამართლომ მას დაუბრუნოს ნივთები, ხოლო დედა ქურდობის ფაქტზე დაიკითხოს. ცნობილია, რომ დაპირისპირება დედა-შვილს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც კობიმ პამელას უარი განუცხადა, ლასვეგასში ძვირად ღირებული სახლის შეძენაზე.

## ცეცხლოვანი ფრენბურთელი ბრაზილიიდან

ბრაზილიელი ჟაკლინ კარვალიო მსოფლიო ფრენბურთის აღიარებული ვარსკვლავია. 186 სანტიმეტრი სიმაღლის ლამაზმანი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ათობით სხვადასხვა ინდივიდუალური ჯილდოს მფლობელია. ჟაკლინი 11 წლის ასაკში დაინტერესდა ფრენბურთით და ოჯახური ტრაგედიის მიუხედავად, მსოფლიო ფრენბურთის ოლიმპზე ასვლა მოახერხა. ჟაკლინი ბრაზილიური ჟურნალ-გაზეთებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მოდელია და ისიც სიამოვნებით თანხმდება სხვადასხვა გულახდილ ფოტოსესიაზე



## მადრიდელი ვარსკვლავები რაფაელ ნადალის მატჩზე

მადრიდში მიმდინარე ჩოგბურთის ტურნირს, სადაც მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები ასპარეზობენ, მაღალი რანგის სტუმრები არასდროს აკლია. ერთ-ერთ ასეთ მატჩს, სადაც ესპანელების კერპი – რაფაელ ნადალი თამაშობდა, მადრიდული საფეხბურთო კლუბის ვარსკვლავები დაესწრნენ. „რეალი" სერხიო რამოსით და კრიშტიანუ რონალდუთი იყო წარმოდგენილი, ხოლო „ატლეტიკოს" კოლუმბიელი შემტევი, რადამელ ფალკაო წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ კორტზე საქომაგოდ რონალდუ საცოლესთან, ირინა შეიკთან ერთად მიბრძანდა. ამით კი ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ მათ შორის ყველაფერი რიგზეა და ბრაზილიელი ლამაზმანის განცხადება, რომ თითქოს მან ღამე რონალდუსთან გაატარა, სრული სიცრუეა.

## მის ბრაზილიის ტიტულისთვის მებრძოლი ლამაზმანი



„მის ბრაზილიას" ტიტულზე არაერთ ლამაზმანს განუცხადებია პრეტენზია და მათ შორის წლევანდელ კონკურსზე ყველაზე გამორჩეული რიო-დე-ჟანეიროს ფრენბურთის კლუბ „უნილევერის" ვარსკვლავი, ლუსიანა ესკოუტია. მან მნიშვნელოვან მატჩზეც კი უარი თქვა, რომ კონკურსში მიეღო მონაწილეობა. გარდა სპორტისა, ლუსიანა მოდელობითაც არის დაკავებული და სწორედ ამან გადააწყვეტინა, ბედი ეცადა კონკურსზე. კონკურსი რამდენიმე დღის წინ დასრულდა და ულამაზესი ლუსიანა საუკეთესო 16 კონკურსანტს შორის მოხვდა, თუმცა მთავარი ჯილდო სხვას ერგო.

## ბექჰემი კლუბის შეცვლისთვის ემზადება

ინგლისელი ვარსკვლავი – დევიდ ბექჰემი, როგორც ჩანს, კვლავ კლუბს შეიცვლის. „პარი სენ ჟერმენის" ნახევარმცველი გავრცელებული ცნობის თანახმად, საფრანგეთის პირველ ლიგაში დაბრუნებულ „მონაკოს" ღირსებას დაიცავს მომდევნო სეზონში. „მონაკოს" მთავარი მწვრთნელი, სახელგანთქმული კლაუდიო რანიერია და ბექჰემთან ერთად, ის კლუბში მადრიდის „ატლეტიკოს" კოლუმბიელი თავდამსხმელის, რადამელ ფალკაოს მიყვანას გეგმავს. შეგახსენებთ, რომ ფალკაო ევროპული სუპერკლუბების ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა მოახლოებულ სატრანსფერო პერიოდში და „მონაკოში" მისი გადასვლა ნამდვილი სიურპრიზი იქნება.

## ხულიგანი ალონსო



ესპანელმა ავტომრბოლელმა ფერნანდო ალონსომ მავანი ფოტოგრაფის კუთვნილი კამერა გატეხა, რომლის ფასი 6 ათას ევროს შეადგენდა. ფოტოგრაფი ცდილობდა ალონსო მეგობარ გოგონასთან ერთად გადაეღო, ამ დროს „ფორმულა ერთის" პილოტი მას მიუახლოვდა და კამერა გაუტეხა. ფოტოგრაფმა მაშინვე პოლიციას მიმართა და მოითხოვა, ალონსოს მისთვის მიყენებული ზარალი აენაზღაურებინა. ფოტოგრაფის თქმით, ალონსოს არ ეკადრება მსგავსი საქციელი, რადგან მას ხშირად ჰბაძავენ ბავშვები, რომელთაც მომავალში „ფორმულა ერთის" პილოტობა უნდათ.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ხშირად მოიხმარეთ მცენარეული ზეთები კლიმაქსის პერიოდში

E ვიტამინი, რომელიც ბევრია მზესუმზირის, სიმინდისა და სოიის ზეთებში, ანელებს სიბერის მოახლოებას. ის შესანიშნავი ბუნებრივი ანტიოქსიდანტია და ეწინააღმდეგება ორგანიზმის დაბინძურებას ჟანგვის პროდუქტებით, რომლებიც ნაადრევ სიბერეს იწვევს.

მარგარინისა და კარაქის მოყვარულებს უფრო ხშირად აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, იმუნური და ნერვული სისტემის მოშლა, ვიდრე მათ, ვინც მცენარეულ ცხიმს ანიჭებს უპირატესობას.

ცხოველური ცხიმების მოყვარული ადამიანები უფრო აგრესიულები, გაუწონასწორებლები არიან და ასევე, ცუდად იტანენ სტრესს. მათი კანი მალე ბერდება, კარგავს ბუნებრივ ელასტიკურობას და სიმკვრივეს.

ქალმა, კლიმაქსის პერიოდში, რაც შეიძლება მეტი მცენარეული ზეთი უნდა შეიტანოს საკვებ რაციონში. ის მდიდარია E ვიტამინით, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია, შეეწინააღმდეგოს ალებს და ლორწოვანი გარსის სიმშრალეს, რაც ამ პერიოდისთვისაა დამახასიათებელი.

## ყოველდღე ჭამეთ ორი ცალი ვაშლი

თუ გსურს, ჯანმრთელობა შეინარჩუნოთ, კარგად დაფიქრდით და ისე შეარჩიეთ ყოველდღიური საკვები.

თუ დღეში ორ ცალ ვაშლს შეჭამთ, ამით შეამცირებთ ინსულტის განვითარების ალბათობას, თან, ჯანმრთელ გულს შეინარჩუნებთ. ვაშლი განსაკუთრებით სასარგებლოა მამაკაცებისთვის, რადგან ის ამცირებს პროსტატის, ფილტვებისა და ღვიძლის კიბოს განვითარების რისკს.

თუ გსურთ, დიდხანს შეინარჩუნოთ კარგი მხედველობა, არ დაივიწყოთ C და E ვიტამინები, რაც კატარაქტის განვითარების რისკს ამცირებს. ასე რომ, ყოველდღიურად მიირთვით ახალგამოწურული ფორთოხლის წვენი ან მიიღეთ ასკორბინის მჟავა. მათი წყალობით გარანტირებული გექნებათ იდეალური მხედველობა.

თუ დრო არ გრჩებათ, ნორმალურად ისადილოთ, ჭამეთ ნუში. დღეში დაახლოებით 60-70 გრამი ნუში ნებისმიერი ადამიანისთვის აუცილებელია. თუ მას თხუთმეტი-ოცი დღის განმავლობაში მიიღებთ, სისხლში ქოლესტერინის დონე შემცირდება.

ზეითუნის ზეთის რეგულარულად მოხმარება კი, საკვერცხეების კიბოსგან დაგაზღვევთ.

## მაღალი არტერიული წნევის დროს და გულის რითმის დასამშვიდებლად შავბალახა დაგეხმარებათ

სამკურნალო მცენარე შავბალახა შეიცავს ალკალოიდებს, ფლავინოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთს, ასკორბინის მჟავას, მინერალურ მარილებს და ასე შემდეგ.

შავბალახა შესანიშნავი დამამშვიდებელი საშუალებაა. მისი მოქმედება თითქმის 3-4-ჯერ აღემატება აპრობირებულ კატაბალახას მოქმედებას.

ხალხურ მედიცინაში მას ასევე იყენებენ საგულე საშუალებად, ხუთვის, წყალმანკის, კუჭის სპაზმების, მალარიის, კუჭ-ნაწლავის დაავადების, ნერვული აშლილობისა და შიშების დროს.

შავბალახას ნაყენს ასე მოამზადებთ: ერთ ან ორ სუფრის კოვზ გამხმარ ბალახს, რომელიც აფთიაქებში იყიდება, დაასხით 250 მილიგრამი წყალი. ადუღეთ, სანამ დაახლოებით, 12 სუფრის კოვზი არ დარჩება. დალიეთ ორი სადილის კოვზი, დღეში რამდენჯერმე ან ნახევარი ჭიქა – დღეში ორჯერ.

ხალხურ მედიცინაში შავბალახას იყენებენ სისხლის მაღალი წნევის დასარეგულირებლად, გულის რიტმის დამამშვიდებელ, კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალებად. ამ შემთხვევაში, ორი ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს დაასხით 200 მილილიტრი ცივი წყალი, დადგით და გააჩერეთ დაახლოებით რვა საათი. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ ერთი დღის განმავლობაში.

ასევე, ორი სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს დაასხით 500 მილილიტრი მდუღარე წყალი. დადგით ორი საათით. მიიღეთ ღვინის ჭიქით, დღეში ოთხჯერ, ჭამის წინ.

მედიცინაში, ასევე იყენებენ ნედლი შავბალახას წვენს, როგორც დამამშვიდებელ საშუალებას. ამ შემთხვევაში ის უნდა მიიღოთ 30-40 წვეთი, დღეში რამდენჯერმე.

## რა იწვევს ჩიყვის წარმოქმნას და როგორ მოვამარაგოთ ორგანიზმი იოდით

ფარისებრი ჯირკვალი მდებარეობს ყელზე, ტრაქეისა და ხორხის ხრტილების მიდამოში. ის სასიცოცხლო გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმის ცხოველქმედებაზე. მისი ნორმალური ფუნქციონირების დროს, ადამიანი თავს ჯანმრთელად და მხნედ გრძნობს. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებისას, შეიგრძნობა სწრაფი დაღლა, კანი მოშვებულია, ადამიანი მოდუნებული და აპათიურია, აღინიშნება შეშუპება, თმა იწყებს ცვენას. ასევე, აღინიშნება გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითება, შენელებული რეაქციები.

სუსტად განვითარებული ფარისებრი ჯირკვალი უარყოფითად მოქმედებს სასქესო ჯირკვლებზე, იწვევს ინტერესის დაკარგვას სქესობრივი ცხოვრებისადმი.

ორგანიზმში ფარისებრი ჯირკვლის იმ ჰორმონის უკმარისობისას, რომელიც იოდს შეიცავს, ადამიანს უჩნდება ჩიყვი. ამ ჯირკვლის ამოკვეთას ან მის ფუნქციურ უკმარისობას, შეუძლია, გამოიწვიოს სიმპტომური დაბერება უმოკლეს დროში.

ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის რეგულაციისთვის აუცილებელია იოდი. ორგანიზმში უნდა იყოს იოდის ნორმალური შემცველობა, რომ შენარჩუნდეს სისხლში თიროქსინის მარაგი. ფარისებრი ჯირკვლისთვის აუცილებელია B ჯგუფის ვიტამინები, ასევე, C ვიტამინი და ამინომჟავა თიროზინი, რომელიც მონაწილეობს ცილების აგებაში.

იოდს დიდი რაოდენობით შეიცავს ზღვის პროდუქტები და წყალმცენარეები, თევზის ქონი, პომიდორი, ჭარხალი, ბოლოკი, ავოკადო. ვიტამინი C კი, დიდი რაოდენობით არის: შავ მოცხარში, ლიმონში, ფორთოხალში, პომიდორში, კომბოსტოსა და წითელ წიწაკაში.

## რომელი ინფექცია იწვევს უშვილობას და უქმნის საშიშროებას ორსულ ქალს

ბოლო დროს ძალიან გახშირდა ინფექციები, რომლებიც იმუნოდეფიციტს უკავშირდება. ორსულებში არსებული ბუნებრივი იმუნოდეფიციტის გამო გახშირდა ჰერპეროინფექციები, ტოქსოპლაზმოზი, ქლამიდიოზი, რაც ხშირად შეწყვეტილი ორსულობისა და პათოლოგიური ნაყოფის დაბადების მიზეზი ხდება.

ჰერპეროვირუსებიდან ყველაზე გავრცელებულ კატეგორიას მიეკუთვნება ადამიანში დაავადების გამომწვევი ხუთი ტიპის ვირუსი. პირველი და მეორე ტიპის ვირუსებს მარტივ ჰერპეროვირუსებს უწოდებენ, მესამე ტიპის ვირუსი ბავშვთა ცნობილ ინფექციას, ჩუტყვავილას იწვევს. ის, ზოგადად, მძიმედ მიმდინარეობს. სუსტი იმუნიტეტის ფონზე შესაძლოა, ადამიანის სიკვდილიც კი გამოიწვიოს. მეოთხე ტიპის ჰერპეროვირუსი ცნობილია, როგორც ებშტაინ-ბარის ვირუსი. ის იწვევს ინფექციურ მონონუკლეოზს და ცხელებით, ლიმფური ჯირკვლების, ღვიძლისა და ელენთის გადიდებით, სისხლში სპეციფიკური ცვლილებებით მიმდინარეობს. მეხუთე ტიპის ვირუსი – ციტომეგალოვირუსია, რომელიც ბოლო დროს საკმაოდ გააქტიურდა.

პირველი ტიპის ვირუსის დროს დაავადება ავადმყოფთა მხოლოდ ერთ მეოთხედში ვლინდება მწვავე კლინიკური ნიშნებით. ეს შესაძლოა, იყოს გრიპის მსგავსი სიმპტომი, პირის ღრუს ლორწოვანას დაზიანება და ასე შემდეგ.

მეორე ტიპის ჰერპეროვირუსის გავრცელება კი სქესობრივი ცხოვრების ინტენსივობის პარალელურია და ის ამ გზით გადადის. ვირუსი ხან ავლენს თავს და ხან პერიოდული გამწვავება ახასიათებს.

როცა ორსულში ფიზიოლოგიურადაა დაქვეითებული იმუნიტეტი, დედის ორგანიზმში აქტიურდება ჰერპესინფექცია. ვირუსი შესაძლოა პლაცენტის გავლითაც მოხვდეს

ნაყოფის ორგანიზმში, გამოიწვიოს მისი დაზიანება, დაღუპვა, სიმახინჯეები. შეიძლება ბავშვი დაიბადოს თანდაყოლილი ფილტვების ანთებით, ჰეპატიტით, თავის ტვინის ანთებითა და ასე შემდეგ.

ციტომეგალოვირუსი ორგანიზმში „ჩუმად" არის და მხოლოდ მწვავე იმუნოდეფიციტურ პირობებში იწყებს გამოვლენას. განსაკუთრებული კლინიკური ნიშნები არ გააჩნია და შესაძლოა, ნებისმიერი რთული ინფექციის სახით გამოვლინდეს.

იმის მიხედვით, თუ ორსულობის რა ეტაპზე გააქტიურდება ვირუსი და გაარღვევს პლაცენტის ბარიერს, შესაძლოა, განვითარდეს თვითნებური აბორტი, სხვადასხვა თანდაყოლილი სიმახინჯე. ციტომეგალოვირუსის სამკურნალო პრეპარატები ძალიან ტოქსიკურია და მათი დანიშვნა ახალშობილისთვის არ არის რეკომენდებული. სისხლის ანალიზის მიხედვით განისაზღვრება სპეციფიკური ანტისხეულების ტიტრი.

ტოქსიკოპლაზმოზის ვირუსს ცხოველები ავრცელებენ. ინფექცია საგნებისა და პროდუქტების საშუალებით ვრცელდება. ინფექცია უმეტესად ჩუმ მდგომარეობაშია, გააქტიურების დროს კი დიდდება ლიმფური კვანძები, აღინიშნება ტემპერატურის მატება, მუცლის ტკივილი, ქოლეცისტიტი, თავის ტკივილი, ოფლიანობა, უგუნებობა. ეს ინფექცია საშიშროებას უქმნის ორსულს. ტოქსიკოპლაზმის ერთხელ გადატანის შემდეგ სუსტდება იმუნიტეტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაავადება მწვავე ფორმით აღარ განვითარდება და ჩუმად მაინც იარსებებს ორგანიზმში.

ქლამიდიები მცირე ზომის მიკროორგანიზმებია და იწვევს შარდ-სასქესო გზების ანთებით დაავადებას. უროგენიტალიური ქლამიდიოზი მეორად უშვილობას იწვევს. მისი მკურნალობა ეფექტურია, მაგრამ ქლამიდიის გამომწვევი მიკრობი ადამიანის უჯრედებში ცხოვრობს და პრობლემა ხდება სამკურნალო საშუალებების მათში შეღწევა. სქესობრივი პარტნიორების მკურნალობა ერთდროულად უნდა მოხდეს. გარდა გამომწვევზე მოქმედი პრეპარატებისა, გამოიყენება ორგანოთა ფუნქციების აღსადგენი საშუალებები. იმუნიტეტის გამაძლიერებლებისა და სხვა იმუნური სისტემების გასამაგრებლად, კარგია იმუნომოდულატორები, მაგალითად, C და E ვიტამინები. დიდი მნიშვნელობა აქვს სრულფასოვან კვებას. ორსულმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო მიკროელემენტი, რომელიც სხვადასხვა პროდუქტშია.

## შაკიკის „მტერი" თევზია, ალერგიის კი – ორკბილას ნაყენი

თუ ალერგია გაწუხებთ, ორგანიზმის რეაქციის შესაცვლელად, ჩაისა და ყავის ნაცვლად უნდა სვათ ორკბილას ნაყენი. ნაყენი ასე მზადდება: 20 გრამ აფთიაქში ნაყიდ ორკბილას დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ 20 წუთის განმავლობაში, ოთახის ტემპერატურაზე, თავდახურულ ჭიქაში. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ. სასურველია, ყოველი დალევის წინ დააყენოთ. ნაყენი უნდა იყოს ოქროსფერი, რადგან მღვრიე და მომწვანო ფერის ორკბილას ნაყენი ძველია და მან შესაძლოა, მოგწამლოთ კიდეც.

კოლიტის სამკურნალოდ, ხალხურ მედიცინაში იყენებენ საზამთროს ქერქს. 100 გრამ გამომშრალ საზამთროს ქერქს დაასხით ორი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ თავდახურული. ნახევარი ჭიქა ნაყენი დალიეთ დღეში 4-ჯერ. ეს უებარი საშუალებაა მსხვილი ნაწლავის ქრონიკული ანთების დროსაც.

თუ გსურთ, ინფარქტისგან დაზღვეული იყოთ, ხშირად მიირთვით თევზი. თევზის ქონში შემავალ „ომეგა 3-ს" ეს თვისება გააჩნია – ანუ, თევზის ქონი შეიცავს ცხიმიან მჟავებს, რომლებიც ეწინააღმდეგება სისხლის შედედებას და იცავს გულს შესაძლო დაავადებებისგან.

თევზის ქონი ამცირებს ქოლესტერინისა და ლიპოპროტეინის ცხიმოვან მჟავებს ადამიანის ორგანიზმში, ასევე, გვიცავს ათეროსკლეროზისა და შაკიკის შემოტევებისგან.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ათი წლის გოგონას ხუთი წლის ასაკში გამოტოვებული აქვს გეგმიური დიფტერიის აცრა, შეიძლება თუ არა ახლა ავცრათ?**

**პასუხი:** თუ პირველი ვაქცინაციის სამეტაპიანი კურსი სრულად აქვს ჩატარებული, შეგიძლიათ ახლა აცრათ.

**კითხვა: რა საერთო აქვს ანემიას სისხლის გათეთრებასთან? ანემია იკურნება თუ არა და როგორ მკურნალობენ?**

**პასუხი:** ანემიაც და სისხლის გათეთრებაც სისხლის სისტემის დაავადებებია. ანემია არის სისხლში ერითროციტების ნაკლებობა, რომელიც პერიფერიული ქსოვილების ჟანგბადით უზრუნველყოფისთვის არის აუცილებელი. სისხლის გათეთრება, ანუ ლეიკემია – სისხლის ავთვისებიანი სიმსივნეა. ლეიკემიის დროს ავთვისებიანი პროცესი, თავდაპირველად, ძვლის ტვინშია ლოკალიზებული. სწორედ ძვლის ტვინში წარმოიქმნება სისხლის უჯრედები.

**კითხვა: ხანდახან მეწვის კუჭი, უფრო ხშირად ტკბილის ჭამის შემდეგ. მაინტერესებს წყლული მექნება?**

**პასუხი:** შესაძლოა, კუჭის ლორწოვანი გარსი გქონდეთ გაღიზიანებული წყლულოვანი დეფექტის გარეშე, თუმცა დიაგნოზის დასაზუსტებლად სასურველია, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ენდოსკოპიური გამოკვლევა – გასტროსკოპია ჩაიტაროთ.

**კითხვა: მაქვს თირკმლის დაწევა, თუმცაღა სიმძიმეებს არ ვწევ. შეიძლება, ამან გულის აჩქარება და წნევის უმნიშვნელო მატება გამოიწვიოს?**

**პასუხი:** თირკმლის ნორმალური პროექციის შეცვლა მხოლოდ სიმძიმეების აწევას არ უკავშირდება. ის შესაძლოა, გამოწვეული იყოს წონაში სწრაფი და ძლიერი კლებით, აგრეთვე იმ მყეს-კუნთოვანი აპარატის მოდუნებით, რომელსაც თირკმლის საჭირო დონეზე ფიქსაცია ევალება. თირკმლის დაწევამ შეიძლება, გამოიწვიოს არტერიული წნევის ცვლილება.

**კითხვა: ვარ 35 წლის, მცირე დატვირთვაზეც კი მტკივდება წელი (ჭურჭლის რეცხვა, უბრალოდ დგომა, სიარული). რა შეიძლება იყოს მიზეზი?**

**პასუხი:** სავარაუდოდ, ეს წელის ოსტეოქონდროზს უკავშირდება. მიმართეთ ნევროპათოლოგს, თუ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, გამოიკვლიეთ საშვილოსნო და საკვერცხეები.

**კითხვა: დაბალი ჰემოგლობინის გარდა, მოზრდილ ადამიანებში რა მიზეზებმა შეიძლება, გამოიწვიოს კიდევ სისუსტე, ანუ ძალის გამოცლა, მუხლების ადვილად დაღლა, გულის ფრიალი, როცა წნევა ნორმალურია, პულსი კი ხშირად ჩქარი.**

**პასუხი:** ამგვარი ნიშნების ყველაზე გავრცელებული მიზეზი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებია. გამოიკვლიეთ ფარისებრი ჯირკვალი (ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია, სისხლში ჰორმონების გამოკვლევა).

**კითხვა: რა იწვევს კალციუმის ნაკლებობას? რა საკვები შეიცავს კალციუმს?**

**პასუხი:** კალციუმის ნაკლებობა შეიძლება გახდეს ოსტეოპოროზისა და კბილების დაზიანების მიზეზი, გამოიწვიოს ფრჩხილებისა და თმის მტვრევადობა, ნერვული სისტემის მხრივ – დაღლა, გაღიზიანება. ასევე კალციუმის ნაკლოვანება შეიძლება ჰიპერტონული დაავადების, სახის ნერვის პარალიზებისა და ნაადრევი ჭაღარის გაჩენის მიზეზიც კი გახდეს. კალციუმით მდიდარია რძის პროდუქტები, კომბოსტო, ლობიო, კენკროვანი ხილი.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ

# ვის ახრჩობდა ოთარ მეღვინეთუხუცესი ბიჭვინთაში და როგორ შეუჭამა ტვინი გურანდა გაბუნიას მის გამო რუსის ქალმა

„დათა თუთაშხიაზე არანაკლებ ჭუჭყიანსა და უხამს დროში მოუწია ოთარ მეღვინეთუხუცესს ცხოვრება, მაგრამ დათასი არ იყოს, ისიც სუფთა და სპეტაკი დარჩა... ამბობს თავის წიგნში ლამარა ღონღაძე. „მსახიობს მაყურებლის ტაშზე ძვირფასი არაფერი გააჩნია, მაგრამ მე არაფრად მჭირდება იმ ადამიანების ტაში, ვინც ქვებს ისვრის, წიგნებს წვავს და სიძულვილისგან გონება აქვს დაკარგული," – ამბობდა თავად მსახიობი. ეს დაპირისპირება მისი მოქალაქეობრივი პოზიციის გამომხატველი იყო და არა შემოქმედებითის, რადგან შემოქმედებითად არაჩვეულებრივი ნაყოფიერი იყო მისთვის ეს წლები, რასაც მის მიერ შესრულებული როლების უბრალო ჩამოთვლითაც კი ნათელყოფს – თავადი გიორგი – „გრაალის მცველნი"; გიორგი მეთორმეტე – „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი"; ანტონიუსი – „ანტონიუსი და კლეოპატრა"; ქადაგი – „ბახტრიონი"; მოტლი – „განვედ ჩემგან... " სახეების ამ სიმრავლეს ისიც სძენს მნიშვნელობას, რომ ისინი იმდენად მძიმე დროს იქმნებოდა, როცა თითქოს, აღარც მსახიობებს უნდა ჰქონებოდათ თამაშის თავი და არც მაყურებელს თეატრისა, – განაგრძობს ავტორი.



...1923-1924 წლებში თელავში, კახეთის სოფლებში და მეტეხის ციხეში, უამრავი ხალხი დახვრიტა: ავალიშვილები, ვაჩნაძეები, მეღვინეთუხუცესები, ჩოლოყაშვილები, მაყაშვილები, აბაშიძეები, ჭავჭავაძეები, ანდრონიკაშვილები, შერვაშიძეები, ამილახვრები და ბევრი, ბევრი სხვა. დახვრეტილების სია გამოკრული იყო ყველა სადგურზე, ბაქანზე, მოედანზე... ამ წლებისა თუ შემდგომი პერიოდების რეპრესიებს, რასაკვირველია, ვერც ოთარის ოჯახი, კახელ მეღვინეთუხუცესთა შთამომავლობა ასცდა. 1924 წელს ოთარის მამა, ვახტანგ მეღვინეთუხუცესი და მისი ორი ძმაც დაიჭირეს. ვახტანგმა და ერთმა ძმამ სასწაულით დააღწიეს თავი ციხესა და სიკვდილს, უფროსი ძმა კი დახვრიტეს. გადარჩენილი ვახტანგ მეღვინეთუხუცესი თავისი სოფლიდან, ახმეტის რაიონის სოფელ აწყურიდან აიყარა და იმერეთში გაიხიზნა, სადაც თერთმეტი წელი ცხოვრობდა თუ ემალებოდა სიკვდილს. საბოლოოდ, თბილისში დასახლდა. ვაკეში ერთი პატარა ოთახი შეიძინა და მეუღლე ელენასთან და სამ შვილთან ერთად, იქ დაბინავდა. რევოლუციის კანონ-სამართალს გემონაგემები ყველა ადამიანის მსგავსად, ისიც ყოველნაირად ცდილობდა, შეუმჩნეველი ყოფილიყო. ოთარ მეღვინეთუხუცესი, თავადაც საოცრად მოკრძალებული კაცი, სხვადასხვა ინტერვიუში, მის ამ თვისებას ხშირად გაუსვამს ხაზს – „მამაჩემი ერთი უბრალო, თავმდაბალი და მორიდებული, ფართო საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი კაცი იყო"...



მამა – ვახტანგ მეღვინეთუხუცესი

...ოთარ მეღვინეთუხუცესი 1932 წლის 16 იანვარს მოევლინა ქვეყანას. დაბადებისთვის იმაზე უფრო არახელსაყრელ დროსა და ადგილს, იმდროინდელი საქართველო რომ იყო, ძნელად თუ აირჩევდა ადამიანი... გავა ბევრი წელი და 1991 წელს, უკვე სამოც წელს მიტანებული მსახიობი იტყვის: „როცა სპექტაკლ „შიშზე" მივდიოდი, ვიცოდი, რომ ის, რაზეც წარმოდგენაში იყო ლაპარაკი, ოდესღაც მოხდა, გავალ თეატრიდან და შიშიც გაქრება-მეთქი..." როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ეს ოდესღაც არა მხოლოდ მისი ბავშვობა, მისი სიყმაწვილე და ახალგაზრდობა იყო. უკვე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს, ოთარ მეღვინეთუხუცესს გააცნეს სტუდენტი გურანდა გაბუნია, რომელიც მალე მისი ცხოვრების თანამგზავრი და თითქმის განუყრელი სცენიური პარტნიორი გახდა...

ოთარ მეღვინეთუხუცესს თეატრალური ინსტიტუტის მისაღებ გამოცდაზე შესრულებული ეტიუდებით თითქოს განსაკუთრებული ეფექტი არ მოუხდენია. გარეგნობით კი ძალიან მოეწონნათ და არც დაუმალავთ... პირველ კურსზე ცოტა გაუჭირდა. ჯერ არაფერი დაეწყო და იქვე იგემა კრიზისის სუსხი. შეიძლება, ეს არც იყო ასე ან იყო, მაგრამ არა იმ ხარისხში, მას რომ ეჩვენებოდა...

თეატრალურ ინსტიტუტში ხშირად ხუმრობდნენ – პირველ კურსზე საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები მოდიან (ეს იყო ყველაზე საპატიო წოდება დღემდე); მეორეზე – რესპუბლიკის სახალხო არტისტებად აგრძელებენ სწავლას; მესამეზე – დამსახურებულ არტისტობასაც სჯერდებიან და მეოთხე კურსზე უკვე ნამდვილი სტუდენტები ხდებიანო... მეღვინეთუხუცესს თავდაპირველად, ყველაზე მეტად, სცენაზე საგნებთან თავისი მიმართება, იმ ნივთების მოხმარების ბუნებრივი ჩვევების გამომუშავება გაუჭირდა, ყოველდღიურ ყოფაში არავითარ ყურადღებას რომ არ აქცევდა. ყოველ შემთხვევაში, პირველ კურსზე ეტიუდებზე მუშაობა, ძირითადად, სწორედ ამ მიზანს ემსახურება, მეღვინეთუხუცესს კი დღემდე მიაჩნია, რომ ეტიუდებზე მუშაობა არ გამოუვიდა!.. შესაძლებელია ეს ასეც იყო. შეიძლება, მართლა ვერ აულო ალღო, იმიტომ, რომ არ უნდოდა ეტიუდზე მუშაობა... საკმაოდ მოსაწყენი და გულისგამაწყალებელი პროცესია... დახურულ აუდიტორიაში ჩაიდანი შეაჩეჩეს ხელში და უთხრეს – აადუღეო... „შემოდგა ნავთქურაზე" და გამოიარა, წამოვიდა... არაო, გააჩერეს. ნავთქურა არ აგინთიაო. არც ასანთია თავის ადგილზე, მეორე ოთახში, რომელილაც უჯრაში დევს, წადი, მოძებნე, მოიტანე, აანთე და მერე დადგი ჩაიდანიო... არა, ასე არა, ჩაიდანს სველი ძირი აქვს, უნდა გაუმშრალო... ამასობაში ნავთქურა გადაგიბრუნდაო... ახლა ამას მოჰყვა რეჟისორ-პედაგოგის ათასი წვრილმანი შენიშვნა. იქით კიდევ თანაჯგუფელები პირდაღებული შემოგჩერებიან და სიცილით იხოცავენ თავებს იმის გამო, რომ ეს თავმომწონე კაცი ასე მოუხერხებლად ეჯახირები იმ ოხერ ჩაიდანსა და ნავთქურას... თანაც, მთავარი აქ, ის კი არ არის, ვილაცა რომ იცინის, მთავარია, რომ ვილაც გიყურებს...



ქალიშვილთან, მარიამთან ერთად

ბიჭვინთაში, სანამ რუსული გარდაქმნა ომს გააჩაღებდა და აფხაზეთს მიწასთან გაასწორებდა, რათა საქართველოსთვის წაერთმია, კინემატოგრაფისტთა დასასვენებელი სახლი იყო. ერთ-ერთი ულამაზესი და ქართველებისთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი ადგილი საქართველოს ზღვისპირეთში. ეტყობა, რუსებისთვისაც, რადგან იქაც ყოველთვის ყველაზე მეტნი ისინი იყვნენ, ცნობილებიც და უცნობებიც. ცნობილები გურანდა გაბუნიასაც დიდი ხანია, იცნობდნენ და ოთარ მეღვინეთუხუცესსაც. ამიტომ, არც ერთი უკვირდათ და არც მეორე. ისე, ძალიან არც ქართველები აღიზიანებდათ, რადგან თითქმის ყველასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. აი, უცნობ რუსებს კი... მათ ნამდვილად ვერაფრით აეტანათ ეს ქართველები, აქაც ისე რომ იქცეოდნენ, თითქოს ეს ზღვა და მიწა მარტო მათი კუთვნილება ყოფილიყოს?!. ოჰ, ერთი ესენი გადააშენა აქედან... ქართველების გადაშენებამდე ერთი რუსი ქალი თავისი აღტაცებით სულს ართმევდა გაბუნიას – ეს რა ლამაზი ქმარი გყავს, რა წარმოსადეგი, მშვენიერი და თანაც როგორი წყნარი და მშვიდიო... – დიახ ქალბატონო, ოთარი ისეთი წყნარია, ისეთი მშვიდი... თავის სიცოცხლეში, როლების გარდა, ერთი ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს, – დაულ-



ნოდარ მგალობლიშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ბუხუტი ზაქარიაძე, ირაკლი უჩანეიშვილი, თენგიზ არჩვაძე



დედა – ელენე მეღვინეთუხუცესი


„მზე შემოდგომისა"

ალავად უმეორებდა გურანდა. და ერთხელაც... – უშველეთ!... ახრჩობს!.. – ვინ, ვის, სად?! – თქვენი ქმარი ვიღაც კაცს ზღვაში ახრჩობს!.. დაახრჩობს, – თავზარი ეცემა გურანდას და გარბის. მიუსწრო და როგორც იქნა, ხელიდან გამოსტაცა ის უბედური. თურმე, ეს არავის მცნობი და ყველასთვის უცნობი რუსი, ძალიან გაბრაზებულა, ამ ზღვის ნაპირზე – საგზურთან ერთად, თავისთვის ნაყიდი რომ ეგონა, ქართველების სიმრავლე-სილაღით და გაცეცხლებულ გულზე ეს მდუმარედ მოსიარულე, ცისფერთვალება მელვინეთუხუცესიც თავისიანი ჰგონებია. ამიტომაც, როგორც თანამზრახველს, ისე გამოტყდომია: რა კარგი იქნებოდა აქაურობა, ეს ქართველები რომ მოისპობოდნენ აქედანო... – აჰა... ქართველები საკუთარ მიწაზეც შენ გიშლიან ხელსო და... პირდაპირ ზღვაში უკრა თურმე თავი და აღარ უშვებს, – ისეთ ადგილას გაგაგზავნი, ქართველებისგან სამუდამოდ დაისვენებო...

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებისთვის ყველაზე დიდი ოცნება რუსთაველის თეატრში მოხვედრის პერსპექტივაა. ოთარ მელვინეთუხუცესს ჰქონდა ამ საოცნებო ხვედრის ხორცშესხმის საშუალება, მაგრამ უარი თქვა. მიზეზი სრულიად უბრალო, თითქმის ბანალური გახლდათ – იქ იყო ის არსება, ვისთანაც ყოველდღიური შეხვედრები და ურთიერთობა გაუჭირდებოდა. თუმცა, შეიძლება, მთლად ისეც არ იყო საქმე, ზედაპირულად რომ ჩანს. მთავარი ალბათ ის არის, რომ ადამიანი ბოლოს და ბოლოს სწორედ იმ გზას გადის, რომელიც უნდა გაიაროს. იქნებ, ვცდები კიდეც, მაგრამ ასე მგონია, ადრე თუ გვიან მელვინეთუხუცესი მაინც მარჯანიშვილის თეატრს მიაკითხავდა. ამ ანდამატის მთავარი საიდუმლო კი ის გახლავთ, რომ მარჯანიშვილის თეატრში მსახიობი ყოველთვის უფრო მეტად იყო თავისუფალი, ვიდრე რუსთაველის თეატრში. შეიძლება ითქვას, ვერიკო ანჯაფარიძე ყოველთვის უფრო მეტს ნიშნავდა მარჯანიშვილის თეატრისთვის, ვიდრე მის გვერდით მოღვაწე ყველა რეჟისორი ერთად... უკვე დაბრძენებული მსახიობი თავადვე იტყვის – ძალიან ვნანობ იმის გამო, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში კომედიური და სახასიათო როლები ცოტა ვითამაშეო... თეატრში ყოფნის პირველი სეზონი, 1954-1955 წლები, იმით დაიწყო, რომ ფარდის წინ უნდა გაევლო ერთი კულისიდან მეორემდე („ლეგენდა სიყვარულზე"). ეს იყო და ეს მთელი მისი როლი. „ერხელაც რეჟისორის თანაშემწე მეუბნება – იცი, დღეს როგორი დღე გაქვს? ვერიკო ანჯაფარიძე სპეციალურად მოვიდა შენ სანახავად და კულისებიდან გიყურებდაო!.. ქალბატონი ვერიკო ყოველთვის არაჩვეულებრივად თბილად მეპყრობოდა. ერთხელ ისიც უთქვამს – გული მწყდება, ეს ყმაწვილი ჩემზე ასე გვიან რომ დაიბადაო... და საერთოდ, მთელი უფროსი თაობა იყო ძალიან კარგად განწყობილი ჩვენ მიმართ. გვიფრთხილდებოდნენ, ვუყვარდით..."

**გურანდა გაბუნია**: „ოთარი თეატრალურში გავიცანი, ნუგზარ გაჩავამ გამაცნო. მარჯანიშვილის თეატრში ერთი ახალგაზრდა, სიმპათიური და ნიჭიერი მსახიობია – ოთარ მელვინეთუხუცესი, წადი და ნახე სპექტაკლებშიო. მეც მალულად წავედი და ვნახე. მართლაც არაჩვეულებრივი იყო. მსახიობის გარეგნობას თეატრისთვის, მით უმეტეს, კინოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაშინ არავინ მომწონდა და მიყვარდა. ლილი იოსელიანის რეპეტიციებით ვიყავი დაკავებული და რობიკო სტურუასთან ვთამაშობდი სადიპლომო სპექტაკლში. ცხრამეტი წლის ვიყავი, ხელი რომ მოვაწერეთ. მახსოვს, პატარა ოთახი იყო, იმ დღეს წვიმდა და წყალი ჩამოდიოდა. ჩვენი ხელისმომკიდეები ირაკლი უჩანეიშვილი და იუზა ხუსკივაძე იყვნენ. ოთარს „დალატკული" პერანგი ეცვა. ირაკლის რომ არ შეეკერა მისთვის შარვალი, ალბათ, ისიც არ ექნებოდა. ირაკლი კარგად კერავდა და მეგობრებს ხშირად უკერავდა შარვლებს. თავისთვის ფეხსაცმელებს იკერავდა. საოცარი ხელი ჰქონდა, ყველაფერი შეეძლო. თან, არაჩვეულებრივად მღეროდა. ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობდით – მე საიათნოვას ქუჩაზე, ირაკლი – ლერმონტოვზე. სულ ერთად ვიყავით და სიამოვნებით ვუსმენდი მის სიმღერებს. რაც შეეხება ოთარის სიდინჯეს, ყოველთვის ასეთი იყო. არ არის მოლაპარაკე კაცი. რა ვიცი, ალბათ, არ უყვარს, მე რომ ასეთი მხიარული და თავისუფალი ვარ. თუ ჩემი როლი არ მოეწონებოდა, არ ვთამაშობდი. სამაგიეროდ, ძალიან მოსწონდა ჩემი გაკეთებული ბორშჩი და კატლეტი. მერე ღომს და ხარჩოს მივაჩვიე. გვერდით მეგრელი ქალი რომ ვყავდი, ამან, ალბათ, დიდი როლი ითამაშა შემდეგ, როცა „დათა თუთაშხიაში" გადაიღეს. სხვათა შორის, არასდროს მიფიქრია, ცოლად გავყოლოდი. უბრალოდ, ერთმანეთს ვხვდებოდით. ჩვენთვის მთავარი იყო, საქმე გვეკეთებინა და არა სხვა რამ. ყოფილ მერიასთან ვხვდებოდით ერთმანეთს. იმ დროს ორ ფილმში იღებდნენ – „კეთილი ადამიანები" და „ფატიმა". რვა მარტი იყო. დააგვიანდა, თუმცა მივხვდი, რომ გადაღებების გამო აგვიანდებოდა. რომ მოვიდა, გამიკვირდა, ხელში ყვავილები არ ეჭირა. უცებ პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო იები. ხელი რომ მოვაწერეთ, საცხოვრებლად ბებიასთან გადავედით. მერე ბიძაჩემმა დაგვითმო პატარა ოთახი, ამის შემდეგ გიგა ლორთქიფანიძემ თეატრიდან „ხრუშჩოვკის" ოროთახიანი მოგვცა. დედას ერთოთახიანი ჰქონდა, ის და ჩვენი ოროთახიანი ბინა სამიანზე გადავცვალეთ და დედა ჩვენთან გადმოვიდა. ოთარსაც ძალიან კარგი მშობლები ჰყავდა. ოთარს რომ გავყევი, უკვე პენსიაზე იყვნენ. მახსოვს, მამამისი ყოველ შაბათ-კვირას ყველა ნათესავის მოსანახულებლად მიდიოდა, არავინ დარჩებოდა უყურადღებოდ. დედაც და მამაც ერთად არაჩვეულებრივ ხინკალს აკეთებდნენ. ოთარს ერთი და ჰყავდა – ევა, ძმა ომში დაეღუპა. ბავშვობაში ოთარი თურმე მათემატიკაში ყოფილა ძალიან მაგარი და მასწავლებელი ეუბნებოდა, მათემატიკურზე ჩააბარეო, მაგრამ თეატრალურში ჩააბარა."


„მზე შემოდგომისა"


„დათა თუთაშხია"

**ეკა პატარაია**

## რით იყო ცნობილი ბაზარი „ერევანსკის მოედანზე" მეცხრამეტე საუკუნის თბილისში და სად მდებარეობდა თბილისის პოლიცმეისტერის კანცელარია

(23-ე გვერდიდან)

მოედანზე რამდენიმე შენობა განადგურდა. მათ ადგილზე კი უკანასკნელ პერიოდში აიგო რამდენიმე თანამედროვე ნაგებობა, მათ შორის სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი".

თავისი არსებობის განმავლობაში მოედანმა არაერთი სახელი გამოიცვალა. 1829 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის ჯარის მიერ ერევნის ციხე-ქალაქზე გამარჯვების აღსანიშნავად, მოედანს, რუსთა ჯარის სარდლის, გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის პატივსაცემად, „პასკევიჩ-ერევანსკის" მოედანი ეწოდა, შემოკლებით – „ერევანსკის. 1851 წელს, მცირე ხანს იქ არსებული ქარვასლა-თეატრის გამო, „თეატრალურ მოედნად" მოიხსენიებდნენ. 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად, მას „თავისუფლების მოედანი" ეწოდა, გასაბჭოების შემდგომ კი, ჯერ „ზაკფედერაციის" (1922-1940), შემდეგ – „ლენინის მოედანი" ეწოდებოდა. ძალიან მოკლე დროით (1940-1953) მოედანმა „ბერიას მოედნის" სახელითაც იარსება. 1990 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას ინიციატივით, მოედანს მისი ძველი სახელი – „თავისუფლების მოედანი" დაუბრუნდა.


„ლენინის მოედანი" საბჭოთა დროს


თავისუფლების მოედანი, თანამედროვე ხედი

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: თ. კვირკველია „ძველთბილისური დასახელებანი" (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1985)**



**ადამიანების უმრავლესობა, სიზმარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ცდილობს, დილას გაღვიძებულმა ახსნას, კარგის მაუწყებელია ის თუ ცუდის. თუ ფიქრობენ, რომ საფრთხის მომასწავებელი სიზმარი ნახეს, მის განეიტრალებას სხვადასხვა ხერხით ცდილობენ, რომელთა შორისაა ძველი ხალხური მეთოდებიც. მაგალითად, ცნობილი მეთოდია, სიზმრის მოყოლა გამდინარე წყლისთვის, რათა ის მას გაჰყვეს; სანთლის დანთება და მის წინ ღამეული კოშმარის უთქმელად გააზრება, რომ ის მის ალს გაჰყვეს და ასე შემდეგ. როგორც ქალბატონი ნანა ამბობს, დღისით დაგროვილი უარყოფითი ენერგია, ღამით ხილვად იქცევა და მომავალს გვიწინასწარმეტყველებს. თუ რატომ უნდა მიაქციოთ ყურადღება სიზმრებს, როდის ხდება ის ჩვენი ბედის წინასწარმეტყველი და რომელ დღეებში გვესიზმრება ისეთ რამ, რასაც ყურადღება აუცილებლად უნდა მივაქციოთ, ამაზე ჩვენი რუბრიკის დღევანდელი რესპონდენტი დაწვრილებით გვესაუბრება.**

# როდის ხდება სიზმარი ბედის წინასწარმეტყველი და რომელ დღეებში გვესიზმრება ისეთი რამ, რასაც ყურადღება აუცილებლად უნდა მივაქციოთ

**ნანა**: სიზმარს ყველა ადამიანი ხედავს და ცდილობს მის საიდუმლოს ჩასწვდეს, დილით გაღვიძებულმა გაიაზროს, რის მომასწავებელი იყო ღამით ნანახი: საფრთხის შემცველი თუ კარგის ნიშანი და ასე შემდეგ. მოკლედ, სიზმრის ფენომენი ყველა დროში მძაფრ ინტერესს იწვევდა. თუმცა, მისი ახსნა, ყოველ შემთხვევაში ბოლომდე, ვერავინ შეძლო. ეზოთერიკოსებში არსებობს აზრი, რომ ძილში, როდესაც ადამიანი სიზმარს ხედავს, დრო გაცილებით სწრაფად გარბის, ვიდრე ცხადში. თუმცა, მეცნიერები საპირისპიროს ამტკიცებენ. კერძოდ, იმ მოქმედებას, რომელიც ადამიანს ესიზმრება, იმდენივე დრო სჭირდება, რამდენიც რეალობაშიო. ამ დასკვნამდე მეცნიერთა ის ნაწილი მივიდა, ვინც კვლევებს ღამეულ კოშმარებსა თუ ზმანებაზე, პარაფსიქოლოგებისა და ეზოთერიკოსების გარეშე ატარებდა. ამიტომ, ამ აზრს, ბევრი მკვლევარი არ ეთანხმება. თუმცა, ვერც იდავებენ. ეს ჯერ კიდევ კვლევის საგანია. ნამდვილად ცნობილი კი ის არის, დავა აღარ სჭირდება, რომ წლის განმავლობაში, არსებობს დღეები, როცა სიზმარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ყურადღების გარეშე არ დავტოვოთ. ასეთ დღეებში ნანახი სიზმრები, უდავოდ, წინასწარმეტყველურია და ეს ბევრმა საკუთარ თავზე დასცადა.

**– იქნებ დაგვიკონკრეტოთ, წელიწადში, რომელი დღეებია ასეთი?**

– ასეთია სავსემთვარეობიდან მესამე, მეოთხე და მეშვიდე დღეები. ასევე, ყოველი თვის პირველი და ბოლო შაბათ-კვირა. ამ დღეებს განსაკუთრებულად მაგიური ძალა აქვს და ამ დროს სიზმრად მოსული ინფორმაცია ჩვენს მომავალს იწინასწარმეტყველებს. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ პარაფსიქოლოგები ზედმიწევნითი სიზუსტით სიზმრის აცხადებას თავისებურად ხსნიან. მათი თქმით, როცა ადამიანები სიზმრის უარყოფით შედეგებზე იწყებენ ფიქრს და შიში იპყრობთ, ავტომატურად, იზიდავენ უარყოფით ენერგიას, რაც ცუდ შედეგებს იწვევს. შესაძლოა, უარყოფითმა ენერგიამ არა მხოლოდ ამ ადამიანზე იმოქმედოს ცუდად, არამედ მასზეც, ვისაც სიზმარი ეხება, რადგან ფიქრისას უარყოფითი ენერგია მიმართულებას პოულობს. არ არის გამორიცხული, ღამით ისეთი წინასწარმეტყველური სიზმარი ნახოთ, რომელიც მომავლის, ეგრეთ წოდებულ, კურსორადაც, ჩაითვლება, თქვენ კი ყურადღებაც არ მიაქციოთ. ასე, საკუთარ თავს ავნებთ და უფრო მეტად გაგიჭირდებათ იმ საკითხებისა და მოვლენების გააზრება, წინ რომ გელით, სიზმარში ნანახი კი ამას გაგიადვილებდათ. ასევე, თუ ძველ ხალხურ სიბრძნეს გულდასმით წაიკითხავთ და გაიაზრებთ, იქ კარგადაა ახსნილი, როგორ შეგვიძლია, გავანეიტრალოთ ძილში მოსული უარყოფითი ენერგია თუ ხილვა, ავხსნათ წინასწარმეტყველური სიზმარი და დავიცვათ თავი შესაძლო საფრთხისგან.

**– ბევრისგან მსმენია, ღამით ნანახ სიზმარს, დილით, რომ ვიღვიძებთ, გონებას ვძაბავთ, მაგრამ ველარ ვიხსენებთ და მისი გაანალიზება გვიჭირსო. ასევე, გამიგია, რომ წლის გარკვეულ პერიოდში მძაფრდება ღამის ხილვები. ამ საკითხთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

– წინასწარმეტყველური სიზმრები, მართლაც წლის გარკვეულ პერიოდში ესიზმრება ადამიანს და მასზე აუცილებელია, ყურადღების გამახვილება. ასევე, წინასწარმეტყველურ სიზმრებს ადამიანი თითქმის ყოველთვის იმახსოვრებს. ამისთვის კი მთავარია, ყურადღება არ მოადუნოს. სხვათა შორის, ასეთი სიზმრის ნახვის შემდეგ, ბევრი ნერვიულობს, შიში ეუფლება და შინაგანი ფორიაქი ეწყება. ალბათ, თქვენც გაგიგიათ ახლობლებისგან – სიზმარში მრავალი წლის უნახავი მეგობარი ვნახე და ის მართლაც შემხვდა ქუჩაშიო; რაც ღამით ვნახე, დღის განმავლობაში ზედმიწევნით ახდაო; გარდაცვლილი მოვიდა სიზმრად, ახლობელს მოჰკიდა ხელი, წაიყვანა და ცოტა ხანში ის ადამიანი მართლაც გარდაიცვალაო. ასეთი უამრავი ფაქტია და მათი მოყოლა შორს წაგვიყვანს. ზოგი ამბობს, სიზმარში წამალი მასწავლეს, გავიღვიძე, გავაკეთე, დავლიე და განვიკურნეო. დიახ, ასეც ხდება და ესეც უტყუარი ფაქტია. სიზმარში ნანახმა წამალმა, ბევრი მძიმე სენით შეპყრობილი ადამიანი განკურნა და უდროოდ სიკვდილს გადაარჩინა. ასე რომ, ყველა საფუძველი არსებობს იმისა, სიზმარს ყური ვუგდოთ, გავიაზროთ და მის მინიშნებას მივყვეთ.

**სიზმარში ნანახმა წამალმა, ბევრი მძიმე სენით შეპყრობილი ადამიანი განკურნა და უდროოდ სიკვდილს გადაარჩინა**

**– ყველაზე ცუდად, სიზმარში რისი ნახვა უხდება ადამიანს?**

– მაგალითად, სიზმარში თუ ამღვრეულ წყალში ბანაობთ ან დგახართ, ეს ძალიან ცუდის ნიშანია – ავად გახდებით, ან დიდი განსაცდელი გელით. თუ წინა კბილი მოგტყდათ ან ჩამოგივარდათ, ეს ახლობელი ადამიანის სიკვდილის მანიშნებელია, ხოლო თუ უკანა კბილი ჩამოგძვრათ, მაშინ შორეული ნაცნობის, ან ნათესავის გარდაცვალებას შეგატყობინებენ. თუ ღამით, სიზმარში თაგვი დაგესიზმრათ, დიდი ალბათობაა, რამე დაკარგოთ, ხოლო თუ ქაღალდის ფული ნახეთ, გაუთვალისწინებელი ფინანსური დანახარჯი გექნებათ.

**– გამიგია, რომ სიზმრად თუ მიცვალებული რამეს გაჩუქებს, ეს კარგის ნიშანია, ხოლო თუ თქვენ მიეცით რამე, ცუდისო.**

– თუ გარდაცვლილი ადამიანი მოვა სიზმრად და რამეს მოგიტანთ, ის დღე თქვენთვის კარგად ჩაივლის, ხოლო თუ რამეს მისცემთ, მაშინ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ და არც ფინანსებში გარისკოთ. შავი ფეხსაცმლის ნახვა – უახლოეს მომავალში გზად წასვლაზე მიგანიშნებთ, თვლიანი სამკაული კი – სიყვარულში, პირად ცხოვრებაში წარმატებას გიწინასწარმეტყველებთ. საერთოდ, ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ხსნის სიზმრის მნიშვნელობას და ეს დაცდაზეცაა. პირადად მე, თუ მაგიურ დღეებში ვნახე სიზმარი და შემდეგ, გამოღვიძებულმა სწორად გავიაზრე მისი მნიშვნელობა, ყოველთვის ამიხდება. სხვა საკითხია, რამდენად გვჯერა მისი, მაგრამ თუ ჩვენი წინაპრების გამოცდილებას და მათგან დატოვებულ რჩევა-დარიგებებს გავითვალისწინებთ, ჩემი აზრით, ბევრ საფრთხეს ავცდებით. ამაში, უდავოდ, დარწმუნებული ვარ.

**ნონა დათეშიძე**

## სახლი – თავშესაფარია

სახლი ერთადერთი ადგილია, სადაც ადამიანები, მათ შორის უმთავრესად მამაკაცები თავს მყუდროდ და დაცულად, კომფორტულად გრძნობენ. მამაკაცს უყვარს მოდუნება. მას უნდა მოეშვას და დაისვენოს – გათავისუფლდეს დაღლილობისგან, დაძაბულობისგან. ამასთან, კაცმა უნდა იცოდეს, რომ სახლში მას ელიან, უყვართ და სჭირდებათ. წინათ, იმ ქალისთვის, ვინც მას სულიერ კომფორტსა და სიმყუდროვეს შეუქმნიდა, მამაკაცები საგმირო საქმეებსაც კი სჩადიოდნენ. მართალია, დღეს მამაკაცები ძალიან განებივრდნენ და საგმირო საქმეებით იქით უნდა გააკვირვო, მაგრამ მათთვის სახლს მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ერთ-ერთი მინუსი თანამედროვეობისა და პროგრესისა, რომლის პირმშოც ემანსიპაციაა, გახლავთ ის, რომ ქალები ნაკლებად ქალურები გახდნენ. თუმცა, მთლიანად მათი ბრალიც არ არის. თანამედროვე ცხოვრების მკაცრი პირობები და თამაშის რთული წესები, ქალს აიძულებს გამკაცრდეს.

პირადი ბედნიერება თუ გვინდა, აუცილებელია, გვქონდეს საკუთარი შეხედულება ოჯახზე... შინაგანი სურათი და წარმოსახვითი, ორიგინალური, პირადული სტერეოტიპი მხოლოდ დაგვეხმარება საიმედო თავშესაფრის შენებაში.

## ნიჭი ერთეულებისთვის...

ნიჭი ერთეულებისთვის – ლაპარაკია სიყვარულზე, რომელიც ყველა ადამიანს თანაბრად არ ეძლევა. ეს უკვე ფაქტია. ამიტომაც არის, რომ ზოგი ყოველთვის ძალიან ბედნიერია სიყვარულში, ზოგიც სიცოცხლეს უსიყვარულოდ ამთავრებს.

უნარი, გიყვარდეს და მიიღო სიყვარული – დამოკიდებულია ატმოსფეროზე, რომელიც ადამიანს გარს აკრავს და უფრო მეტიც, სიყვარულის ნიჭი ჯერ კიდევ დედის მუცელში ყალიბდება. ფაქტია, რომ ბავშვი, რომელიც ჭარბი სიყვარულის გარემოცვაში იზრდება, თავადაც მოსიყვარულეა და კარგად იცის, ამ გრძნობის ფასი.

ადამიანმა შეიძლება, სულაც არ იცოდეს, რომ მშობლებს მისი ამქვეყნად მოვლინება არ უნდოდათ, მაგრამ ქვეცნობიერში აუცილებლად დაილექება ნეგატიური ინფორმაცია, რომელიც მომავალში ამ ადამიანს ძალიან შეუშლის ხელს ურთიერთობებში.

კიდევ ერთი, მთავარი ნიუანსი – აუცილებელია, გიყვარდეს საკუთარი თავი. ეს არ ნიშნავს ეგოიზმს. სიყვარული აუცილებლობაა ყველასთვის და ჩვენ ამ აუცილებლობისთვის უნდა ვიბრძოლოთ... გრძნობას აღმოჩენა სჭირდება... თქვენ ხომ ვერასდროს მიხვდებით, შეგიძლიათ თუ არა ჭადრაკის თამაში, თუკი ერთხელ მაინც არ მიხვალთ ჭადრაკის დაფასთან. ნუ შეგეშინდებათ ურთიერთობების. ნელ-ნელა სიყვარულიც აუცილებლად მოვა. მთავარია, ამის გჯეროდეთ.

## ისეთი, როგორიც ვარ!..

ფსიქოლოგების უმრავლესობა გეტყვით, რომ ქალების 80 პროცენტს ერთი თვე მაინც სჭირდება მამაკაცთან ურთიერთობისთვის, რომ მას უმაკიაჟოდ ანუ „შიშველი“ სახით ეჩვენოს. ქალბატონების 16 პროცენტი კი, თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში ლოგინშიც კი მაკიაჟით წვება. საიდან ასეთი ლტოლვა მაქსიმალიზმისაკენ? ვინ აკომპლექსებს ქალბატონებს, ნუთუ საპირისპირო სქესი ასეთი კრიტიკული და ყურადღებიანია? თურმე, მამაკაცი არაფერ შუაშია. ეს ქალს აქვს მოთხოვნილება, გამოიყურებოდეს მიმზიდველად ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში. გასათვალისწინებელია თვითშეფასების დაბალი დონე და კომპლექსი. ანუ, მეტი ყურადღება სწორედ თვითშეფასების ამაღლებას უნდა მიექცეს და არა მაკიაჟს.

ბრიტანელმა მეცნიერებმა საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს. მათ დაადგინეს, რომ, რაც უფრო სტაბილურია ქვეყანაში ეკონომიკა, მით მაღალია ქალის ფეხსაცმლის ქუსლი. თუ ქვეყანაში ქალბატონების უმრავლესობა უქუსლო ჩუსტ-ფეხსაცმელს ირჩევს – ეკონომიკური კრიზისის გეშინოდეთო!

საერთოდ კი, ადამიანი ისეთი უყვართ, როგორიცაა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, როცა საკუთარ გარეგნობაზე ზრუნავ, მაგრამ, ნუ გადაკეთდებით ვიღაცის ან რაღაცის გამო. ამას არც სიკეთე მოაქვს და არც ბედნიერება.

## ყველაფერი „მე-ზე“

მეგობრებს და საყვარელ ადამიანებს, როგორლაც, თავადვე ვპოულობთ. თუკი გაგვიმართლებს, რა თქმა უნდა. კომფორტია და ბედნიერება, როცა გვერდით გყავს ადამიანი, რომელსაც უსიტყვოდ ესმის შენი, გამშვიდებს და საჭირო მომენტში, დახმარების ხელს გიწვდის. სამწუხაროდ, არსებობენ ენერგეტიკული ვამპირები, რომლებიც ისე შემოდიან ჩვენს ცხოვრებაში, ვერც ვხვდებით, როგორ გვაცლიან სასიცოცხლო ძალებს და ამის უფლებას თავადვე ვაძლევთ. თქვენ ხშირად იმაშიც არ ხართ დარწმუნებული, რომ რასაც აკეთებთ, მართლა გინდათ ამის კეთება. „მინდა“ და „საჭიროა“ – სხვადასხვა რამეა. ნუ მოვიტყუებთ თავს და ერთმანეთთან ნუ გავაიგივებთ. ბალანსი ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შევინარჩუნოთ. ჩვენი რეალობა ასეთია – ძალიან ხშირად, ნებით თუ უნებლიეთ, ვიხრებით „საჭიროსკენ“, მერე ისევ საკუთარ თავთან ვიმართლებთ თავს, სხვანაირად არ შეგვეძლოო. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, მოიფიქროთ ჰობი, ერთფეროვან ყოფას, მოსაწყენ ყოველდღიურობას გაგიხალისებთ. ასევე, კარგი საშუალებაა ახალი ნაცნობობა – შესანიშნავი სტიმულია და არაჩვეულებრივი დოპინგი. მკაფიო, პოზიტიური შთაბეჭდილებები დაგეხმარებათ საჭირო წონასწორობის შენარჩუნებაში.

ისწავლეთ საკუთარ თავთან დარჩენით დადებითი ემოციების მიღება. ცოტა ხნით მარტო ყოფნამ არ უნდა შეგაშინოთ. პირიქით, უნდა იცოდეთ, რომ ეს ძალიან კარგია და აუცილებელი: მშვიდად იფიქროთ სამომავლო გეგმებზე, გააანალიზოთ დღის მოვლენები, უყუროთ საინტერესო ფილმს ან გაერთოთ ინტერნეტში. აუცილებლად გამონახეთ საერთო ენა საკუთარ „მე-სთან“. და თანაც, რაც მალე, მით უკეთესი.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# თურქული კინოს ვარსკვლავების – სერიალ „სიყვარულისა და სასჯელის“ მსახიობთა ცხოვრების დეტალები

*თურქულმა სერიალმა „სიყვარული და სასჯელი” ქართველ ტელემაყურებელთა დიდი სიყვარული უკვე მოიპოვა – სერიალმა არაერთი თაობის „საპნის ოპერის” მოყვარულთა გულები დაიპყრო და მათი განსჯის საგნად იქცა. სერიალის გმირების ცხოვრება აქტიურად განიხილება ტრანსპორტში, სამზარეულოსა და სოციალურ ქსელში. საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საინტერესო იქნება, გავეცნოთ გახმაურებული სერიალის თურქი ვარსკვლავების ბიოგრაფიებს.*

### მურატ ილდირიმი – სავაშ ბალდარი



თურქული კინოს ვარსკვლავი მურატ ილდირიმი ქალაქ ქონიაში დაიბადა 1979 წლის 13 აპრილს. მისი მშობლები წარმოშობით მარდინიდან არიან. მამა ლიტერატურის მასწავლებელი, დედა კი, წარმოშობით არაბი, თარჯიმანია. მამის სამსახურის გამო, ოჯახს ხშირად უწევდა საცხოვრებლის შეცვლა და ბავშვობის პერიოდი მურატმა ქონიასა და ადანას შორის მოგზაურობაში გაატარა. სტამბულის ილდიზის ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლის პარალელურად, მურატი სამსახიობო წრეზე ჩაეწერა და უნივერსიტეტის თეატრის სცენაზე დაიწყო სპექტაკლებში მონაწილეობა. თუმცა, არც სწავლას იგიწყებდა, რადგან მათემატიკა მისი ერთ-ერთი საყვარელი საგანი იყო. საინტერესოა, რომ თავდაპირველად, მურატი მშობლებს უმალავდა, რომ თეატრში იყო დაკავებული. თეატრში თამაშის პარალელურად, ის როკ-ჯგუფშიც უკრავდა დასარტყმელ ინსტრუმენტზე.



სამოყვარულო თეატრში სამწლიანი მუშაობის შემდეგ, მურატ ილდირიმმა მეგობრების დახმარებით, ბედი ტელევიზიაში სცადა და წარმატებით გაიარა ქასთინგი სერიალისთვის, „უკვდავი სიყვარული”, რომლის პრემიერა 2003 წელს შედგა თურქულ ტელევიზიით. იმავე პერიოდში მურატმა მთავარი როლი ითამაშა მხატვრულ ფილმში „ჯადოსნური მოგზაურობა ხალიჩებზე”. ამავე დროს, სერიალ „არაფში” შესრულებული როლისთვის, მან პრესტიჟული თურქული კინოპრემია „ოქროს ფორთოხალი” დაიმსახურა ანტალიის კინოფესტივალზე. 2007 წელს მურატ ილდირიმმა მონაწილეობა მიიღო ტელესერიალში „ასი”, რომელიც მსოფლიოს 73 ქვეყანაში აჩვენეს და მონტე-კარლოს „საპნის ოპერების” ფესტივალზე საუკეთესო სერიალად დასახელდა. „ასის” გადაღებების დასრულების შემდეგ, მურატ ილდირიმმა მონაწილეობა მიიღო მორიგ ტელესერიალში „სიყვარული და სასჯელი”.



სავაშ ბალდარის როლის შესრულებით მან გაამყარა თავისი პოზიციები, როგორც თურქული კინოს ვარსკვლავმა და სექს-სიმბოლომ. ამჟამად მურატ ილდირიმი თამაშობს ტელესერიალ „სუსკუნლარში”, რომელიც ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს თურქ მაყურებლებში.

მურატ ილდირიმი დაქორწინებულია, მისი მეუღლე ასევე მსახიობი, ბურსინ ტერზიოღლუ, რომელიც სერიალ „ფიტრინას” გადასაღებ მოედანზე გაიცნო. წყვილი ერთად 2008 წლის 20 ივნისიდან ცხოვრობს. ცნობისთვის, ბურსინ ტერზიოღლუ ქართველი მაყურებლისთვის კარგად ნაცნობ ტელესერიალ „ეზელში” თამაშობს.

### ნურგულ იეშელჩაი – იასემინი

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მოთხოვნადი თურქი მსახიობი ქალი, ნურგულ იეშელჩაი 1976 წლის 25 მარტს დაიბადა ქალაქ აფიონში, თურქეთის დასავლეთში. ის იზმირში იზრდებოდა, სადაც მამის დახმარებით, ოთხი წლის ასაკში ისწავლა წერა-კითხვა. ბავშვობაში ნურგული, მურატ ილდირიმის მსგავსად, მათემატიკით იყო გატაცებული. სამსახიობო განათლება ნურგულმა ანტალიაში, სასცენო ხელოვნების ინსტიტუტში მიიღო. მოგვიანებით, მან ესკიშეხირის უნივერსიტეტში სასცენო სკოლის კურსებიც გაიარა. პირველი როლი კინოში ნურგულ იეშელჩაიმ 1998 წელს ითამაშა ფილმში „ყველაფერი კარგად იქნება”, რომლის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, ის თურქმა მაყურებელმა შეიყვარა. 2004 წელს ნურგულ იეშელჩაი ცოლად გაჰყვა მსახიობ ჯემა ეზერს, თუმცა ისინი მალევე განქორწინდნენ. ნურგულს ჰყავს 2005 წელს დაბადებული ვაჟი, სახელად ოსმანი.



ნურგულ იეშელჩაი თურქული კინოს სექს-სიმბოლოდ მიიჩნევა და არც გულახდილ თემებზე საუბარს ერიდება ინტერვიუებში. მაგალითად, ცნობილია, რომ ნურგულის პირველი სიყვარული ტრანსსექსუალია, ხოლო მეორე სიყვარული ტუბერკულოზით იყო დაავადებული და მასთან განშორება ნურგულს მშობლებმა აიძულეს. მსახიობის თქმით, ის აღარ ფიქრობს ქორწინებაზე და თავს ბედნიერად გრძნობს საყვარელ ადამიანთან ყოველგვარი ფორმალობის გარეშე.

### ტომრის ინჯერი – სანუს ბალდარი

ტომრის ინჯერი 1948 წლის 16 მარტს დაიბადა ბულგარეთში, ქალაქ ვარნაში. 1974 წლიდან ის სტამბულის მუნიციპალური თეატრის მსახიობი გახლდათ და იმავე პერიოდში დაიწყო მისი კინოკარიერაც, რომელიც დღემდე გრძელდება. ტომრისი თურქული კინოსა და თეატრის აღიარებული ვარსკვლავია. მსახიობი მუშაობს და ცხოვრობს სტამბულში.

### ფერიდე ჩეთინი – ჩიჩეკ ბალდარი

ფერიდე ჩეთინი 1980 წელს დაიბადა სტამბულში, იქვე სწავლობდა კომუნიკაციის, ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის ფაკულტეტზე, შემდეგ კი სწავლა მარმარილოს ზღვის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში განაგრძო. სამსახიობო კარიერა ფერიდემ 2005 წელს დაიწყო ფილმით „ორი გოგო”, რასაც მოჰყვა როლი გახმაურებულ სერიალში „სიყვარული და სასჯელი”. მსახიობობის გარდა, ფერიდე სხვადასხვა თემაზე ამზადებს სტატიებს თურქული ჟურნალ-გაზეთებისთვის.

### გიოკჩე იანარდაღი – ნაზანი

ნაზანას როლის შემსრულებელი გიოკჩე იანარდაღი სტამბულში დაიბადა 1975 წელს. გიოკჩე ბავშვობიდან ოცნებობდა მსახიობობაზე და უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, თეატრალურ წარმოდგენებში მონაწილეობდა სამოყვარულო დონეზე. მისი კარიერა 2000 წელს დაიწყო მინი-სერიალით „სავუნმა,” ხოლო სერიალი „სიყვარული და სასჯელი” მის კარიერაში საუკეთესო ფილმადაა მიჩნეული. ის ასევე, ცნობილია, როგორც მოდელი და თურქული კინოს სექს-სიმბოლო.



### ოქტაი გიურსოი – ჩემი



ოქტაი გიურსოი 1984 წელს ანკარაში დაიბადა. იქვე მიიღო დაწყებითი და საშუალო განათლება, რის შემდეგაც სწავლა სახელმწიფო თეატრალურ უნივერსიტეტი განაგრძო. ოქტაი აქტიურად არის დაკავებული თურქული კინოსა და თეატრის სამყაროში. მონაწილეობს სპექტაკლებში, სერიალებსა და მხატვრულ ფილმებში. მისი საყვარელი ჟანრია მძაფრსიუჟეტიანი „ბოევიკები”.

### ჯენკ ერტანი – ბორა

თურქი მსახიობი, „სიყვარული და სასჯელში” ბორას როლის შემსრულებელი, ჯენკ ერტანი გერმანიაში დაიბადა 1970 წელს. თავდაპირველად ის მოდელად მუშაობდა და მხოლოდ შემდგომ სცადა ბედი ტელევიზიაში. პირველი როლი მან 2003 წელს ითამაშა და მას შემდეგ, ხშირად იწვევენ უარყოფითი პერსონაჟების განსახიერებისთვის, რაც მას საუკეთესოდ გამოსდის, მათ შორის „სიყვარულსა და სასჯელშიც”.



**უშანგი რუხაძე**

# როგორ განახორციელა სტალინმა კამოს მეშვეობით ტერორისტების მიერ ბანკიდან გატაცებული ფულის საქართველოდან გატანა



1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში რუსეთში გახშირდა სახელმწიფო ხაზინიდან და კერძო ბანკებიდან ფულის გატაცების ფაქტები, – ეგრეთ წოდებული „ექსპროპრიაციები". სწორედ ამ თემაზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრიაპირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობიათ.

პოლიტიკურ პარტიებს ფული სჭირდებოდათ და უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ისინი ახდენდნენ ექპროპრიაციას. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრო ეფექტურად ვერ ებრძოდა ექსპროპრიაციებს, რის გამოც, იმატა ფულის გატაცების ფაქტებმა. იმდროინდელი რუსეთის იმპერიაში ყველაზე დიდი ექსპროპრიაცია თბილისში, 1907 წლის 13 ივნისს განხორციელდა. ამ ექსპროპრიაციის შედეგად, რუსეთის იმპერიის ხაზინის კუთვნილი 250 ათასი რუბლი, ფულის ნიშნები და ბანკის საკრედიტო ბარათები იქნა გატაცებული. პოლიციამ გამტაცებელთა კვალს ვერ მიაგნო. გამტაცებლებმა წარმატებით გაიტანეს ფული უცხოეთში.

დიდი ხნის განმავლობაში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, აღნიშნულ ექსპროპრიაციას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტს მიაწერდნენ. ორგანიზატორად იოსებ სტალინი სახელდებოდა, შემსრულებლად კი – სიმონ ტერ-პეტროსიანი, კამო.

სანდო საარქივო დოკუმენტები და მასალები ერევანსკის მოედნიდან გატაცებული ფულის ისტორიას ამგვარად წარმოგვიდგენს. ერევანსკის მოედნიდან ფული გაიტაცეს არა სოციალ-დემოკრატებმა, არამედ – სოციალისტ-რევოლუციონერებმა (ესერებმა). ხელმძღვანელად კი სახელდებიან: სარქის ოთაროვი და ვასილ პილეცკი. ეს უკანასკნელი ამიერკავკასიის რკინიგზის ფოსტის გადაზიდვის განყოფილების თანამშრომელი იყო და სწორედ მან მიაწოდა სარქის ოთაროვს ბაქოდან თბილისისკენ ფულის მოძრაობის მარშრუტი და დრო. სარქის ოთაროვმა და ესერმა ტერორისტებმა ფულის გატაცების ოპერაცია უნაკლოდ განახორციელეს. ფულით დატვირთული საფოსტო ეტლი, თბილისის რკინიგზის სადგურიდან მაშინდელი ერევანსკის, დღევანდელი თავისუფლების მოედნამდე მივიდა. მოედნიდან ეტლს უნდა აეხვია დღევანდელი ლეონიძის ქუჩაზე, სადაც მდებარეობდა ბანკის შენობა. სწორედ ქუჩის დასაწყისთან ტერორისტებმა ეტლს ფუჭი ბომბები ესროლეს, რომელმაც შექმნა კვამლის საფარი და ამ დროს განაიარაღეს დაცვა, ფული კი იქვე მდგარი მეორე ეტლით გაიტაცეს. ფულის გატაცების დროს მოხდა უბედური შემთხვევა – დამფრთხალმა ცხენებმა ჩვილი ბავშვი გაჭყლიტეს, რომელიც გამზრდელს საბავშვო ეტლით სასეირნოდ ჰყავდა გამოყვანილი. ესერებმა ჟანდარმერიის დაბნევის მიზნით, მეორე ეტლი დავითაშვილის ქუჩის გავლით, ოქროყანის მიმართულებით გაუშვეს. ჟანდარმერია სწორედ ამ ეტლს დაედევნა, ამასობაში კი ესერებმა ფულით დატვირთული ეტლით ავლაბარს შეაფარეს თავი. ცოტა ხნის შემდეგ, ჟანდარმერიამ შეიტყო ფულის ადგილსამყოფელი, მაგრამ თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსმა, პოლკოვნიკმა პასტრულინმა ავლაბარზე იერიშის მიტანა ვერ გაბედა. აგენტურული მონაცემების მიხედვით, ფულს იცავდა ბომბებით შეიარაღებული ოცამდე ტერორისტი. რისი აფეთქებაც გამოიწვევდა ხანძარს და მშვიდობიანი მოქალაქეების სიკვდილს. სამაგიეროდ, მთელი ავლაბარი ალყაში მოაქციეს, გაფრთხილებული იყო ყველა საბაჟო, უპირველესად, ფოთის და ბათუმის პორტებისა. ასე რომ, ესერების შანსი თბილისიდან და შემდეგ ქვეყნიდან ფულის გატანისა, თითქმის ნულამდე დავიდა.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი სარქის ოთაროვი დაუკავშირდა ასეთ საქმიანობაში საკმაოდ გამოცდილ ტერორისტსა და ავანტიურისტს, კამოს. კამო ბრიყვი არ იყო, რომ ასეთ სახიფათო საქმეში ჩარეულიყო, ამიტომ საქმის კურსში სტალინი ჩააყენა, რომელიც ფულის გატაცებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ბაქოდან თბილისში დაბრუნდა. სტალინმა, ბრწყინვალედ დაგეგმა თბილისიდან ფულის გატანის ოპერაცია.

სტალინის გეგმის მიხედვით, გათამაშდა ქორწილის სცენა. ნეფე იყო კამო, პატარძლად კი ესერებმა საკუთარი პარტიის წევრი – ტერორისტი გოგონა შეარჩიეს, რომლის მამაც პოლიციის პრისტავი იყო. პატარძალი ამ პრინციპით იმიტომ შეირჩა, რომ საბაჟოზე პოლიციის პრისტავის ქალიშვილის ბარგს არ გაჩხრეკდნენ. რაც შეეხება კამოს, მისი კანდიდატურა ამ საქმისათვის ზედმიწევნით ზუსტად იყო შერჩეული. სტალინს ავანტიურისტი ტერ-პეტროსიანი მსგავსი შავი საქმეების მოგვარებაში ბევრჯერ ჰყავდა გამოცდილი. მან საბაჟო გაიარა პასპორტით, რომელიც თბილისის გოგირდის აბანოში, ავსტრია-უნგრეთის საკონსულოს თანამშრომელს, დიმიტრი მირსკის მოპარა. ნეფე-დედოფალმა ავლაბრიდან, საქორწინო ეტლით მშვიდობიანად მიაღწიეს თბილისის სადგურამდე, შემდეგ კი მატარებლით – ბათუმის პორტამდე. უცხოეთში, გემიდან ჩასული კამო ოსტატურად დაუსხლდა ტერორისტ „მეუღლეს" და მშვიდობიანად ჩააღწია ჟენევამდე. სადაც ესერების გატაცებული ფული კამომ სტალინის გეგმის თანახმად, ლენინს ჩააბარა. თბილისიდან ფულის გატანის ოპერაცია წარმატებით კი განხორციელდა, მაგრამ, ძალიან მალე ეს ფაქტი გახმაურდა. ლენინის უახლოესი თანამებრძოლები: მაქსიმე ლიტვინოვი (საბჭოთა კავშირის მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი), ნიკოლოზ სემაშკო (საბჭოთა რუსეთის მომავალი ჯანდაცვის მინისტრი), ვერა რავიჩი (ცნობილი ბოლშევიკის, გრიგორი ზინოვიევის მეუღლე) და სხვები დაიჭირეს თბილისში გატაცებული ბანკის საკრედიტო ბარათების გადახურდავებისას. საქმე ის იყო, რომ გადაზიდვისას ბანკის საკრედიტო ბარათების ნომრები სპეციალურ ჟურნალში ტარდებოდა. რუსეთის სახელმწიფო ბანკმა, მსოფლიოს ყველა ბანკს აცნობა თბილისში გატაცებული საბანკო საკრედიტო ბარათების ნომრები. ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. ბოლშევიკებმა ამბავი რუსეთის სპეცსამსახურების შეთხზულად გამოაცხადეს და სასამართლო პასუხისმგებლობიდან თავი დაიძვრინეს. როგორც ჩანს, ესერები და ბოლშევიკები ბოლოს და ბოლოს მორიგდნენ და ფულიც გაიყვეს, რადგან ერთმანეთის მიმართ შემდეგ პრეტენზიები აღარ წამოუყენებიათ.

**ყველაზე დიდი ექსპროპრიაცია განხორციელდა თბილისში 1907 წლის 13 ივნისს. გატაცებულ იქნა რუსეთის იმპერიის ხაზინის კუთვნილი 250 ათასი რუბლი, ფულის ნიშნები და ბანკის საკრედიტო ბარათები**

ჟენევაში ჩასული კამო თბილისში აღარ დაბრუნდა და ევროპაში მოგზაურობდა მოპარული პასპორტით, რომლის დაკარგვის ფაქტიც, მის კანონიერ მფლობელს უკვე გაცხადებული ჰქონდა. კამო ბერლინის პოლიციამ დააპატიმრა. მას 2 ბრალდება წაუყენეს: ავსტრია-უნგრეთის მოქალაქის, დიმიტრი მირსკის პასპორტით ცხოვრება და ასაფეთქებელი ნივთიერების შენახვა, რომელიც ჯიბეში უპოვეს. გერმანიის მართლმსაჯულებას მისთვის თბილისში გატაცებულ ფულთან დაკავშირებით ბრალდება არ წაუყენებია. კამო გერმანელებმა რუსეთის ხელისუფლებას გადასცეს. თბილისში შემდგარ სასამართლო პროცესზე კამომ თავი მოიგიჟიანა, სამედიცინო, კომისიამ ის შეურაცხადად ცნო. კამო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა პასტრულინმა პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტს აცნობა: კამო გიჟი არ არის და საავადმყოფოდან გაიქცევაო. მართლაც, რამდენიმე დღეში შეურაცხადად ცნობილი ტერორისტი ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გაიქცა.

1918 წელს ლევ ტროცკიმ სტალინს ოფიციალურად დასდო ბრალი თბილისსა და ბაქოში განხორციელებული ფულის გატაცებების ორგანიზებაში. ამ ფაქტმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ბოლშევიკური პარტია და მისი ლიდერი – ლენინი. გადაწყდა, საქმე შეესწავლა პარტიულ სასამართლოს, რომლის თავმჯდომარეობა ვერავინ იკისრა. ბოლოს შეირჩა თავმჯდომარის კანდიდატურა. ეს გახლდათ ბოლშევიზმის, ლენინის, ტროცკისა და სტალინის შეურიგებელი იდეური მოწინააღმდეგე, იმხანად ემიგრაციიდან ახლად დაბრუნებული, რუს მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი – იური მარტოვი (ცედერბაუმი). სასამართლოს ვერდიქტი ასეთი იყო: სტალინს ფულის გატაცებასთან არც თბილისში და არც ბაქოში არანაირი კავშირი არ ჰქონია!

**მოამზადა
ანრი შავლაძემ**

# საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს სწორად მოწყობა თქვენს ფინანსებს გაზრდის, ურთიერთობებს კი მოაწესრიგებს



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

არსებობს ისეთი ატრიბუტიკა, რომელიც ბინაში აუცილებლად უნდა გქონდეთ, რათა თქვენი ცხოვრება უფრო მეტად ნაყოფიერი, წარმატებული და იღბლიანი გახადოთ. მაგალითად: ჩინური დრაკონი ქმნის ისეთ კოსმიურ ენერგიებს, რომლებსაც ჩვენს ოჯახსა და სამსახურში წარმატება მოაქვს. დრაკონისა და მოძრავი წყლის ერთობლიობა კი კიდევ უფრო აძლიერებს ენერგიების შემოდინებას, რომელიც წარმატებების მიღწევაში გვეხმარება. ასეთი მოძრავი წყლის მოწყობილობები ბაზრობაზე ან ჩინურ მაღაზიებში შეგიძლიათ, შეიძინოთ. თუ მას ოთახის ჩრდილოეთ ნაწილში დადგამთ, კარიერულ წინსვლაში შეგეწყობათ ხელი, ხოლო, თუ მატერიალური კეთილდღეობის მიღწევა გინდათ, მაშინ, ჯობია, ასეთი ატრიბუტიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთით მოათავსოთ.

ბროლის ბურთულა ერთ-ერთი მძლავრი აქტივიზატორი და წარმატებების მომტანი ატრიბუტია შემოქმედებითი ადამიანებისთვის. თუ კომუნიკაციის სფეროში გიჭირთ, ვერ ახერხებთ თანამოაზრეების დარწმუნებას თქვენი აზრების სისწორეში და გიჭირთ საერთო ენის გამონახვა კოლეგებთან, შეიძინეთ ბროლის ბურთულა და დადეთ თქვენს სამუშაო მაგიდაზე. ის, გარდა წარმატებებისა, სიმდიდრესაც გპირდებათ და თქვენი ავტორიტეტიც საგრძნობლად ამაღლდება.

თუ მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, კარიერაში არ გიმართლებთ, სასწრაფოდ შეიძინეთ თევზებიანი აკვარიუმი, მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ აკვარიუმი სასტუმრო ოთახის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა დადგათ, მასში კი რვა ოქროსფერი თევზი უნდა დაცურავდეს. სამუშაო მაგიდაზე კი თევზის ფორმის სტატუეტი დადგით. ეს სიმდიდრისა და ავტორიტეტის მოხვეჭაში შეგიწყობთ ხელს.

ეგრეთ წოდებული ამეთვისტოს ხე ძლიერი სტიმულატორია კოლეგებთან და საქმიან პარტნიორებთან საერთო ენის გამონახვისა და ერთობლივი ნაყოფიერი სამუშაოს წარმოებისთვის. შეიძინეთ და დადგით სამუშაო მაგიდაზე ამეთვისტოს ხე და დარწმუნებული იყავით, რომ წარმატებებს ადვილად მიაღწევთ პროფესიულ საქმიანობაში, ასევე, თავიდან აიცილებთ უთანხმოებებსა და გაუგებრობებს კარიერაში.

ფაიფურის ან თიხისგან დამზადებული გომბეშოს გამოსახულება დადეთ შემოსასვლელი კარის მარცხნივ. ის დაგიცავთ ბოროტი ადამიანების უარყოფითი ენერგიების ზემოქმედებისგან და ბინაში არ შემოუშვებს ნეგატიურ ძალებს.

საფულეში ატარეთ სამი ჩინური მონეტა, რომ თქვენს ბიზნესში ხელი მოგემართოთ და პრობლემები არ შეგექმნათ. ეს მონეტები ჩინურ მაღაზიაში შეიძინეთ. ასევე, შეგიძლიათ, ისინი დაკიდოთ მაღაზიის შესასვლელ კარზე, რომ თქვენს ბიზნესს საფრთხე არ შეექმნას და ბევრი კლიენტი მიიზიდოთ.

კუს გამოსახულება მეტ გამბედაობასა და სითამამეს შეგმატებთ. თქვენს სამუშაო მაგიდაზე დადგით მისი გამოსახულებიანი სტატუეტი და ჩათვალეთ, რომ კოლეგები და ხელმძღვანელობა თქვენს სამუშაოს წუნს ვერ დაუდებენ. ის დაგეხმარებათ ახალი საქმის დაწყებასა და ფულის ადვილად მოძიებაში.

მითიური ჩინური მარტორქა, რომელიც ცხენი-დრაკონის სახელითაა ცნობილი, კოსმოსიდან დადებით ენერგიებს იზიდავს და წარმატება მოაქვს პოლიტიკასა და სამხედრო სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის. ის განსაკუთრებულად კარგია აქტიური და საკუთარ ძალებში დარწმუნებული პიროვნებისთვის.

მამალი, რომელსაც ფერადი ბიბილო აქვს და ფაიფურისგანაა დამზადებული, დაგიცავთ ინტრიგებისა და ფარული მტრების შემოტევებისგან. დადგით ის ოფისში ან სახლში ისეთ ადგილას, რომ ადვილად დასანახი და თვალშისაცემი იყოს. ეს სტატუეტი თქვენს კეთილდღეობაზე აგებს პასუხს. შეიძინეთ ის და ნახავთ, როგორ დაიწყებს სიტუაცია ყოველდღიურად, ნელ-ნელა გამოსწორებას.

ზოგადად, საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს დაკვირვება და სწორად მოწყობა ბევრ რამეზე მიგანიშნებთ. გაითვალისწინეთ ზემოთ ჩამოთვლილი რჩევები და, ელემენტარული კორექტივების შეტანით, ცხოვრებაში რადიკალურ ცვლილებებს შეიტანთ, ასევე, გამოასწორებთ შექმნილ სიტუაციას უკეთესობისკენ.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **დავიბადე 1983 წლის 15 ივლისს, საღამოს 21 საათზე. მინდა, უცხოეთში წასვლა. თუ მირჩევთ იქ კარიერის გაგრძელებას?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენი კარმული მისია არ არის, ამიტომ, თქვენთვის დამაბრკოლებელია. თუ ორმაგი ძალისხმევა, შეუპოვრობა, მიზანსწრაფვა არ გამოავლინეთ, ისე წარმატებას ვერ მიაღწევთ. საერთოდ, პროფესიული თვალსაზრისით, თქვენთვის უკეთესია ისეთი სფეროები, როგორიცაა: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე. რაც შეეხება უცხოეთს, თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება სამშობლოს. ამიტომ, თქვენთვის მთავარია ოჯახის შექმნა, სტაბილურობა ნათესავებთან ურთიერთობაში და პატრიოტიზმი. დროებით კი, მაგალითად, ცოდნისა და კაპიტალის დასაგროვებლად, კარგია შემდეგი ქვეყნები: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, შოტლანდია, ჰოლანდია, თურქეთი, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ინდოეთი, ნორვეგია, დანიის ჩრდილოეთი ნაწილი, მექსიკა, კუბა.

კითხვა: **დავიბადე 1987 წლის 25 მაისს, ჩემი რჩეული კი – 1983 წლის 6 თებერვალს. გაგვიმართლებს თუ არა სამომავლო ურთიერთობა სასიყვარულო-საოჯახო თვალსაზრისით?**

**პასუხი**: ურთიერთობა თქვენ შორის, საერთო ჯამში, მისაღებია როგორც წლების, ასევე თვეების მიხედვით. ხასიათში ბევრი მსგავსებაა, რაც სამომავლოდ ჰარმონიულ ურთიერთობას გპირდებათ ოჯახური და სასიყვარულო თვალსაზრისით.

კითხვა: **ჩემი გოგონა დაიბადა 2002 წლის 13 ოქტომბერს. მაინტერესებს, რა არის მისი კარმული მისია დედამიწაზე და რომელ პროფესიაში ელის წარმატება ასტროლოგიური კუთხით სამომავლოდ?**

**პასუხი**: თქვენი გოგონას კარმული მისიაა, იყოს მომავალში აქტიური, ენერგიული, ინიციატივიანი. ასევე, უნდა იყოს ლიდერი, უშიშარი, მებრძოლი. დაეყრდნოს კეთილშობილებას. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია, შეძლოს შუამავლის ფუნქციის შესრულება. პროფესიებიდან კი მისთვის კარგია და წარმატების მომტანი: პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია, სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმიანობა, საიუველირო ბიზნესი, არქიტექტურა, დიზაინი, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი, იურისპრუდენცია, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო საქმიანობა, პროფესიული დიპლომატია, ტურისტული ბიზნესი.

კითხვა: **დავიბადე 1987 წლის 19 იანვარს, ღამის საათებში, ჩემი რჩეული კი – 1987 წლის 21 იანვარს, დილის საათებში. როგორ შევეწყობით ერთმანეთს?**

**პასუხი**: თქვენი ურთიერთშეწყობა საშუალოა. წლების მიხედვით, ეს, შეიძლება, შევაფასოთ ხუთბალიანი სისტემიდან სამი ბალით. დასავლური კალენდრით, ორივე „თხის რქა“ ხართ. აქედან გამომდინარე, ურთიერთგაგება იქნება, მაგრამ, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებიც არის მოსალოდნელი. თუ შეძლებთ თვითკონტროლს, დათმობას, მაშინ ურთიერთობა ოთხი ბალით შეფასდება.

კითხვა: **დავიბადე 1980 წლის 5 ივლისს. მინდა, ახალი სამსახურის შექმნა და რა ფერად უნდა შევღებო კედლები ინტერიერში?**

**პასუხი**: უკეთესი იქნება, თუ არჩევანს გააკეთებთ თეთრ, ღია მწვანე, კრემისფერ ან ღია ნაცრისფერ ტონებზე. თქვენთვის ღია ტონები გაცილებით მომგებიანი და წარმატების მომტანია.

# თეატრები

### შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

22 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

23 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სტუმარი".** (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. დრამა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

24 მაისი, **პარასკევი** 19.45 - **„მაგრიტის შემდეგ"** - კომიკური დეტექტივი - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, გელა თავბერიძე, ნინო კასრაძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურცია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 მაისი, **შაბათი** 19.45 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ტრაგიკომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

25 მაისი, **შაბათი** 19.45 - **„წელიწადის ოთხი დრო"** - (ჩრდილების თეატრი) - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), ავტორი და რეჟისორი გელა კანდელაკი. მონაწილეობენ: ვადიმ შუბითიძე, ელენე მურჯიკნელი, პაატა შენგელია, ანჟელა აბშილავა, გიორგი ჭანტურია, ელენე ზურაბაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

26 მაისი, **კვირა** 19.45 - **„სულიერი არსებები".** (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.***

### კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

21 მაისი, **სამშაბათი** 20.00 - **„სილამაზის დედოფალი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გომართელი, ირაკლი ჩოლოყაშვილი, პაატა პაპუაშვილი;

21, 23 მაისი, **სამშაბათი, ხუთშაბათი** 20.00 - **„ქოლო"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

22 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„რევიზორი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე;

22 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები".** (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). დამდგმელი რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ერთმოქმედებიანი პიესა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

23 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„კინკასის უცნაური გარდაცვალება"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი (თეატრი სხვენში), რეჟისორი გიორგი თავაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

24 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„ჰამლეტი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 3სთ. 30 წუთი;***

24 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„სევილიელი დალაქი".** თოჯინების საოპერო თეატრი „აწკალა" - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მალხაზ გაბუნია, ზაალ კაკაბაძე, თეონა მალალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„კოტე მარჯანიშვილი"** - თეატრის შექმნის ამბავი - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ეკა ჩხეიძე, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, ლილე ფილფანი, ლიკა ქობულაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 3 სთ.;***

25 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„აგნუს დეი"** - „მოცარტი და სალიერი" და „ეგვიპტის ღამეების" მიხედვით (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი დავით ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, გაგა შიშინაშვილი, შაკო მირიანაშვილი, ჯანო იზორია, დათო ბელთაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 მაისი, **კვირა** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3 სთ.***

### თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

22, 26 მაისი, **ოთხშაბათი, კვირა** 19.00 - **„ჩემი საუკეთესო მეგობარი".** (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი ვანო ხუციშვილი. მონაწილეობენ: ნუცა სულაბერიძე, შაკო მირიანაშვილი, ილია ქორქაშვილი; პრემიერა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

23 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სექტემბრის თოვლი"** - გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი - (ბილეთის ფასი - 6, 7, 9 ლარი), რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

24 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

### ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

23 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„შავი კეტები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ ტყემალაძე, ანა მატუაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, სალომე წურწუმია, მამუკა მაზავრიშვილი, იმედა ნატროშვილი, კოტე მჟავია, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

24 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„პანთეონი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ვახტანგ ადეიშვილი, ნელი ბადალაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

25 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„ვაჟა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: გია ჯაფარიძე, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია მელქაძე, ჯაბა ჯაფარიძე, ბექნუ ქაფიანიძე, ზურაბ იაშვილი, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ვაჟა ციცილოშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

26 მაისი, **კვირა** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვახტანგ ადეიშვილი, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

### ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

23 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისურა, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება ბუბა ბასიშვილისა და გოგა ქაჩიბაიასი. მონაწილეობენ: ეკა აბშილავა, ნინო ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

24 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„ინსტინქტი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ბაია დვალიშვილი, რუსიკო ბოლქვაძე, გიორგი ჭუმბურიძე, მაკა ძაგანია, დავით გიგოლაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

25 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ოპერა მაფიოზო".** (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი გაბრიელ გოშაძე. მონაწილეობენ: დავით გიგოლაშვილი, მამუკა ლორია, თამარ მაყაშვილი, ვასილ ოდიშვილი, მაკა ძაგანია, დავით ველიჯანაშვილი, მაკა შალიკაშვილი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

26 მაისი, **კვირა** 20.00 - **„ჭკუისა მჭირს"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: ნიკა გიორგაძე, მაკა ძაგანია, კახა გოგიძე, ვასიკო ოდიშვილი, დათო გიგოლაშვილი, სოსო მჭედლიშვილი, ლევან მამნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

### გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი),**
**298-65-90**

23, 26 მაისი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

24 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

25 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**



## ორშაბათი 20 მაისი

**06.30** დ/ფ "ელიოტ ნესი ალკაპონეს წინააღმდეგ" **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ "ნიკოლა ლე ფლოკი" **17.00** დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარული და შურისძიება**" **21.00** ტ/სერ "**ნიკოლა ლე ფლოკი**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "კომენტატორი" **00.00** მხ/ფ "**სირიანა**" (ჯ.კლუნი) **02.40** დ/ფ "რა არის რეალობა".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **4** სერ. **19.05** მთავარი ფაქტორი **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) **23.00** მხ/ფ "**გზა წარმატებისკენ**" (ა.პიტი) **01.10** მხ/ფ "**მოგზაური**" (კ.კოქსი) (ტიტ.) **02.45** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ყველაზე ჭკვიანი **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ძალა**" **22.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **00.00** შიშის ფაქტორი **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** "პრესკლუბი" **16.30** "ღია კარის დღე" (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** "ყოველდღიური ამბები" **23.00, 3.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.50** მხ/ფ "**ოქროს ობობა**" IV სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" **13.15** საქველმოქმედო კონცერტი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - "**ეზოში ავი ძაღლია**" **17.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.45** ეთნოგრაფია **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** საუბრები ლიტერატურაზე **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "**13** ასურელი მამა" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** დოკ/ფ "ცამეტი ასურელი წმინდა მამის ნამოღვაწარი" **01.40** მხ/ფ "**ფარანი ქარში**".

## სამშაბათი 21 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.10** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ "**ნიკოლა ლე ფლოკი**" **17.00** დ/ფ "თანამედროვე სნაიპერი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**სიყვარული და შურისძიება**" **21.00** ტ/სერ "**ნიკოლა ლე ფლოკი**" **22.00** "აქცენტები" **23.00** მხ/ფ "**300**" **01.30** დ/ფ "ნამდვილი პანამა".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კონცერტი: "ვია – **75**" **2** ნაწ. (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ახალი საბავშვო ხმა (პ/ე) **00.15** მხ/ფ "**საბილიარდო**" (რ.სანჩესი) **02.05** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ. "**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია. **23.30** სერ. "**გრიმი**" **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** "პრეს-პრესი"(გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** სპექტაკლი - "**ეზოში ავი ძაღლია**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული სწავლება **10.50** საუბრები ლიტერატურაზე **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **13.25** კონცერტი - სოფიკო ჭიაურელის ხსოვნის საღამო **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "პირიქითა ხევსურეთი" **16.00** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.25** მხ/ფ "**რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე**" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩემი ქვეყანა **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ჩვენი ბიბლიოთეკა **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.30** დოკ/ფ "თამარ ნუცუბიძე" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი **02.10** ირაო.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**20 – 26 მაისი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.00, 19.45 - **„სტარ ტრეკი: სიბნელეში"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

22.30 - **„დიდი გეთსბი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 20.00 - **„ნაწილები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00, 22.15 - **„იბრძოლე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 17.15, 20.00, 22.30 - **„რკინის კაცი 3"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.15, 14.45 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.30, 19.45, 22.15 - **„სისხლით და ოფლით"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 5*

13.00, 16.15, 19.30 - **„დიდი გეთსბი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

22.30 - **„სტარ ტრეკი: სიბნელეში"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი)

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-5**

*დიდი დარბაზი*

13.00, 16.00, 19.15, 22.15 - **„დიდი გეთსბი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

13.00 - **„რკინის კაცი 3"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

16.00, 18.00, 20.00, 22.30 - **„ტრანსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო"**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00 - **„მონსტრი პარიზში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 16.00 - **„რომის გლადიატორები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00, 20.00, 22.00 - **„ნაწილები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

**(ბილეთის ფასი: 4 - 7 ლარი).**

# ცხვრის ბარკალი მარინადში





**საჭირო ინგრედიენტები:** ცხვრის უკანა ბარკალი (2-2,5 კილოგრამი).

**მარინადისთვის:** 1 ცალი კივი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, 1 ჩაის კოვზი აღმოსავლური სუნელი, 1 ჩაის კოვზი დაფქული ხმელი ქინძი, 1 ჩაის კოვზი გახეხილი მუსკატის კაკალი, 1 ჩაის კოვზი იმბირი (დაფქული), 1 ჩაის კოვზი დაფქული ქონდარი; ერთი კონა ნედლი ქინძი; პიტნა; მარილი, შავი პილპილი, 150 გრამი მაგარი ყველი. 2 ცალი სტაფილო, 2 თავი ხახვი, ნახევარი ბროწეული, 150 მილილიტრი წითელი ღვინო, ცოტა როზმარინი, ზეთი – შესაწვავად; 3 ცალი კომში, 100 გრამი კარაქი, 100 გრამი შაქარი.

**მომზადების წესი:** ცხვრის ბარკალს ძვალი ისე გამოაცალეთ, რომ ერთი მთლიანი ნაჭერი დარჩეს. მარინადისთვის ყველა სუნელი შეურიეთ ზეითუნის ზეთს. უყავით მარილი, პილპილი, კივი გახეხეთ და შეურიეთ მარინადს. ხორცს ყველა მხრიდან წაუსვით ეს მარინადი და ერთი ღამით გააჩერეთ მაცივარში.

ყველი გახეხეთ, წვრილად დაკეპეთ ქინძი და კარგად აურიეთ.

ხორცი მსუბუქად დაბეგვეთ, ბევრგან ჩაჭერით და ყველა პატარა „ჯიბეში“ ჩატენეთ სატენი, ანუ – ყველი და მწვანილი.

ამოკერეთ ჯიბეები აბრეშუმის ძაფით. ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად, სტაფილო – თხელ რგოლებად. ტაფაზე დასხმულ ცხელ ზეთში შეწვით ცხვრის ფეხი ყველა მხრიდან და გადაიტანეთ ფოლგაზე. ტაფაში დარჩენილ ზეთში მოშუშეთ ბოსტნეული, ჩაუმატეთ როზმარინი და ცოტა ხმელი პიტნა. ოდნავ ამოურიეთ, დაუმატეთ ბროწეულის მარცვლები, დაასხით 100 მილილიტრი ღვინო და შუშეთ 5 წუთი. შემდეგ ეს ბოსტნეული მოაყარეთ ბარკალს, შეფუთეთ ფოლგაში და მოათავსეთ 200 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში 2 საათით მაინც. გაადნეთ კარაქი და ამ კარაქში შეწვით კომშის ნაჭრები; მოაყარეთ ცოტა შაქარი, დაასხით 50 მილილიტრი ღვინო და ჩაშუშეთ, სანამ სითხე ამოშრება. როცა ხორცი მზად იქნება, მოაშორეთ ძაფი, დაჭერით და მიირთვით მოშუშულ კომშთან ერთად.

# ქათმის რულეტი













**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ქათმის ფილე, 200 გრამი ქამა სოკო (ცოცხალი), 200 გრამი ყველი, ზეთი, 3-4 კვერცხი, 1/2 ჩაის ჭიქა რძე, 1 თავი ხახვი, ცოტა არაჟანი ან მაიონეზი, მარილი, ცოტა ხმელი სუნელი, კამა (თქვენი სურვილით).

**მომზადების წესი:** თუ ფილეს კანი აქვს, მოაშორეთ. ძვალიც არ უნდა ჰქონდეს. ცოტა დაბეგვეთ. მოაშორეთ ზედმეტი ცხიმიც. თითოეული ნაჭერი ბასრი დანით აკურატულად გაჭერით სიბრტყეზე, მაგრამ ბოლომდე არა. ერთ ბოლოში შეერთებული უნდა იყოს, წიგნივით რომ გადაიშალოს.

ისევ კარგად დაბეგვეთ (ხის ჩაქუჩი უკეთესია), თან, ზედაპირი წინასწარ აუცილებლად დაუსველეთ. სასურველია, თხელ ცელოფანში შეახვიოთ. დაბეგვის შემდეგ ფილე ზომით ორჯერ დიდი უნდა გახდეს.

სატენისთვის წვრილად დაჭერით ხახვი და მოშუშეთ ზეთში. დაუმატეთ დაჭრილი სოკო და კარგად მოხრაკეთ. სანამ იშუშება, ღრმა თასში ათქვიფეთ კვერცხი. უყავით ცოტა მარილი, სუნელი და ცოტა რძე, ისევ კარგად ათქვიფეთ და შეწვით ომლეტი ორივე მხრიდან (ძალიან არ გამოაშროთ).

ქათმის ფილეზე დადეთ ომლეტი. შეგიძლიათ, ფილეს წინასწარ წაუსვათ არაჟანი ან მაიონეზი. ომლეტზე გაშალეთ მოშუშული სოკო, მოაყარეთ გახეხილი ყველი. გადაახვიეთ ფრთხილად, მაგრამ მჭიდროდ დაამაგრეთ ხის ჩხირებით ან შეკარით, რომ არ დაიშალოს და გამოაცხვეთ აირღუმელში 200 გრადუსზე. გამოიღეთ, ოდნავ გააცივეთ და მორთეთ მაიონეზით. არაჩვეულებრივად არომატულია. სუფრაზე მიტანის წინ რულეტივით დაჭერით.

# შეფუთული ხორცი











**საჭირო ინგრედიენტები:** 700 გრამი საქონლის ხორცის ფილე (შეგიძლიათ, გამოიყენოთ ღორის ან ქათმის ფილეც), 2 კვერცხი, 5 ცალი კარტოფილი, 1-2 თავი ხახვი, 2 სადილის კოვზი არაჟანი, 3 სადილის კოვზი ფქვილი, 2 კბილი ნიორი, შავი პილპილი, 200 გრამი არაჟანი სოუსისთვის, ცოტა რძე, 50 გრამი ყველი, მარილი, ცოცხალი მწვანილი.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით თხელ, მოგრძო ფირფიტებად. თითოეული ნაჭერი კარგად დაბეგვეთ, მოაყარეთ მარილი და პილპილი. კარტოფილი გათალეთ და გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე. დაწურეთ თუშფალანგზე, რომ ზედმეტი სითხისგან დაიწრიტოს. შეურიეთ კვერცხი, ფქვილი, არაჟანი, წვრილად დაჭრილი ხახვი, დანაყილი ნიორი, მარილი და შავი პილპილი. ყველაფერი კარგად აზილეთ. კარტოფილის გუნდები გააბრტყელეთ, თითოეულზე მოათავსეთ ხორცის თითო ნაჭერი და ზემოდან ბრტყლად დაადეთ ისევ კარტოფილის მასა, ისე რომ ხორცი „შეიფუთოს“. ძალიან ცხელ ტაფაზე დაასხით ზეთი, დააწყვეთ შეფუთული ხორცი ორივე მხრიდან შეწვით.



ცალკე მოამზადეთ სოუსი: არაჟანში ჩაუმატეთ წვრილკბილა სახეხზე გახეხილი ყველი, ათქვიფეთ კარგად. თუ სქელია, ოდნავ გაათხელეთ რძით. უკვე შემწვარი შეფუთული ხორცი დააწყვეთ ზეთწასმულ გამოსაცხობ ტაფაზე, მოასხით სოუსი და შედგით აირღუმელში 40-50 წუთით, 200 გრადუსზე. შემდეგ გადმოიღეთ ლანგარზე და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი. გარნირი საჭირო აღარ არის, ისედაც საკმაოდ გემრიელი, ნოყიერი და არომატული კერძია.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# მწვადი შამპანურის მარინადში

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 კილოგრამი ღორის რბილი ნაჭერი, 8 თავი ხახვი, 1 ჩაის კოვზი დაფქული შავი პილპილი, 2 სუფრის კოვზი როზმარინი, 1 ლიმონის წვენი, 2 ჭიქა მინერალური წყალი, 2 ჭიქა შამპანური, მარილი, ხმელი ქინძი გემოვნებით. გასაფორმებლად – 2 თავი ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, ბროწეულის მარცვლები.

**მომზადების წესი:** ღორის ხორცი მსხვილ ნაჭრებად დაჭერით. ხახვი დაჭერით წვრილად და დაუმატეთ ყველა სანელებელი მარილის გარდა. ხახვი და სანელებლები შეაზილეთ ხორცს, დაასხით მინერალური წყალი, ლიმონის წვენი და შამპანური. ხორცი მაცივარში 3 საათი შეინახეთ, შემდეგ მოაყარეთ მარილი და შამფურზე წამოცმული ნაჭრები მაყალზე ან გრილზე შეწვით. სუფრაზე მიიტანეთ ხახვთან და ბროწეულის მარცვლებთან ერთად.



# თევზის გუფთები სოუსით

**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი თეთრი თევზის ფილე, 2 თავი ხახვი, 1 ცალი კვერცხი, 2 ნაჭერი თეთრი პური, 1 ცალი კარტოფილი, მარილი, თეთრი და შავი პილპილი გემოვნებით, საფანელი – ამოსავლებად, ზეთი შესაწვავად. **სოუსისთვის:** 1 კილოგრამი თავისივე წვენში დაკონსერვებული პომიდორი, 1 დიდი თავი ხახვი, 1 პატარა კონა ქონდარი, 3 კბილი ნიორი, 1 ჩაის კოვზი თავშავა, მწიკვი შაქარი, 2 სუფრის კოვზი ზეთი, მარილი და პილპილი გემოვნებით.



**მომზადების წესი:** პური დაალბეთ წყალში და გაწურეთ. თევზის ფილე, ხახვი, კარტოფილი და პური ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, შეურიეთ კვერცხი, სანელებლები და დაყავით პატარა ბურთულებად. ამოავლეთ საფანელში და ბლომად ზეთში შეწვით. პომიდორი ათქვიფეთ ბლენდერში, დაუმატეთ დანაყილი ნიორი, თავშავა, მარილი, პილპილი და წამოადუღეთ. ხახვი რგოლებად დაჭერით, მოაყარეთ შაქარი და ზეთში მსუბუქად მოშუშეთ. პომიდვრის სოუსში ჩააწყვეთ გუფთები, მოაყარეთ მოშუშული ხახვი და მორთეთ ქონდრის ფოთლებით.

# ორაგულის მედალიონები

**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ნაჭერი ორაგულის ფილე, 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი ოხრახუში, 2 სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი კამა, 2 სუფრის კოვზი ცხარე მდოგვი, 0,5 ჩაის კოვზი ლიმონის ცედრა, 2 სუფრის კოვზი ვერმუტი, მარილი გემოვნებით, ცოტა ლიმონის წვენი, 1 კბილი დანაყილი ნიორი.



**მომზადების წესი:** 4 ფენა ფოლგას წაუსვით ზეთი. ორაგულის ფილეს ცივი წყალი გადაავლეთ და შეამშრალეთ. დააწყვეთ ფოლგაზე ისე, რომ კანი ქვემოთ მოექცეს. დანარჩენი ინგრედიენტები აურიეთ და თევზის ნაჭრებზე თანაბრად გადაანაწილეთ. ორაგულის ნაჭრები ერთმანეთს არ უნდა ეხებოდეს. ფოლგა კარგად შეკარით და 170 გრადუსზე გახურებულ ღუმელში 25 წუთით მოათავსეთ.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 22 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **17.00** დ/ფ "პლანეტა დედამიწის სიღრმეში" **17.55** **ფეხბურთი.** საქართველოს თასის ფინალი. (პ/ტრ) **21.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** მხ/ფ **"აბრეშუმი"** (კ. ნაიტლი) **01.20** დ/ფ "ანგელოზები და დემონები".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ფულთან თამაში **23.00** მხ/ფ **"ადრენალინი"** **01.10** მხ/ფ **"მუხლუხას რჩევა"** (ე.დიკი) **02.40** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** ნანუკას შოუ. **23.30** სერ. **"გრიმი"** **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 4.30, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** კვირის აბები (გამ.) **17.00** ჩემი ქორწილი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 1.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.30, 2.30** მაგთიფანი კონცერტი **23.30, 5.00** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** მხ/ფ **"რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** კონცერტი -რობერტო ვილაზონი **14.20** ჩვენი ბიბლიოთეკა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "ცეკვის არისტოკრატი" **16.40** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ჩემი ბოშები"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ქართველი ცხენოსნები ჰოლანდიაში" **23.40** დოკ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** I სერ.

## ხუთშაბათი 23 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.10** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **17.00** დ/ფ "სიცოცხლე" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "არენა" **00.00** მხ/ფ **"მამაცი"** (ჯ.ფოსტერი).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მხ/ფ **"მოუშორებელი ჭირი"** (ვ.ლედუაიენი) **00.30** მხ/ფ **"სისხლიანი განაჩენი"** **02.15** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 3.00, 5.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 1.00** ახალი ამბები **11.00** კვირის აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **14.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** მაგთიფანი კონცერტი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბ. აზრი" **19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.00** "ყოველდღიური აბები".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** I სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.35** დოკ/ფ "ქართველი ცხენოსნები ჰოლანდიაში" **11.00** დოკ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ჩემი ბოშები"** **13.25** კონცერტი - "თბილისური ავტოგრაფი" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი - ანს."მძლევარი" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"მონანიება"** I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25** დოკ/ფ "ქართული კალათბურთი" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ფუტკრის დუმილი" **00.40** განთიადის სტუმარი **01.10** მხ/ფ **"ხარება და გოგია"** II სერ.

## პარასკევი 24 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **17.00** დ/ფ " წყალქვეშა ომების წარმოების წესი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** "აქცენტები" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ **"კურთხეულ იყვნენ ცხოველები და ბავშვები"** (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.15** მხ/ფ **"მოწინააღმდეგე მხარეები"** (ო.ტაბაკოვი) **02.30** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **16.30** "მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00**

სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 "ყოველდღიური აბები".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მხ/ფ "ხარება და გოგია" II სერ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 დოკ/ფ "ქართული კალათბურთი" 11.00 დოკ/ფ "ფუტკრის დუმილი" 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "მონანიება" I ნაწ. 13.25 კონცერტი - საოპერო მუსიკის საღამო 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 მოკ/ფ "კავკასიური რომანსი" 16.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 16.35 საუბრები ლიტერატურაზე 17.05 კონცერტი - მალერის V სიმფონია 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ "მონანიება" II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "პიანისტი" ალექსანდრე კორსანტია 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ჩვენი ბიბლიოთეკა.

## შაბათი 25 მაისი

08.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 საბ. ან/ფ "ფიქრები თავისუფლებაზე" 11.00 "ეთნოგრაფიული ნარკვევები" 11.30 საბ. ტ/სერ "ზინგზილები" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 "მოამბე" 12.30 "AGVA-GEORGIA" 13.00 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" 14.00 მხ/ფ "განრისხებული ფანტომასი" (ჟ. მარე) 16.30 კონცერტი 18.00 "ეტალონი" 19.00 "გურმანია" 21.00 მხ/ფ "სანამ მოკვდები" (ჯ.ნიკოლსონი) 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ფინალი. (პ/რ ლონდონიდან) შესვენებისას: "ვიქტორინა" 01.20 მხ/ფ "პარანორმალური მოვლენები" (ტიტ.).

08.00 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 1" 2 სერ. 09.00 მხ/ფ "პრინცესას თავგადასავალი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან/ფ "ავატარი" 12.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" 13.00 სერ. "რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" 1 სერ. 14.20 იმედიატორი (გ/ჩ) 15.50 დოკ/ფ "ელექტრონავტები" (გ/ჩ) 17.50 სერ "მაგნატები" 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული" 21.00 სერ. "მარტოსული" 22.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ "კარლიტოს გზა" (ა.პაჩინო) 01.20 მხ/ფ "პირდაპირი მოქმედება" (დ.ლუნდგრენი) (ტიტ.) 02.55 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 შერეკილები 10.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ 16.30 "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) 19.00 ყველაზე ჭკვიანი. 20.05 სერ. "ერთგულების ძალა" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30 ჩემპიონთა ლიგის (ფინალი) 01.00 "Latin Angels" 01.30 სერ. "გრიმი" 02.00 მხ/ფ.

7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმი 8.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 9.30 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" (გამ.) 11.00, 18.45, 23.00, 3.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.45, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "პრესპრესი" 0.00, 2.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 1.30, 5.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 2.30 "ღია კარის დღე" 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი".

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "მონანიება" II ნაწ. 13.25 ჩვენი ბიბლიოთეკა 13.55 ქრისტიანული სწავლება 14.05 დოკ/ფ "პიანისტი" ალექსანდრე კორსანტია 15.10 ოპერა-"ლუკრეცია ბორჯა" 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 კარაბადინი 22.25 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.10 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 დოკ/ფ "წმინდა გიორგი საქართველოში" 01.45 კონცერტი - "ეგარი".

## კვირა 26 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.20 საბ/ფ "კიტი კიტრიჯი: ამერიკელი გოგონას ოცნება" 10.00 "ეტალონი" 11.00 საბ. ტ/სერ "ზინგზილები" 12.00, 16.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სპექტაკლის დრო" – შ. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: "მეფე ლირი" II მოქმედება 15.00 "საუკუნის პორტრეტები" – მერაბ მამარდაშვილი 16.30 "ჩვენი ეზო" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 მხ/ფ "უდიპლომო სასიძო" 20.00 კონცერტი: "მე ხომ ლოცვად მინდა..." პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – დიმიტრი ამილახვარი 23.00 "აღმოაჩინე საქართველო" 23.30 "უცნობი მუსიკა" 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ "უძღები შვილი" (ტიტ.).

08.00 ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" 3-4 სერ. 09.00 ქ.მხ/ფ "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" 13.00 სერ. "რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" 2 სერ. 14.20 მხ/ფ "ტალღებთან მოთამაშე" 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: "ტელეკომპანია იმედის 10 წლის იუბილე – თამარ გვერდწითელი ფილარმონიაში" 21.00 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" 23.00 რომ გადახვალ" გააჩერე 23.30 იმედიატორი 01.00 დოკ/ფ "ჩემი ზაფხული თეირანში" 02.00 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 შიშის ფაქტორი 10.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 "საქართველოს ვარსკვლავი" 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 01.30 სერ. "გრიმი" 02.00 მხ/ფ.

7.00, 23.30, 4.00, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 9.30, 18.45, 3.30 "ღია კარის დღე" 10.00, 11.00, 22.30, 0.00, 2.30, 5.30 მაგთიფანი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 20.00, 4.30 ჩემი ქორწილი 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.45, 1.30 კვირის აბები.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.10 სახარება 08.20 გამოყენებითი ხელოვნება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "ლუკას სახარება" 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 13.55 დოკ/ფ "ქართული მართლმადიდებელი ეკლესია" 14.30 კარაბადინი 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.35 მხ/ფ "ფესვები" 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.45 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ლიტურგია XX საუკუნის საქართველოში" 23.40 დრო და ადამიანები - მერაბ კოსტავა 00.30 კონცერტი - ქართველი ვარსკვლავები პარიზში.

## ვერძი



ყურადღებით იყავით, რათა არ დაუშვათ გამოუსწორებელი შეცდომები. გაიზრდება შემოსავლების რაოდენობა. საყვარელ ადამიანთან იყავით უფრო გულღია და ალალი – ეს სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებთ ორივეს. არ გირჩევთ მოგზაურობას.

## კურო



პოზიტიური იდეების, შემოქმედებითად აზროვნებისა და საინტერესო პროექტების გააზრების დროა. შესაძლოა ოჯახური ურთიერთობების დალაგება. ამ პერიოდში დაწყებული ახალი სასიყვარულო კავშირი კი სწრაფად და ვნებიანად განვითარდება. მოგზაურობისგან, ჯობია, თავი შეიკავოთ.

## ტყუპები



თქვენი ენერგია დაქვეითებულია, ამიტომ, ხშირად დაისვენეთ. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება. საყვარელ ადამიანთან ნუ გაამწვავებთ ურთიერთობას და ნუ შეიქმნით დამატებით პრობლემას. არ გირჩევთ ხშირ გადაადგილებებს. რჩევისთვის მიმართეთ მეგობრებს და ისინი გაგიწევენ დახმარებას.

## კირჩხიბი



შემოსავალს მოგიტანთ ინტელექტუალური საქმიანობა. დროდადრო მოგიწევთ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას. დიდი შანსია, საყვარელ ადამიანთან დაპირისპირება მოგივიდეთ, ამიტომ, აკონტროლეთ ემოციები. სიფრთხილე გამოიჩინეთ გადაადგილებებისას.

## ლომი



მიაქციეთ ყურადღება ჯანმრთელობას. ნუ ჩაერევით კამათში და ნუ შეიცვლით სამუშაო გარემოს. ბევრი საქმის გამო, არ დაგრჩებათ დრო საყვარელი ადამიანისთვის, რაც მის გაღიზიანებას გამოიწვევს. ამიტომ, სწორად გადაანაწილეთ დრო და ურთიერთობებში ნუ შეიტანთ ცვლილებებს.

## ქალწული

უცხოელებთან კონტაქტი დაგეხმარებათ კარიერაში წარმატებების მისაღწევად. კარგია ახალი კავშირებიც. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას. იზრუნეთ ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებაზე. აუცილებლად გამონახეთ დრო დასვენებისთვის და ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან გულახდილი იყოთ.



## სასწორი



მოიმატებს ენერგიულობა და გაგიადვილდებათ ახალი კავშირების დამყარება. დაასრულეთ ადრე დაწყებული საქმეები. არ გირჩევთ ბევრ გადაადგილებას. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და ნუ ინერვიულებთ საყვარელ ადამიანთან დროებითი უთანხმოების გამო. ყველაფერი თანდათან დალაგდება.

## ღრიანკალი



მოიმატებს საქმეების რაოდენობა და გაიზრდება თქვენი პასუხისმგებლობაც. ჯობია, ახალი საქმის დაწყება დროებით გადადოთ. კარგია მეგობრებთან კონტაქტი, ცოდნის გაღრმავება და კვალიფიკაციის ამაღლება. არ არის გამორიცხული, თქვენს ცხოვრებაში გამოჩნდეს ადამიანი, ვისთანაც სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობა ჩამოგიყალიბდებათ.

## მშვილდოსანი



საინტერესო შეხვედრებისა და ახალ ხალხთან დაახლოების დროა, თუმცა, არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას. ჯობია, გონივრულად მოაგვაროთ საყვარელ ადამიანთან გამწვავებული ურთიერთობა – ეს თქვენთვის მნიშვნელოვანია. დაძაბულობის დროს ძალიან მოგიხდებათ ბუნებასთან კონტაქტი. მოგზაურობა კი, სხვა დროისთვის გადადეთ.

## თხის რქა



წინსვლის დროა, როცა შეგიძლიათ, მიზანს ადვილად მიაღწიოთ. გადადგით თამამი ნაბიჯები კარიერაში. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება. ხალხთან კონტაქტი კი დაგეხმარებათ ბევრი პრობლემის მოგვარებაში. გაუმჯობესდება ფინანსური მდგომარეობა. სასიყვარულო სფეროში სიმშვიდე და ჰარმონია დაისადგურებს.

## მერწყული



მოიმატებს თქვენი სასიცოცხლო ენერგია და მეტად აქტიური გახდებით. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ კოლეგების რჩევებს, რადგან ეს საქმეში წაგადგებათ. ადვილად მოაგვარებთ პირად პრობლემებს. საყვარელი ადამიანისგან კი იგრძნობთ მეტ სითბოსა და მხარდაჭერას.

## თევზები



შემოსავლები მოგცემთ საშუალებას, შეიძინოთ ახალი ნივთები და სახლი მოაწესრიგოთ. მიანიჭეთ ახლობლებს სიხარული პატარა სიურპრიზებით – ეს თქვენზეც დადებითად აისახება. მოგზაურობას არ გირჩევთ. სასიყვარულო ურთიერთობა კი მეტად ვნებიანი და რომანტიკული იქნება.

**ახალმთვარეობა – 8 ივნისი, 15 სთ: 55 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

## ორშაბათი

დიდია პრობლემების წარმოქმნის შანსი როგორც სასიყვარულო სფეროში, ასევე ბიზნესპარტნიორებთან. მოერიდეთ მსხვილ ფინანსურ გარიგებებს. აკონტროლეთ ემოციები. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

## სამშაბათი

განიხილეთ აქტუალური საკითხები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ბეჟი, მწვანე, ნაცრისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, მეგობრული კონტაქტები, გართობა, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## ოთხშაბათი
## გეომაგნიტური დღეა

არ გირჩევთ ხელშეკრულებების დადებას. დიდია მოტყუების, კონფლიქტების ალბათობა. ატარეთ ლურჯი, მწვანე, ბეჟი, ცისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ჟადეიტი, ნეფრიტი, სარდიონი ან აკვამარინი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ხელოვნებასთან კონტაქტი, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება. მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ გზაზე გადაადგილებისას. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

## ხუთშაბათი

მოერიდეთ ფარულ საქმიანობას. შესაძლებელია ცხოვრებაში რადიკალური ცლილებების შეტანა. ატარეთ წითელი, შავი, ყავისფერი, შინდისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ამეთვისტო, იასპი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის.***

## პარასკევი
## გეომაგნიტური დღეა

ხვალინდელი მთვარის დაბნელების წინ, მოერიდეთ მძიმე საქმის კეთებას. აკონტროლეთ შური, წყენა, სამაგიეროს გადახდის სურვილი. ასევე, მოერიდეთ სესხის აღებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, მოგზაურობას. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, გიშერი, იასპი ან მარჯანი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია სამეცნიერო კვლევა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, თავი, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## შაბათი
## გეომაგნიტური დღეა

დღეს სავსემთვარეობა და მზის დაბნელებაა, ანუ, უარყოფითი კოსმიური ენერგიების მოჭარბება მეტად განაპირობებს ავარიების, კონფლიქტების, დეპრესიის, შეცდომების დაშვების, ტრავმების, ცდუნებების, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობას. იყავით ფრთხილი და წინდახედული. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს, მოერიდეთ მშენებლობას. ატარეთ წითელი, ლურჯი, ცისფერი, იისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, სარდიონი, ჟადეიტი ან ქარვა. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## კვირა
## გეომაგნიტური დღეა

ადვილად ნუ ენდობით სხვებს. მოიმატებს ილუზიების ალბათობა. აკონტროლეთ ხასიათში სულსწრაფობა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ლუჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ცირკონი, ლაბრადორი, სარდიონი ან იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი, ვარჯიშების ჩატარება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ქურცაძე-ქურციკიძე**

ფუძით ქურცი გვაქვს გვარი **ქურცაძე.**

**„ქურცაძე** ნათი, ფცაში მცხოვრები, მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში“ (მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარი). იმავე სოფელში მოიხსენიებიან შიო და შოშია **ქურცაძეები**.

ფუძით ქურციკა გვხვდება გვარი: **ქურციკაული**: ზარია, სულხან, ღვთისავარა **ქურციკაულები** მოიხსენიებიან 1477 წელს; ლელთუბანს, მარტყოფს, სატივეს, სამწერისში მოიხსენიებიან მამაცელა, იასე, ნადირი, პაპოა და სხვა ქურციკაშვილები; კაკალა, მახარებელი, ნადირა, ფოცხვერა, შალვა და სხვები, ატარებენ გვარს **ქურციკიძე.**

გვხვდება ერთ შემთხვევაში სახელი **ქურცინა** და მისგან წარმომდგარნი გვარი **ქურცინაძე. ქურცინაძეები** ამბობენ, რომ, გადმოცემით, მათი ადრინდელი გვარი იყო **ქურციკიძე**, მაგრამ, მიგრაციის ჩამწერების შეცდომის გამო **ქურციკიძე** გახდა **ქურცინაძე**. თვით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ისტორიული საბუთებით მტკიცდება, რომ გვარებს განუცდიათ ცვლილება: **ქურციკიძე-ქურცინაძე.**

სადღეისოდ დაფიქსირებულ გვარებში: **ქურცაძე, ქურციკაშვილი, ქურციკიშვილი, ქურციკიძე** – აღრიცხულია 1 859 ადამიანი.

საქართველოში 34 **ქურციკიძე** ცხოვრობს: თბილისში – 12, ქუთაისში – 9, ზესტაფონში – 6. არიან სხვაგანაც.

**ხავთასი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ხავთაი.**

გვარის უწინდელი სახე იყო **ხავთაისძე** და დროთა განმავლობაში შემორჩა როგორც **ხავთასი.**

გვარი 1240-1250 წლებში მოიხსენიება ისტორიულ წყაროებში.

იოსებ **ხავთაისძის** აღაპი შეტანილია მთავარ საალაპე წიგნში 1240-1250 წლებში. საალაპე წიგნი შედგენილია იმ მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია გიორგი დადიანისა და აგავ გორგოშიძის ოჯახების ალაპები.

საქართველოში 656 **ხავთასი** ცხოვრობს: ოზურგეთში – 244, თბილისში – 225, ვანში – 48. არიან სხვაგანაც.

**გულაბერიძე**

**გულაბერიძე** უძველესი ქართული გვარ-სახელია. ის ორი სახელისგან არის წარმომდგარი: გულა და ბერი.

ამ გვარის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ნიკოლოზ **გულაბერიძის** ალაპი. ეს არის ერთ-ერთი უძველესი ალაპი, რომელიც ჩაწერილია ჩვენამდე მოღწეულ ჯვრის სამონასტრო მატიანეში; ალაპთა მეორე, მთავარ წიგნში არის ნიკოლოზ **გულაბერიძის** – მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის, ქართლის კათალიკოსყოფილის ალაპი.

ნიკოლოზ **გულაბერიძე**, ანტონ ჭყონდიდელ-საღირაძესთან ერთად, იყო ხელმძღვანელი საეკლესიო კრებისა, რომელიც, თამარ მეფის მონვევით 1184-1185 წლებში გაიმართა. ნიკოლოზმა ბევრი ილვაწა მთაწმინდის მონასტერში, იქ დიდ მშენებლობას აწარმოებდა და 1210 წელს გარდაიცვალა.

საქართველოში 122 **გულაბერიძე** ცხოვრობს: ხელვაჩაურში – 116, ბათუმში – 5, ქობულეთში – 1.

**ფარცვანია**

არსებობს ვარაუდი, რომ გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ფარსმანი, რომელმაც განიცადა სახეცვლილება: **ფარსმან-ფარცმან-ფარცვან – ფარცვანია.**

გვხვდება ტოპონიმები: საფარცვანიო – უბნები რუხში, საჯანაშიოსა და ქვემო სათოდუოს შორის; ოდიშში – ჯამის მარჯვენა მხარეს, ორეულში, ერგეტალალის სათავესთან; ხამისქურში – ურთის მთის ძირას, უფალკარში – სახუბულოსა და საფარღალას შუა.

**ფარცვანიას** შესახებ საუბარია როგორც პაქტა ცხადაისა, ისე ნიკოლოზ ჯომიდავას წიგნებში და მოხსენიებულია 3 000 მეგრულ გვარს შორის.

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის, რაოდენობის მიხედვით, **ფარცვანია** 370-ე ადგილზეა, ზუგდიდის რაიონში კი –მე-19 ადგილზე.

საქართველოში 2 204 **ფარცვანია** ცხოვრობს: ზუგდიდში – 1 230, თბილისში – 242, ხობში – 186. არიან სხვაგანაც.

**სულეიმანაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი სულეიმანი, რომელიც თურქული წარმოშობისაა.

ქიტა **სულეიმანაშვილი** 1672 წელს მოხსენიებულია ნასყიდობის წიგნში.




**სულეიმანაშვილი** იყო მებატონეც.

„თონეთელ სახელმწიფო გლეხს, თომე **სულეიმანაშვილს** და სჯულისმიერ ცოლსა მისსა მზექალას, 1832 წელს შეეძინათ ვაჟი – აბრაამი, რომელიც მონათლა მღვდელმა სოლომონ შავშიშვილმა“.

თომა **სულეიმანაშვილი** მოიხსენიება დიდ თონეთში 1843 წელს.

საქართველოში 160 **სულეიმანაშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 52, თბილისში – 27, თეთრი წყაროში – 14. არიან სხვაგანაც.

**საფარაშვილი-საფარიძე**

გვარის ფუძეა გეოგრაფიული ტერმინი – საფარა. ასევე, ის გვხვდება საკუთარ სახელადაც.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია გაბრიელ საფარელი, რომელიც ათონის ივერთა მონასტრის ქველმოქმედი იყო; მისი ძმა – იოანე საფარელი კი კათალიკოსი გახდა.

ამავე ძირისაა გვარები **საფარიძე** და **საფარიშვილი**.

1752 წლის ივნისში თეიმურაზ მეორის „სამართალში“ მოხსენიებულია საფარა, გიორგი, იოსებ ოსინაშვილისა და ბალდასარ **საფარაშვილის** საქმეზე.

საქართველოში 109 **საფარაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 41, საგარეჯოში – 18, რუსთავში – 12. არიან სხვაგანაც.

28 – **საფარიშვილი.**

35 – **საფარიძე.**

**ომსარაშვილი**

**ომსარაშვილი** კახეთში გაჩენილი გვარია. ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად გურჯაანში ცხოვრობენ.

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ომსარა.** ეს საკუთარი სახელი დაფიქსირებული აქვთ ივანე ჯავახიშვილსა და ალექსანდრე ღლონტს.

ომსარა ქართული ტრადიციით შედგენილი ორფუძიანი და ორკომპონენტიანი სახელი უნდა იყოს. მასში მონაწილეობას იღებს ომა (ომან, ომია) და სარა. ეს საკუთარი სახელი ერქვათ როგორც ქართველ ებრაელებს, ასევე, ქართველებსაც.

საქართველოში 138 **ომსარაშვილი** ცხოვრობს: გურჯაანში – 78, თბილისში – 38, თელავში – 10. არიან სხვაგანაც.

**სალია-სალიაშვილი**

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი სალია, სალი.

სალ ფუძე ფიქსირდება როგორც ქართულ, ისე სხვა ხალხთა გვარებშიც.

ასევე, გვხვდება გვარი **სალიაშვილი.**

ლესალე სოფელია ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს. აქ **სალიებს** უკავიათ ერთი უბანი ლანჩხუთის ხეობაში.

ისტორიულ წყაროებში მამაკაცის საკუთარ სახელად დაფიქსირებულია სალა, სალი.

სალა ბრტყელი ქვაა სამლესელი. მეგრულად სოლს (ხის გასაპობელსა და ურმის ეტლის თვლისას) ნიშნავს.

ჩვენი ვარაუდით, **სალიათა** წინაპრების ხელობა-საქმიანობა სარის, სოლის და ასე შემდეგ კეთებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

საქართველოში 1 153 **სალია** ცხოვრობს: წალენჯიხაში – 472, ზუგდიდში – 296, თბილისში – 151. ცხოვრობენ სხვაგანაც.

**მიშველაძე-მიშველია**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მიშველ.**

„გიორგი ლიპარტიანმა უწყალობა გიორგი ფალავას მიშველ მდივნის ერთი ბიჭი, ცოლ-შვილით და მამულით, 1681-1714 წლებში“.

**მიშველ-მიშველია** არის მდივანი გიორგი ლიპარტიანის მიერ ბაკა იაშვილისთვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნის დამწერი, მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს; ასევე, დამწერი და მოწმე გიორგი ლიპარტიანის მიერ, გიორგი ფალავასთვის მიცემული საბჭოს წყალობის 1681-1714 წლების წიგნში. ის, აგრეთვე, მოიხსენიება ხუხუ ფალავასთვის მიცემულ მამულის წყალობის 1681-1714 წლების წიგნში.

ნიმოკოლავო პირველში, ჩხოუშის მარცხენა მხარეს, ცხოვრობს ამ გვარის – მიშველაძის 15 კომლი. ამ უბანს ეწოდება ლემიშველია. მიშველია ადგილობრივი ვარიანტია, „მიშველი“ ზმნური ფორმაა. სუფიქსი **ა** მას აქცევს პირველსახელად. მიშველი მშობლისმიერი სახელია. ახალშობილისთვის ამგვარი სახელის დარქმევით მშობლები გამოხატავდნენ გარკვეულ სურვილსა და იმედს. მეორე მხრივ, ერთმანეთს აკავშირებდნენ სვანურ **მეშველიანს, მიშველაძესა** და მეგრულ **მიშველიათა** გვარებს.

საქართველოში 331 **მიშველაძე** ცხოვრობს: თბილისში – 84, საჩხერეში – 73, მარტვილში – 64. არიან სხვაგანაც.

184 მიშველია: ზუგდიდში – 88, სენაკში – 52, თბილისში – 15. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით**
**მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ბევრი სარგებელი და ცოტა კალორია

იმისათვის, რომ გაამდიდროთ თქვენი მენიუ ვიტამინებით, მოამზადეთ გემრიელი და სასარგებლო კერძები ახალი მწვანილითა და ახალამოყრილი ფოთლებით.

საკვებად ვარგისი ყველა სარეველა ბალახი მუქი მწვანე ფოთლებით, მდიდარია რკინითა და მაგნიუმით, რაც უზრუნველყოფს სისხლის უჯრედების განახლებასა და ქსოვილების ჟანგბადით გამდიდრებას; არეგულირებს ორგანიზმში ნატრიუმის, კალიუმისა და კალციუმის ბალანსს, რაც ასე აუცილებელია სასურველი წონის შესანარჩუნებლად. სარეველა ბალახები თავის კულტურულ თანამოძმეებზე ადრე ამოდის და მათზე გაცილებით მეტ ვიტამინსა და მიკროელემენტებს შეიცავს.

ბაბუაწვერას ფოთლები C ვიტამინის, ბორისა და მარგანეცის საბადოა. მისი ახალგაზრდა ფოთლები გამოიყენება სალათებში, ბებერი ფოთლებისგან კი, შეგიძლიათ, ბორშჩი მოამზადოთ – ის კარგად „ეწყობა“ ბოსტნეულს, კარტოფილსა და ხორცს.

თათაბო მდიდარია კაროტინითა და ბიოაქტიური ნივთიერებებით. შეგიძლიათ, გაახმოთ და მისი დაფხვნილი ფოთლები მთელი წლის განმავლობაში გამოიყენოთ ნებისმიერ კერძში. თათაბო ისპანახის მონათესავე მცენარეა და, ამიტომ, შეგიძლიათ, მისგან იგივე კერძები მოამზადოთ, რასაც ისპანახით ამზადებთ.



ახალგაზრდა ჭინჭარი შეგიძლიათ, გამოიყენოთ შჩის, სოუსების, „პიროგის“ შიგთავსის (სატენის) მომზადებისას. 30 გრამი ჭინჭარი შეიცავს კაროტინისა და ასკორბინის მჟავის (C ვიტამინის) დღეღამურ ნორმას. შჩის სუპის მომზადებისას ჭინჭარს ჩაუმატეთ მჟაუნა – კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმისა და ფოლიუმის მჟავის საბადო. მჟაუნის 10 ცალი ფოთოლი C ვიტამინის დღიურ ნორმას შეიცავს.

კიტრის ფოთლებსა და ყლორტებს ახალმოწეული კიტრის სუნი აქვს, მათი გემო კიტრისა და ხახვის არომატს შეიცავს. თუ კიტრის ბალახს (როგორც მას უწოდებენ) ყვავილობამდე მოკრეფთ, ნებისმიერ სალათაში ის კიტრს ჩაანაცვლებს, მისი ცისფერი ყვავილები კი, შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი სალათის მოსართავად, თან, ძალიან გემრიელია.

ბოლოკი მდიდარია უჯრედისით, კალციუმით, ფოსფორით. სალათებში გამოიყენეთ როგორც თავად ბოლოკი (უმჯობესია, გახეხილი ან ძალიან თხლად დაჭრილი), ისე მისი ფოთლები. ძალიან გემრიელი კერძი გამოგივათ, თუ მის ფოთლებს სხვა ბალახებსაც შეურევთ. სხვათა შორის, ძალიან გემრიელია ბოლოკის ფოთლებისგან მომზადებული ფხალი ან ცივი სუპი – „აკროშკა“.

გთავაზობთ ბალახეულის დიეტის ერთი დღის ვარიანტს. მისი მიმსგავსებით, შეგიძლიათ, თქვენი ფანტაზიით შეადგინოთ ყოველი დღის რაციონი და თვეში ერთი კვირა ამ დიეტისთვის გამოყოთ.

გაზაფხულის „მწვანე“ დიეტის 1 დღე:

საუზმე – 9-10 საათი: „ფშენის“ ფაფა ახალი კამით, ოხრახუშითა და ნიახურით; პიტნის ჩაი 1 ჩაის კოვზი თაფლით.

სადილი – 12-13 საათი: ჭინჭრისა და მჟაუნის შჩი; ინდაურის ან ქათმის მკერდის ხორცი და თათაბოს პიურე; მარწყვის კოქტეილი.

სამხარი – 15-16 საათი: სტაფილოს „ალადიკები“; მწვანე ჩაი.

ვახშამი – 18-19 საათი: ბოლოკის, კიტრის ბალახისა და ბაბუაწვერას სალათა; 1 ნაჭერი ცეხვილი შავი პური; მელისას ნახარში.

დაიმახსოვრეთ: მოერიდეთ საკვები ბალახეულის შეძენას ბაზარში, რადგან, დიდი შანსია, რომ ის მოკრეფილი იყოს ეკოლოგიურად დაბინძურებულ ადგილებში. სასურველია, თვითონ დაკრიფოთ ან ზუსტად იცოდეთ, სად არის მოკრეფილი.

და, კიდევ: ვინაიდან მარხვა ახლახან დამთავრდა და, ალბათ, მონატრებული გაქვთ ხორცეული, დიდი შანსია, რომ ასეთი დიეტა, თუნდაც ერთი კვირის განმავლობაში, ჯერჯერობით ვერ დაიცვათ. ამიტომ, სასურველია, ხორციანი კერძების რაოდენობა შეამციროთ მაინც, ზემოთ ჩამოთვლილი ბალახების სალათები და ფხალეული კი დააყოლოთ ხორციან კერძებს.

სითხის რაოდენობა – ტრადიციულად, დღეში მინიმუმ 2 ლიტრი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: რა განსხვავებაა დეზოდორანტსა და ანტიპერსპირანტს შორის?**

**პასუხი:** დეზოდორანტი აქრობს უსიამოვნო სუნს, ანტიპერსპირანტი კი განსაზღვრული დროით აქვეითებს ოფლის გამომყოფი ჯირკვლების მოქმედებას. არსებობს საშუალებები, რომლებიც ამ ორ ფუნქციას ერთდროულად ასრულებს.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ ხდება მსოფლიოში ცნობილი კოსმეტიკის ტესტირება, ანუ, მისი უვნებლობის დადგენა?**

**პასუხი:** კოსმეტიკური ნაწარმის ტესტირება რამდენიმე ძირითად საფეხურს მოიცავს:

1) კოსმეტიკისა და ცალკეული ინგრედიენტების ტესტირება ადამიანის კანზე (ადამიანის კანს მაქსიმალურად მიახლოებული ხელოვნური კანი);

2) კოსმეტიკური საშუალების ფოტოტოქსინურობის შესწავლა (აუცილებელია იმაში დარწმუნება, რომ მზის სხივების ზემოქმედებისას არ მოხდება არანაირი ქიმიური რეაქცია).

3) ტესტი კოსმეტიკის უსაფრთხოებასა და ინერტულობაზე თვალებისთვის.

4) აღსანიშნავია, რომ ყველა ტესტი და შემოწმება, საცდელი ბაჭიების ნაცვლად, ქათმის ჩვეულებრივ კვერცხებზე ტარდება.

**კითხვა: როგორ მოვუაროთ ხელებს გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე?**

**პასუხი:** იმისათვის, რომ ხელებზე კანი არ დაგეჭიმოთ, გქონდეთ რბილი და ხავერდოვანი, უნდა დაიცვათ რამდენიმე წესი:

* დაიბანეთ ჯერ ცივი წყლით, შემდეგ კი თბილი წყალი გადაივლეთ.

* თუ მგრძნობიარე კანი გაქვთ, გამოიყენეთ თხევადი საპონი – ის უფრო ნაკლებ ტუტეს შეიცავს, ვიდრე მყარი საპონი.

* ანტიბაქტერიული საპნის გამოყენება ყოველთვის არ არის სასარგებლო. ასეთი საპნით ხელები მხოლოდ ჭუჭყიანი საქმის გაკეთების შემდეგ დაიბანეთ. მისი ხშირი გამოყენება აღიზიანებს კანს და იწვევს მის დაბერებას.

* შეიძინეთ SPF ფილტრის შემცველი ხელის კრემი. ის იცავს კანს ულტრაიისფერი გამოსხივებისა და პიგმენტური ლაქების გაჩენისგან.

**კითხვა: როგორ მოვუარო ტერფებსა და ფეხის ფრჩხილებს სახლის პირობებში?**

**პასუხი:** ფეხის ფრჩხილების მოვლისას, პირველ ყოვლისა, გახსოვდეთ, რომ არ გაიქლიბოთ ფრჩხილები გვერდებიდან – ეს ხელს უწყობს მათ მტკივნეულად ჩაზრდას. გარდა ამისა, უნდა გამოიყენოთ რბილი ქლიბი.



თუ ფრჩხილები ფენაფენად გექერცლებათ, არ დაიმუშაოთ ქლიბით. გარეგნულად, გაქლიბვა აგვარებს პრობლემას, მაგრამ, სინამდვილეში, ეს აუარესებს მდგომარეობას. უმჯობესია, გამოიყენოთ სპეციალური პრეპარატები, რომლებსაც შეიზელთ ფრჩხილებზე, რაც შეწყვეტს აქერცვლის პროცესს.

ყოველ საღამოს გაიკეთეთ თბილი აბაზანა ზღვის მარილით (3-4 ლიტრ წყალში გახსენით 2-3 სადილის კოვზი ზღვის მარილი). აბაზანის შემდეგ კი შეიზილეთ ფეხის კრემი და გაიკეთეთ ტერფების მასაჟი (კარგი იქნება, თუ მასაჟს დილაობითაც გაიკეთებთ). ეს მოგიხსნით დაღლილობას, გააუმჯობესებს ტერფების კანის ხარისხს და ტერფები აღარ შეგიშუპდებათ.

მოამზადა
**თამრიკო ზამთარაძემ**

# როგორ გაიხსნა მძარცველთა ბანდის საქმე თბილისის ერთ-ერთ სახლში მომხდარი ხანძრის შედეგად

– სხვენში დამწვარი მამაკაცის გვამია, ამოდით და ქვევით ჩაიტანეთ! მარტო მე ვერ გავუმკლავდები, რადგან, ცეცხლწაკიდებული ბოძების ქვეშაა მოქცეული! – ჩამოსძახა შლანგმომარჯვებულმა მეხანძრემ კოლეგებს, რომლებიც საბურთალოზე, „ხრუშჩოვკის“ ტიპის საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილ ხანძარს აქრობდნენ.

მეხანძრეებმა ხუთსართულიანი სახლის სხვენს მეორე კიბე მიადგეს და თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ეზოში მამაკაცის თითქმის დანახშირებული ცხედარი ჩამოიტანეს. მას ჯერ კიდევ ასდიოდა კვამლი, როდესაც მილიციისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბრიგადები მოვიდნენ.

– ასე ხომ არ წავიყვანთ, კვამლი ჩააქრეთ, – თქვა ექსპერტმა, მეხანძრეს ბრეზენტის მოზრდილი ნაჭერი გამოართვა და აბოლებულ გვამს დააფარა. როდესაც კვამლი გაქრა, მხოლოდ ამის შემდეგ მოათავსებინა დამწვარი გვამი სანიტრებს მანქანაში.

**სხვენში მამაკაცის დამწვარი გვამი აღმოაჩინეს, რომელსაც ყელზე ნახევარკილოგრამიანი ოქროს ჯაჭვი ეკიდა**

მილიციის მაიორი კოტე მიქაძე ერთხანს მეხანძრეების მუშაობას ადევნებდა თვალყურს, შემდეგ ეზოში გამოფენილ კორპუსის მობინადრეებს გაესაუბრა. ის ყველას ერთსა და იმავე კითხვას უსვამდა – აინტერესებდა, იცნობდნენ თუ არა სხვენში დამწვარ მამაკაცს.

– არა, უფროსო, ეგ საწყალი ვიღაც უცხოა, – უპასუხა მაიორს ერთ-ერთმა მობინადრემ, რომელიც ზოლიან ღამის პიჟამაში იყო გამოწყობილი და სიგარეტს ეწეოდა.

### უცნობი მამაკაცის გვამი

„ხრუშჩოვკის“ სხვენში ნაპოვნი გვამის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, მილიციამ მხოლოდ მოკვლევა დაიწყო, რადგან, ექსპერტიზის დასკვნები ჯერ არ იყო ცნობილი და, ძნელი იყო იმის თქმა, უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი თუ მკვლელობას. მოკვლევას მაიორი კოტე მიქაძე აწარმოებდა და, როდესაც მას ამ საქმის შესახებ ეკითხებოდნენ, მრავალმნიშვნელოვნად დუმდა.

– ამხანაგო მაიორო, დარწმუნებული ვარ, რომ უბედური შემთხვევაა, მეტი არაფერი – ამბობდა მიქაძის ახალგაზრდა თანაშემწე ოთარ ზარიძე და საუბრისას ხელებს აქეთ-იქით იქნევდა, – გაძარცული არაა და არც ძალადობის რამე ნიშანი ემჩნევა სხეულზე. ეტყობა, ის უბედური სხვენზე აძვრა და სიგარეტის მოწევის დროს ჩაეძინა, მერე კი ხანძარი გაჩნდა და დაიწვა.

– ორიოდე შენნაირი გენიოსი და საბჭოთა კავშირში გაუხსნელი საქმეები აღარ იქნება, – უპასუხა თავის უმცროს კოლეგას მიქაძემ, – ჯერ ერთი, ექსპერტიზის პასუხებია მოსასვლელი და, ამიტომ, ჯერ არ ვიცით, იყო თუ არა ძალადობა. მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, არსებობს მრავალი გარემოება და მკვლელობის ხელაღებით გამორიცხვა დილეტანტიზმია. მერე რა, რომ გაძარცული არ არის; რა, მხოლოდ ძარცვის მიზნით კლავენ ადამიანებს? ან კი, ნორმალურ ადამიანს ისე როგორ უნდა შეეშალოს გზა, რომ მეხუთე სართულის სხვენში აღმოჩნდეს და, თანაც, ასე ტრაგიკულად დაასრულოს სიცოცხლე?

– იქნებ, მაწანწალა იყო და ღამეს სხვენში ათევდა?

– მაწანწალა, რომელსაც თითქმის ნახევარკილოგრამიანი ოქროს ჯაჭვი ჰკიდია კისერზე, ხომ? არ გამოვრიცხავ, რომ მას მართლაც არ ჰქონდა ღამის გასათევი, მაგრამ, არა მაწანწალობის გამო.

– აბა, რის გამო?

მიქაძემ კითხვას თავი აარიდა და ზარიძეს უთხრა:

– ამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ციხიდან გაუჩინარებული ბოროტმოქმედების სია მჭირდება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და ეს საქმე შენ უნდა შეასრულო. მოსკოვში მოთხოვნა გაგზავნე და სრული ანგარიში მოითხოვე; ამასთან, ძარცვის სტატისტიკაც მჭირდება ამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით.

– არის, ამხანაგო მაიორო!

ამასობაში ერთი კვირა გავიდა და მოსკოვიდან მიღებულ ცნობებთან ერთად ექსპერტიზის დასკვნებიც მომზადდა. როგორც გაირკვა, სხვენზე ნაპოვნი მამაკაცი 35-40 წლის იყო. მას ორგანიზმში ძლიერმოქმედი დასაძინებელი საშუალება აღმოაჩნდა, კისრის ორი მალა კი გაბზარული ჰქონდა, რაც ძალადობაზე მიუთითებდა. გარდა ამისა, მას ბუასილის დაავადების მძიმე ფორმაც დაუდგინეს.

კოტე მიქაძემ გულდასმით დაათვალიერა მოსკოვიდან გამოგზავნილი სტატისტიკა და ზარიძეს უთხრა:

– მე იური ბერეჟნოისა და ხარკოვის საიუველირო მაღაზიათა გაძარცვის ამბავი მაინტერესებს. ინტუიცია მკარნახობს, რომ სხვენში აღმოჩენილ ცხედარს ამ ამბავთან აქვს კავშირი.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– ინტუიცია მკარნახობს, შვილო, და იმიტომ. 20 წელი რომ იმუშავებ აქ, შენც ასე იქნები და სხვებს გააკვირვებ, – მიუგო მიქაძემ ზარიძეს.

– მაინც, რატომ ფიქრობთ ასე? – არ ცხრებოდა ზარიძე.

– ხუთი წლის წინ მე თითქმის ანალოგიურ საქმეს ვიძიებდი მოსკოვში. დანაშაულის მოტივი და თითქმის ყველა დეტალი დავადგინეთ, მაგრამ, მთავარი დამნაშავე ხელიდან გაგვისხლტა და მაშინაც მხოლოდ გვამი შეგვრჩა ხელში. მართალია, ის გვამი დამწვარი არ იყო, მაგრამ, გამოცდილება მკარნახობს, ეს ორი მკვლელობა ერთი და იმავე ადამიანის ჩადენილია. ერთი სიტყვით, შენ ჯერ პერმში უნდა გაფრინდე, საიდანაც ბერეჟნოი გაიქცა და მის შესახებ დაწვრილებითი ცნობები შეკრიბო, შემდეგ კი ხარკოვში გაემგზავრები და საიუველირო მაღაზიის ძარცვის დეტალებს გამოარკვევ. ერთკვირიანი მივლინება უკვე გაფორმებულია და, აბა, შენ იცი!

### თავხედური ძარცვა

მივლინებიდან დაბრუნებული ზარიძე მაიორს ეახლა და მოახსენა:

– ამხანაგო მაიორო, თქვენ მიერ გამოთქმული ვარაუდები მთლიანად გამართლდა და, სულ მალე, ალბათ, მკვლელობასაც გავხსნით.

– მკვლელობის გახსნამდე ჯერ ადრეა. აბა, გისმენთ.

– პერმიდან იური ბერეჟნოი ისე გაპარულა, რომ მისი გაუჩინარება მხოლოდ მეორე დილით გაუგიათ. როგორც ვარაუდობენ, ის ზონიდან გასულ მატარებელს გაჰყოლია. კოლონიის უფროსმა ანოხინმა მითხრა, რომ ზონიდან გამავალ მატარებელზე მოხვედრა პრაქტიკულად შეუძლებელია. მატარებელს გაძლიერებულად იცავენ და ბერეჟნოი პირველი პატიმარია, ვინც მსგავსი ხერხით გაიპარა. თუმცა, კოლონიის ადმინისტრაცია ბოლომდე არ არის დარწმუნებული, რომ ბერეჟნოი მართლა მატარებლით გაიქცა.

– ამ საქმეში უეჭველად შინაურის ხელი ურევია.

– ანოხინიც ასე ფიქრობს და მან უკვე დაავალა თემურ ჩიტაძეს ფარული გამოძიების



ჩატარება კოლონიის თანამშრომელთა შორის.

– ვის დაავალა?

– თემურ ჩიტაძეს. ის კოლონიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსია. მასთან გასაუბრებაც მინდოდა, მაგრამ, სამი დღით პირად საქმეებზე იყო წასული. ხარკოველმა კოლეგებმა კი დაადგინეს, რომ საიუველირო მაღაზია ორმა ადამიანმა გაძარცვა და ერთ-ერთი მათგანი სწორედ ბერეჟნოია – იქ მისი თითის ანაბეჭდები დარჩა. ძარცვა დღისით-მზისით მოხდა და ბოროტმოქმედები ნიღბებით იყვნენ. მძარცველები ავტომატებით შეიჭრნენ მაღაზიაში და თვალის დახამხამებაში გაასუფთავეს ორი სეიფი და დახლები. იქიდან მათ 510 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა წაიღეს. ბერეჟნოის საქმეში წერია, რომ მას ექვსი ასეთი საქმე აქვს გაკეთებული.

– ესეც ხარკოვში შეიტყვე?

– არა, პერმში. ჩიტაძის არყოფნაში, ანოხინმა წამაკითხა ბერეჟნოის საქმე, რომელიც განსაკუთრებულ განყოფილებაში ინახება.

– მაშ, ჩიტაძე, არა?! ძალიან კარგი, – გაელიმა მიქაძეს, – შენ ახლა ბერეჟნოის სურათი ექსპერტთან წაიღე და ჩემი სახელით სთხოვე, რომ ის სხვენში ნაპოვნ გვამს შეადაროს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ სხვენში ბერეჟნოი დაწვეს?

...ზარიძე რომ წავიდა, მიქაძემ მოსკოვში დარეკა:

**ციხის ბადრაგმა მაიორი ჩიტაძე ავტომატით იმ დროს ჩაცხრილა, როდესაც ის მავთულხლართზე გადაძრომას ცდილობდა**

– სერიოგა, კოტე მიქაძე ვარ. სასწრაფოდ მჭირდება თემურ ჩიტაძის დოსიე და სხვა დამატებითი ინფორმაციები. მე მგონი, ხუთი წლის წინანდელი საქმის მთავარ მოქმედ პირს მივაგენი. ხომ გახსოვს, ტვერსკოიზე რომ თავგაჩეხილი რევსკი ვიპოვეთ? ერთი სიტყვით, ჩუმად და ენერგიულად იმოქმედე!

### „რუხი კარდინალი“

სერგეი პავლოვსკი, რომელსაც მიქაძე ელაპარაკა ტელეფონით, „მურის“ დაზვერვის სამსახურის უფროსი იყო და მრავალ საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი.

პავლოვსკიმ კოტეს აცნობა, რომ თემურ ჩიტაძეს დადებითად ახასიათებდნენ როგორც სამსახურში, ასევე საახლობლოშიც. თუმცა, პავლოვსკის ხელქვეითებმა აღმოაჩინეს, რომ მისი ნახევარძმა (ისინი დედით ერთნი იყვნენ), 28 წლის ჯემალ კანკავა, ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი და ამჟამად უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა.

– თავისი ძმის შესახებ მას არსად არაფერი აქვს ნახსენები, რაც ჩვენი შინაგანაწესით ძალიან მძიმე დარღვევაა. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩიტაძე დამნაშავეა, – უთხრა კოტეს თბილისში ორი დღით ჩამოფრენილმა პავლოვსკიმ.

– კი მაგრამ, რევსკიც სვერდლოვსკის კოლონიიდან იყო გაქცეული და ისიც საკმაოდ უცნაურად გაუჩინარდა ზონიდან. თუ გახსოვს, მაშინაც ყველას ეგონა, რომ რევსკი სანაგვე მანქანით გაიქცა, თუმცა, მოგვიანებით ეს ვარაუდი არ გამართლდა და ვერც რევსკის გაქცევის საიდუმლოს ავხადეთ ფარდა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მაშინ სვერდლოვსკის ზონის საგანგებო განყოფილების უფროსი თემურ ჩიტაძე იყო. გარდა ამისა, რევსკიმაც საიუველირო მაღაზია გაძარცვა გაქცევის შემდეგ და ისიც მოკლეს. ჩემი აზრით, ეს უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს, აქ საკმაოდ კარგად მოფიქრებული გეგმაა ამოქმედებული.

– შენი აზრით, ამ ყველაფრის უკან ჩიტაძე დგას?

– სერიოგა, ჩიტაძე ტვინია, მისი ძმა კი – შემსრულებელი. მეტსაც გეტყვი: შესაძლოა, ჩიტაძემ თავისი ძმაც კი არ დაინდოს და, თუ დროზე არ ვიმოქმედებთ, ისინი, შეიძლება, კვლავ გაგვისხლტნენ ხელიდან.

იმავე საღამოს მაიორი მიქაძე და სერგეი პავლოვსკი ჯერ მოსკოვში გაფრინდნენ, შემდეგ კი, „მურის“ ოპერჯგუფთან ერთად, პერმისკენ აიღეს გეზი. მათ თემურ ჩიტაძეზე თვალთვალი დააწესეს და სამი დღის შემდეგ ის ვლადივოსტოკის პორტში მაშინ დააპატიმრეს, როდესაც სხვისი პასპორტის გამოყენებით ცდილობდა იაპონურ გემზე ასვლასა და გაქცევას. ჩიტაძეს ჩხრეკა ჩაუტარეს და მისი ორძირიანი ჩემოდნიდან 671 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობა ამოიღეს, რომელიც მოსკოვსა და ხარკოვში იყო მოპარული.

– ჯემალ კანკავას რა ბედი ეწია? – ჰკითხა ჩიტაძეს მიქაძემ.

– ჩემი ძმა მტკვარში ჩავაგდე, მეტეხის ხიდთან, სწორედ მაშინ, როდესაც თქვენი გამომძიებელი იყო ჩამოსული პერმში და ბერეჟნოის გაქცევის დეტალებს სწავლობდა. ჯემალს მე ბერეჟნოის უხმაუროდ გაქრობა დავავალე, მან კი ხანძარი მოაწყო და მილიცია ჩემს კვალზე დააყენა. ის სულელი რომ არა, მე უკვე უცხოეთში ვიქნებოდი, – სინანულით თქვა ჩიტაძემ.

თემურ ჩიტაძემ გამომძიებელს უამბო, რომ მან თავისი ძმა სიჭაბუკიდანვე დააყენა მრუდე გზაზე და ქურდობას და ყაჩაღობას მიაჩვია. როგორც გაირკვა, თურმე რევსკი და ბერეჟნოი მან თავისი მანქანით გაიყვანა კოლონიებიდან და მატარებლით გაქცევის იმიტაცია შექმნა.

– სანამ გაქცეულ პატიმრებს გამალებით ეძებდნენ, ისინი ჩემს სახლში იმალებოდნენ. ხოლო, როცა ვნებები ცხრებოდა, მათ მე საქმეზე ვგზავნიდი და დიდ კუშს ვაძლევდი. ასეთ თავზეხელაღებულ პატიმრებს შეგნებულად ვარჩევდი და ამაში მათი საქმეები მეხმარებოდა, რომლებიც ჩემს განყოფილებაში ინახებოდა.

ჩიტაძემ ყველა დანაშაული აღიარა, მაგრამ, სასამართლომ მისი აღიარება არ გაითვალისწინა და სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. ჩიტაძემ გაქცევა სცადა, მაგრამ, მოსკოვის ბუტირკის ციხის ბადრაგმა ის იმ დროს ჩაცხრილა ავტომატით, როდესაც მავთულხლართზე ცდილობდა გადაძრომას...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 20 მაისი

1498 – ვასკო და გამას ექსპედიცია მიადგა ინდოეთის ნაპირებს (ქალაქ კალკუტის მიდამოებში).

1874 – ლევი სტრაუსმა გასაყიდად გამოუშვა თავისი ცნობილი ჯინსების პირველი პარტია – 12 ცალი ღირდა 13,5 დოლარი.

1899 – ჯეიკობ ჯერმანი (ნიუ-იორკი) გახდა პირველი მძღოლი, რომელიც დააჯარიმეს სიჩქარის გადაჭარბებისთვის. მისი მანქანა საათში 25 კილომეტრზე ოდნავ უფრო სწრაფად მოძრაობდა.

1927 – ამერიკელმა მფრინავმა ჩარლზ ლინდბერგმა პირველმა გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს.

### 21 მაისი

1502 – ესპანელმა ზღვაოსანმა ჟუან და-ნოვამ აღმოაჩინა კუნძული, რომელსაც წმინდა ელენეს სახელი უწოდეს.

1809 – ასპერნის ბრძოლაში (ავსტრიელებთან, რომლებსაც კარლ ჰაბსბურგი სარდლობდა) ნაპოლეონ ბონაპარტმა განიცადა პირველი დამარცხება თავის კარიერაში.

1904 – დაარსდა მსოფლიო საფეხბურთო ორგანიზაცია „ფიფა“.

### 22 მაისი

1455 – ინგლისში დაიწყო თეთრი და ალისფერი ვარდების ომი.

1908 – ძმებმა ორვილ და უილბერ რაიტებმა მიიღეს პატენტი მათ მიერ 1903 წელს გამოგონებულ თვითმფრინავზე.

1926 – ბენიტო მუსოლინიმ აკრძალა იტალიაში სილამაზის კონკურსების ჩატარება.

1960 – ბენჯამინ დევისი გახდა პირველი ზანგი გენერალი ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში.

1990 – ჩრდილოეთ და სამხრეთ იემენი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა.

### 23 მაისი

1877 – გამოცხადდა რუმინეთის დამოუკიდებლობა.

1911 – ვენაში ჩატარდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ჭიდაობაში.

1963 – ფიდელ კასტრო გახდა საბჭოთა კავშირის გმირი.

1986 – ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „კობრა“ სილვესტერ სტალონეს მონაწილეობით.

### 24 მაისი

1819 – თბომავლის პირველი ცურვა ატლანტის ოკეანეზე – სავანიდან (ამერიკის შეერთებული შტატები) ლივერპულამდე (ინგლისი).

1844 – სამუელ მორზემ აამუშავა პირველი სატელეგრაფო ხაზი ნიუ-იორკიდან ვაშინგტონის მიმართულებით.

1900 – თავისი პირველი ცურვა განახორციელა კრეისერმა „ავრორამ“.

1956 – შვეიცარიაში ჩატარდა მომღერალთა პირველი კონკურსი – „ევროვიზია“.

1995 – ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „მამაცი გული“ მელ გიბსონის რეჟისურითა და მონაწილეობით.

### 25 მაისი

1895 – ინგლისელი მწერალი ოსკარ უაილდი ჰომოსექსუალიზმის ბრალდებით ჩასვეს ციხეში.

1953 – ჰიუსტონში ამოქმედდა პირველი კომერციული ტელეარხი.

1977 – გამოვიდა ჰექსალოგია „ვარსკვლავეთის ომების“ პირველი ფილმი.

### 26 მაისი

1521 – ევროპაში დაიწყო პირველი ომი კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის.

1918 – გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

1928 – „ფიფამ“ გადაწყვიტა, ოთხ წელიწადში ერთხელ ჩაეტარებინა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.

1938 – ქალაქ ვოლფსბურგში დაიწყო „ფოლკსვაგენის“ პირველი ქარხნის მშენებლობა.

1977 – ჯორჯ უილინგმა ალპინისტური მოწყობილობით დალაშქრა მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის შენობა ნიუ-იორკში. 110-სართულიანი შენობის ფასადზე იგი სამსაათ-ნახევარში აძვრა, რის გამოც „ადამიანი-ბუზი“ უწოდეს.

**სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები” პოპულარობის პიკშია. ბოლო დროს იქ განვითარებულმა მოვლენებმა მაყურებლის ინტერესი დაძაბა და ყოველ შაბათ-კვირას სულმოუთქმელად ელის ახალ სერიებს. ჩვენი რესპონდენტი ლევან ყოჩიაშვილია, რომელმაც ბოლო სეზონში მაყურებელი განსაკუთრებულად დაძაბა და პირად ცხოვრებაში ახალი მანდილოსნის გამოჩენის გამო, გაანერვიულა. ზოგი სერიალის გმირებს და მათ გარშემო განვითარებულ მოვლენებს რეალურად აღიქვამს და ამიტომაც, ლევან ყოჩიაშვილი მათგან ბევრ რჩევა-დარიგებას ისმენს.**

# რა ხდება ლევან ყოჩიაშვილის რეალურ ცხოვრებაში და რა ურთიერთობა აქვს მას 15-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მეუღლესთან



**ძირითადად, უფროსი თაობის ქალბატონები განიცდიან და მსაყვედურობენ: ძალიან კარგი ბიჭი ხარ და ასეთი რაღაცეები არ გეკადრებაო**

**– ბოლო დროს მაყურებელი ძალიან აანერვიულეთ.**

– კი, ასეა, რადგან მაყურებლის ნაწილი რატომღაც ამ ყველაფერს რეალურად აღიქვამს. ამ სეზონის პირველი სერია რომ წავიკითხე, მაშინვე მივხვდი, რომ ასეთი ამბავი მოჰყვებოდა. მათ თვალში გოცირიძეების ოჯახი, ხომ იდეალური და სამაგალითო იყო. ამასთან დაკავშირებით, ბევრი კურიოზული სიტუაცია შეიქმნა. ათას რამეს მეუბნებიან: ნუ დაანგრევ ოჯახს; არც ერთი ქალი არ ღირს შენი შვილების ცრემლების ფასად და ასე შემდეგ. რატომღაც ძალიან განიცდიან და დათოს ამბავი გულთან ახლოს მიიტანეს. სტომატოლოგიურ კლინიკაში ერთ-ერთი სცენის გადასაღებად რომ მივედით, წარწერები დაგვხვდა: „ნუ გაცვლი, დათო, ოჯახს ნათიას მკერდზე;” „დაანებე დათოს თავი” და მსგავსი რაღაცეები. ერთმა კაცმა ისიც მკითხა, სულ მაინტერესებდა, სადაური გოცირიძეები ხართო.

**– მაყურებელი რეალურად რომ აღიქვამს დათოს ოჯახში განვითარებულ მოვლენებს, ისიც მოწმობს, რომ ცოლები ქმრებს სტომატოლოგთან მარტოს აღარ უშვებენ.**

– „ჩემი ცოლის დაქალები” მაყურებლების ოჯახებში იმდენად ღრმად შეიჭრა, რომ ცოლები ქმრებს აღარც სტომატოლოგთან უშვებენ მარტო და როგორც კი აბაზანაში გავა მობილური ტელეფონით, მაშინვე ეჭვიანობას იწყებენ. ქეთი დევდარიანს, ალბათ, იმდენად ზუსტად აქვს გადმოცემული ღამე ჩუმად ადგომისა და აბაზანაში გასვლის მომენტები, რომ ყველა ჩააფიქრა. ალბათ, მართლა ასე ხდება ხოლმე, არ ვიცი, მე პირადად, საბედნიეროდ, არ გამომიცდია.

**– წარმომიდგენია, ნინო მუმლაძე, ნათიას როლის შემსრულებელი, რა დღეში ჰყავს მაყურებელს.**

– ნინოზე უფრო მეტი ზეწოლაა მაყურებლის მხრიდან, ვიდრე ჩემზე. საყვედურობენ, რატომ მინგრევს ოჯახს.

**– სერიალის რეიტინგი ზენიტშია, რაც ქეთი დევდარიანის, გიორგი ლიფონავასა და ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, მსახიობებთან ერთად, ვინც „ჩემი ცოლის დაქალებზე” მუშაობს.**

– ძალიან შრომატევადი გახდა სერიალზე მუშაობა, რადგან ფილმიდან („ჩემი ცოლის დაქალის ქორწილი”) ბიჭები გადმოვიდნენ, რომლებმაც ძალიან კარგი ელფერი შესძინეს სერიალს. სცენარიც, შესაბამისად, გართულდა, უფრო მეტი გადაღებაა წინა სეზონებისგან განსხვავებით, რასაც გუნდი კარგად ართმევს თავს. განათებაც და გამოსახულების ხარისხიც ბევრად გაუმჯობესდა.

**– თქვენს რეალურ ოჯახში რა ხდება, იქაც ხომ არ ფიქსირდება ეჭვიანობის ფაქტები?**

– დათო რომ აცუნდრუკდა, ჩემმა უფროსმა შვილმა, კესუნამ მითხრა, მაგას გადაეცი, ცოტა ჭკვიანად იყოსო.

**– სერიალის გარდა, გახმოვანებითაც ხართ დაკავებული, რასაც ასევე დიდი დრო სჭირდება. როგორ ახერხებთ, ყველაფერი ხარისხიანად და დროულად აკეთოთ?**

– რეკლამის გახმოვანებას დიდი დრო არ სჭირდება, მაგრამ ფილმების გახმოვანებისთვის ვეღარ ვიცლი. ამიტომ, უკვე დიდი ხანია, ფილმი არ გამიხმოვანებია.

**– თუ საიდუმლო არ არის, რა ხდება მომდევნო სერიებში?**

– რამდენიმე სერიაში ცოტა დალაგდება სიტუაცია, რადგან უკვე მომხდარის გააზრება მიდის, მე-20 სერიის შემდეგ კი, ისევ გამძაფრდება ყველაფერი. მერე ნათიას მამაც გამოჩნდება, იმედი მაქვს, ყოფილი ქმრის მსგავსად, არ აცემინებს ჩემს თავს. კიდევ კარგი, ძმა არ ჰყავს, თორემ დათოს ნამდვილად მოკლავდა. მერე, ალბათ, ნათიასაც გაუჩნდება თავის მოთხოვნები და პრეტენზიები. ვნახოთ.

**– მაყურებლის რეაქცია როგორია თქვენ დანახვაზე?**

– მაყურებელმა ძალიან შეიყვარა სერიალი პირველი სერიიდანვე, რასაც ყოველთვის ვგრძნობდით. ახლაც არ კარგავენ იმედს, ჩემს გმირთან დაკავშირებით. სჯერათ და მეუბნებიან, რომ ყველაფერი გადაივლის და ოჯახს დავუბრუნდები. გოცირიძეების ოჯახს ძალიან გულშემატკივრობენ და მოწიწებით, ღიმილით მაძლევენ შენიშვნას, ასე ნუ იქცევიო. სხვა მხრივ, არაფერი, ისევ ისე უყვართ დათო გოცირიძე, როგორც ადრე. ერთმა მითხრა, სკამზე ნაცემი რომ იჯექი, როგორ მინდოდა, სიგარეტი მე მომეცა თქვენთვისო.

**– რომელიმე გამწარებულ დიასახლისს ხომ არ შემოლანძღვიხართ, თქვენი გმირის საქციელის გამო?**

– გალანძღვით არა, მაგრამ, ძირითადად, უფროსი თაობის ქალბატონები განიცდიან და მსაყვედურობენ, ძალიან კარგი ბიჭი ხარ და ასეთი რაღაცეები არ გეკადრებაო.

**– ხალხი იმაზეც ალაპარაკდა, რომ ცოლს მართლა გაშორდით. ეს თუ შეეფერება სიმართლეს?**

– პრინციპში, ეს მთლად ჭორიც არ არის. 15 წელია, ცოლ-ქმარი ვართ, ცხოვრებაა და ამ დროის განმავლობაში ყველას შეიძლება, რაღაც გაუგებრობა ჰქონდეს ოჯახში. პატარა გაუგებრობა არის, მაგრამ ცოლ-ქმარი ვართ და ერთმანეთს არ დავშორებივართ.

**– არ შემიძლია, არ აღვნიშნო სერიალში თქვენი შვილები, რომლებიც ძალიან ნიჭიერი, პატარა მსახიობები არიან.**

– როგორც დიდი მსახიობები, ისე იქცევიან. გაიზარდნენ და ძალიან კომფორტულები გახდნენ. საკმაოდ შრომატევადი და დამღლელია გადაღების პროცესი, რომელიც დღეში 8-10 საათი გრძელდება. ისინი კი, როგორც დიდი მსახიობები, ისე იქცევიან. არაჩვეულებრივი ბავშვები არიან.

**– უკვე იმდენ დროს ატარებთ ერთად, მართლა ერთი ოჯახივით ხართ. ანი ტყებუჩავაზე რას გვეტყვით, როგორი პარტნიორია?**

– ანი ტყებუჩავაში მართლა ძალიან გამიმართლა. ჭკვიანი მსახიობი და კარგი საურთიერთობო ადამიანია. ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ. როცა ასეთ ხანგრძლივ და უშუალო პარტნიორობას გიწევს მსახიობი სერიალში, აუცილებელია, ერთ ენაზე ლაპარაკობდეთ. ჯვარი გვწერია, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად არის. მიხარია, რომ ქალ პარტნიორებში დღემდე მიმართლებს.

**– რეალურ ცხოვრებაში როგორი ცოლის დაქალები გყავთ?**

**დათო რომ აცუნდრუკდა, ჩემმა უფროსმა შვილმა, კესუნამ მითხრა, მაგას გადაეცი, ცოტა ჭკვიანად იყოსო**

– ჩემს ცოლს, ორი გაუთხოვარი მეცნიერმუშაკი დაქალი ჰყავს. რადგან თავად არ აქვთ ოჯახი, ამიტომ კონტროლი ჩემზე მაქსიმალურად გადმოდის.

**– როგორი მეუღლე ხართ?**

– მე და დათო ერთმანეთს ვგავართ. მზრუნველი კაცი ვარ და ისინი, ვინც მე მაბარია და ვისზეც პასუხისმგებლობა მაქვს აღებული, ვცდილობ მოვახერხო, რომ კარგად იყვნენ. დათოს იმითაც ვგავარ, რომ მეც ორი შვილი მყავს – 14 წლის კესუნა და 5 წლის ვასიკო.

**– რეალურ ცხოვრებაშიც გიყვართ დათოს მსგავსად დალევა და მეგობრებთად ერთად დროსტარება?**

– კი, კი. აი, ამაშიც ვგავართ მე და დათო ერთმანეთს. ერთადერთი, რაც საერთო არ გვაქვს, ეს ოჯახის ღალატი, ტყუილი და მსგავსი რაღაცეებია. სულ ვფიქრობ, ალბათ, როგორ წვალობენ ისინი, ვინც ორ ფრონტზე იბრძვის – ცოლიც უყვარს და საყვარელიც. სულ უნდა მოიტყუო, გამოძვრე რაღაც სიტუაციებიდან. ასეთი მძაფრი შეგრძნებები ნამდვილად არ მიყვარს. ასე რომ, ამით ერთმანეთს არ ვგავართ.

**მარიკა ხიდურელი**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: ჩემს ავტომობილზე შევცვალე დისკი და მუხრუჭები ძალიან მალე გამიცვდა. არის თუ არა ეს ორი სისტემა ერთმანეთთან დაკავშირებული? იქნებ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცე, დისკი ისევ შევცვალო?**

**პასუხი**: რა თქმა უნდა, საბურავები და სამუხრუჭე სისტემა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია. როდესაც გაცილებით დიდი ზომის დისკებს ვაყენებთ, უნდა შეიცვალოს სამუხრუჭე სისტემაც. ასეთ შემთხვევაში, გვჭირდება გაცილებით დიდი ზომის სამუხრუჭე დისკები და ბევრად უკეთესი ხარისხის სამუხრუჭე ხუნდები, ანუ, ყველაფერი უფრო დიდი ზომისაც უნდა იყოს და უფრო ხარისხიანიც.

**კითხვა: მაინტერესებს, აქვს თუ არა ავტომობილის ამა თუ იმ მოდელს თავისი გარკვეული ლიმიტი ან არსებობს თუ არა მართვისას, ვთქვათ, სიჩქარის ან მოხვევის ლიმიტი?**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**პასუხი**: ავტომობილი მათემატიკასავით ზუსტი „მეცნიერებაა," რომლის შესაძლებლობები და ლიმიტები პროფესიონალებმა კარგად იციან. მის ყველა კონკრეტულ ქცევას, ყველა კონკრეტულ დეტალს აქვს გარკვეული მნიშვნელობა და ჩვენი პროფესია ისაა, რომ ამ ლიმიტს ან გადავაბიჯოთ ან ზღვარზე ვიაროთ. ხშირად, ავტომობილის მართვის დროს, ჰგონიათ, რომ საკმარისია მოსახვევში საჭეს მოვერიოთ, მოვახერხოთ მისი დატრიალება, ავტომობილი კი საჭეს გამოჰყვება, მოუხვევს და შეძლებს მოსახვევის გავლას. სიჩქარის ლიმიტი იმაზე მეტია, ვიდრე ამას თქვენი სპიდომეტრი გიჩვენებთ. რაც შეეხება მოხვევის ლიმიტს, ამასთან დაკავშირებით ბევრი შედის შეცდომაში: ავტომობილი მძიმეა, კარგად ჩერდება; ავტომობილში ბევრნი ვსხედვართ და კარგად მოუხვევს; კარგად უხვევდა, მაგრამ, მაინც გავცურდი. არადა, რაც უფრო მსუბუქი იქნება ავტომობილი, მით უკეთ აჩქარდება და უკეთ მოუხვევს. შეჯიბრების დროს მუდმივად მიმდინარეობს ავტომობილის მაქსიმალური შემსუბუქება. მხოლოდ ძრავა და საჭე რომ არ დარჩეს, პროფესიულ შეჯიბრებებზე დაწესებულია წონის ქვედა ზღვარი, ანუ, წონა, რომელზე მსუბუქიც არ უნდა იყოს ავტომობილი პილოტიანად. ყველას ცოტა დრო აქვს, მაგრამ, რამდენიმე წუთს თუ გამონახავთ, მოსინჯეთ თქვენი ავტომობილი, ცარიელ გზაზე გაიგეთ, რამდენი ხანი სჭირდება მკვეთრად დასამუხრუჭებლად, რა სიჩქარით შეუძლია 90-გრადუსიანი მოსახვევის გავლა და სხვა. ეს ყველაფერი დაგეხმარებათ, რომ ექსტრემალურ ან ავარიულ სიტუაციაში საკუთარი სხეულივით გრძნობდეთ და ფლობდეთ თქვენს ავტომობილს და იმ სიტუაციიდან იოლად გამოხვიდეთ.

**კითხვა: ვარ ახალბედა მძღოლი. ცოტა ხნის წინ შევიძინე ავტომობილი და ძალიან მიჭირს სხვა ავტომობილებთან როგორც წინა, ასევე გვერდითა დისტანციის დაცვა. თეორიულად ეს ყველაფერი თითქოს ვისწავლე, მაგრამ პრაქტიკაში ვერ ვსაზღვრავ, რამდენად ახლოს ვარ. შუქნიშანთან, იმის გამო, რომ ზოგჯერ სხვა მანქანამდე ახლოს არ მივდივარ, უკნიდან მისიგნალებენ. თუ არსებობს რამე ვარჯიში, რომ მანძილების დაცვა ინსტინქტში გადავიდეს?**

**პასუხი**: ამ შემთხვევაში ნაკლებად არის გამოსაყენებელი კონკრეტული მანძილები. მთავარია, რა სიჩქარეზე ვგრძნობთ თავს თავისუფლად. ვთქვათ, მივდივართ X სიჩქარით, იდეალურია დისტანცია, როდესაც წინ მიმავალ ავტომობილზე არ ვართ ფოკუსირებული და არ ვართ დამოკიდებული მის მანევრზე. დისტანცია უნდა იყოს ისეთი, რომ ვაანალიზებდეთ იმ მდგომარეობას, რაც წინ მიმავალი ავტომობილის კიდევ უფრო წინ ხდება; ასევე, უნდა შეგვეძლოს გვერდითა სიტუაციების აღქმაც, დამუხრუჭებაც, მოსახვევში საჭირო სიჩქარით შესვლა და ასე შემდეგ. თუ ვერ გრძნობთ თავს თავისუფლად, ანუ, ძალიან მჭიდროდ მიჰყვებით წინ მიმავალ მანქანას და მის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ მანევრზე მყისიერი მანევრიც უკვე დაგვიანებული იქნება, ეს ნიშნავს, რომ დაუშვებლად მცირე მანძილით იყავით დაშორებული წინა ავტომობილისგან. თუ ერთხელ მაინც დაეჯახეთ, უკვე ძალიან გვიანაა და მერე, დამიჯერეთ, არასდროს დაგავიწყდებათ ეს დისტანცია. როდესაც ქუჩაში მანქანას უკან გაჰყვებით, წარმოიდგინეთ, როგორი იქნება თქვენი რეაქცია თუ ის მკვეთრად დაამუხრუჭებს და, ასევე, რამდენად საკმარისი იქნება თქვენი ავტომობილის შენელების უნარი სრული გაჩერებისთვის ისე, რომ შეჯახება თავიდან აიცილოთ და არც უკნიდან მოგასკდეთ ვინმე. რაც შეეხება შუქნიშანს, მასთან უნდა გაჩერდეთ ისე, რომ, თუ წინა მანქანა ჩაქრა ან დროულად ვერ დაიძრა, გვერდის ავლა მოახერხოთ, მისი ლოდინი არ მოგიწიოთ ან უკუსვლით ოდნავ გასვლა და მერე გვერდის ავლა შეძლოთ.

**კითხვა: ვიყიდე „ინჩის" ფირმის აკუმულატორი, რადგან ის ყველაზე მძიმე იყო და, როგორც ვიცი, მძიმე იმას ნიშნავს, რომ მეტი რესურსი აქვს. რამდენად სწორი არჩევანი გავაკეთე?**

**პასუხი**: საკმაოდ კარგი აკუმულატორი შეგირჩევიათ, მაგრამ, გააჩნია, არის თუ არა ის ქარხნული წარმოების და არა პატენტირებული. თუ ისეთ მაღაზიაში იყიდეთ, რომელსაც თვითონ შემომტანი ამარაგებს, მაშინ, კარგია. რაც შეეხება სიმძიმეს, თქვენი წარმოდგენა ამ საკითხზე სწორია. შეიძლება, ერთი და იგივე ამპერაჟი ეწეროს აკუმულატორებს, მაგრამ, მეტი მარაგი და ენერგია ექნება და აჯობებს ის, რომელიც უფრო მძიმეა.



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: ჩემს ქუჩაზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რამაც საშინლად დიდი ორმოები გააჩინა. ათხრილ ასფალტზე გადავლისას ავტომობილის „იატაკით" რამდენჯერმე მოვედე მიწას. ძალიან მეშინია „კარტერი" არ იყოს დაზიანებული. შეიძლება, ის ისე დაზიანდეს, რომ ვერ გავიგო?**

**პასუხი**: „კარტერის" დაზიანება არ არის კატასტროფა. თუ ის გატყდა, როდესაც ავტომობილი ზეთს დაღვრის და ძრავა საფრთხის წინაშე დადგება, ხელსაწყოების დაფაზე აინთება წითელი ნათურა, რაზეც ეხატება ფიგურა სარწყავის ფორმით, რაც ნიშნავს, რომ ძრავა უნდა ჩავაქროთ, რადგან, მისი ამუშავება ამ მდგომარეობაში აღარ შეიძლება. ამ შემთხვევაში, სხვა არაფერი დაგრჩენიათ, გარდა იმისა, რომ ავტომობილი ბუქსირით ან ევაკუატორით გადაიყვანოთ ხელოსანთან. მაგრამ, არსებობს მსგავსი ინციდენტების თავიდან აცილების მარტივი ხერხი: ყოველთვის უნდა შეეცადოთ, გზის ამოზნექილი ზედაპირი არ მოხვდეს თქვენი ავტომობილის შუაში. უმჯობესია, თუ ამის საშუალება არსებობს, ავტომობილის ერთი რომელიმე მხარე გაიმეტოთ. საბურავები და დისკები გაცილებით ადვილი შესაკეთებელია, ვიდრე „კარტერი". იგივე პრინციპი მოქმედებს, როდესაც ორმოს ორივე საბურავი ემიზნება, ანუ, ავტომობილი ორმოში მთლიანად ვარდება, რაც მის სერიოზულ დაზიანებას იწვევს. უმჯობესია, ერთ-ერთი მხარე დაუმიზნოთ და მეორე გადაარჩინოთ.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

(.....) ლინდერი
ამერიკ. ცხენი
სოკ-ის ყოფილი პრეზიდენტი
მკერდის მასალა
მასობრივი სენი
ბევრი ქალ-ალდი
მექა და......
იოსელიანის ზღაპრების ბიჭი
ხმა ჩაიწყვიტე!
ქების სიტყვა
ესპანელი კომუნისტი (......) იბარური
ბრმა ნაწლავი
ჩვენი მეზობელი
გაგარინი
თიხის ქურქელი
წყლის ორმო
გამხდარი
(......) მათეუსი
წყალსატევი
ღამის ფრინველი

წუხილი
(....) დე მოპასანი
...სარიშვილი
ქვ.ეგვიპტეში ღვთაებრივი ხარი
თეთრი, მოლურჯო მინერალი, ატარებს ესპანეთის ერთ-ერთი რეგიონის სახელს
...ალი იბნ სინა
წლების არმქონე
გრამატიკული კავშირი
ფეხსაცმლის მაღაზია
ნავსადგური
ბევრი პირველი პირის კუთვნილი ანუ?
ესეც კაია, ისეც კაია
(.....) ჟირარდო
ეგვიპტის ნახ.კუნძული
თურქული მანონი
შვედეთის ქალაქი
მესამე პირი
ბალერინა ასეთიც არის
ვოლგას ერთვის
სვანური გვარი
მაგდანას ტრანსპორტი
ჩვენი განედების ხე
ცეცხლი
საფრანგეთის ქალაქი
(....) კაპრიო
გუბურა
(.....)-გიტარა
ალმა (.....)
ლაკობას ერქვა
დიდი ვიოლინო
ხომეინის ტიტული
ფსევდონიმის სახეობა
ხუთი
ბატონი ჟანრი
ლუდის საგნების შეგროვება
ამა თუ იმ ნაწარმოების მცირე ზომის მონაკვეთი
(......) არდანი
წყალქვეშა კლდე
ქვ.პორტუგალ. ფეხბურთელი
„მტირალა" ხე
ფრანგი პოეტი
პარამხანაში არიან
ლაპარაკობს
ცურვის სახეობა
არის ასეთი კანფეტი
კორიდორი
ბერძნ. სახელი
მამამ მოკლა
სრულყოფილი ფორმა
გრიშაშვილი
ირინე, ირაკლი
ახლო წარსულის იტალიელ-ბელგიელი ფეხბურთელი
(......) და არა (....) რა
ყველა თითო ერთად
საბრახუნო ინსტრუმენტი
(.....) იოსელიანი
შვედეთის ტერიტ. ერთეული
სხირტლაძე
ქართველი დრამატურგი
თბილისის გარეუბანი
ავანსი
ძველი იტალიელი ფეხბურთელი
მუსიკალური პრემია
ფეთქება
ბიჭი ინგლისურად
ადვილი, მარტივი (.....)
ქიაჩელი
მღრღნელი
სამოთხე
ვარსკვლავი
ჩოლოყაშვილი
კროსვორდის დასასრული

| Column | Clues (top to bottom) |
|---|---|
| 1 | 1 |
| 2 | 1 |
| 3 | 1 |
| 4 | 6 4 |
| 5 | 9 3 2 |
| 6 | 11 1 2 1 |
| 7 | 11 1 2 1 |
| 8 | 11 3 2 |
| 9 | 18 |
| 10 | 13 1 1 |
| 11 | 2 7 1 1 |
| 12 | 2 7 4 |
| 13 | 2 7 1 1 |
| 14 | 13 1 1 |
| 15 | 13 4 |
| 16 | 1 2 7 1 1 |
| 17 | 2 2 5 1 1 1 |
| 18 | 2 2 5 6 |
| 19 | 2 8 2 3 |
| 20 | 2 9 1 2 1 |
| 21 | 2 5 5 1 2 1 |
| 22 | 2 5 3 2 3 |
| 23 | 5 2 4 |
| 24 | 6 1 |
| 25 | 5 2 1 |
| 26 | 5 2 1 1 |
| 27 | 5 2 1 1 |
| 28 | 3 2 3 1 |
| 29 | 2 5 1 |
| 30 | 2 6 1 |
| 31 | 7 1 |
| 32 | 9 1 |
| 33 | 7 1 |
| 34 | 5 1 |
| 35 | 1 |

| Row | Clues (left to right) |
|---|---|
| 1 | 2 |
| 2 | 2 |
| 3 | 2 3 |
| 4 | 2 2 |
| 5 | 2 3 |
| 6 | 2 2 |
| 7 | 2 3 |
| 8 | 2 2 |
| 9 | 4 |
| 10 | 2 |
| 11 | 4 |
| 12 | 5 |
| 13 | 11 3 2 |
| 14 | 13 2 2 |
| 15 | 6 2 2 3 2 |
| 16 | 7 2 4 2 |
| 17 | 7 2 3 2 |
| 18 | 7 2 2 2 |
| 19 | 18 2 |
| 20 | 19 3 |
| 21 | 20 4 |
| 22 | 19 5 |
| 23 | 16 6 |
| 24 | 8 1 7 |
| 25 | 18 7 |
| 26 | 2 2 2 2 5 |
| 27 | 15 2 1 3 |
| 28 | 1 2 1 1 1 6 |
| 29 | 2 2 1 1 2 2 |
| 30 | 3 18 12 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | 2 | 7 | | | | 4 | 8 |
| 1 | | 8 | 6 | 3 | | 2 | 7 | |
| 7 | | | 8 | 2 | 4 | | 3 | 1 |
| | 7 | 5 | | 1 | 6 | | 2 | 3 |
| 2 | 6 | | 5 | | 8 | 7 | | 9 |
| 4 | 1 | 9 | | | | 5 | | |
| | 8 | 7 | 3 | | | 1 | | |
| 6 | | 4 | 1 | 8 | | 3 | 5 | |
| 3 | | | 4 | 9 | 5 | | 6 | 7 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | | 8 | 1 | | 3 |
| | | 6 | | 5 | | | | |
| | 2 | | 6 | | | | 4 | 9 |
| | 9 | 4 | 7 | | | | | 1 |
| | | | | | 2 | | 8 | |
| 5 | | 3 | | 6 | | 7 | | |
| | | 8 | | 3 | 9 | 2 | | |
| | 5 | | 8 | | | | | 6 |
| 1 | | | | 4 | | | 7 | |

# ისწავლეთ ხატვა ზაალიკოსთან ერთად



1. დაიწყეთ ბეტმენის თავის ხატვა რქებიანი მუზარადით



2. მიახატეთ პირი



3. ბეტმენს მიახატეთ თვალებიც



4. მიახატეთ საყელო



5. შემდეგ — დაკუნთული ტანი



6. ბეტმენს მიახატეთ ხელები



7. მიახატეთ ფეხები და დაასრულეთ ღამურის ფორმის მოსასხამის ხატვა



8. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## როგორ მივა რუდოლფი ზღაპრულ შველთან




## უპოვე ცხოველებს შესაბამისი ჩრდილები



# მგზავრები

## (იგავ-არაკი)

გზად ორი მგზავრი მიდიოდა. ერთმა ცული იპოვა და თქვა: ცული ვიპოვეო.

მეორემ მიუგო: ვიპოვე კი არა, ვიპოვეთო.

ამ დროს, სად იყო და სად არა, ცულის პატრონი გამოჩნდა და მგზავრებს გამოუდგა. ცულიანმა უცულოს მიაძახა – დავიღუპეთ და ეგ არისო.

– დავიღუპეთ კი არა, უნდა თქვა, დავიღუპეო. წეღან ასე არა თქვი – ვიპოვეო?

შეგონება: კაცი რომ ლხინში გაგრიყავს, ჭირში სულ არ დაგინდობს.

## რიცხვრებუსი

7,,,, 10,, ,7,,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| სასწავ-ლებელი | | სართულებს შორის დამაკავშირე-ბელი | | ქვირფასი ქვა |
| | | | | |
| მაგარის საწინააღმ-დეგო | | | | ... ჭავჭავაძე |

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: შეიძლება, რომ პატარა, დეკორატიული ჯიშის ძაღლი აგრესიული იყოს?**

**პასუხი:** თუ დეკორატიული ძაღლი კარგი აღზრდილია, ის არ გახდება აგრესიული. თუმცა, არა მხოლოდ სწორად აღზრდილი, არამედ, ის აუცილებლად სწორად აღზრდილი მშობლების შვილი უნდა იყოს. ამიტომ, ლეკვის შეძენა მხოლოდ იმ ძაღლთსაშენში უნდა მოხდეს, რომელიც კარგი რეპუტაციით სარგებლობს და მომშენებელი პროფესიონალია. თუ ლეკვს გენეტიკური გადახრა აქვს, მის გამოსასწორებლად ძალიან დიდი მუშაობა დაგჭირდებათ არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, არამედ, სერიოზულ კინოლოგებსაც.

**კითხვა: მაინტერესებს, რა სიმპტომები აქვთ ძუ ძაღლებს მშობიარობის წინა პერიოდში და როგორ მიმდინარეობს მშობიარობის პროცესი?**

**პასუხი:** მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე, ძუ სეირნობის დროს ცდილობს, შორს არ წავიდეს, იმზადებს „ბუდეს“, უმეტესად მოუსვენრობს, ხშირად წევს და პატრონის მიმართ გადამეტებით მოსიყვარულე ხდება. მშობიარობამდე 2-3 დღით ადრე სარძევე ჯირკვლებში დგება რძე. უმჯობესია თუ თქვენს ძაღლს ამ პერიოდში აჩვენებთ ვეტერინარს.

მშობიარობის პროცესი მიმდინარეობის მიხედვით, შეიძლება, დავყოთ სამ სტადიად. პირველი სტადიაა სამშობიარო გზების გაფართოება; მეორე სტადია – ლეკვის დაბადება. როცა შეიმჩნევა საშვილოსნოს კუმშვები, ეს სტადია ნიორმალური სამშობიარო აქტის დროს გრძელდება ორ საათამდე; მესამე სტადია – სანაყოფე გარსებისა და პლაცენტის გამოდევნა, ძირითადად ხდება 5-15 წუთში ლეკვის დაბადებიდან, ან მომდევნო ლეკვის დაბადების დროს.

ჭინთვებს რაც შეეხება, ეს არის მუცლის კედლის კუნთების შეკუმშვა, რაც ეხმარება საშვილოსნოს ნაყოფის გამოძევებაში. ჭინთვებისა და საშვილოსნოს შეკუმშვის ლოგიკური დასასრულია ლეკვის დაბადება, რომელიც თანდათანობით გამოდის სამშობიარო წყლების ბუშტთან ერთად მენჯში, შემდეგ კი სწრაფად გამოიდევნება გარეთ. ლეკვი, როგორც წესი, იბადება თავით და ზურგით მაღლა, მაგრამ, არის შემთხვევები, როცა ნაყოფი იბადება უკუღმა. ლეკვი ძირითადად იბადება სანაყოფე გარსებთან ერთად, მაგრამ, მშობიარობის დროს შეიძლება გასკდეს სანაყოფე გარსები და მოხდეს სანაყოფე სითხის დაღვრა. ლეკვის დაბადების შემდეგ ხდება პლაცენტისა და სანაყოფე გარსების გამოძევება სამშობიარო გზებიდან.

**კითხვა: ცოტა ხნის წინ მაჩუქეს ლეკვი. სახლში კატა და ძაღლი ერთად არიან. ბევრს ჰგონია, რომ ეს დაუშვებელია, მაგრამ, გამიგია, რომ ერთად გაზრდილ ცხოველებს ერთმანეთის მიმართ აგრესია არ უყალიბდებათ. შემექმნება თუ არა სირთულე მათი მოვლისას?**

**პასუხი:** მართალია, გარეთ, ძაღლი კატის მიმართ მტრულად არის განწყობილი, მაგრამ, ლეკვები, რომლებიც სახლში კატებთან ერთად იზრდებიან, შემდგომში უყალიბდებათ კატების მიმართ ლოიალური დამოკიდებულება, ანუ, მათ აღარ ერჩიან. მაგალითისთვის ანალოგიურია ისეთი მწყემსი მეცხვარე ძაღლების დამოკიდებულება, რომლებიც იზრდებიან ცხვრებთან ერთად. მათში მონადირის დამოკიდებულება ცხვრების მიმართ ქრება. ასევე არიან სოფლის ძაღლები, რომლებიც არ ახრჩობენ ქათმებს და ეზოს სხვა ბინადრებს, თუ მათთან ერთად იზრდებიან.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო ქრიზანთემას?**

**პასუხი:** ქრიზანთემა ტროპიკული მცენარეა, ამიტომ, სახლის პირობებში მას დიდი ყურადღებით მოვლა და პატრონობა ესაჭიროება. მცენარე ყვავის ადრე გაზაფხულზე და უხვი ყვავილობა აქვს. ის მრავლდება თესლით და აღმოცენების 100-პროცენტიანი პროცესი აქვს. გირჩევთ, ქრიზანთემა ზაფხულობით გაიტანოთ გარეთ და ამყოფოთ სექტემბრის ბოლომდე. ყვავილი საერთოდ არ მოაჭრათ. ეცადეთ, რომ ნიადაგიდან ამოწევით მოგლიჯოთ, რადგან, მოჭრის შემთხვევაში ახალ ყვავილობას არ დაიწყებს. გადარგეთ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. ეცადეთ, რომ გადარგვის დროს ფესვებს მიწა არ შემოაცალოთ, რათა არ დაიღუპოს. მისი თესლი აიღეთ პირველი ყვავილობისას, რადგან პირველი ყვავილობა ძალიან კარგი მომწიფებულია და სათესლე მასალად გამოდგება, შემდეგი ყვავილობა კი სუსტი აქვს და სათესლე მასალას არ ტოვებს. სრულყოფილი მცენარიდან აღებული თესლი კარგად გააშრეთ და შეინახეთ მშრალ და ბნელ ადგილას, რადგან სინათლეზე ყოფნისას თესლი მალევე კარგავს აღმოცენების უნარს. მცენარე ზამთარში შეინახეთ თბილ ადგილას, სადაც მინიმალური ტემპერატურა 15-20 გრადუსი იქნება. ქრიზანთემას ხშირად უყვითლდება ქვედა ფოთლები, რომლებიც საშიშროებას არ უქმნის მის ზრდა-განვითარებას. შესაძლოა, მცენარე მიწაში ჩავიდეს. ეს პროცესი მაშინ ხდება, როცა ტემპერატურა საგრძნობლად ეცემა, ტემპერატურის აწევისას კი კვლავ აღმოცენდება.

**კითხვა: როგორ მოვუარო სელაგინელას და რა პირობებია საჭირო მისი გახარებისთვის?**

**პასუხი:** სელაგინელა ცხელი ქვეყნების მცენარეა, ამიტომ, ეს მცენარე საერთოდ არაფერზე არ არის პრეტენზიული. შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ რამდენიმე კვირა არ მორწყათ, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც კი მშვენივრად იქნება. სელაგინელა ძალიან გამძლე და სიცოცხლისუნარიანია, ამიტომ მეორე სახელიც აქვს – მას „უკვდავას” უწოდებენ. თუნდაც ის 2-4 თვე არ მოირწყას, მხოლოდ ფერს შეიცვლის, გაყვითლდება და გამხმარ სახეს მიიღებს, მაგრამ, საკმარისია, ამის შემდეგ წყალი დაუსხათ, რომ კვლავ გაცოცხლდება, გამწვანდება და სწრაფად გაიშლება. ის საერთოდ არ ყვავილობს, მაგრამ, რელიგიური დატვირთვაც აქვს: ყოველ აღდგომას წყალში დებენ და აკვირდებიან, როგორ ცოცხლდება, ამიტომ ზოგიერთი მორწმუნე და სასულიერო პირი ამ მცენარეს „ახალი სიცოცხლის დაწყებას“ და „ხელმეორე დაბადებას” უწოდებს. ძალიან ლამაზი მცენარეა. ის ძლებს, როგორც ყინვაში, ასევე სიცხეშიც. საოცრება ისაა, რომ მას ფესვი საერთოდ არ გააჩნია.

**კითხვა: როგორ მოვუარო აბელიას?**

**პასუხი:** აბელია სუბტროპიკული მცენარეა, რომელიც არის ძალიან უპრეტენზიო და ამასთანავე, ძალიან ლამაზი. ის გამოიყენება როგორც ლამაზი დეკორატიული ბუჩქის სახით, ასევე, სოლიტერ მცენარედ. აბელია არის ნახევრად ფოთოლმყრელი, არ ეშინია ყინვის და ამიტომ, შესაძლოა, ზამთარშიც კი გარეთ დატოვოთ. ის მრავლობს კალმით და თესლით. აბელია, შესაძლოა, იყოლიოთ ქოთნის პირობებში. ის ძალიან ლამაზია შესასვლელებში, ასევე, ჩანჩქერებთან. აუცილებლად ესაჭიროება ფორმირება, რომელსაც კარგად იტანს წელიწადის ყველა დროს. მას აქვს ლამაზი ყვავილობა, რაც ერთ თვეს ან უფრო მეტ ხანსაც კი გრძელდება. აბელიას ადრე გაზაფხულზე სჭირდება აზოტოვანი სასუქები. გახსოვდეთ, რომ არასდროს ზემოდან წყალი არ დაუსხათ – ამან, შესაძლოა, მცენარის ფოთლები დაწვას და დააჭკნოს. ასევე, ეცადეთ, რომ ყოველ შემოდგომით გადარგოთ, მცენარე, რათა ადრე გაზაფხულზე დაიწყოს ყვავილობა. აბელია ძალიან სწრაფად მზარდია და ფესვთა სისტემაც დიდი აქვს, ამიტომ, დარგვისას გახსოვდეთ, რომ მცენარეს დიდი ქოთანი შეურჩიოთ და ნიადაგში კარგად აურიეთ როგორც ქვიშა, ასევე, ტორფი, ნაკელი და ფოთლიანი მიწა – ასეთ ნიადაგში თქვენი მცენარე კარგად გაიხარებს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# რატომ აბრალებდა ნარკოტიკებით მოვაჭრე ქალი საკუთარ დანაშაულს ყოფილ ქმარს და რის კვალს მალავდა ის მასთან „გარიგებაში“



ოპერატიული ინფორმაცია ოჯახური დრამის შესახებ, რომელსაც ქმრის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვა, პოლიციის განყოფილებაში მოჩხუბარი წყვილის მეზობლებისგან შევიდა. შეწუხებულმა მოქალაქემ, რომელმაც სამართალდამცველებისგან თავისი ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვა მოითხოვა, განაცხადა, რომ მის მეზობლად მცხოვრები ყოფილი ცოლ-ქმარი ერთმანეთს ფიზიკურად უსწორდებოდა, რასაც ბინიდან გამოსული გინებისა და მტვრევის ხმა მოწმობდა. რომ არა უცნობი ქალბატონის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, ყოფილი ქმარი ცოლის შურისძიებას, ალბათ, ვერ გადაურჩებოდა. თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის უფრო იყო, რომ ამ ინციდენტის წყალობით სამართალდამცველებმა ორი დანაშაული გახსნეს და გისოსებს მიღმა ნარკოტიკული ნივთიერებებით მოვაჭრე, ცნობილი ნარკორეალიზატორი მოხვდა, რომელსაც გამოძიება რამდენიმე თვის განმავლობაში დასდევდა.

შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ბინაში მამაკაცი, გოჩა კ-ძე დახვდათ, რომელსაც სხეულის მსუბუქი დაზიანება აღენიშნებოდა. სახლსაც კარგად ეტყობოდა ფიზიკური დაპირისპირების კვალი. პოლიციის თავზე დადგომამ მოჩხუბარი ქალი და მამაკაცი დროებით დააცხრო, უფრო მეტიც, ორივე ერთად აღშფოთდა აქტიური მეზობლის „ყურადღებით“ – ჩვენს სახლში, რაც მოგვესურვება, იმას გავაკეთებთო. თუმცა, მათი დროებითი ზავი ძალიან მალე კვლავ გადაიზარდა ჩხუბში. მართალია, ორივე ერთად ამტკიცებდა, რომ ჩხუბის თემა ყოფითი საოჯახო საკითხი იყო, მაგრამ, ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებისთვის საკუთარი წყაროებით ცნობილი გახდა, რომ ყოფილი ცოლ-ქმარი სახლიდან დაკარგულ 6 000 დოლარზე დავობდა – ქალი მამაკაცს 6 000 დოლარის გატაცებას აბრალებდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც სხეულის მსუბუქ დაზიანებად დაკვალიფიცირდა, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ნანა კ-შვილმა აღიარა, რომ ყოფილ ქმარს სხეულის დაზიანება მიაყენა, თუმცა, რა იყო დაპირისპირების მიზეზი, ამას ისიც საგულდაგულოდ მალავდა.

დაზარალებულმა გოჩა კ-ძემ საკუთარი ჩვენება რამდენჯერმე შეცვალა – ოპერატიული სამსახურის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას 6 000 დოლარის შესახებ ის ხან მალავდა, ხან აღიარებდა. როგორც მოგვიანებით გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, დაზარალებული მამაკაცი ჩვენებებს ყოფილი ცოლის გავლენის ქვეშ ცვლიდა. გოჩა კ-ძე ნანა კ-შვილთან არაოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა, თუმცა, ექვსწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ისინი ერთმანეთს ფინანსური შემოსავლების გამო დაუპირისპირდნენ – საერთო ბიზნესი, რომელიც მათ ჰქონდათ, არა მხოლოდ დაპირისპირების, არამედ, კრიმინალური ინციდენტის მიზეზიც გახდა. მას შემდეგ, რაც გამოძიებამ მოიპოვა ინფორმაციები გოჩა კ-ძის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ, რომელიც ჯიბის ქურდობის, ანუ, ჯიბგირობის ფაქტებს ეხებოდა, მამაკაცი იძულებული გახდა, სამართალდამცველებთან სხვა დანაშაულიც ეღიარებინა, რომელიც ყოფილი მეუღლის სახლიდან 6 000 დოლარის გატაცებას ეხებოდა, საბოლოოდ კი მძიმე დანაშაულში მხილებული ცოლიც გაწირა.

ამონაწერი გოჩა კ-ძის ჩვენებიდან: „მას შემდეგ, რაც მე და ნანა ერთმანეთს დავშორდით, ჩვენი ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი სუპერმარკეტი გავყიდეთ და ფული გავიყავით. მე ჩემი წილი თანხა მერგო და საცხოვრებლად ცალკე გადავედი, ნანა კი ჩვენს სახლში დარჩა, სადაც მე აღარ მიშვებდა. იმ პერიოდში მე ჩემი საქმეების აწყობას ვცდილობდი და მესაჭიროებოდა ფული, რომელიც უკვე აღარ მქონდა. ნანას წლების წინანდელი ჩემი ვალი ჰქონდა დარჩენილი. ერთ დღეს, სახლში მივადექი და მოვთხოვე, რომ ჩემი ვალი დაებრუნებინა. ნანამ საერთოდ უარყო, რომ ჩემი ვალი ჰქონდა – ყველაფერი გადახდილი მაქვს, კაპიკს ვეღარ მიიღებ ჩემგანო. ვიცოდი, რომ ნანას სახლში 6 000 დოლარი ჰქონდა, წავართვი ის ფული და გავიქეცი. ნანა იმ საღამოსვე დამიკავშირდა და მოითხოვა, ფული უკან დამებრუნებინა. ამის შემდეგ ხან ვის მიგზავნიდა, ხან – ვის. მე ულტიმატუმი წავუყენე და შევუთვალე: იმ ფულს დაგიბრუნებ, თუ სახლში შემომიშვებ და შემირიგდები-მეთქი. ნანა დამეთანხმა, მაგრამ, მივხვდი, რომ მატყუებდა – ფულს აიღებდა და სახლში აღარ შემიშვებდა. იმ დღეს, როდესაც ჩვენ შორის ინციდენტი მოხდა, მე ნანას თხოვნით მივედი მის სახლში, მაგრამ, ის მაშინვე თავს დამესხა – მცემდა და მაგინებდა. მეც გამოვედი წყობიდან და საპასუხოდ რამდენჯერმე დავარტყი, მაგრამ, ისეთი გაშმაგებული იყო, ველარ ვაჩერებდი. სახეში რკინის სამტვრევი მირტყა. ამ დროს პოლიციაც მოვიდა, რომელიც მეზობელს ჰყოლია გამოძახებული.”

## ნარკორეალიზატორი ნარკოტიკების სამალავად სტომატოლოგიურ სკამს იყენებდა

მას შემდეგ, რაც გოჩა კ-ძემ 6 000 დოლარის გატაცების ფაქტი აღიარა, სამართალდამცველებთან ცოლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა და გამოძიებასთან თანამშრომლობაც გადაწყვიტა. ის, რომ ნანა კ-შვილი ფულის გატაცების ფაქტს მალავდა, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, რომ ნანა კ-შვილი ნარკოტიკების რეალიზაციით იყო დაკავებული და ფულის გატაცების ფაქტზე საქმის აღძვრას სწორედ საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით მოერიდა. როგორც ნანა კ-შვილის მეზობლებმა სამართალდამცველებთან განაცხადეს, ნანა კ-შვილის ბინაში ხშირად დადიოდნენ უცნობი ადამიანები. მეზობლები ეჭვობდნენ, რომ, ქალი ისე მოკლე დროში გამდიდრდა, სავარაუდოდ, ნარკოტიკებით ვაჭრობდა. მით უმეტეს, რომ სახლიდან ხშირად ისმოდა ჩხუბი, რაც, ძირითადად, ფინანსურ თემებს ეხებოდა. პოლიციის ინფორმაციით, ქალს ხშირად აკითხავდნენ „კლიენტები“, რომლებიც, თითქოსდა, მის კერძო სტომატოლოგიურ კაბინეტში მიდიოდნენ სამკურნალოდ. თუმცა როგორც დადგინდა, ბოლო წლებში, ნანა კ-შვილს სტომატოლოგიური პრაქტიკა საერთოდ არ ჰქონდა. მოპოვებული ინფორმაციების ფონზე, „ოქროს მოწმედ” იქცა ნანა კ-შვილის ყოფილი ქმარი, რომელმაც დაადასტურა, რომ ქალი ნარკოტიკებით ვაჭრობდა. ჩატარებული ღონისძიების შედეგად, სამართალდამცველებმა ნანა კ-შვილის პირადი და ასევე, დედის ბინიდან სარეალიზაციოდ გამზადებული ჰეროინი ამოიღეს. მას ნარკოტიკი სტომატოლოგიურ სკამში ჰქონდა გადამალული, რომლითაც ის უკვე წლების განმავლობაში აღარ სარგებლობდა. სტომატოლოგიური სკამი ისე იყო დაშლილი, რომ, ერთი შეხედვით, იქ საეჭვო ნივთიერების ჩადება წარმოუდგენელი იყო, თუმცა, როგორც ნანა კ-შვილის ყოფილი მეუღლე ამტკიცებდა, ქალი ამ სამალავს დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა.

მძიმე ბრალდებით დაკავებული ქალი ცდილობდა, დანაშაული ყოფილი ქმრისთვის გადაებრალებინა და ამტკიცებდა, რომ ნარკოტიკი გოჩა კ-ძეს ეკუთვნოდა. ამით ქალს ქმარზე შურისძიება უნდოდა, მაგრამ, გამოძიებამ დაადგინა, რომ გოჩა კ-ძეს ნარკოტიკის გაყიდვასთან შეხება არ ჰქონია. მართალია, ყოფილი ცოლი მას თავის საქმეებს არც ანდობდა და არც ახედებდა, თუმცა, გაირკვა, რომ გოჩა კ-ძე ცოლის საქმიანობის შესახებ ინფორმირებული იყო. გამოძიებას ნარკორეალიზატორი ქალის წინააღმდეგ ბევრი სამხილი ჰქონდა მომზადებული და, შესაბამისად, ქალს საკუთარი დანაშაულის აღიარება მოუხდა. როგორც მან ჩვენებაში განაცხადა, ნარკოტიკების ვაჭრობით ბოლო სამი წელი იყო დაკავებული. თუმცა, ეს „ბიზნესი“ სტომატოლოგის საქმით ისე ჰქონდა „გადაფარული”, ამ ხნის განმავლობაში მასზე ეჭვი არავის მიუტანია. სასამართლო პროცესი, სადაც ყოფილი მეუღლეები სხვადასხვა საქმეზე იყვნენ ბრალდებულნი, ოჯახური დრამის მეორე სერიად იქცა. სასამართლომ გაითვალისწინა გოჩა კ-ძის თანამშრომლობა გამოძიებასთან და მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ჩადენილი დანაშაულისთვის, ნანა კ-შვილს კი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 14 წლით აღკვეთა თავისუფლება.

**ეკა ბარაბაძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-20(646)

– თანახმა ვარ, – ვთქვი მე და გიჟური მზერა მოვავლე კომპანიის თანამშრომლებს, რომლებიც ძლივს იკავებდნენ სიცილს.

მდივანმა ტელეფონზე დარეკა და თქვა:

– გურამ, ერთი წუთით ჩამოდი, საქმეზე არიან მოსულები, – მერე ყურმილი დაკიდა და მითხრა:

– ახლავე, ბატონო, თანაშემწე მოვა და მოგისმენთ.

ორიოდე წუთის შემდეგ შემოსასვლელის კარი გაიღო და ზღურბლზე გურამი გამოჩნდა, რომელშიც პრაღელი შემკვეთის ამოცნობა არ გამჭირვებია.

„ახლა კი ყველაფერი ნათელია. პრეზიდენტს მისი თანაშემწე და „შავი“ ძმაკაცები უჩალიჩებენ. თავს მოვიჭრი, თუ ეს უბრალო მოტაცება არ იყოს ფულის გამოძალვის მიზნით“, – გავიფიქრე გუნებაში, გურამს კი ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი:

– ერისკაცი ვარ, უეროვნულესი პროექტი მაქვს ქართველთა შობადობის გაზრდის სფეროში და ათი მილიონი ევროს ინვესტიცია მჭირდება.

გურამს ეგონა, სერიოზული კლიენტი იყო მოსული და საქმიანი განწყობით შემოვიდა, მაგრამ, გიჟს რომ წააწყდა, ჯერ იქ შეკრებილებს შეხედა, შემდეგ კი მდივანს, მაგრამ, იმან ანიშნა, რომ არ გაველიზიანებინე და, ამიტომ, ზრდილობიანად მითხრა:

– თქვენი სახელი, ბატონო?

– ქაიხოსრო ერისკაცელი. ჩემი ძველი გვარი გვირისტიშვილია, მაგრამ, ერისკაცელი უკეთ ჟღერს და, გთხოვთ, მომავალში, როდესაც დიადი ეროვნული პროექტების განხორციელებას ერთად დავიწყებთ, ქაიხოსრო ერისკაცელად მომიხსენიოთ. შევთანხმდით?

– შევთანხმდით, ბატონო ქაიხოსრო ერისკაცელო, – გამიღიმა გურამმა, – ხვალამდე ბატონი მერაბი არ იქნება. დილის 10 საათზე მობრძანდით, ჩვენს თათბირს დაესწარით და თქვენი ეროვნული პროექტიც მაშინ გაგვაცანით.

– კეთილი, მოვალ, – ვუთხარი გურამს და ვკითხე: – როგორ ფიქრობთ, დააფინანსებს?

– ეჭვიც არ მეპარება, რომ დააფინანსებს. ბატონი მერაბი დიდი პატრიოტია და ეროვნული პროექტებისთვის ყოველთვის გადანახული აქვს თანხები.

– ძალიან კარგი. აბა, ხვალ დილამდე, – გურამს ხელი ჩამოვართვი და წამოვედი.

სახლში რომ დავბრუნდი, უკვე აბსოლუტურად ზუსტად ვიცოდი, რომ შეკვეთას არ შევასრულებდი, რადგან, რიგით კრიმინალში მონაწილეობის მიღების არანაირი სურვილი არ მქონდა; ასევე, არ მსურდა შეკვეთაში მიღებული ოთხასი ათასი დოლარის დატოვებაც, რადგან, ესეც კრიმინალური ქმედება იყო, მე კი ყოველთვის ვცდილობდი, კრიმინალში არ გავრეულიყავი. ფული რომც არ დამებრუნებინა, რბილად რომ ვთქვა, ყურებზე ხახვსაც ვერ დამაჭრიდნენ, მაგრამ, მე რიგითი მძარცველი კი არა, „კაგებეს“ პოლკოვნიკი ვიყავი და ასეთ რამეს საკუთარ თავს არ ვაკადრებდი. ამიტომ, შეკვეთის გაუქმების სქემა ჯერ კარგად მოვიფიქრე, შემდეგ კი განხორციელებას შევუდექი. უპირველესად, კარგად შევინიღბე. შემდეგ, გურამს „კუდზე“ დავაჯექი და მისი გადაადგილების მარშრუტები შევისწავლე. ერთი კვირის შემდეგ კი, როდესაც ის თავის ბინაში შედიოდა, თავში პისტოლეტის ტარი ჩავარტყი, გავთიშე და ბინაში შევათრიე.

– გამოფხიზლდი, თანაშემწევ? – ვკითხე რადიატორზე მიბმულ შემკვეთს, როდესაც მან თვალები გაახილა.

– ვინ ხარ და რა გინდა? – კითხვითვე მიპასუხა გურამმა.

– ეს მე უნდა გეკითხებოდე, ვინ ხარ-მეთქი, შე ნაგლო, – ვუთხარი გურამს, – მე ის კაცი ვარ, შენისთანა ნაბიჭვარ უმადურებს რომ ჭკუას ასწავლის. ნუთუ არ გასწავლეს, რომ უმადურობა ცუდია?

– რა უმადურობა?

– თავს ნუ ისულელებ, მშვენივრად იცი, რასაც ვგულისხმობ?

– რას გულისხმობთ?

– თანაშემწევ, არა მარტო უმადურობაა ცუდი, არამედ, სიხარბეც. მერაბმა წუმპიდან ამოგიყვანა და კაცად გაქცია, ფული გაშოვნინა და პერსპექტივა გაგიჩინა, შენ კი მისი მოტაცება შეუკვეთე, რომ მისთვის მეტი ფული გამოგეძალა?

– თქვენ ეს საიდან იცით? – აღმოხდა გურამს.

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ისაა, რომ შემსრულებელი მკვდარია და მერაბის გატაცებასა და მისთვის ფულის გამოძალვას ველარ შეძლებთ. აბა, რას ფიქრობდით, თქვე ნაბიჭვრებო. მერაბი არიფი გეგონათ, ხომ? არადა, შენი პრაღაში ვოიაჟი, შემდეგ კი შემსრულებელთან თბილისში შეხვედრა, რომელსაც შენი ნაბიჭვარი ძმაკაცები აზღვევდნენ, თავიდან ბოლომდე კონტროლის ქვეშ გვქონდა აყვანილი. რა, არ გჯერა?

– რომც არ მჯეროდეს, ფაქტია, რომ თქვენს ხელში ვარ და ესაა იმის საუკეთესო დასტური, რომ სიმართლეს ლაპარაკობთ.

– მიხვდი, ვინ ვარ და ბატონი მერაბის კომპანიის რა სამსახურს წარმოვადგენ?

– რა მიხვედრა უნდა, თქვენ მისი საიდუმლო სამსახურის თანამშრომელი ბრძანდებით.

– უფრო კონკრეტულად კი – ამ სამსახურის უფროსი. შე წვინტლიანო, რატომ გეგონა, რომ ამხელა ფულის პატრონს ასე იოლად ჩაიგდებდით ხელში და მოწველიდით?

– ძმაკაცებმა შემაცდინეს. მე, მე... – ყბა აუკანკალდა გურამს, – კრიმინალურ სამყაროსთან არასდროს მქონია შეხება. სორბონას უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული. ჩემმა ძმაკაცებმა მაიძულეს ასეთი რამ.

– მოკლედ, ასე: ბატონმა მერაბმა დამაბარა, შენთვის გადმომეცა, რომ, თუ ოცდაოთხი საათის განმავლობაში აქედან ოთხივე არ აორთქლდებით, მაშინ, ოთხივეს ლიკვიდაცია მაქვს ნაბრძანები. საქართველოში მინიმუმ ხუთი წელი არ ჩამოხვიდეთ, თორემ, თუკი გავიგეთ, რომ რომელიმე თქვენგანმა აქ ფეხი ჩამოადგა, ველარაფერი გიხსნით.

– გასაგებია, გასაგები, ხვალვე მოვშორდებით აქაურობას.

– ფული რომ არ გაქვთ? შენ ხომ თითქმის მთელი დანაზოგი იმ ამერიკელ ქილერს გადაურიცხე ანგარიშზე, ის კი ქართულ მიწაში ღრმადაა პირქვე ჩამარხული. მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, მას ფულს მაინც ვერ გამოართმევდით.

– ხუთი ათასი ევრო მაქვს და ვიმყოფინებთ.

– აი, შენი ოთხასი ათასი, აიღე და, რაც შეიძლება მალე გაქრით აქედან. ქილერს ჩვენ ჯერ ფული გამოვართვით და მხოლოდ ამის მერე დავმარხეთ ცოცხლად.

– ცოცხლად დამარხეთ?!

– ჰო, ცოცხლად დავმარხეთ და, თუ გინდა, რომ მისი ბედი არ გაიზიაროთ, აქედან აახვიეთ, – ვუთხარი გურამს, პარკში გახვეული ფული და ხელბორკილების გასაღები დავუგდე წინ



და, სანამ წავიდოდი, დავამატე: – დაიმახსოვრე, მინიმუმ ხუთი წელი არ ჩამოხვიდეთ აქ, თორემ, ყველას დაგხოცავთ.

გურამმა და მისმა „შავმა“ ძმაკაცებმა მეორე დღესვე დატოვეს საქართველო და ევროპაში გაემგზავრნენ, მე კი მერაბს კაბინეტში ვეწვიე, გურამთან საუბრის ჩანაწერი ვაჩვენე და ვუთხარი:

– ბატონო მერაბ, ჭკვიანი, შეძლებული კაცი ბრძანდებით და ადამიანების ამოცნობა ვერ გისწავლიათ.

– ცდებით, ჩემო მეგობარო. ადამიანებს კარგად ვცნობ. აი, მაგალითად, შემიძლია, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ თქვენ ჩინებული ადამიანი ბრძანდებით, – მითხრა მერაბმა, მე კი თავი გავაქნიე და ღიმილით მივუგე:

– არა, კვლავ ცდებით. მე სულაც არ ვარ ჩინებული ადამიანი.

– მაშ, რატომ გადამარჩინეთ და, საერთოდ, ვინ ბრძანდებით ან საიდან შეიტყვეთ, რომ ჩემი მოტაცება და გამოსასყიდის მოთხოვნა უნდოდათ ჩემს თანაშემწესა და მის ძმაკაცებს?

– ბატონო მერაბ, ალბათ, ამიერიდან უფრო მეტ სიფრთხილეს გამოიჩენთ და თქვენს უსაფრთხოებას გააძლიერებთ. მშვიდობით, უნდა წავიდე...

სანამ ბატონი მერაბი გონს მოეგებოდა, მიკროკასეტაზე ჩაწერილი ფირი ჯიბეში ჩავიდე და მისი კაბინეტიდან გამოვედი. მერაბს კიდევ ერთხელ შევხვდი. სამი წლის შემდეგ შემკვეთმა ანტალიაში შემომთავაზა შეხვედრა. მე დავთანხმდი, საიმედოდ შევინიღბე და თურქეთში ჩავედი. დათქმულ ადგილას რომ მივედი, იქ მერაბი დამხვდა. მან სკამზე მიმითითა და, რომ დავჯექი, ინგლისურად მკითხა:

– რა ენაზე გსურთ საუბარი?

– ინგლისურად. გისმენთ, – მოკლედ მივუგე ჩემს ძველ ნაცნობს, რომელმაც, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო და მითხრა:

– შეგიძლიათ, რომ ნახევარ მილიონ დოლარად ადამიანს ზიანი მიაყენოთ?

– ეს კითხვა ზედმეტია. დამიკონკრეტეთ სამიზნე და მისი დაზიანების ხარისხი, თანხაზე კი ბოლოს შევთანხმდეთ.

– არა, მისი მოკვლა არ მინდა, უბრალოდ, უნდა დააზიანოთ და ამაში ხუთასი ათას დოლარს გადაგიხდით, – მითხრა მერაბმა და მომაჩერდა.

– გასაგებია, რომ ნახევარ მილიონ დოლარს მიხდით, მაგრამ, დამიკონკრეტეთ, ვინ უნდა დავაზიანო, ანუ, ადამიანის სახელი. შემდეგ კი მითხარით, როგორ გსურთ მისი დაზიანება და სად უნდა მოხდეს ეს, – ავუხსენი მერაბს.

– კარგი. ყველაფერს გეტყვით. დავიწყოთ იმით, თუ რატომ მსურს მისი დაზიანება, – მითხრა მერაბმა, მაგრამ, მას სიტყვა გავაწყვეტინე:

– მიზეზი არ მაინტერესებს. შეგიძლიათ, გამოტოვოთ და პირდაპირ საქმეზე გადახვიდეთ?

ჩემს სიტყვებზე მერაბი ძალიან გაოცდა და აღშფოთებულმა მითხრა:

– როგორ, თქვენ მე მანიაკი ხომ არ გგონივართ?

– არა, ბატონო, არ მგონიხართ.

– მაშინ, მომისმინეთ.

მერაბი ადამიანების იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელსაც თავისი ნებისმიერი საქციელის გამართლება სჭირდება. ამიტომ, გუნებაში გამეცინა, ხმამაღლა კი ვუთხარი:

ბოდიშს გიხდით, ბრძანეთ.

– მე და ელენე მამით ერთნი ვართ, ანუ, ის ჩემი ნახევარდაა და ჩემზე ოცდახუთი წლითაა უმცროსი. მე მას შვილივით ვპატრონობდი. რამდენიმე წლის წინ კი ერთმა ნაძირალამ ის ჯერ მიიტყუა, შემდეგ ნამუსი ახადა და მინდა, რომ ამის გამო ის კაცი დავსაჯო.

– კარგი, ჩემო ბატონო, ვინაა ამ ავკაცობის ჩამდენი და როგორ გსურთ მისი დასჯა?

– როგორ და მისი სასქესო ორგანო უნდა გაანადგუროთ, ამ ავკაცობის ჩამდენი კი, აი, ეს სუბიექტია, – მითხრა მერაბმა და მთავრობის ერთ-ერთი ახალგაზრდა მაღალჩინოსნის სურათი მიჩვენა, – ეს საქმე თბილისში უნდა გააკეთოთ.

– თბილისში?

– დიახ. თბილისი საქართველოს დედაქალაქია. საქართველო კი კავკასიაშია, თურქეთის მეზობლად, – ამიხსნა მერაბმა და მკითხა: – თქვენ თვითონ სადაური ხართ?

– ამას მნიშვნელობა არა აქვს. დამიკონკრეტეთ, სასქესო ორგანო მოვკვეთო თუ სხვა საშუალებით დავუზიანო?

– იცით, ერთი რუსული ფილმია – „ვოროშილოველი მსროლელი“. იქ ბაბუა შვილიშვილის გამაუპატიურებლებს სნაიპერული შაშხანით უნადგურებს სასქესო ორგანოებს და მინდა, თქვენც ამგვარად იმოქმედოთ. შეძლებთ?

– შევძლებ.

– ფული სად და როდის მოგცეთ?

– ხვალ, აი, ამ ანგარიშზე დამისვით, – მერაბს ჩემი საბანკო ანგარიში ვუთხარი და შეხვედრის ადგილი პირველმა დავტოვე.

ობიექტი ოცდაათიოდე წლის, გათახსირებული მაღალჩინოსანი გახლდათ, რომელიც ისეთივე არაკომპეტენტური და ყველაფრის მკადრებელი იყო, როგორც ათეულობით მისი კოლეგა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ საეჭვო რევოლუციური დამსახურების გამო მოექცნენ ხელისუფლებაში. ობიექტმა მერაბის და – ელენე ერთ-ერთ ეგრეთ წოდებულ ელიტურ ფართიზე გაიცნო, სადაც სპეციალურად მიიწვია. შემდეგ, გამოუცდელ გოგონას სასმელში დასაძინებელი გაურია, წინასწარ მომზადებულ ოთახში შეიყვანა და თავისი პირუტყვული ჟინი დაიკმაყოფილა...

ობიექტი ერთ-ერთ მორიგ ელიტურ ორგიაზე მოვიხელთე, სადაც ახალგაზრდა მაღალჩინოსნები იკრიბებიან ხოლმე და მე იმ დროს მოვარტყი ფეხებშუა ფუგასური ტყვია მაყუჩიანი შაშხანიდან, როდესაც ის რამდენიმე შიშვ-






ერდო ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...

მაკლერი:

-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.

მარიკა 599 24 28 31

ელი მეძავის (ზოგიერთი მათგანი თანამდებობის პირი იყო) გარემოცვაში შეზლონგზე იწვა და ხელში კოქტეილი ეჭირა... მას, რა თქმა უნდა, თანამდებობაც უკან დარჩა, შიშველი მეძავებიც და კოქტეილიც. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ექიმები დაახვიეს თავს, მისი მამაკაცური ფუნქციების აღდგენა ვერ მოხერხდა და, მართალია, დღესაც ცოცხალია, მაგრამ, არსად ჩნდება... მერაბმა კი თავისი ბიზნესი უცხოეთში გაიტანა და ელენესთან და მის ქმარშვილთან ერთად ბედნიერად ცხოვრობს და იმ დროს ელოდება, როდესაც საქართველოში დაბრუნებას შეძლებს.

სხვათა შორის, საკმაოდ ბევრია ისეთი, ვინც რევოლუციური მთავრობის კრახს ელოდება, რომ საქართველოში დაბრუნდეს და შური იძიოს. გაქცეულთა ნაწილი მართლაც დამნაშავეა და მათ კანონიერად დევნიან, მაგრამ, გაცილებით მეტნი არიან უდანაშაულონი, ვინც აიძულეს, რომ სამშობლოდან გადახვეწილიყვნენ, მათი ადგილები კი გადამთიელებმა და მოღალატე ქართველებმა დაიკავეს.

ამას წინათ ერთ შემკვეთს უნდა შევხვედროდი და მეტროთი მომიხდა მგზავრობა. საზოგადოებრივი ტრანსპორტით თითქმის არ ვსარგებლობ და მეტროში ბოლოს რამდენიმე წლის წინ მომიწია ჩასვლა. მე ჯერ „ვაგზლის მოედანზე" ჩამოვედი და შემდეგ საბურთალოს ხაზზე გადავჯექი. აი, იქ კი თავი ნიუ-იორკის მეტროში მეგონა, რადგან, მეტროს ვაგონი ისე აჭრელდა ეჭვიც კი შემეპარა, მართლა იქ ხომ არ ვიმყოფები-მეთქი. მგზავრების უმეტესობას არაქართველები შეადგენდნენ და იქაურობა ყველა ფერისა და ეროვნების ახალგაზრდებით იყო სავსე. რასისტი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ამ სურათის შემხედვარემ ვინატრე, რომ, რაც შეიძლება, მალე დაიცალოს საქართველო არაქართველებისგან (ვგულისხმობ ახალ მატებას), წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ რაღაც ათი წელი გაივლის და ჩვენს სამშობლოში აბსოლუტურ უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ღმერთმა არ ქნას, რომ ეს ასე მოხდეს, მაგრამ, თუ მოხდა, ფიზიკურადაც გადავშენდებით, ენასაც დავკარგავთ, მამულსაც და სარწმუნოებასაც. რამდენიმე წლის წინ ჩემი ინსტიტუტელი მეგობარი მოვინახულე, რომელიც ერთ-ერთ უცხოურ ფირმაში მუშაობს და სამშობლოში იშვიათად ჩამოდის. მას რუსი ცოლი ჰყავს, რომელიც საქართველოზეა შეყვარებული და ბრწყინვალედ ფლობს ქართულ ენას. ლენამ საუცხოო სუფრა გაგვიშალა და, ცოტა რომ შევქეიფიანდით, ჩემმა მეგობარმა რეზომ თქვა:

– ორი წელია, აქ არ ვყოფილვარ. როგორ შეცვლილა თბილისი.

– უკეთესობისკენ თუ უარესობისკენ? – ვკითხე რეზოს.

– ერთი შეხედვით, გეგონება, რომ უკეთესობისკენ, მაგრამ, ვფიქრობ, უარესობისკენ. თითქოს, ურიგო არ უნდა იყოს ახალი შენობები, კარგი გზები და გამარტივებული მომსახურება, მაგრამ, ვისთვის კეთდება ეს?

– როგორ თუ ვისთვის? ხალხისთვის, – პათეტიკურად მივუგე რეზოს, რომ პოლემიკა გამომეწვია და ჭკვიანი, პატრიოტი ადამიანის აზრი გამეგო.

– რომელი ხალხისთვის? – ირონიულად მითხრა რეზომ, – გუშინ მე და ლენამ ფეხით შემოვიარეთ ძველი თბილისი, უფრო სწორად, ის ადგილები, რაც ძველი თბილისისგან დარჩა და, იცი, რამ გაგვაოგნა?

– რამ?

– რამ, და იმან, რომ ქართველები ვერ ვნახეთ.

– რას გულისხმობ?

– იმას, ჩემო კარგო, რომ ქართველები ჩაიკარგნენ სხვა ერებში და საკუთარ ქალაქში არ ჩანან. სხვები კი, იცოცხლე, პაჩკა-პაჩკა დადიან, მრავლდებიან და მკვიდრდებიან ჩვენს მამულში. იცი, რამდენი წყვილი ვნახე ჩვილთან ერთად? ძალიან ბევრი და, რომ დავაკვირდი, მათგან არც ერთი არ იყო ქართველი. დარწმუნებული ვარ, დიდი ილია ჭავჭავაძე ახლა საფლავში ბრუნავს და მისი შეშფოთებული სული დასტრიალებს საქართველოს. არა, ძმაო, თუ ასე გაგრძელდა, გადაშენებამდე აღარაფერი გვაკლია.

– კი, ასეა. შენი აზრი მაინტერესებდა და იმიტომ გამოგიწვიე, – ვუთხარი რეზოს, – ხომ გახსოვს სიმღერა „იყიდება საქართველო"?

– როგორ არა.

– ჰოდა, ის სიმღერა ახლა ყველაზე აქტუალურია. ამ მოღალატეებმა სამშობლო გაგვიყიდეს და თბილისში რამდენიმე მსხვილ არაქართულ დასახლებას აშენებინებენ უცხოელებს, ქართველები კი თურქეთსა და საბერძნეთში არიან გადახვეწილები და თავიანთი ოჯახები რომ არჩინონ, მონებად მუშაობენ. ბოდიში და, ვის რა ჩემ ფეხებად უნდა ეს შენობები და გზები, თუკი მათში ქართველები ვერ იცხოვრებენ და ვერ ივლიან?

– მართალი ხარ, – დამეთანხმა რეზო, – ამ ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს და, თან, რაც შეიძლება, მალე, თორემ, ჩვენს თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილი გაგვანადგურებს. რაც შეიძლება, მალე უნდა შეიცვალოს ეს მოღალატე მთავრობა და ქართველებს საქართველო დაუბრუნდეს.



– მარტო მთავრობის შეცვლა არ გვიშველის, პოლიტიკური კურსი უნდა გადაიხედოს.

– რას გულისხმობ?

– რუსეთთან ურთიერთობას. განა შეიძლებოდა, ასე ხელაღებით, ერთი ხელის მოსმით რუსეთის უგულებელყოფა? ვის რაში სჭირდება ტოტალური ამერიკანიზაცია? სკოლებში ყველაზე საფუძვლიანად ინგლისურ ენას ასწავლიან, ქართული ფეხებზე ჰკიდიათ, რუსული ენა კი საერთოდაც, მასხრად აქვთ აგდებული და ახალგაზრდა თაობას რუსებსა და რუსეთს აძულებენ. და, აი, შედეგიც, რუსებთან ყოველგვარი პარტნიორული ურთიერთობები გაწყვეტილი გვაქვს და ყველაფერი ეს ამ მთავრობამ ჩაიდინა.

– რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებას მთელ მსოფლიოში ერიდებიან. საქართველოს მთავრობამ დიდი პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, – დამიდასტურა რეზომ, – ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, მთელ მსოფლიოში ვმოგზაურობ, მათ შორის რუსეთშიც ხშირად მიხდება ყოფნა. უნდა გითხრა, ეს ქვეყანა საკმაოდ სწრაფად დგება ფეხზე და სულ მალე კვლავ მოწინავე პოზიციებს დაიკავებს მსოფლიოში, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირს ეკავა.

– ეეჰ, რა ქვეყანა დაშალეს?! – სინანულით ვთქვი მე, – რუსეთი ორას წელზე მეტხანს იყო საქართველოს დამპყრობელი და ვერ მოგვერია, ვერ გადაგვაჯიშა; პირიქით, მათთან ისეთი ურთიერთობები ავაწყვეთ, რომ საქართველომ ბევრი სარგებელი ნახა.

– აი, თუნდაც, მე, – სიტყვა გამაწყვეტინა რეზომ, ლენას ხელი გადახვია და მითხრა, – ჩემი ლენაჩკაც იმ სარგებლის ნაწილია.

– ნუ დარდობთ, ბიჭებო, – თქვა ლენამ, წითელი ღვინით საქართველოს სადღეგრძელო შესვა და შემდეგ კი გიტარის თანხლებით „სულიკო" იმღერა.

რეზოსგან გვიან ღამით წამოვედი, კარგა ხანს ვერ მოვხუჭე თვალი და იმაზე ვფიქრობდი, რა ეშველებოდა ბედკრულ საქართველოს, რომლის დედაქალაქშიც ნელ-ნელა მრავლდებოდა სხვადასხვა ჯიშისა და ჯილაგის ხალხი და ჩვენი ლამაზი თბილისი ბაბილონის გოდოლს ემსგავსებოდა. რეზოსთან შეხვედრიდან რამდენიმე წელი გავიდა და ქართველების მდგომარეობა კვლავ უფრო დამძიმდა. დღესდღეობით, ქართველები უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან, ჩამოსულები კი ისე გათავხედდნენ, რომ თავს ჩვენი მიწა-წყლის ერთადერთ პატრონად მიიჩნევენ. მათ აქ უამრავი მომგებიანი ბიზნესი აქვთ, რომლებშიც თავიანთი თანამემამულეები ჰყავთ დასაქმებული და თუკი ქართველებს მიიღებენ სამსახურში, მხოლოდ მძიმე და დამამცირებელ სამუშაოზე და დაბალი ანაზღაურებით.

არცთუ დიდი ხნის წინ, ერთმა შემკვეთმა სტამბულში დამიბარა, სადაც, რა თქმა უნდა, შენიღბული ჩავედი. ის თურქი იყო და დამტვრეული ინგლისურით მითხრა:

– თქვენთან ერთი დელიკატური საქმე მაქვს.

– მგონი, აჯობებს, მშობლიურ ენაზე ვილაპარაკოთ, – თურქულად ვუთხარი შემკვეთს, რომელმაც მოულოდნელობისგან აღფრთოვანება ვერ დამალა და მითხრა:

– სასიამოვნო სიურპრიზია, რომ თურქი ხართ, მით უკეთესი, კიდევ უფრო თამამად შევძლებ თქვენთან საქმის დაჭერას.

– ბრძანეთ, ბატონო, მე თქვენ ყურადღებით გისმენთ.

– ერთი სიტყვით, ჩემო კარგო, ერთი კაცია მოსაშორებელი, რაშიც ორასი ათას დოლარს

გადაგიხდით. არ იფიქროთ, რომ ბოროტი ვარ, კაცის მოკვლა რომ განმიზრახავს, მაგრამ, ეს ადამიანი ამას ნამდვილად იმსახურებს. ის ჩემი საქმიანი პარტნიორია და ბიზნესის გაფართოებაში მიშლის ხელს, რაც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, თანაც, ის თურქი არ არის და ჭირსაც წაულია.

შემკვეთის ლაპარაკს მიკროკამერით ვიწერდი, რომელიც მზის სათვალის ჩარჩოში მქონდა ჩამონტაჟებული. მე თითქმის ყოველთვის ასე ვიქცევი და ფირებს ყოველი შემთხვევისთვის, საიმედოდ ვინახავ.

– გასაგებია. ახლა სამიზნის სახელი და შესრულების ადგილი მითხარით, – ვუთხარი შემკვეთს, მან კი ფერადი ფოტოსურათი მომცა და მითხრა:

– აი, სამიზნე, თორნიკე ჰქვია და თქვენ ის მოსკოვში უნდა მოკლათ. ერთი კვირის შემდეგ ის რუსეთში უნდა გაემგზავროს ფირმის საქმეებთან დაკავშირებით სამი-ოთხი დღით და იქ უნდა მოუღოთ ბოლო.

– გასაგებია. ფული ხვალვე გადმომირიცხეთ ანგარიშზე სრულად და ეს საქმე უკვე გაკეთებულად ჩათვალეთ, – ვუთხარი შემკვეთს, გამოვემშვიდობე და წამოვედი.

თურქი შემკვეთის მიერ „შეკვეთილი“ თორნიკე საკმაოდ ცნობილი კაცი იყო და ის ხშირად ჩნდებოდა ტელევიზიის ეკრანებსა და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ის საკმაოდ მდიდარი კაცი იყო და სხვა, თავისი კოლეგა მილიონერებისგან განსხვავებით, არც მრავალრიცხოვანი დაცვა ჰყავდა და არც გარყვნილის სახელი ჰქონდა. ის ერთ-ერთი ელიტური სახლის ბოლო სართულზე ცხოვრობდა და ერთადერთი მოსამსახურე ჰყავდა, რომელიც უფრო მეგობარი იყო, ვიდრე მისი ხელქვეითი. შეკვეთის მიღებიდან ორი დღის შემდეგ მოქმედების გეგმა უკვე შემუშავებული მქონდა.

ღამის პირველი საათი იყო, როდესაც თორნიკე სახლში დაბრუნდა. ის სასტუმრო ოთახში შევიდა, შუქი აანთო და ჩაილაპარაკა:

– ალბათ, გენოს ჩაეძინა. არა უშავს. მე თვითონ ვივახშმებ და დავიძინებ.

– გენოს არ დაუძინია, ბატონო თორნიკე. ის გაკოჭილია და წითელ საძინებელში იმყოფება, – ვუთხარი თორნიკეს, – ნუ აღელდებით, ყველაფერი რიგზეა. მე მხოლოდ საქმე მაქვს თქვენთან.

– თუ საქმე გაქვთ, დაბრძანდით და ბრძანეთ, – მშვიდად მომიგო თორნიკემ, მე კი ვუთხარი:

– ხუმრობას არ გირჩევთ, იცოდეთ, შეიარაღებული ვარ და გაუფრთხილებლად გესვრით.

– მე კი შეიარაღებული არ ვარ და არც ხუმრობის ხასიათზე ვარ. დაბრძანდით და ბრძანეთ, რაშია საქმე.

– ბატონო თორნიკე, მე დაქირავებული მკვლელი ვარ და თქვენმა საქმიანმა პარტნიორმა თქვენი მკვლელობა შემიკვეთა, – ვუთხარი თორნიკეს, რომელმაც მშვიდად მკითხა:

– ახმადმა?

– დიახ. მან.

– მერე, რას აპირებთ?

– თქვენ რას მირჩევთ? – კითხვა შევუბრუნე თორნიკეს.

– მე რა უნდა გირჩიოთ, ხომ არ გეტყვით, მომკალით-მეთქი?

– თქვენ არა, მაგრამ, ახმადი ნამდვილად სიკვდილის ღირსია. თუმცა, თქვენი თვალით ნახეთ. თურქული გესმით?

– დიახ, მესმის.

თორნიკეს თურქ შემკვეთთან შეხვედრის კადრები სრულად ვუჩვენე და ბოლოს ვკითხე:

– რას იტყვით?

– რა უნდა ვთქვა, უკანასკნელი ნაძირალაა.

– მაინც, რას გერჩით?



– ჩვენ ერთობლივი სამშენებლო კომპანია გვაქვს და მან შემომთავაზა, რომ, ვითომდა ბიზნესის გაფართოების მიზნით, მესხეთ-ჯავახეთში, თბილისსა და სხვა რაიონებში მიწები შეგვეძინა, სადაც სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს განვახორციელებდით: ავაშენებდით სასტუმროებს, გასართობ ცენტრებს, საცხოვრებელ მიკრორაიონებს, მე კი ამაზე ცივი უარი ვტკიცე.

– ნუთუ ასე იოლია უცხოელისთვის ქართული მიწის ყიდვა და მშენებლობის წამოწყება?

– უიოლესი. მთავრობაში ფულს გადაიხდი და, მიდი, რაც გინდა, აკეთე, – მითხრა თორნიკემ, – ხომ წარმოგიდგენიათ, მესხეთ-ჯავახეთში თურქული მშენებლობა, სადაც უამრავი თურქი მოიყრის თავს და, ღმერთმა უწყის, რა მოჰყვება ამას. მთელი ის რეგიონი რომ სისხლისღვრის ადგილად გადაიქცევა – ეს ერთი, მთავარი კი ისაა, რომ თურქების მიერ აშენებულ მიკრორაიონში 80 პროცენტი თურქები დასახლდებიან და საქართველოს ისედაც არასახარბიელო დემოგრაფიული მდგომარეობა კიდევ უფრო სწრაფად წავა მინუსისკენ. ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ ყველაფერ ამაზე თანახმა ჩვენი მთავრობაა და ქართველების გადაშენებას ხელს უწყობს. წარმოგიდგენიათ? რუსებთან მეგობრობასა და პარტნიორობაზე უარი თქვეს და გადამთიელების ჩამოსახლებას უწყობენ ხელს.

– გასაგებია. ახმადი უნდა მოკვდეს.

– ეგ როგორ?

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბ | | თ | | | | ს | | კ | | | | | | |
| ა | რ | ს | ე | ნ | | ს | ო | ლ | ო | | | | | | |
| მ | ა | ს | ა | ი | | ა | ლ | ა | ლ | | | | | | |
| ი | | | | კ | | პ | ა | ნ | ო | | | | | | |
| რ | ხ | ე | ვ | ა | | ი | რ | ა | ნ | | | | | | |
| ა | | ლ | | ლ | ა | რ | ი | | ი | | პ | ა | ლ | ვ | ა |
| ნ | | ზ | | ა | ნ | ი | ს | ი | ს | | ო | | ა | | |
| ი | მ | ე | ს | | ა | ს | ი | | ტ | ა | ბ | ე | ლ | ი | |
| | ო | ს | ა | კ | ი | პ | | დ | ი | რ | ო | ლ | ი | | ქ |
| ა | ლ | ი | ა | | დ | ი | ნ | | | ტ | ი | მ | ო | რ | ი |
| | ა | | მ | ო | ნ | რ | ე | ა | ლ | ი | | ა | ნ | ე | ლ |
| ჭ | | ბ | უ | ლ | ი | ო | ნ | ი | | ს | ა | ვ | ი | ნ | ა |
| ი | ს | ო | რ | ე | | | ა | ნ | ო | ტ | | ა | | ო | |
| ა | ი | ნ | ი | პ | ი | პ | | ი | დ | ი | ა | ლ | ს | | ჩ |
| ნ | ო | დ | | ა | რ | ა | ფ | | ე | | მ | ი | ა | ს | ი |
| ი | ნ | ი | ლ | კ | ა | ჟ | | ი | კ | ე | პ | | ბ | | ხ |
| | ი | | | | პ | ი | ა | ნ | ო | | ე | კ | ა | ლ | ი |
| ო | | ა | მ | დ | ა | | ბ | ა | ლ | ე | რ | ო | ნ | ი | |
| ბ | ი | ნ | ა | | დ | | გ | რ | ო | | ი | ლ | ი | ტ | ს |
| ი | ნ | ე | დ | ა | ზ | | ა | ი | ნ | უ | | ე | | ო | |
| | ო | ტ | ა | ნ | | ი | | | ი | რ | ი | გ | ა | ნ | უ |
| შ | ი | ნ | | რ | ა | ს | უ | ლ | | ი | ნ | ა | ზ | ი | ხ |
| ა | ნ | ა | | ა | | ი | ნ | ო | დ | ა | ი | | ი | | ვ |
| | ა | | ს | ვ | ლ | ა | | ს | | | ო | თ | ა | ხ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 7 | 1 | 6 | 8 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 2 | 4 | 9 | 3 | 7 | 8 | 5 | 1 |
| 1 | 8 | 3 | 4 | 5 | 2 | 9 | 6 | 7 |
| 4 | 1 | 2 | 7 | 8 | 3 | 6 | 9 | 5 |
| 3 | 7 | 6 | 5 | 4 | 9 | 2 | 1 | 8 |
| 5 | 9 | 8 | 2 | 1 | 6 | 3 | 7 | 4 |
| 8 | 4 | 9 | 6 | 7 | 1 | 5 | 2 | 3 |
| 2 | 3 | 1 | 8 | 9 | 5 | 7 | 4 | 6 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 4 | 1 | 8 | 9 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 4 | 8 | 6 | 1 | 5 | 3 | 9 |
| 3 | 1 | 6 | 9 | 5 | 4 | 2 | 8 | 7 |
| 5 | 9 | 8 | 7 | 3 | 2 | 1 | 4 | 6 |
| 1 | 8 | 2 | 5 | 7 | 6 | 3 | 9 | 4 |
| 4 | 3 | 7 | 1 | 2 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 9 | 6 | 5 | 3 | 4 | 8 | 7 | 2 | 1 |
| 8 | 4 | 1 | 2 | 9 | 5 | 6 | 7 | 3 |
| 6 | 5 | 3 | 4 | 8 | 7 | 9 | 1 | 2 |
| 2 | 7 | 9 | 6 | 1 | 3 | 4 | 5 | 8 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** **1. ინდულგენცია. 2. ნიმუშებს იღებენ ტერმიტების მიერ გათხრილი ხვრელებიდან, რომელთა სიგრძე ათობით მეტრია. 3. ასო, რომელიც სიტყვის შუაში სხვანაირად იწერება, სიტყვის ბოლოს – სხვანაირად. 4. ამ წელს გრძედის პირველი ზუსტი გაზომვები დაიწყო. 5. ცათამბჯენების მშენებლობა – საცხოვრებელი ბინების კრიზისის დასაძლევად. 6. ჰოლანდიას. 7. ცოლთან გაყრას. 8. იესო ქრისტეს ინიციალების – ი.ქ.-ს ღმერთთან (ბერძნულად – თეო) შეერთებით, მიიღება – იქთეო (იხტიო) – თევზი. 9. მეზღვაურები ზღვაში ხანგრძლივად გასვლის წინ ახლობლებს უტოვებდნენ ბიუსტებს, რაც ფოტოს მაგივრობას წევდა. 10. გრივნი.**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-20(646)

## „კეთილი“ რჩევები

ქეთიმ გამბედაობა მოიკრიბა და მძიმე, შემინული კარი შეაღო. პირველი, რაც დაინახა, თიკოს უსაშველო მოკლე კაბიდან მოქათქათე, მრგვალი მუხლისთავები და გრძელი წვივები იყო. ამ უმნიშვნელო „დეტალებმა“ ისე დააფრთხო, რომ კინაღამ უკან გამობრუნდა.

– ვინ გნებავთ? – თიკოს თავაზიანმა შეკითხვამ და საგანგებოდ მომარჯვებულმა ღიმილმა ხომ საერთოდ დაუკარგა განზრახვის სისრულეში მოყვანის სურვილი და ისიც აფიქრებინა, რა სულელი ვარ, ნატოს როგორ დავუჯერეო...

– რით შემიძლია, დაგეხმაროთ? – თიკოს მზერამ და ხმამ თანაგრძნობის „ელფერი“ შეიძინა.

– მე ვახოსთან მივედი, – როგორც იქნა, წარმოთქვა ქმრის სახელი.

– ბატონ ვახტანგთან? გელოდებოდათ? რა ვუთხრა, ვინ გეწვიათ-მეთქი? კლიენტი ბრძანდებით ჩვენი თუ...

– ვახოს მეუღლე ვარ, ანუ ცოლი... – ერთი ამოსუნთქვით წარმოთქვა ქეთიმ და თითქოს გულზეც მოეშვა.

თიკო მექანიკურად წამოდგა და გაბადრული მისკენ გაემართა.

– სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ძალიან სასიამოვნო. არ ვიცოდი, ბატონ ვახოს ასეთი ლამაზი ცოლი თუ ჰყავდა. ახლავე დავუძახებ... თუმცა, მობრძანდით, აი, აქ არის მისი ოთახი... – თიკო დაფაცურდა. დაბნეული და გაწითლებული ოთახის კარს ეცა, შეაღო და ქალიც მიიპატიჟა. ვახო უკვე ზღურბლზე იდგა და ცოლს გაშტერებული შესცქეროდა.

– იცი, აქეთ ვიყავი და შემოვირბინე. უცებ გამახსენდა, რომ ერთხელაც არ ვყოფილვარ შენთან. ხომ უნდა მცოდნოდა, სად მუშაობ.



ვახომ ამოიოხრა და თვალები მოჭუტა. სახეზე კი უკმაყოფილება გამოსახა.

– კარგი. შევიდეთ ჩემთან, თუ გინდა, ოფისის მთელი ტერიტორია დაგათვალიერებინო?! ხომ უნდა იცოდე, რომელ კუთხე-კუნჭულში რა ხდება.

ქეთი მიხვდა, რომ ვახო გააღიზიანა მისმა მოულოდნელმა ვიზიტმა.

– წავალ... გნახე და...

– არა, წამოდი, – ვახომ ხელი მოჰკიდა ცოლს და კაბინეტისკენ გაიყოლა.

– ყავას ხომ ინებებთ? ძალიან კარგი ყავა გვაქვს.

– გმადლობ, თიკო. მაგრამ აჯობებს, შენს საქმეს მიხედო, – ქეთის მაგივრად გასცა პასუხი ვახომ. ცოლი წინ გაუშვა და ოთახის კარი ზურგს უკან ხმაურით მიიხურა.

თიკომ ცოტა ხანს ადროვა, მერე პირდაპირ ბიჭებთან შევარდა ხელების ქნევით.

–იცით, აქ ვინ არის? ვინ მოვიდა?!

ზუკამ და გიგიმ ზანტად მოიხედეს გოგოსკენ. ლაშას საერთოდ არ მოუშორებია მზერა მონიტორისთვის. თიკოს აღფრთოვანებას „ცივი წყალი“ გადაესხა.

– რა უცნაური ხალხი ხართ. მართლა არ გაინტერესებთ, ვინ მოვიდა? მართლა, თუ ჩემს გასაბრაზებლად გაქვთ ასეთი გულგრილი გამომეტყველება?.. ვახოს ცოლია აქ.

– ქეთი მოვიდა? – გიგიმ მხრები აიჩეჩა, – მეც ვიფიქრე... რა არის მერე ამაში განსაკუთრებული.

– შენ რა, იცნობ? – თვალები გაუფართოვდა თიკოს.

– დავუშვათ... მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. იმასაც ვერ ვხვდები, ასეთი რეაქცია შენ რატომ გაქვს.

თიკო დაიჯღანა და ენა გამოუყო.

– საზიზღარი ხარ. ჩემი რეაქცია ბუნებრივია. აი, ვახოსი კი ნამდვილად უცნაური იყო.

– ჰო? მაინც რანაირი? – გაიპრანჭა გიგი.

– მგონი, გაბრაზდა, ცოლმა რომ მოაკითხა. ყავა შევთავაზე და შენ საქმეს მიხედე, ნუ შეწუხდებით. ვითომ რატომ შევწუხდებოდი?!

– რას ერჩი. ადეკვატური საქციელია. რომელ კაცს მოეწონება, ცოლი სამსახურში მოულოდნელად რომ წამოადგება თავზე.

– რა უცნაური ხარ... „წამოადგება“ რა სიტყვაა. შემოიარა ადამიანმა, უბრალოდ, რა არის ამაში განსაკუთრებული?

– ქალები ისე, უბრალოდ, არაფერს აკეთებთ. ამის გამოცდილება კი მაქვს, – ჩაიცინა გიგიმ.

ზუკამ ამოიოხრა.

– შენ რაღას ოხრავ მანდ? – მიუბრუნდა თიკო ბიჭს და შეუბღვირა, – დარწმუნებული ვარ, ამ ვაჟბატონს ეთანხმები.

– არაფერსაც არ ვეთანხმები. მე ნაკლები გამოცდილება მაქვს ამ საქმეში. ცოლი ლაშას ჰყავს და მაგასთან ჩაატარე ინტერაქტივი.

თიკომ ტუჩები გაბუსხა.

– საერთოდ არ მაინტერესებს თქვენი აზრი. არც ერთის. დიახ! მხოლოდ იმის სათქმელად შემოვედი, რომ ძალიან მომეწონა.

– ვინ, ვახოს ცოლი?

– ვინ, ვახოს ცოლი, – გამოაჯავრა თიკომ გიგის და ენა გამოუყო, – ლამაზიც არის და ჭკვიანიც.

– ნუ, კარგი... ვიზუალური ეფექტი კიდევ შეიძლება გავიგო, მაგრამ ჭკვიანია, თუ სულელი, ამის გაგება როგორ მოასწარი ორ წუთში.

– ადამიანს რომ შეხედავ, ეტყობა. არ უნდა ამას ორ-სამსაათიანი დაკვირვება.

– თიკო, ერთ კეთილ რჩევას მოგცემ, თუ გინდა შეფს აამო, სულაც არ არის აუცილებელი, მის ცოლს ხოტბა შეასხა. მით უმეტეს, თუ ამას უნიჭოდ და საჩვენებლად აკეთებ, ანუ „პაკაზუხურად“ – შენთვის გასაგებ ენაზე.

თიკო გაწითლდა. უნდოდა, გიგისთვის საპასუხოდ რაღაც ეთქვა, მაგრამ ერთბაშად შეტრიალდა და ოთახიდან უკანმოუხედავად გავარდა.

ზუკამ თავი გადააქნია.

– რას აკანტურებ მაგ თავს... – დასცინა გიგიმ, – ეს რომ ასეთი გაღიზიანებულია, შენ ხარ დამნაშავე.

– მე? ხომ არ გაგიჟდი. მე რა შუაში ვარ. ახლა მე მომდექი...

– აბა, მე ხომ ვერ დავუკმაყოფილებ სექსუალურ მოთხოვნილებებს, დაკავებული ვარ, – თავი მოისაწყლა გიგიმ – ნინის ვერ ვუღალატებ.

– აუჰ, გადავირიე შენი ერთგულებით. არ გრცხვენია მაინც, ასე უსინდისოდ რომ დებ თავს ერთგულებაზე?!

გიგის არ სწყენია. უფრო ზუკას მოულოდნელმა აფეთქებამ გააკვირვა.

– რა გაყვირებს?! ვიხუმრე. ერთი თიკოც გვეყოფა ხუმრობაზე აცრილი. თუმცა, ვხვდები... გეტყობა, იმ ქალს აღარ შეხვედრიხარ და განიცდი.

– ჰო. არ შევხვედრივარ. ორი დღეა, თავს ვიკავებ. მესიჯებზე არ ვპასუხობ, ინტერნეტისკენ არ გამიხედავს და ლამისაა გავგიჟდე.

– რა გაგიჟებს? გადაგივლის ორ-სამ დღეში.

– როგორ ადვილად ლაპარაკობ? თუმცა, შენ რა გენაღვლება. საქმე საათივით გაქვს აწყობილი. მე კი ყოველთვის პრობლემებს ვიზიდავ.

– იმიტომ, რომ შენ თვითონ გინდა ეს. მშვენივრად იყავი ქალთან. რა აუცილებელი იყო, მის მიმართ თბილი გრძნობები გაგჩენოდა.

– ისე ამბობ, თითქოს ეს ჩემზე ყოფილიყო დამოკიდებული.

– აუ, გადამრევ ახლა. აბა, ვისზეა დამოკიდებული?! კაცები ქალისგან იმით განვსხვავდებით, რომ ემოციებს არ ვყვებით და პრაგმატულად ვაზროვნებთ.

– ეგ მითია. როგორ უნდა გამოვრიცხო

ემოცია, არ მესმის.

– ჩემს „კეთილ“ რჩევებს უნდა დაუჯერო.

– ვიცი, მე შენი „კეთილი“ რჩევები. ლადაობისთვის თემებს ეძებ და გინდა, მეკაიფო.

– არავითარ შემთხვევაში? შენ ჩემი მეგობარი ხარ. სხვათა შორის, მე თიკოსთან დაკავშირებითაც არ ვხუმრობ. კარგი გოგოა. ნუ, ცოტა ხუშტურიანია, მაგრამ რომელ ქალს არ აქვს ხუშტურები?! თანაც, კაცი რომ ეყოლება გვერდით გარანტირებულად, გაუვლის.

ლაშა მოულოდნელად ჩაერია ლაპარაკში.

– ისე, თიკო მართლა კარგი გოგოა... თუ მოსწონხარ კიდეც... შენი საქმის თავად იცი, მაგრამ მე ვიფიქრებდი...

– აუ, შენ ვისზეც იფიქრე, სახლშიც გყავს. მომეშვით, რა, ვერ ვიტან სამსახურში ასეთ რაღაცეებს. დაანებეთ თავი თიკოს და დამასვენეთ მეც. არც ეგ შენი „კეთილი“ რჩევები არაფერში მჭირდება. გასაგებია?!

– ნუ ყვირი. გასაგებია? ოღონდ, ასეც ნუ ილრინები... სამსახურში მშვიდი და მსუბუქი ატმოსფერო მჭირდება ნორმალური მუშაობისთვის.

– მე საერთოდ არ ვიღებდი ხმას, სანამ შენ არ დაიწყე და საერთოდაც, ბოლო დროს ძალიან ცინიკური გახდი და უცერემონიოდ იგესლები. ეს ერთადერთია, რაშიც თიკოს ვეთანხმები.

გიგიმ გულზე ხელები დაიკრიფა და აპილპილებულ ზუკას სინანულით მიაჩერდა.

– გაგიჭირდება შენ... გულწრფელად მეცოდები.

ზუკამ არაფერი უპასუხა. ჯავრი მობილურზე იყარა, გამეტებით დაანარცხა მაგიდას...

***

... თანამედროვე მამაკაცების უმრავლესობა დიდი სიხარულით დაეთანხმებოდა ძველ ბერძენ ფილოსოფოს ესქილეს, რომელიც სიყვარულს ტაიფუნსა და ქარიშხალზე დიდ საშინელებად მიიჩნევდა. არ აღიარებენ, მაგრამ კაცებს ქალის მხრიდან დიდი სიყვარული აფრთხობთ. სტერეოტიპი, რომ შეყვარებული ქალი ადეკვატურად ველარ აზროვნებს და მისი საქციელიც არაპროგნოზირებადი ხდება, საკმაოდ ძლიერია. მით უმეტეს, ქართველ მამაკაცებში. ევროპაში სერიოზული გრძნობა იშვიათია და რაც იშვიათია, შესაბამისად, ძვირფასიც ხდება. ჯობია, ქალი სიყვარულზე არ გამოიწვიოთ! – ფიქრობს მამაკაცი და „თავს იცავს“ ბანალური მეთოდით – არაფერს ჰპირდება ქალს, რომელიც მის მიმართ გულგრილი არ არის. სასაცილოა, სიყვარულს არაფერში სჭირდება დივიდენდები, არც მაღალფარდოვანი სიტყვები და არც ოქროს კოშკები. შეყვარებული ადამიანი (შეგნებულად არ ვაკონკრეტებთ და არ ვამბობთ, ქალი, რადგან სერიოზული გრძნობა მამაკაცებსაც ესტუმრება ხოლმე) ამ ყველაფრის ილუზიას თვითონვე იქმნის, პარტნიორის დაუხმარებლად.

რაც შეეხება ოჯახურ სიმყუდროვესა და საიმედო თავშესაფარს – ქალებზე მეტად მამაკაცებს სჭირდებათ. დიდი ხანია, დამტკიცებულია, რომ დაქორწინებულ მამაკაცს გაცილებით ნაკლები პრობლემა აქვს როგორც ჯანმრთელობის მხრივ, ისე ფინანსურ საკითხებში. ერთადერთი, რისი პრობლემაც იჩენს ხოლმე თავს, მამაკაცების მრავალფეროვნებისკენ სწრაფვაა. თუმცა, შეყვარებული ქალი ღალატსაც კი ადვილად აპატიებს და გამამართლებელ მიზეზსაც თავად თხზავს.

მამაკაცს, ქალისგან განსხვავებით, არ შესწევს უნარი თავისი ემოციური ფონი სწორად გაანაწილოს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მარტოხელა ქალები გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ გათხოვილ ქალებთან შედარებით. ეს სტატისტიკა მამაკაცებში საპირისპიროს აჩვენებს. რა გამოდის? ქმრები ანერვიულებენ და სიცოცხლეს უმოკლებენ ცოლებს, მაშინ, როცა ცოლები – უხანგრძლივებენ, უვლიან მათ და ანებივრებენ...

***

ქეთი დასჯილი და შერცხვენილი ბავშვივით იჯდა ქმრის კაბინეტში და თავს მაღლა ვერ სწევდა. ვახომ ერთხანს ჩუმად უყურა ცოლს, მერე დაღლილი ხმით ჰკითხა.

– აჰა, აქ ხარ. რა გააკეთე ამით?

– ვერ გავიგე ამ შეკითხვის შინაარსი. უბრალოდ გამოვიარე-მეთქი, ხომ გითხარი. რა, უნდა გამეკეთებინა?

– ქეთი... მოდი, გულახდილები ვიყოთ. ვერ ვიტან იდიოტურ, არაფრის მომცემ თამაშებს. ეჭვიანობ ჩემზე?

ქეთი არ იყო მზად საკითხის ასე პირდაპირი დასმისთვის და დაიბნა.

– რა სისულელეა, რატომ უნდა ვეჭვიანობდე?

– ჰო. მეც სწორედ ეგ მაინტერესებს, რატომ უნდა ეჭვიანობდე? რამეს მამჩნევ? ჩემს საქციელში რამე არ მოგწონს? ვინმემ გამოგიტენა თავი სისულელეებით თუ რა ხდება?!

– არაფერი არ ხდება. მართლა... – ქეთის ხმა აუკანკალდა, – არ მეგონა, ასე თუ გადაირეოდი, თორემ ფეხს როგორ მოვადგამდი აქ.

– არ ვირევი, ქეთი... ნამდვილად არ ვირევი... მინდა, შენი აქ მოსვლის ჭეშმარიტი მიზეზი გავიგო. მარტო მე არ მჭირდება ეს, შენც გჭირდება. ორივეს გვჭირდება... ჩვენს ოჯახს სჭირდება...

ქეთიმ ამოიოხრა.

– მართლა მაინტერესებდა, სად მუშაობ. გეფიცები...

– ქეთი, ძალიან გთხოვ... ამდენი ხანია, ერთხელაც არ გამოგივლენია ასეთი ინტერესი. რაღა მაინცდამაინც ახლა?

– ჰო, ცოტას ვეჭვიანობ და ეს ბუნებრივია. ადამიანი როცა გიყვარს, ცოტა უნდა იეჭვიანო კიდეც, ნორმალურია.

– და არ ენდო, ხომ?! მე შენ გენდობი.

– მართლა? იმიტომ, რომ ზუსტად იცი, სად დავდივარ, რას ვაკეთებ, ვის ვხვდები, რით ვსუნთქავ...

– შენ რა, არ იცი?

– არა. კვირაში ორჯერ მაინც მოდიხარ კლინიკაში და ხედავ, რა გარემოში ვარ. მხოლოდ ქალები... ქალები... ქალები...

– ქეთუშ, ნამდვილი ბავშვი ხარ, – გაიცინა ვახომ, – აღარც კი ვიცი, რა გითხრა.

ქალს თვალები გაუბრწყინდა.

– ესე იგი, აღარ მიბრაზდები?

– არა. წამოდი, ჩემებს გაგაცნობ.

ქეთიმ შეჰკივლა. ქმარს ჩაეხუტა და ლოყაზე აკოცა.

„კეთილი“ რჩევა: მამაკაცების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ქალებს საერთოდ არ შეუძლიათ ლოგიკური აზროვნება. თურმე, ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს აძლევთ ქალების საყვარელი, უწყინარი ფრაზები: „მე ზუსტად ვიცი, რომ ეს ასეა. იმიტომ, რომ ვგრძნობ“; „მე ვგრძნობ, რომ ასე უკეთესი იქნება!“



მოდი, ვიყოთ გულახდილები. გულახდილობა საჭიროც არის და სასარგებლოც. ეკონომიკის კანონებით, მამაკაცური ლოგიკა გაცილებით ძლიერია. მაგრამ ქალები რატომ აღწევენ უკეთ მიზანს? თანაც, გაცილებით ეფექტურად. ნუთუ მარტო იმაშია ქალური სისუსტე, რომ ქალმა კაცურად ლაპარაკი არ იცის? მაგალითად, თუ ვიტყვით: „მსჯელობიდან და ლოგიკიდან გამომდინარე, ასევე სიტუაციის ობიექტური გათვალისწინებით, ასე გაცილებით უკეთესი იქნება“, – მაშინ მამაკაცი როგორც თანასწორს, ისე შემოგვხედავს... მაგრამ, გვჭირდება კი მათი აღიარება?! თუმცა კიდევ არსებობს ჭეშმარიტება, რომელიც კავშირში არ არის სტერეოტიპთან. მამაკაცის გულის მოსაგებად, არ უნდა ილაპარაკო მასთან შენს გრძნობებსა და მომავალზე. ისინი ამას ვერ იტანენ (ვერც იგებენ ადეკვატურად), მით უმეტეს, თუ რამე დაასწარი და მასზე ადრე თქვი იმ კონკრეტულ საკითხზე, ძალიანაც რომ მოსწონდეს, ვერაფრით დაითანხმებთ... არავითარი ზედმეტი შეკითხვა და საერთოდ, ქალისთვის მთავარი დიპლომატიის ნიჭია, რომ მამაკაცი საკუთარ ძლევამოსილებაში და ერთპიროვნულ ლიდერობაში დაარწმუნოს. ეს არის ის, რაც მამაკაცებს ყველაზე მეტად აღაფრთოვანებს...

მამაკაცებს ავიწყდებათ ერთი მარტივი ნიუანსი... ადამიანები ცხოვრებაში მარტო ლოგიკით რომ ვორიენტირებდეთ, ვერასოდეს გადავიდოდით ქუჩაზე. საქმეში ყოველთვის ერთვება ინტუიცია. სამწუხაროდ, ყოველთვის არა... სწორედ ქალებს ყველაზე საჭირო მომენტში გვღალატობს ხოლმე ეს, კაცებთან კი, საერთოდაც – ძნელად პოულობს საერთო ენას.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# მიაღწევთ მიზანს?!

**1. პაემანზე ძალიან დააგვიანეთ. თქვენი პარტნიორი გაბრაზდა და წავიდა. რას მოიმოქმედებთ?**

ა) მოვძებნი, სად არის, მივალ მასთან და მაშინვე შევურიგდები;

ბ) მოვუბოდიშებ მესიჯით;

გ) ძალიან გავბრაზდები – რატომ არ დამელოდა?!

**2. გასაუბრებაზე ხართ კომპანიაში, რომელშიც ძალიან გინდათ მუშაობას დაწყება. შეფი თითქმის არ გაქცევთ ყურადღებას...**

ა) თავდაყირა დავდგები და მივიპყრობ მის ყურადღებას;

ბ) ყურადღებას არც მე მივაქცევ, თავი უნდა დავიფასო;

გ) ავდგები და წამოვალ, დრო რაღატომ დავკარგო?

**3. იყიდეთ სავარძელი, რომელიც, თურმე, არ შეეფერება თქვენი სახლის დანარჩენ ავეჯს:**

ა) მთლიანად შევცვლი ინტერიერს: რამდენიმე ახალ ნივთს შევიძენ, ფარდას გამოვცვლი;

ბ) აქსესუარებით გამოვასწორებ სიტუაციას;

გ) სავარძელს უკან, მაღაზიაში დავაბრუნებ.

**4. ხშირად მიმართავთ ახლობლებს რჩევისთვის?**

ა) ძალიან იშვიათად. მე ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე;

ბ) ზოგჯერ მივმართავ. თუ სიტუაცია ძალიან ჩახლართულია;

გ) საკმაოდ ხშირად. ეს აუცილებლად მიმაჩნია.

**5. გაჰყვებით მეგობრებს „ველურ ლაშქრობაში“, მაშინ, როცა კომფორტული დასვენება ყველაფერს გირჩევნიათ?**

ა) არავითარ შემთხვევაში;

ბ) არ ვიცი. დაფიქრება დამჭირდება;

გ) აუცილებლად. ერთად მხიარულად გავატარებთ დროს.

**6. ფიქრობთ, რომ იღბლიანი ხართ?**

ა) ალბათ, ვარ. ჩემს შანსს ვიყენებ ხოლმე;



ბ) ძნელი სათქმელია. შავი და თეთრი ზონები საკმარისად მქონია;

გ) არა. მე ხშირად არ მიმართლებს.

**7. დილიდანვე ხვდებით, რომ რაღაც ისე ვერ აეწყო, გუნებაც გაგიფუჭდათ. რას მოიმოქმედებთ?**

ა) შხაპს მივიღებ და ფორმაში მაინც ჩავდგები;

ბ) ვეცდები, სახლიდან არ გავიდე;

გ) ვერაფერს ვიზამ. ასე ვიქნები გუნებამოშხამული.

**8. ყოველთვის ასრულებთ პირობას? სიტყვის ადამიანი ხართ?**

ა) დიახ. შემიძლია, ვიამაყო;

ბ) მგონი, კი. მტკიცებას მაინც არ დავიწყებ;

გ) უფრო არა.

**9. უკმაყოფილო ხართ თქვენი ხელქვეითის მუშაობით; უკმაყოფილო ხართ იმით, რომ ვიღაც-ვიღაცეები დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებენ...**

ა) ვისთანაც საჭიროა, იმასთან ვიტყვი, რომ ზომები მიიღოს;

ბ) საშინელ დღეს დავაყრი;

გ) ზუსტად ვიცი, ჭკუა როგორ ვასწავლო.

**ნახეთ შედეგები:**

***პასუხების უმრავლესობაა „ა“:*** *ზუსტად იცით, რა გინდათ და როგორ მიხვიდეთ მიზნამდე. რკინისებური ნებისყოფა გაქვთ, მაგრამ არ იცით, როგორ მიიღოთ სიამოვნება გამარჯვებისგან. იქნებ მეტისმეტი სიჯიუტე გიშლით ხელს?*

***პასუხების უმრავლესობაა „ბ“:*** *გადაწყვეტილების მიღებას არასოდეს ჩქარობთ. ძალიან ბევრს ფიქრობთ. ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელა, მაგრამ ჯიუტად მიიწევთ მიზნისკენ. სწორი პოზიციაა.*

***პასუხების უმრავლესობაა „გ“:*** *უფრო აკვირდებით სიტუაციას, ვიდრე მოქმედებთ. მიზანს როგორ უნდა მიაღწიოთ? სასწრაფოდ დაიწყეთ მოქმედება, თორემ ინანებთ.*

## სამეფო კარის საიდუმლოება

საინტერესო, სათავგადასავლო ამბავი თუ სამეფო კარის დიდი საიდუმლო, რომელსაც ჩვენს დროშიც კი ვერ აეხადა ფარდა?! ადამიანი რკინის ნიღაბში – პატიმარი, რომელიც მუდმივად გადაჰყავდათ ციხესიმაგრიდან ციხესიმაგრეში, თანაც მუდმივად ერთი და იმავე ბადრაგის თანხლებით, უამრავი რომანისტის, რეჟისორის, ისტორიკოსისა თუ ჟურნალისტის შთაგონების წყარო გახდა... დიუმასთვის და კიდევ ბევრისთვის ინკოგნიტო პატიმარი მეფე ლუდოვიკოს ტყუპისცალი ძმა იყო. თუმცა... 1751 წელს ვოლტერმა გამოსცა წიგნი „ლუდოვიკო მეთოთხმეტის საუკუნე“. ვოლტერი მაშინ ემიგრაციაში იმყოფებოდა. ამ წიგნში ვოლტერმა „რკინის ნიღაბის“ სენსაციური სიმართლე მოყვა სწორედ ანა ავსტრიელის შვილზე, რომელიც მას ერთ-ერთი საყვარლისგან შეეძინა და ის ლუდოვიკოს უფროსი ძმა იყო.



1665 წლიდან საიდუმლო პატიმარი პინეროლის ციხესიმაგრეში გამოკეტეს ესტაშ დოჟეს სახელით. ის პირადად ციხის კომენდანტის მუშკეტერის, დე სენ მარის მეთვალყურეობის ქვეშ იყო. სენ მარი ლუდოვიკოს დარტანიანმა ურჩია. ამ ციხეში საკმაოდ საპატიო პატიმრები ჰყავდათ: იაკობინელი ბერი და რივიერი, რომელიც ჯაშუშ დიუბრუის ხელშეწყობისთვის დააკავეს. ასევე, გრაფი მატიოლი, ყოფილი მინისტრი ფუკე და გრაფი ლოზენი.

„რკინისნიღბიან“ პატიმრად ზოგჯერ მოიაზრებოდნენ მინისტრ ფუგუსაც, რომელიც საკმაოდ უცნაური სიკვდილით აღესრულა 1680 წელს და ლუდოვიკო მეთოთხმეტის მეუღლის, მარია ტერეზას მსახურ ზანგს (საყვარელს).

უფრო ორიგინალური და საინტერესო, ასევე, სკანდალურია ახალი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „რკინის ნიღბის“ ქვეშ შესაძლოა, ყოფილიყო რუსეთის მეფე – პეტრე პირველი. ზოგიერთი ისტორიკოსი ვარაუდობს, რომ მეფის ევროპაში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, იქიდან რუსეთის მეფის ორეული – თვითმარქვია დაბრუნდა.

1703 წლის 20 ნოემბერს პარიზში, წმიდა პავლეს ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს პატიმარი ბასტილიიდან, ეს იყო „რკინის ნიღაბი“. პატიმრის იდენტიფიკაცია რომ არ მომხდარიყო, მას თავი მოკვეთეს, სახე კი დაუმახინჯეს.

ვერსიას პეტრე პირველის ევროპაში შეცვლის შესახებ, რუსი ისტორიკოსი – დიმიტრი მერეჟკოვსკიც ახსენებს თავის სახელგანთქმულ წიგნში „ანტიქრისტე“. ევროპიდან დაბრუნებული პეტრე მთლიანად შეცვლილი იყო, როგორც ფიზიკურად, ისე ხასიათით და მენტალობით. ძნელად ლაპარაკობდა რუსულად და თითქმის ველარ სცნობდა ახლობლებსო. ნამდვილი პეტრეს და – სოფია მიხვდა, რომ ძმა შეუცვალეს. მან ააბუნტა მსროლელთა გვარდია, მაგრამ ეს ბუნტი მალე ჩაახშეს. სოფია ჩამოახრჩეს. პეტრე პირველის კანონიერი მეუღლე კი მონასტერში გამოკეტეს.

ამ ახალი ვერსიის თანახმად, ნამდვილი პეტრე იეზუიტების ტყვე იყო. სწორედ მათ დაუფარეს სახე რკინის ნიღბით, მერე კი ბასტილიაში გადაიყვანეს. ეს ამბავი იცოდა შვედეთის მეფე კარლოს მეთორმეტემაც, რომელმაც თვითმარქვიას წინააღმდეგ ომი დაიწყო და დამარცხდა. ფაქტია, რომ პეტრე პირველი რუსეთში ფრანგულ პოლიტიკას ატარებდა. მან სამეფო კარი იეზუიტებით გაავსო. სტილი მთლიანად ფრანგული გახდა და მთელი რუსეთის დიდგვაროვნები ყავის სმას დაეჩვივნენ...

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# უიღბლობის პოზიტივი

## ოლივია დარნელი

ჯეიმს დევიდსონი, საკმაოდ კარგი ბიოგრაფიის მქონე ადვოკატი, თავის კლიენტს, არლინ რაიანს თითქმის ბავშვობიდან იცნობდა. ჯეიმსი მისი მშობლების ოჯახის ადვოკატი იყო. თუ არლინი შეხვედრაზე აგვიანებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ აუცილებლად რაღაც გაუთვალისწინებელი შეემთხვა. არლინი ხომ მაგნიტივით იზიდავდა უბედურებას. ტექნიკა მის შეხებაზე ფუჭდებოდა; თეატრში, სპექტაკლის მსვლელობისას, დეკორაციები პირდაპირ თავზე ენგრეოდა და რეჟისორებმა მასთან მუშაობაზე უარი თქვეს. იმიტომ არა, რომ არლინი ცუდი მსახიობი იყო. არა! – შესანიშნავად თამაშობდა სრულიად განსხვავებულ როლებს, მაგრამ სპექტაკლები მაინც იშლებოდა უბედური და გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო. არლინი ქმარმა, სახელგანთქმულმა რეჟისორმა ჯორჯ ჰოვარდმაც მიატოვა – იმ მიზეზით, თითქოს აღარ შეეძლო მუდმივ დაძაბულობაში ცხოვრება. რეალურად კი, ვიღაც დამწყები, ქერა მსახიობი ქალის გამო დაანგრია ოჯახი. ჯეიმს დევიდსონი ამჯერად არლინის ქმართან განქორწინებას და ქონების გაყოფის ბოლო დეტალებს აგვარებდა. არლინს შეეძლო, ყოფილი ქმრისგან საკმაოდ დიდი დივიდენდები მიეღო, მაგრამ ყველაფერზე უარი თქვა და მხოლოდ „ცისფერი კოტეჯი“ დაიტოვა ბაღთან ერთად. წარმატებულ და მაღალშემოსავლიან რეჟისორს ოცი ასეთი კოტეჯის ყიდვა მაინც შეეძლო, მაგრამ ბოლო წუთს ცოლყოფილისთვის ესეც დაენანა და ადვოკატის გასაოცრად, არლინმა წინააღმდეგობა არ გაუწია.

ორმოცწუთიანი ლოდინი დასრულდა და არლინი დარცხვენილი და დამნაშავის ღიმილით, ადვოკატის კაბინეტში შევიდა.

– ამჯერად რა მოხდა? – ჰკითხა ჯეიმსმა მოუთმენლად.

– ერთი დამწყები მსახიობი არხში ჩავაგდე და კარგად დავასველე.

– არლინ! ეს რა გიქნია. მას შეუძლია, გიჩივლოს.

– არ მიჩივლებს, – გაიცინა არლინმა, – მე ხომ უიღბლო ვარ. არასოდეს არაფერში მიმართლებს. არხშიც კი არ ჩავაგდე, წავბორძიკდი და დავეჯახე. ხომ უნდათ „ცისფერ კოტეჯში“ ცხოვრება, კეთილი ინებონ და არხის წყლის ტემპერატურასაც შეეჩვიონ. ნაგავი, მას ჩემი ჩინური ვარდების განადგურება და მათ ადგილას აუზის გაკეთება აქვს განზრახული. წარმოგიდგენია?! ისევ არ გამიმართლა, მე ხომ ისე შევეჩვიე ჩემს ახალ პროფესიას.

საქმე ის იყო, რომ არლინს, რადგან მას რეჟისორები აღარ იწვევდნენ, უამრავი თავისუფალი დრო გაუჩნდა და იშვიათი ყვავილების გაშენებას მიჰყო ხელი. მოხდა საოცრება, არლინის უიღბლობა ყვავილებზე არ აისახა. პირიქით, მათ შეიყვარეს არლინი და ისე გაიფურჩქნენ, მალე ქალმა ელიტური საყვავილე გახსნა. თაიგულების შეკვრის ისეთი ნიჭი გამოავლინა, რომ არლინს სხვა ქალაქებიდანაც კი უკვეთავდნენ სადღესასწაულო ყვავილებსა და თაიგულებს. ახლა მის ბიზნესს განადგურება ემუქრებოდა.

– არლინ, რატომ დაუთმე „ცისფერი კოტეჯი“? ისინი ვერაფერს მიიღებდნენ. ყველაფერი კანონის სრული დაცვით მოხდა.

ქალმა ერთბაშად მოიწყინა.

– კანონი ჩემს მხარესაა, მაგრამ მე მეშინია, რომ ჯორჯი ჩემ ფიზიკურ განადგურებას შეეცდება.

– შეუძლებელია! – აღმაოხდა ადვოკატს.

– შესაძლებელია. მთელმა კალიფორნიამ იცის ჩემი უიღბლობის ამბავი. ამიტომ, არავის გაუკვირდება, თუ ერთხელაც აგური დამეცემა თავში.

– აჭარბებ, არლინ. შენი ქმარი მკვლელობაზე არ წავა, – თავი გააქნია ჯეიმსმა, – ვერ დავიჯერებ ამას.

– შენ კიდევ არ იცნობ მას. მოკლედ, თუ სიცოცხლე მინდა, კოტეჯი უნდა დავთმო და ასეც მოვიქცევი. ძალიან გთხოვ, არაფერი მოიმოქმედო...

ორი დღის შემდეგ ადვოკატმა, შეშფოთებულმა იმით, რომ არლისგან აღარაფერი ისმოდა, ქალს დაურეკა.

– რა ხდება შენკენ? რატომ არ გამოჩნდი?

– ჩემი ბიზნესის საქმეებს ვაგვარებდი. კოტეჯი ორ კვირაში უნდა დავცალო... გუშინ იყო ჩემთან ბედნიერი წყვილი. ჩემმა ყოფილმა ქმარმა დაზავების ნიშნად, პრემიერაზე დამპატიჟა. თეატრში „რომეო და ჯულიეტა“ დაუდგამს. ახალგაზრდობას იხსენებს და რომეოს თავად თამაშობს.

– წახვალ პრემიერაზე?

– სხვა რა გზა მაქვს?! თანაც, სიმართლე რომ გითხრა, თეატრის სამყარო ძალიან მომენატრა. კულისებში შევძვრები და სცენის სურნელს ჩავისუნთქავ. რა ვქნა, სულით მაინც მსახიობი ვარ.

– არლინ, ნებას მომცემ, პრემიერაზე შენთან ერთად წამოვიდე?

– თუ ორმოცდაცამეტი წლის რომეოსა და პროვინციელი, იაფფასიანი ჯულიეტას ნახვა ძალიან არ შეგაწუხებს, სიამოვნებით, – გადაიკისკისა არლინმა, – საწყალი ჯორჯ ჰოვარდი. სულ გამოაშტერა იმ ქალმა...

პრემიერის დღეს დევიდსონს ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო. მან მანქანის მინიაფთიაქი შეამოწმა, ჰქონდა თუ არა ყველაფერი, გადაუდებელი დახმარებისთვის. ჯიბეში ბრენდის პატარა ბოთლი ჩაიდო და თეატრში მივიდა. არლინი სწრაფად იპოვა. ქალის ჟღალი, აგიზგიზებული თმის ბუჩქი შორიდანვე ჩანდა.

– ო, დევიდსონ. მე კულისებში გავალ და სპექტაკლის დაწყებისთვის დაგიბრუნდები. შეგიძლია, ფოიეში შამპანური მიირთვა. ჯორჯი ხომ არ გინახავს?

– ჰო, შემხვდა, – უხალისოდ ჩაილაპარაკა ადვოკატმა... – ჩვენს ადგილას დაგელოდები.

– ნაცნობებს ვნახავ და შემოგიერთდები.

... მაგრამ არლინი არ გამოჩნდა არც სპექტაკლის დაწყებისას და არც მერე. დევიდსონმა ქალი ვერც ანტრაქტზე იპოვა. სპექტაკლი კი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. დეტექტივი ძალიან გაიტაცა უკანასკნელმა სცენამ, სადაც რომეო ძალიან დამაჯერებლად მოიწამლა, ხოლო ჯულიეტას განწირული ღმუილი აღმოხდა, ხანჯლის მკერდში ჩარტყმისას. დარბაზი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს, მაგრამ მსახიობები ადგომას არ აპირებდნენ... მერე ვიღაც ქალმა იკივლა კულისებიდან.

... პოლიციის ინსპექტორმა ადვოკატი გვერდზე გაიხმო.

– თქვენი კლიენტი უნდა მოვძებნოთ. ეს მკვლელობაა.



საწამლავიც ნამდვილი იყო და, სამწუხაროდ, არლინს შეეძლო რეკვიზიტები შეეცვალა. მას ამის მოტივიც ჰქონდა და საშუალებაც. სად არის?

– არ ვიცი. კულისებში რომ გავიდა სპექტაკლის დაწყებამდე, მას მერე თვალით არ მინახავს...

– უნდა ვიპოვოთ, – თავი გადააქნია ინსპექტორმა.

დიდი ხნის ძებნის შემდეგ, არლინს ერთ-ერთ მსახიობის, ჯეინ ოლივერის საგრიმიოროში მიაგნეს. შიგნიდან ჩაკეტილები იყვნენ. ჯეინი სპექტაკლში დაკავებული არ იყო და არლინი თავისთან დაპატიჟა საჭორაოდ. არლინის უიღბლობამ ამჯერადაც იჩინა თავი და კარის საკეტი მთლიანად ჩაიშალა. არც ერთს და არც მეორეს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა მოხდა თეატრში. არლინს ხელები დაწითლებული ჰქონდა კარზე ბრახუნით.

– მის ჯეინ, თქვენ ადასტურებთ, რომ მის არლინი კულისებში შემოსვლისთანავე გამოგყვათ და სულ თქვენ გვერდით იყო? – ჰკითხა ინსპექტორმა მსახიობ ქალს.

– დიახ, რა თქმა უნდა...

... მოგვიანებით გაირკვა, რომ ჯორჯ ჰოვარდმა და მისმა ახალმა ცოლმა ერთმანეთი თავიდან მოიშორეს. რეკვიზიტები მათ თავად შეცვალეს. ერთმანეთისგან მალულად მკვლელობის გადაბრალება არლინისთვის უნდოდათ. მოტივიც ამიტომ შეთითხნეს – „ცისფერი კოტეჯი“, თორემ რისთვის სჭირდებოდათ ორი, ნახევარმილიონიანი ვილის პატრონს დაფხავებული კოტეჯი? ჰოვარდის საგრიმიოროში არლინის ბაღში სამუშაო ხელთათმანიც იპოვეს, რომელიც რეჟისორმა „ცისფერ კოტეჯში“ ბოლო ვიზიტისას მოიპარა. ვითომ არლინს ხელთათმანი საგრიმიოროში მაშინ დარჩა, როცა იქ ხანჯლის შესაცვლელად შევიდა. ჰოვარდს ყელში ჰყავდა ამოსული ახალი ცოლი, ღალატობდა მას, მაგრამ ვერ ეყრებოდა საქორწინო კონტრაქტის გამო. უპრეტენზიო არლინისგან განსხვავებით, პროვინციელ „მადონას“ საკმაოდ კარგი მადა აღმოაჩნდა... მეუღლეები ყოველდღიურ სკანდალებს უკვე საჯაროდაც აწყობდნენ. ჰოვარდის სიკვდილის შემდეგ, მისი ქვრივი მთელი ქონების ერთადერთი მემკვიდრე ხდებოდა. შექმნილმა გარემოებამ კი ჰოვარდის ყოფილი ცოლი, არლინი აქცია ერთადერთ მემკვიდრედ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა არლინის უიღბლობამ გაამართლა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**ანრი ჯოხაძე ყოველთვის გამოირჩევა აქტიურობით, ენერგიულობით და ხშირად გვაოცებს საინტერესო და სკანდალური მუსიკალური კლიპებით. მისი თითოეული გამოჩენა აუცილებლად ექცევა ყურადღების ცენტრში. ამჟამად ის მუშაობს ახალ პროექტზე, რომელიც, როგორც თავად ამბობს, იქნება უპრეცედენტო შემთხვევა ქართულ მუსიკალურ სივრცეში.**

# რით გააოცებს ანრი ჯოხაძე მაყურებელს და რატომ არ არის ის სანდო და მართვადი



**არასდროს ვთამაშობ, ბუნებრივად ვარ ასეთი და, ამას ხალხი სკანდალს დაარქმევს თუ სხვა რამეს, ეს მათზეა დამოკიდებული. ეს, გარკვეულწილად, ერთგვარი ფიარ-კამპანიის ნაწილია და საზოგადოება თვითონ ქმნის სპილოს ბუზისგან**

**– მაყურებელი შენგან შეჩვეულია აქტიურობას, ახალ-ახალ სკანდალებს, ამ ბოლო დროს კი ნაკლებად ჩანხარ. რაშია საქმე?**

– მე არ ვფიქრობ, რომ არ ვჩანვარ. ვერიკო ტურაშვილს გავუკეთე კლიპი ცოტა ხნის წინ. შეიძლება, ეს აზრი იქიდან გამომდინარე გაჩნდა, რომ პირადი შემოქმედებით არ გამოვჩენილვარ და ვილაცამ, შეიძლება, ეს პასიურობად აღიქვას. ყოველთვის ერთ რელსზე ვერ იქნება ადამიანი, თუმცა, ჩემს თავს პასიურს ვერ დავარქმევ. ამჟამად ვმუშაობ ახალ კლიპზე, რომელიც ძალიან ხმაურიანი პროექტი იქნება, ჩემთვის ძალიან პრესტიჟული და საამაყო. ეს არის ჩემი და გურამ საღარაძის საერთო პროექტი. ჩვენ მის სიცოცხლეში მოვილაპარაკეთ, რომ უნდა ჩაგვეწერა დუეტი, დანიშნულიც კი გვქონდა ჩაწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი გურამი გარდაიცვალა. ამის შემდეგ მე მოვძებნე მისი ჩანაწერი – რადიოარქივში არსებობს ერთადერთი ვერსია. აუდიოინჟინერის წყალობით, გამოვიყვანე ძალიან კარგი პროდუქტი. კლიპის გადაღება ძალიან მალე დასრულდება. ამ კლიპით, ჩემი მხრიდან, მის ხსოვნას მივაგებ პატივს. ვიზუალურად იქნება ძალიან არაორდინარული, ეს იქნება ყველაზე მასშტაბური კლიპი, რაც კი გამიკეთებია. უპრეცედენტო ტექნიკური მხარდაჭერა მექნება, აქამდე ასეთი ფუფუნება არ მქონია. გურამ საღარაძის ხმა ცოტა რეპის სტილში ისმის, თვლაში ისე ლამაზად არის გაკეთებული, თანამედროვეობაც კი იგრძნობა – ამით არის ეს პროექტი საინტერესო და უპრეცედენტო.

**– მასშტაბურ სოლო კონცერტს ხომ არ გეგმავ ახლო მომავალში?**

– არის რაღაც-რაღაც კონცერტები. უფრო, კორპორაციულ საღამოებზე ვმღერი – ეს არის ჩემი ძირითადი შემოსავლის წყარო. მასშტაბურ სოლო კონცერტს რაც შეეხება, ჯერჯერობით მსგავსი არაფერი იგეგმება.

**– ხომ არ აპირებ კიდევ რომელიმე კონკურსში მონაწილეობის მიღებას?**

– ჯერჯერობით არც ერთ კონკურსში არ ვგეგმავ მონაწილეობის მიღებას. თუ შემომთავაზებენ საინტერესო წინადადებას, ალბათ, დავთანხმდები. საერთოდ, მე ძალიან მომიხდებოდა სადმე ჟიურიში ჯდომა. ჩვენი ტელეპროდიუსერები თუ დაფიქრდებიან ამაზე, კარგი იქნებოდა. ჩემი აზრით, მომიხდებოდა ჟიურის წევრობა, უფრო რეიტინგული გახდებოდა გადაცემა.

**– შენი აზრით, რატომ არ გიწვევენ?**

– ალბათ, იმიტომ, რომ არ ვარ სანდო და მართვადი; არ ვარ ლოიალური იმ საქმის მიმართ, რომელსაც ვემსახურები. თუკი ვილაც შეცდომას დაუშვებს, მე მკვეთრად გამოვხატავ ჩემს პოზიციას და, შეიძლება, ძალიან მკაცრიც ვიყო. ჩვენთან მოდური გახდა, როდესაც ძალიან ცუდად იმღერებს კონკურსანტი, იმას დაუყვავონ. მე ასე არ შემიძლია. მე ძალიან მიყვარს ვოკალურად დატვირთული შესრულება, მაგრამ, ეს არ უნდა იყოს ჩხავილი.

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– უნდა გაგაწბილო – არაფერი არ ხდება ***(იცინის).*** საერთოდ არაფერი არ ხდება, მოწყენილობაა ***(იცინის).*** ვხუმრობ, რა თქმა უნდა, მაგრამ, მნიშვნელოვანი და საინტერესო პირადი სიახლე მართლა არ მაქვს, თუმცა, სხვისთვის, შეიძლება საინტერესოც იყოს. არასდროს არაფერს ვგეგმავ, ყველაფერი სპონტანურად ხდება. კლიპის გადაღებასაც კი წინა დღეს ვწყვეტ ხოლმე, უცბად ვრეკავ სტაფთან, მოდიან და ვიღებთ კლიპს. წინასწარ და თვეობით დაგეგმილი არაფერი მაქვს, უბრალოდ, ძალიან ბევრს ვფიქრობ ხოლმე. რაც შეეხება ძალიან სერიოზულ ნაბიჯს, ამ დროს მჭირდება ზუსტად სამი წამი, რომ მივიღო ჯანსაღი და ადეკვატური გადაწყვეტილება. ყველაზე რთულ სიტუაციაში შემიძლია ყველაზე მარტივად გამოძრომა, ანუ, თავის დაღწევა პრობლემისგან. მოგვარების ძალიან კარგი მეთოდები მაქვს: ნებისმიერ პრობლემას ვუყურებ ცივი გონებით და მომენტალურად ვიღებ გადაწყვეტილებას. საერთოდ, ნაკლებად ფეთქებადი ვარ. ადამიანმა ძალიან უნდა გამომიყვანოს წყობიდან, რომ ავფეთქდე. თუ ავფეთქდი, აუცილებლად უნდა დაიჯეროთ, რომ მან ეს დაიმსახურა. ზოგადად, ჩხუბს ძალიან ვერიდები, მაგრამ, მსგავსი შემთხვევები ნამდვილად ყოფილა.

**– ანუ არაკონფლიქტური ხარ?**

– კი, ნამდვილად არაკონფლიქტური ვარ. შეიძლება, ჩემგან ჩანს შეფარული აგრესია, ცოტა სარკაზმი, რაც ვილაცისთვის აგრესიაა. შეიძლება, იფიქრონ, რომ ვარ ირონიული, მიყვარს „კბენა“ და, აქედან გამომდინარე, კონფლიქტურობაც კი დამაბრალონ. სინამდვილეში კი ასე არ არის. ასეთ დროს კონკრეტულ შემთხვევაზე უნდა მომიყვანონ მაგალითი და მე დავაკონკრეტებ, რატომ მოვიქეცი იმ შემთხვევაში ცინიკურად თუ ირონიულად. თუ დააკვირდებით, საქართველოში ცუდ რაღაცაზე უფრო აკეთებენ აქცენტს, ვიდრე კარგზე. ერთი შეცდომა რომ დაუშვა, იმაზე უფრო ამახვილებენ ყურადღებას. მაგალითად, თუ ეთერში ერთ უწმაწურ სიტყვას ვიტყვი, მაშინვე ვრცელდება და ყურადღება ექცევა.

**– თუმცა, უნდა აღიარო, რომ შენი გამოჩენა, კომენტარები თუ ფრაზები, ხშირად სკანდალურია და ამის გამო ხარ მუდამ ყურადღების ცენტრში.**

– კი ბატონო, ვაღიარებ, მაგრამ, ამას არ ვაკეთებ სპეციალურად. ისეთი ვარ, როგორიც ვარ, არასდროს ვთამაშობ, ბუნებრივად ვარ ასეთი და, ამას ხალხი სკანდალს დაარქმევს თუ სხვა რამეს, ეს მათზეა დამოკიდებული. ეს გარკვეულწილად ერთგვარი ფიარ-კამპანიის ნაწილია და საზოგადოება თვითონ ქმნის სპილოს ბუზისგან. სიმართლე რომ გითხრა, მსგავსი რაღაცეები საერთოდ არ მაღელვებს. როდესაც ყმაწვილი ვიყავი, დაახლოებით ათი წლის წინ, ეს საშინლად მოქმედებდა ჩემზე, მაგრამ, დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ არ უნდა ავყვე ჭორებს და ყველაფერი უნდა „გავატარო“ – ეს რეფლექსი თავისით გამომიმუშავდა. ყველა უნდა გაუფრთხილდეს საკუთარ ნერვებს. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვიყურები, არაფერი არ მაღელვებს. ჩემ ირგვლივ ძალიან ბევრი ადამიანია, რომლებიც ამ ყველაფერს ძალიან განიცდიან. ყველას ვურჩევ, რომ ყურადღება არ მიაქციონ. ნორმალურ ადამიანს არასდროს მოუნდება, რომ გაგლანძღოს.

**მნიშვნელოვანი და საინტერესო პირადი სიახლე მართლა არ მაქვს, თუმცა, სხვისთვის, შეიძლება, საინტერესოც იყოს**

**– და, ბოლოს, შენი სამომავლო გეგმების შესახებაც მოგვიყევი.**

– როგორც უკვე გითხარი, ძალიან მალე გამოვა კლიპი, რომელიც იქნება უპრეცედენტო შემთხვევა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ნამუშევრით, დანარჩენს კი კლიპის გამოსვლის შემდეგ მაყურებელი შეაფასებს. იმედია, მოეწონება ჩემს მსმენელს. ამას გარდა, რაღაც-რაღაცეებზე ვმუშაობ და, ვნახოთ, რა იქნება მომავალში. უმოქმედოდ გაჩერებას ნამდვილად არ ვაპირებ. ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია პასიურ მდგომარეობაში. ისე, დაგეთანხმები და, რაღაც სიახლე მესაჭიროება, აუცილებლად დავფიქრდები ამაზე.

**ხატია კარანაძე**

(მე-18 გვერდიდან)

აღარ ხდება, მაგრამ ეს ნაციონალისტური ტალღა არ ჩამცხრალა.

**– რაც შეეხება გართობას, მოსკოვი ეს არის ქალაქი, რომელიც ოცდაოთხი საათის განმავლობაში, კვირაში შვიდი დღე ერთობა.**

– ეგრეა. ამ მიმართულებით კი თბილისი ცოტა მოისუსტებს. რუსები საერთოდ გიჟდებიან დასვენებაზე, გართობაზე და ამას ყველა აღნიშნავს. სულ მესმოდა, ლონდონში საოცარი კლუბებია, მსოფლიოში ყველაზე მაგარიო... მოვხვდი ლონდონში და რა?! კი არის კლუბები, ნორმალური, მაგრამ მოსკოვს ვერ შევადარებ. ინსტიტუტის პერიოდში ნონ-სტოპ რეჟიმში დავდიოდით კლუბებში და ერთადერთი „დასვენების“ დღე, ორშაბათი გვქონდა. დღეს ასეთი ინტენსიური გართობისთვის დროს ვერ ვპოულობ, მაგრამ ხალხი ასე ცხოვრობს. რამდენიმე ადამიანთან, რომელიც კლუბში გავიცანი, უკვე 10-12 წელია, ვმეგობრობ. კლუბები ეს მთელი სუბკულტურაა, წრე სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. კლუბები კატეგორიების მიხედვით იყოფა, იქნება ეს მუსიკალური თუ კლასობრივი დაყოფა. მაგალითად, არის მეგა, ძვირად ღირებული კლუბები, სადაც ნამყოფი ვარ, მაგრამ მივხვდი, რომ იქ არაფერი მესაქმება. მეგობრები ვხუმრობთ ხოლმე, რომ იქ ქალიშვილები მამიკოებთან ერთად დადიანო. ალბათ, ხვდებით, რა მამიკოებზეცაა ლაპარაკი ***(იცინის).*** ნებისმიერი ტიპის კლუბს იპოვი, გინდა კატები? იქნებიან კატები... მოსკოვს არასდროს სძინავს და ასეთი არცთუ ისე ბევრი ქალაქია. ნიუ-იორკზეც იგივეს ამბობენ, მაგრამ არ არის ეს სიმართლე. ჩემი გოგო ცოტა ხნის წინ ჩასული იყო იქ და აღმოაჩინა, რომ რვა-ცხრა საათზე თითქმის ყველაფერი იკეტება. სახალისო იყო მისი ეს ვოიაჟი, „ადიდასის“ ახალი კოლექციის ჩვენებაზე მიიწვიეს. ტაქსის მძღოლი ეუბნება, ფრთხილად იყავი, ეს ისეთი სწრაფი, გიჟური, კრიმინალური ქალაქიაო... არადა, მეგონა, ზღაპარში ვიყავი, ყველა ისეთი თავაზიანი, კეთილი და წყნარიაო. მოსკოვს ალბათ ბანგკოკის ტემპი უფრო აქვს. მოსკოვში ყველაფერი ოცდაოთხი საათი მუშაობს. სამსახურის მერე მომინდება ჭამა, ღამის 2-3 საათზე მივდივარ და ვჭამ. მერე ოთხ საათზე შემიძლია, კინოში წავიდე. დილის ექვს საათზე კინოდან გამოვალ, წავალ, სადღაც ვისაუზმებ, დავიძინებ და დღისით ისევ სამსახურში წავალ.

# რისი გაცოცხლება უნდა ბნელ და უკედლო სივრცეში მაქსიმე ჩარკვიანს

**– კინო არა, მაგრამ ჭამით აქაც ნებისმიერ დროს შეჭამ.**

– ეგ მეც შევამჩნიე.

**– შენი მეგობარი ახსენე, უკვე ბევრი წელია, ერთად ხართ?**

– უკვე ექვსი წელია. ერთმანეთი ინტერნეტით გავიცანით, საკმაოდ უცნაურად. ჯერ გავიცანი ერთი გოგო, მოსკოველი ქართველი, დიდხანს ვკონტაქტობდით, რის შემდეგაც გავარკვიეთ, რომ მეზობლები ვყოფილვართ. შემდეგ ასევე ინტერნეტით გავიცანი მისი მეგობარი, რომელიც ასევე ჩემი მეზობელი აღმოჩნდა და ერთხელაც არ შევხვედრივარ. მერე დიდხანს ვმეგობრობდით და შემდეგ უკვე ჩვენი ურთიერთობა სერიოზულ ამბებში გადაიზარდა. მას აქვს ბლოგი, „life style blog“, სადაც თავის ცხოვრებაზე, მოდაზე, სტილზე წერს.



რატომღაც მამაკაცური ღირსების შელახვად მიიჩნევა, თუკი აღიარებ, რომ ქორწილზე ფიქრობ

**– არ აპირებთ დაქორწინებას?**

– ხუმრობით ამ თემაზე ხშირად გვილაპარაკია და ვაპირებთ კიდეც, მაგრამ არ მინდა, ვიჩქაროთ. ადამიანურად მინდა, ყველაფრის გაკეთება...

**– და ადამიანურად როგორ არის?**

– არ მინდა, წავიდეთ ხელი მოვაწეროთ, მერე სადღაც შევვარდეთ, არაყი დავლიოთ და დავიშალოთ. თუმცა, არც მტრედები და შვლების სირბილი მინდა. რა „უჟასებს“ ვლაპარაკობ ***(იცინის).*** ნორმალური სახე მინდა, ამ ამბავს ჰქონდეს. კარგია, რომ ქართულად ვერ კითხულობს და ამას ვერ წაიკითხავს ***(იცინის).*** სიურპრიზის გაკეთება მინდა, რადგან მისთვის ხელი არ მითხოვია და ამასთან დაკავშირებით, დიდი გეგმები მაქვს.

**– არადა, კაცები ამბობენ, რომ ამაზე საერთოდ არ ფიქრობენ.**

– ეს აბსოლუტური ტყუილია და რატომღაც მამაკაცური ღირსების შელახვად მიიჩნევა, თუკი აღიარებ, რომ ამაზე ფიქრობ. ყველა ფიქრობს ქორწილზე და წარმოუდგენია ისიც კი, ჰალსტუხი ეკეთება თუ პეპელა ***(იცინის).*** უბრალოდ, ეს რომანტიკული თემაა და მათდა საუბედუროდ, ბევრ კაცს ჰგონია, რომ რომანტიკა არამამაკაცური გაგებაა და მას გარეთ გამოსვლის საშუალებას არ აძლევს. რა თქმა უნდა, თუ ჩემი გოგო მეტყვის, რომ სურვილი აქვს ქორწილში მტრედები გაუშვას, ამის შემრცხვება და ძალიან ცუდ ხასიათზე დავდგები. ეს უკვე ურთიერთობების პრობლემა იქნება. ისე, ამ დღეზე ვფიქრობ და მინდა, ის, რაც შეიძლება, მაგარი იყოს.

**სალომე გველესიანი**


სენადე

მცენარეული პრეპარატი

შემადგენლობა: თითოეული ტაბლეტი შეიცავს სენას ექსტრაქტს.

ჩვენებები: სენადე ნაჩვენებია მოზრდილებსა და ბავშვებში ყაბზობის დროს.

სიფრთხილის ზომები: სიფრთხილით მიიღეთ ნაწლავის ანთებითი დაავადების დროს. ხანგრძლივი გამოყენება არაა რეკომენდებული.




ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი: ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში გამოიყენება მხოლოდ სარგებელი რისკის თანაფარდობის შეფასების შემდეგ.

მიღების გზები და დოზირება: ბავშვები: 1-დან 12 წლამდე: 1 ტაბლეტი ძილის წინ, მოზრდილები: 1-3 ტაბლეტი ძილის წინ ან ექიმის რეკომენდაციის მიხედვით.

აფთიაქიდან გაცემის წესი: ურეცეპტოდ

აფთიაქი TITANI

ქარხანა ციპლა

* გამოყენებისას გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎ 238-28-40; 238-88-71; 231-11-32

**მეტაფიზიკოსი მალხაზ გველუკაშვილი, რომელიც ციხიდან რამდენიმე თვის წინ გათავისუფლდა და პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას მალე ლონდონში გეგმავს, ქართულ პოლიტიკურ პროცესებსა და ასპარეზზე გამოჩენილ ახალ პოლიტიკურ სახეებს მძიმე და მაღალი ტემპერატურის შემოდგომას „უწინასწარმეტყველებს". როგორც ის აცხადებს, ქართული საზოგადოება სამყაროს ძირეულ კანონებს არღვევს, რაც დაუსჯელი არასდროს რჩება.**

# რა პროცესები ელის ქართულ პოლიტიკურ სპექტრს შემოდგომაზე და როგორია პრემიერ-მინისტრის ფსიქომატრიცული სქემა



**დუღილის ტემპერატურა შემოდგომაზე ძალიან მაღლა წავა**

**მალხაზ გველუკაშვილი**: უახლოესი თვეები ქართული პოლიტიკისთვის ძალიან რთული იქნება, დუღილის ტემპერატურა შემოდგომაზე ძალიან მაღლა წავა. ქართულ პოლიტიკაში კარგი არაფერი ხდება – ეს არის ციხის ტალღაზე მოსული ხელისუფლება, რომელმაც რატომღაც დაიჯერა, რომ ხალხმა მათზე გააკეთა არჩევანი. ის ავიწყდებათ, რომ ხალხს ალტერნატივა არ ჰქონდა და იმიტომაც აირჩიეს ისინი. რაც დღეს ხდება, იგივეს გაგრძელებაა, რაც იყო უახლოეს წარსულში, ოღონდ ბევრად უფრო მშვიდობიანი ფორმით. რა შეიცვალა ამ თვეებში? პარლამენტი იმ ხალხით არის სავსე, ვინც ძველებთან ერთად ხრწნიდა ამ ქვეყანას. ისინი ერთსა და იმავე ამოცანას ასრულებენ. არც ის დაგვავიწყდეს, რომ შავბნელი პროცესები არც სააკაშვილის მმართველობის პირველ წელს ხდებოდა, მთავარია, ქვეყნისთვის რა კეთდება. აქ საკუთარ თავზე არ ვლაპარაკობ. მე არავისთვის მითხოვია ციხიდან გათავისუფლება, უდო შემეხო. შეიძლებოდა მათაც გამოვეშვი ვადაზე ადრე, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა – მე მაინც გამოვიდოდი, მთავარია ქვეყანაში შეცვლილიყო რამე. ჩემთვის ქვეყანაა მთავარი, „ნაცია" თუ „ოცი", სულ ერთია. მე არავის დასჯას არ ვითხოვ, ცხოვრებაში არ მომითხოვია, მაგრამ როცა იჭერენ წვრილფეხობას ქვედა საფეხურებში, „ზემოთ" მარტო ახალაია იყო დამნაშავე? არ იყო იმის საშუალება, რომ სასამართლო შეეცვალათ? ხუთი უკანონოდ გასამართლებული კაცი რომ იყოს ევროპაში ან ამერიკაში, იქ სასამართლო სისტემას მთლიანად შეცვლიან. ორასი კაცი არ იყო საკმარისი კუბლაშვილის იმპიჩმენტისთვის? საქმე ისაა, რომ ამ ქვეყანაში იმუნიტეტი იცავს ყველას და ყველაფერს, გარდა უბრალო ადამიანებისა.

– **თქვენი მოქალაქეობრივი პოზიცია გასაგებია, მაგრამ როგორ აიხსნება ეს პროცესები მეტალოგიკური კანონებითა და სქემებით, რომელზეც თქვენ წლებია, მუშაობთ?**

– მე ვხედავ ბევრ ისეთ რამეს, რაც საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება. ეს პროცესი მარტო საქართველოში არ მიდის. ეს პროცესები ახალი, ზესახელმწიფოს შექმნას ემსახურება, რომლის მიზანიც დაჩლუნგებული, განადგურებული კაცობრიობა და ყველა ის უბედურებაა, რაც ირგვლივ ხდება. ეს დიდი ხნის წინ დაწყებული ამბავია – ის, რაც ვერ გააკეთა ძველმა, ახალმა უფრო მშვიდად უნდა აკეთოს, მაგრამ ეს არ გამოსდის. ხალხის პროტესტი იზრდება და იზრდება. ხალხმა, ასე თუ ისე, იგრძნო საკუთარი ძალა და ახლა ასე ადვილად არ დათმობს. ჩვენ ვარღვევთ სამყაროს ყველა იმ კანონს, მათ შორის ფაქიზი ვიბრაციების, აზრის გრავიტაციის კანონს, არა ფიზიკური, არამედ მეტაფიზიკური გაგებით, რაც ბუნებაში არსებობს. სამყაროში აზრი და ქცევა ბუმერანგის პრინციპით მუშაობს. ჩვენ მიერ ნასროლი ბოროტება და ყველანაირი უბედურება ჩვენვე გვიბრუნდება ათმაგი ძალით – არაფერი იკარგება და პასუხგაუცემელიც არაფერი რჩება. თუ ადამიანის მიერ შეთითხნილი კანონი არ იკანონებს, სამყაროსგან მიიღებ პასუხს. იმიტომაც არის დღეს ამდენი კატაკლიზმები, რასაც მსოფლიოს უდიდესი მეცნიერებიც ამტკიცებენ. ამერიკელი და ევროპელი დოკუმენტალისტები კი ამ პრობლემებს ფილმების მთელი სერიებს უძღვნიან. დღეს ჩვენთან, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ძალიან დიდ პრობლემად გვექცა ჰომოსექსუალთა თემა, რაც ნამდვილად არ არის შემთხვევითი. სოდომის ცოდვა, ყველა ტრადიციის მიხედვით, ყველაზე დიდი ცოდვაა... ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის სვლა სამყაროს კანონების წინააღმდეგ. ამ კანონთა წინააღმდეგ ომში კი, ჯერ არავის გაუმარჯვია... უფალი გვასწავლის: „რასაც მიწაზე შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება, და რასაც გახსნით მიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც". დიახ, „ვისაც ყური აქვს, ისმინოს"... არსებობს ტრანცენდენტალური ეთიკა: მორალი, ზნეობა და მას ვერავინ გაექცევა. ტრანცენდენტალური სამართლისა და სასამართლოს (ოკ-

**ძალიან ცუდად დაამთავრებს პრეზიდენტობას მიხეილ სააკაშვილი**

ულტურ მეცნიერებათა მიხედვით, იგივე – უმაღლესი სასამართლო) წინაშე ყველანი ვართ პასუხისმგებელნი, და ისე ნუ ვიზამთ, მთელი სამყარო თავზე დაგვემხოს... ერთიანი, მსოფლიურის, როგორც ფიზიკურ, ასევე ასტრალურ და მენტალურ სივრცეთა ერთიანობის ველის დაბინძურების უფლებას არავინ მოგვცემს, რადგან ეს იქნება ტრანცენდენტალური სიყვარულისა და ტრანცენდენტალური სიცოცხლის რღვევის დასაწყისი. სასიცოცხლო ენერგია მხოლოდ ბინერში (ბინერი – წინააღმდეგობათა ერთიანობაა: აქტიური და პასიური, ჰო და არა, მამაკაცი და დედაკაცი...) იქმნება, და ჩვენ ამ კანონის დარღვევას არ გვაპატიებენ... მე იმას ვამბობ, რაც უეჭველი ვიცი. საიდან? ნუ მკითხავთ, დაჯერება თქვენი ნებაა.

– **ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი სახეები გამოჩნდნენ, მათ შორის უკვე გვყავს პრეზიდენტობის კანდიდატებიც, როგორია მათი ფსიქომატრიცული შინაარსი?**

– ისინი, ვინც დღეს პოლიტიკოსობას იბრალებენ, არ აქვთ საზოგადოების ხედვის უნარი, რაც პოლიტიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლო ათწლეულებში საზოგადოებაში ლავირება ყველაზე კარგად ედუარდ შევარდნაძეს გამოსდიოდა, რომელსაც ძლიერი ინტუიცია ჰქონდა. დღეს ამის სერიოზული ნაკლებობაა. უახლოეს პერიოდში, ალბათ, გამოჩნდება პრეზიდენტობის სხვა, ძალიან საინტერესო ახალი კანდიდატი, რომელიც ჯერ არავისთვისაა ცნობილი. მაგრამ, თუ სიტუაცია აირია, ამ ეტაპზე ვერავინ გახდება ქვეყნის პრეზიდენტი. ამიტომაც ვამბობ, რომ წინ მძიმე შემოდგომა გველის. 2013 წელი მძიმეა პრემიერ-მინისტრისთვის, ის ფსიქომატრიცის თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესო პიროვნებაა, ძლიერი ლოგიკით, მკაცრი ფსიქიკითა და ცხოვრების ხაზით და სკურპულოზურობით. ის უფრო კარგი დამგეგმავია, ვიდრე – შემსრულებელი. მან როგორმე უნდა გადალახოს ეს წელი. პრემიერის წლევანდელი რიცხვი ემთხვევა 16-ს. ეს თან მძიმე საკრალური რიცხვია, თან – კარგი... მძიმე პოზიციით – უძველესი კანონებით ეს რიცხვი ნგრევასთან არის დაკავშირებული. თუ პრემიერმა დაუშვა შეცდომები, თვითონაც გაჰყვება ამ წელს. თუ არ დაუშვა, კიდევ ექნება შანსი. შეცდომა იყო პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი მარგველაშვილის დასახელება. ორი დღის განმავლობაში, იმდენი შეცდომა დაუშვა თავის გამოსვლებში, ეს უკვე ცუდად დაწყებას ნიშნავს. თუნდაც მის მიერ ნათქვამი ფრაზა ავიღოთ: საზოგადოებამ უნდა დამიჯეროს მე და უნდა დაუჯეროს ალიანსსო. არავის აქვს უფლება, საზოგადოებას უთხრას, უნდა დამიჯეროო. შენ უნდა დამარწმუნო, რომ მე დაგიჯერო. თუ ვერ გიჯერებ, ეს ნიშნავს, რომ ვერ მარწმუნებ. ეს კი შენი პრობლემაა – ან ცდები, ან იტყუები. გიორგი მარგველაშვილი ექსტრემალური ხასიათის კაცია, თუ არ „მიაწვები," ის არ „მოგაწვება", თვითონ პირველი არ დაიწყებს შეტევას. მას მატრიცაში არ აქვს ციფრი – 2, რაც ნიშნავს, რომ არ იცნობს ადამიანებს, არ აქვს სრულყოფილი დიაგონალი, ანუ, არ არის შემსრულებელი და არც განსაკუთრებული ტალანტით გამოირჩევა, იმის მიუხედავად, რომ ძლიერი მეხსიერება აქვს. მისი შინაგანი სამყარო კეთილია, მაგრამ ვინაიდან მატრიცაში არ აქვს დიაგონალური კვეთები, მათემატიკური, ზუსტი ინტელექტუალური აზროვნება არ გააჩნია.

– **როგორი იქნება უახლოესი თვეები?**

– მძიმე. სიტუაცია იქამდე მიდის, რომ საზოგადოებაში დიდი კატაკლიზმები მოხდება. ცუდად დაამთავრებს პრეზიდენტობას მიხეილ სააკაშვილი. მე ვამბობ რეალობას, რომ მოხდება გაუთვალისწინებელი პროცესები, რაც შეიძლება გაგრძელდეს წელიწად-ნახევარი. ეს მძიმე იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის, რომელიც ახალ ეტაპზეა გადასული. წელს ის რადიკალურად სხვანაირი იქნება, ვიდრე იყო წინა პერიოდში. წელს ჩვენი საზოგადოების ბედისწერის რიცხვია 10, რაც ერთი მხრივ ნიშნავს, რომ იმძლავრებს სულიერი საწყისები, მეორე მხრივ კი, საზოგადოება, რომელიც უკვე ძალიან მკაცრია, დგას ბედისწერის ბორბალზე და ცვლილებებს ელის.

**თამუნა სამადაშვილი**

**1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ მოვლენამ განსაზღვრა საქართველოს ისტორია მეოცე საუკუნეში. გამარჯვება ადვილად არ მოსულა. ამ თემაზე გვესაუბრება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ვახტანგ გურული.**

# რა საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ

**– ბატონო ვახტანგ, რატომ გამოცხადდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მაინცდამაინც 26 მაისს, ხომ შეიძლებოდა ეს მოვლენა უფრო ადრე ან გვიან გამოცხადებულიყო?**

– სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება მარტო ქართველ ერზე და მის ხელმძღვანელ პოლიტიკურ ორგანოზე – საქართველოს ეროვნულ საბჭოზე არ იყო დამოკიდებული. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამ შემთხვევაშიც, გადამწყვეტ როლს თამაშობდა გარეშე ფაქტორი.

**– რას გულისხმობთ გარეშე ფაქტორში?**

– 1918 წლის 22 აპრილს ქართული, აზერბაიჯანული და სომხური პოლიტიკური ელიტა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: უნდა გაწყვეტილიყო სახელმწიფოებრივი კავშირი რუსეთთან და გამოცხადებულიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო – ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა. ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოს მთავრობის თავმჯდომარე გახდა აკაკი ჩხენკელი. დამოუკიდებელი ამიერკავკასიის მიმართ იმთავითვე მტრულად განეწყვნენ საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი (თურქეთი). საბჭოთა რუსეთის მთავრობა წინააღმდეგი იყო ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა, რადგან ამ რეგიონს მიიჩნევდა რუსეთის განუყოფელ ნაწილად. საბედნიეროდ, საბჭოთა რუსეთს იმხანად ჩრდილო კავკასია დაკარგული ჰქონდა და, ამიტომ, ომს ამიერკავკასიის დასაპყრობად უახლოეს ხანებში ვერ დაიწყებდა. ოსმალეთი, შეიძლებოდა, შეჰგუებოდა ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, იმ შემთხვევაში, თუ ის მნიშვნელოვან ტერიტორიებს შეიძენდა საქართველოსა და სომხეთის ხარჯზე. საქართველოს და სომხეთის ტერიტორიების ოკუპაცია ოსმალეთმა ჯერ კიდევ ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის შექმნამდე დაიწყო – 1918 წლის მარტ-აპრილში ოსმალებმა მთელი აჭარა დაიკავეს. ოსმალთა ჯარების შეჩერება მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე გახდა შესაძლებელი. ოსმალებმა დაიკავეს სამცხე-საათაბაგოს უდიდესი ნაწილი და მტკვრის ხეობაში მათი შეჩერება მხოლოდ ბორჯომთან მოხერხდა. თუ ოსმალეთი საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაციას მოახდენდა, ცხადია, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებელი გახდებოდა, საფრთხე კი რეალური იყო, რადგან, ქართული ჯარი მხოლოდ ჩანასახოვან სტადიაში იმყოფებოდა და ოსმალეთის არმიას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ასე რომ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, შეიძლება, გარე ძალას შეეფერხებინა.

**– როგორ გახდა ამ საფრთხის თავიდან აცილება შესაძლებელი?**

– რადგან ამიერკავკასიის ფედერაციას ოსმალებთან ომი არ შეეძლო, გადაწყდა, მოლაპარაკების გზით მოეგვარებინათ ურთიერთობა. 1918 წლის 11 მაისს ოსმალების მიერ ოკუპირებულ ბათუმში დაიწყო ოსმალეთისა და ამიერკავკასიის დელეგაციების მოლაპარაკება, მაგრამ, მოლაპარაკება მეორე დღიდანვე შეწყდა, რადგან, ოსმალეთმა, ტერიტორიის მიტაცების გარდა, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ომის შემთხვევაში ჯარების რკინიგზით გადაყვანის უფლება მოითხოვა. ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელი, აკაკი ჩხენკელი, ოსმალების მოთხოვნებს არ დაეთანხმა და მოლაპარაკებაც ჩიხში შევიდა. ვითარებას ართულებდა ისიც, რომ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები სხვადასხვა პოლიტიკურ ორიენტაციაზე იდგნენ: აზერბაიჯანელები ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარების იმედად იყვნენ, სომხები – ინგლისზე ამყარებდნენ იმედს, ქართველები კი გერმანიის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდნენ.

**– კი მაგრამ, საიდან გაჩნდა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში პროგერმანული ორიენტაცია?**

– ამიერკავკასია-ოსმალეთის მოლაპარაკებას ბათუმში ესწრებოდა გერმანიის იმპერიის წარმომადგენელი, გენერალი ოტო ფონ ლოსოვი. აკაკი ჩხენკელს რამდენიმე კერძო შეხვედრა ჰქონდა გერმანელ დიპლომატთან. აკაკი ჩხენკელი და ოტო ფონ ლოსოვი აღიარებდნენ, რომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის შენარჩუნება უპერსპექტივო იყო. ასეთ ვითარებაში, გერმანელმა დიპლომატმა აკაკი ჩხენკელს ურჩია, დაეშალათ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფო, ამის შემდეგ კი საქართველოს გამოეცხადებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და გერმანიის იმპერიისთვის ეთხოვა დახმარება. აკაკი ჩხენკელი ოტო ფონ ლოსოვთან გამართული მოლაპარაკების შედეგებს პერიოდულად აცნობებდა თბილისში საქართველოს ეროვნულ საბჭოს. 1918 წლის 14 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გერმანული ორიენტაცია ერთადერთ გამოსავლად დასახა და აკაკი ჩხენკელს დაავალა, გაეგრძელებინა მოლაპარაკება გერმანიის წარმომადგენელთან. ამის შემდეგ აკაკი ჩხენკელმა აქტიურად დაიწყო პროგერმანული ორიენტაციის პრაქტიკულად განხორციელებისთვის ბრძოლა. ბათუმიდან გამოგზავნილ ბოლო წერილში აკაკი ჩხენკელი კატეგორიულად მოითხოვდა დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას.

**ბათუმიდან გამოგზავნილ ბოლო წერილში აკაკი ჩხენკელი კატეგორიულად მოითხოვდა დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას**

**– რეალურად რა გაკეთდა დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად?**

– აკაკი ჩხენკელის ბოლო წერილის მიღების შემდეგ, 1918 წლის 25 მაისს, საღამოს 11 საათზე, თბილისში, დღევანდელ სულხან-საბას ქუჩაზე, საქართველოს ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში შეიკრიბა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ამ ისტორიულ სხდომას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია (თავმჯდომარე), გიორგი ლასხიშვილი, ნოე ხომერიკი, შალვა მესხიშვილი, ნოე რამიშვილი, გიორგი ჟურული, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე და სხვები. აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ნაწილმა (ექვსმა კაცმა) მოითხოვა, დაუყოვნებლივ, იმავე სხდომაზე, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გამოეცხადებინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ხოლო ოთხი წევრი, მათ შორის ნოე ჟორდანია – წინააღმდეგი იყო.



**ოსმალეთი, შეიძლება, შეჰგუებოდა ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას იმ შემთხვევაში, თუ ის მნიშვნელოვან ტერიტორიებს შეიძენდა საქართველოსა და სომხეთის ხარჯზე**

**– რატომ იყო წინააღმდეგი ნოე ჟორდანია?**

– ნოე ჟორდანია თავის პოზიციას ასე ასაბუთებდა: სანამ არსებობს ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა, მანამ არ შეიძლება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან ეს საერთაშორისო ასპარეზზე გაუგებრობას გამოიწვევდა. გარდა ამისა, გასარკვევი იყო, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რომელი კანონი იმოქმედებდა საქართველოში, როგორი იქნებოდა ფულად-საფინანსო სისტემა და სხვა. ნოე ჟორდანიას არგუმენტები არ გაიზიარეს და გადაწყდა დამოუკიდებლობის გამოცხადება დაუყოვნებლივ, 1918 წლის 25 მაისს, გვიან საღამოს.

**– მაშ, რატომ ვერ გამოცხადდა 25 მაისს დამოუკიდებლობა?**

– 25 მაისს დამოუკიდებლობა იმიტომ ვერ გამოცხადდა, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა არ მოიწონა დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი და საჭიროდ მიიჩნია მისი გადამუშავება. აქტის ტექსტის გადამუშავებას კი დრო სჭირდებოდა და დამოუკიდებლობის გამოცხადებაც თავისთავად გადაიდო. საბოლოოდ, ყველაფერი მაინც ნოე ჟორდანიას სცენარით წარიმართა: 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა (პარლამენტმა) გამოაცხადა ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა, რის შემდეგაც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. გერმანიამ პირნათლად შეასრულა დამოუკიდებლობის გარანტის ფუნქცია და შეაჩერა ოსმალეთის აგრესია. სამწუხაროდ, 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა, გერმანიის ჯარებმა საქართველო დატოვეს და ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში საქართველო მოკავშირის გარეშე დარჩა. ძლიერი და ერთგული მოკავშირის პოვნა შემდგომ წლებში შეუძლებელი გახდა.

**ეკა სალაღაია**

**არ ვიცი, ვინ როგორ და რას ფიქრობს, მაგრამ, პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის“ ერთ-ერთი გამორჩეული, განსხვავებული და ჩემთვის საინტერესო მონაწილე ლევან მასპინძელაშვილია: თავისი ხმით, სიმღერასთან დამოკიდებულებით, შესრულების ხასიათითა და ემოციებით... ლევანი სცენის მიღმაც საკმაოდ საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნამდვილად არ იქნება ურიგო, დაურეკოთ ან დაუმესიჯოთ მას ნომერზე: 0 903 700 006.**

# რის გამო ეძახდა ლევან მასპინძელაშვილს დედა „ანჟელა დევისს“ და ვისთან აქვს მას დღეს არანორმალური კავშირი

**ლევან მასპინძელაშვილი:** 19 წლიდან ვმუშაობ და თავისუფალ დროს, რა თქმა უნდა, მეგობრებთან ერთად ვატარებ. ორი წლის განმავლობაში ორგანიზაციაში, რომელსაც მარილი შემოჰქონდა, მარილის იმპორტზე ვმუშაობდი. შემდეგ ორი წელი ვიმუშავე „საქართველოს ბანკში“, 4 წელი –„თიბისიში“. ბოლოს ეს ყველაფერი მომბეზრდა: რეჟიმი, ფორმალობა, ჩასაცმელი, თან, არანაირი პერსპექტივა არ ჩანდა, რომელიც, წესით და რიგით, უნდა გამოჩენილიყო. ამიტომ წამოვედი „ონლაინ მარკეტინგში.“ ახლაც იქ ვმუშაობ, უბრალოდ, უვადო შვებულება მაქვს, სანამ პროექტიდან არ წამოვალ ჩემი ნებით, ან სხვისი ნებით. ჩემი ნებით, სავარაუდოდ, არ წამოვალ, რადგან, არ მიღირს, თან, მინდა, რომ პროექტში ვიყო.

**– ანუ, რამდენად გიღირს ამ პროექტში მონაწილეობა?**

– ამ პროექტში ჩემი ყოფნა დღემდე უცნაურად მეჩვენება. მეგობარმა დამარეგისტრირა. არ ვაპირებდი წასვლას, რადგან, არც პროექტები მიყვარს და არც განზოგადება საკუთარი თავის, ნიჭის, რომელშიც თვითონაც არ ვიყავი განსაკუთრებულად დარწმუნებული. მსიამოვნებდა ის, რასაც ვაკეთებდი სახლში და დანარჩენი უკვე აღარ მაინტერესებდა. მაგრამ, სახლში მისულს მამაჩემმა მითხრა, რომ, თუ ამ შანსს არ გამოვიყენებდი, შეიძლება, სხვა შანსი აღარ მქონოდა. ანუ, გამოწვევა უნდა მიმეღო. ყველაფერი რეალურად ისე უცბად მოხდა, ისე გადავედი, რომ, პრინციპში, არც მჯეროდა.



**ჩვეულებრივი ამბავია: ჯერ გიყვარს ის, რასაც ხედავ და მერე ის, რასაც ისმენ**

**– პირველივე გამოსვლის შემდეგ ბევრი ადამიანი მოხიბლე, გამოგარჩიეს. კარგი მონაწილეები არიან, მაგრამ, შენ თითქოს არ ზიხარ ამ პროექტში: ჩემთვის (და არა მხოლოდ) განსხვავებული და ძალიან საინტერესო შემსრულებელი ხარ.**

– მიხარია. როცა ხალხი გამოგარჩევს, მოსწონს შენი ნამღერი, მთლიანობაში მოსწონხარ – ეს ძალიან სასიამოვნოა და იქითკენ გიბიძგებს რომ უფრო მეტი და მეტი აკეთო, უფრო მეტად იმუშაო. მეტი პასუხისმგებლობა გაქვს და არ გინდა, გააწბილო შენი მსმენელი და ათქმევინო: ისეთიც არ ყოფილა, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდაო.

**– თუ მოქმედებს შენზე ის ფაქტი, რომ ყველაფერი საბოლოოდ მესიჯებზეა დამოკიდებული?**

– გული მწყდება თითოეულ მათგანზე, რადგან, მეგობრული გარემოა პროექტში. განსაკუთრებულად არ ვნერვიულობ იმაზე, გამოვვარდები თუ არა, რადგან, ვიცი, რომ ეს მაინც მოხდება. პრინციპში, რატომ ვიცი, რომ მაინც მოხდება? შეიძლება, არც მოხდეს და მე გავხდე გამარჯვებული – ესეც შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ვმღერი, ამაზე არ ვფიქრობ, არც იმ ათ წამში, რომელიც უკულმა ითვლება. უბრალოდ, ვფიქრობ იმაზე, რომ გავიდე და გავაკეთო ის, რაც იმ მომენტში მსიამოვნებს, მეორე დღეს კი გავბედო, ვნახო ვიდეო და არ შემრცხვეს იმის, რომ რამე გავაფუჭე.

**– „საქართველოს ვარსკვლავმა“, ალბათ, შეგიცვალა ცხოვრების რიტმი.**

– შემიცვალა, რაც ცუდად აისახა ჩემზე იმ კუთხით, რომ სამსახურში აღარ დავდივარ, დილით ადრე არ ვიღვიძებ, შესაბამისად, ძალიან გვიან ვიძინებ – ეს ცუდია, რადგან, მიჩვეული ვარ რეჟიმს და არ მიყვარს, როდესაც რიტმიდან ვვარდები. წინა სამსახურებში სულ რეჟიმში ვიყავი, ბოლო სამსახურში უფრო თავისუფლად ვარ, ძალიან კარგად ვგრძნობ თავს: შემიძლია, შორტებით ვიარო და, საერთოდ, ბანკის რეჟიმისგან ძალიან განსხვავებულია.

**– თავისუფლებისმოყვარე ადამიანი ხარ და, ალბათ, ვერც ეგუები ამ მხრივ შეზღუდვებს.**

– ვცდილობ, რამდენადაც შემიძლია, არ შევეგუო. განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ, არ ვცდილობ, ვულგარულად გამოვეყო ხალხს. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტად თავისუფალი ვიყო და საკუთარ თავს მივცე ამის უფლება. სხვა რამეში თუ არა, შეიძლება, ამ საკითხში მოვახერხე ოქროს შუალედის დაცვა?! არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, ჩემი თავისუფლება განხილვის თემა არასდროს ყოფილა. ბავშვობაში მქონდა პერიოდი, როდესაც ისე ვიცვამდი, თმა ისე მქონდა, როგორც, წესით, არ უნდა მქონოდა, რადგან არ მაძლევს ამის საშუალებას. ანუ, გრძელი თმა მქონდა და ძალიან ვიყავი გასუქებული. მეგობარი მეძახდა „იდეალურ სფეროს“, დედაჩემი კი მაშაყირებდა – ანჟელა დევისი ხარო... არის პერიოდი, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა გაიაროს: ბუნტი, პროტესტი, რომელიც იდეაში არც გესმის, ანუ, არ იცი, სინამდვილეში რას აპროტესტებ.

**– მაშინ რა გეგონა, რას აპროტესტებდი?**

– არ ვიცი... ალბათ, ყველაფერს პატარ-პატარა დოზით... მაშინ როკს თუ უსმენდი, ცუდი ტიპი იყავი, გრძელი თმის გამო, შეიძლება, ვინმეს ქუჩაში ეცემე. მე არ მქონია ასეთი შემთხვე-

**არის პერიოდი, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა გაიაროს: ბუნტი, პროტესტი, რომელიც იდეაში არც გესმის, ანუ, არ იცი, სინამდვილეში რას აპროტესტებ**

ვები, რადგან, გამოკვეთილად არ მქონია პროტესტი, მაგრამ, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც გრძელი თმა ჰქონდათ, ბლანჟე, საყურე ეკეთათ და ამის გამო კარგი ცხოვრება არ ჰქონიათ.

**– როგორ ცხოვრობდი იმ პერიოდში?**

– დიდი ინტენსივობით, მე და ჩემი ყველაზე საუკეთესო მეგობარი, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარ არის, დავდიოდით ოპერის „პადზემკაში“ და ვიყავით იქაური ქუჩის მომღერლების ბექვოკალები. ძალიან კარგი ხალხის – დიდი ნაწილი „33ა-ს“ ბიჭები და ჩემი კარგი მეგობრები არიან. იყო პერიოდი, როდესაც ჩვენც ვუკრავდით... მოკლედ, ძალიან კარგი პერიოდი იყო... ძალიან მენატრება, ალბათ, იმიტომ, რომ გიოც მენატრება...

**– ახლა გამოხატულად თუ გაქვს რაიმეს მიმართ პროტესტი?**

– გამოხატულად, ალბათ, არ მაქვს... ხშირად ბევრი რამ მაღიზიანებს და, ვცდილობ, მალე დავივიწყო, რადგან, არ მსიამოვნებს. ასეთ დროს ვფიქრობ, რომ ვიცხოვრებდი უცხოეთში ორი წელი მაინც, რომ ცოტა ხანს გავერიდო აქაურობას, დავისვენო, „დავრეფრეშდე“ და მერე მონატრებულმა შევხედო იმ ყველაფერს, რაც აქ არის.

**– როდის გქონდა მუსიკასთან პირველი შეხება?**

– ჩემმა ძმამ დაამთავრა მუსიკალური შვიდწლედი და, ალბათ, მისი მხრიდან მქონდა მუსიკასთან პირველი შეხება. მე არსად არ მივლია, გიტარაზეც ჩემით დავიწყე დაკვრა და, სიმართლე რომ გითხრა, განსაკუთრებულად არ ვუკრავ. მე მყოფნის იმ დოზით, რომ საკუთარ თავს მივანიჭო სიამოვნება. ჯერ არ მაქვს სურვილი, რომ უკეთესად ვუკრავდე.. ვნახოთ, ამაზე არ გავჩერდები... დედაჩემის მამას, პაპაჩემს, ძალიან უყვარდა სიმღერა, მაგრამ, სმენა არ ჰქონდა, თუმცა, სიმღერის მოსმენით დიდ სიამოვნებას იღებდა. ცდილობდა, რომ ჩვენც ნორმალური მუსიკისთვის მოგვესმინა: არ ვიცი, ამას აცნობიერებდა, თუ, უბრალოდ, იმ ფირფიტებს ყიდულობდა, რომლებიც ნამდვილად კარგი იყო. მე მჯერა, რომ აცნობიერებდა და ცდილობდა, სახლში კარგი ფირფიტები გვქონოდა: ბევრი კლასიკა, ელტონ ჯონი, „ფარფლები“, ძველი ბენდების სიმღერების ნაკრებიც იყო, ფირსაკრავიც გვქონდა და, მოკლედ, ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, აყალიბებდა ჩემს გემოვნებას.

**– დღეს ვისი შეფასებებია შენთვის მნიშვნელოვანი?**

– ჩემი ძმის. ვიცი, რომ არ მომატყუებს და ესმის ეს ყველაფერი, ყური აქვს კარგი. ჩემზე ხუთი წლით უფროსია.

**– არ ჩხუბობდით ბავშვობაში?**

– ვხოცავდით ერთმანეთს და ეს უბრალოდ დახოცვა არ იყო... თან, სულ მერეოდა. ერთხელაც მე მოვერიე და მერე დაიწყო ჩვენ შორის არანორმალური კავშირი, რომელიც ახლაც გვაქვს. ანუ, გაიარა ხუთი წლის სხვაობამ, რომელიც, ალბათ, ურთიერთობის ბარიერი იყო და ახლა საუკეთესო მეგობრები ვართ.

**– როგორი გოგონები მოგწონს? რა თქმა უნდა, პირველ ეტაპზე გარეგნობას მიაქცევ ყურადღებას.**

– როგორ შეიძლება ვიზუალი არაფერი იყოს შენთვის? მაშინ, „სოციალურ ქსელში“ უნდა გაიცნო? „სოციალურ ქსელში“ გაცნობაც არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. არ მაქვს განსაკუთრებული შეხედულებები, რომ რაღაც უჩვეულო ან მიუღებელი იყოს, ყველაფერი ხდება. მაგრამ, იქაც ხომ გინდა, ფოტო ნახო – როგორია. ჩვეულებრივი ამბავია: ჯერ გიყვარს ის, რასაც ხედავ და მერე ის, რასაც ისმენ.

**– როგორია შეყვარებული ლევანი?**

– დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი შეყვარებული, მაგრამ, დასრულდა ეს სიყვარული და მას მერე აღარ მყვარებია, მაგრამ, ურთიერთობები ყოფილა. შეყვარებული ვარ დებილი! ჩემი ძმა მეუბნებოდა: როცა შეყვარებული ხარ, ნაკლებად საინტერესო ხდებიო. ალბათ, იმიტომ, რომ ამაზე ვარ გადართული. ძალიან ძლიერად მიყვარს?! ჰო, ძლიერად მიყვარდა და, ალბათ, ამიტომ...

**ნათია უტიაშვილი**

# რუსეთში გავრცელებულ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებზე კომპანია „ასკანელი ძმები" „როსპოტრებნადზორს" განმარტებებს სთხოვს

„ასკანელი ძმების" პროდუქცია ყოველთვის იყო გამორჩეული და განსაკუთრებული. კომპანიას არაერთი საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული, არის უამრავი კონკურსის ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „ასკანელი ძმების" პროდუქცია, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, კონიაკიც, მსოფლიოს 15 ქვეყანაში იყიდება.




ამ ყველაფრის ფონზე, მართლაც ძალიან უჩვეულოდ ჟღერს რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს „როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ „ასკანელი ძმების" კონიაკის ხარისხი დაიწუნა და გააკრიტიკა.

ალკოჰოლის მწარმოებელი კომპანია „ასკანელი ძმები," გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით, „როსპოტრებნადზორისგან" განმარტებებს ითხოვს.

როგორც დღეს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე „ასკანელი ძმების" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელმა განაცხადა, რუსეთის მთავარ სანიტარულ ექიმს, გენადი ონიშენკოს, კომპანიამ განცხადებით მიმართა და ამ დღეებში „ასკანელი ძმების" კონიაკის ხარისხის შესახებ მედიაში გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით განმარტებები მოითხოვა.

„გავრცელდა ინფორმაცია", თითქოს გენადი ონიშენკომ „ასკანელი ძმების კონიაკის ხარისხი გააკრიტიკა. აშკარაა, რომ ადგილი აქვს გაუგებრობას. „ასკანელი ძმები" ვამაყობთ ჩვენი კონიაკის ხარისხით, რომელიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, 15 ქვეყანაში იყიდება, სადაც აქვს სახელმწიფო რეგისტრაცია და მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით მიღებული გვაქვს ოქროსა და ვერცხლის მედლები. ამიტომ, დაუყოვნებლივ მივწერეთ ოფიციალური წერილი გენადი ონიშენკოს და მოვითხოვეთ განმარტებები. ახლა ველოდებით წერილობით პასუხს. თუმცა, ჩვენი წარმომადგენელი გუშინ ჩავიდა მოსკოვში, სადაც გაიმართა მოლაპარაკებები და, პროდუქციის ნიმუშები, სავარაუდოდ, უმოკლეს ვადებში გაიგზავნება ხელახალი სერტიფიცირებისთვის," – განაცხადა ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელმა.



„როსპოტრებნადზორის" სპეციალისტები კომპანია „ასკანელი ძმებს" გაზაფხულზე ესტუმრნენ, რა დროსაც ადგილზე გაეცნენ წარმოების პროცესს და წაიღეს პროდუქციის ნიმუშები.

„ასკანელი ძმების" გენერალური დირექტორის, ირაკლი ბექაურის განცხადებით, „როსპოტრებნადზორში" წარდგენილმა პროდუქციამ ხარისხის კონტროლის სამი საფეხური გაიარა: უშუალოდ წარმოებაში, ქარხნის ლაბორატორიაში და დამოუკიდებელ ლაბორატორიაში – „ღვინის ლაბორატორია". „პროდუქციამ ღვინის ნაციონალური სააგენტოს დადებითი შეფასებაც მიიღო. პროდუქციის ნიმუშები იმ პარტიებიდან ამოიღეს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში იგზავნება, მათ შორის – ევროკავშირის. კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით აქამდე არასდროს მიგვიღია შენიშვნა ოფიციალური სტრუქტურების ან მომხმარებლების მხრიდან. ამის მიუხედავად, მზად ვართ, ხელმეორედ გავიაროთ შემოწმება და ამის შესახებ წერილში გენადი ონიშენკოსაც მივწერეთ," – დასძინა მან.

„ქორთიარდ მერიოტში" პრესკონფერენციას ესწრებოდნენ „ევროპის ხარისხის ორგანიზაციის" წარმომადგენელი საქართველოში და, ამავდროულად, საქართველოს ხარისხის ასოციაციის პრეზიდენტი გრიგოლ კუნჭულია და ეკონომისტი, BPI (Georgian Business&Political Insight) დამფუძნებელი, ირაკლი ლექვინაძე.

გრიგოლ კუნჭულიას ინფორმაციით, კომპანია „ასკანელი ძმების" პროდუქცია ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით, რაც უამრავი საერთაშორისო ჯილდოთია დადასტურებული. კომპანიამ წარმატებით გაიარა ხარისხის მენეჯმენტისა და მზა პროდუქციის შეფასების საკმაოდ რთული და ყოვლისმომცველი პროცედურა და უახლოეს მომავალში კომპანიის კონიაკსა და სხვა პროდუქციას „ხარისხის ნიშნის" მარკირების უფლება მიენიჭება.

ირაკლი ლექვინაძის შეფასებით, ნებისმიერი კომპანია, რომელიც რუსეთის ბაზარზე გასვლას აპირებს, უნდა იყოს მზად, რომ მის წინააღმდეგაც შეიძლება აგორდეს ანალოგიური თემა, მათი ხარისხის სტანდარტის, ისტორიის, გამოცდილების მიუხედავად. „როცა საუბარი რუსეთის ბაზარს ეხება, ამის რისკი ყოველთვის არსებობს და მსგავსი განცხადებები ხშირად შეგვხვდება მომავალშიც, მით უფრო, რომ ასეთ დიდ ბაზარზე არსებობენ კონკურენტები, რომლებსაც მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოჩენა აშფოთებთ," – შიშობს ირაკლი ლექვინაძე.

რაც შეეხება კომპანიის უახლოეს გეგმებს, როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბექაურმა აღნიშნა, 23 მაისს „ასკანელი ძმების" ქარხანაში მოეწყობა მედია-ტური, სადაც ჟურნალისტებს ექნებათ საშუალება, დეტალურად გაეცნონ წარმოების მთელ ციკლს და მოახდინონ სხვადასხვა წლოვანების ქართული ბრენდის დეგუსტაცია.




კომპანია „ასკანელი ძმები" 15 წლის წინ დაარსდა და დღეს ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ქართული ელიტური ალკოჰოლის მწარმოებელ კომპანიებს შორის. კომპანია აწარმოებს 8 სახეობის კონიაკს, 32 დასახელების ღვინოს, 4 დასახელების ჭაჭას. „ასკანელი ძმების" პროდუქცია აღიარებულია საუკეთესოდ და მიღებული აქვს 100-ზე მეტი ჯილდო სხვადასხვა გამოფენასა და დეგუსტაციაზე. „ასკანელი ძმების" მიერ წარმოებული სასმელები გადის ექსპორტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ყაზახეთში, ფინეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსიაში. რაც დამატებით ადასტურებს იმას, რომ კომპანია იცავს მაღალ სტანდარტებს და აკმაყოფილებს სხვადასხვა ბაზრის მოთხოვნებსა და პარამეტრებს.

კომპანია „ასკანელი ძმების" თანამედროვე ქარხანა ღვინისა და ბრენდის მწარმოებელი უახლესი დანადგარებითაა აღჭურვილი და ერთ-ერთი იმ მცირედთაგანია საქართველოში, რომელსაც ბრენდისა და ჭაჭის სახდელი აპარატურა გააჩნია. საკონიაკე სპირტები და სამარკო ღვინოები ინახება მუხის კასრებში. წარმოების პროცესის ყველა ეტაპის მკაცრი კონტროლი (მთელი ციკლი ყურძნის მიღებიდან ჩამოსხმამდე), ასევე, სიცივით დამუშავება, მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის ღვინის წარმოების საშუალებას იძლევა.

**სალომე გველესიანი**




# როგორ აღიარა ჯუნა დავითაშვილის სახელობის ალტერნატიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსმა გია სულაქველიძემ ენერგობიოკორექტორი ნანა მამაგულაშვილის განსაცვიფრებელი ბუნებრივი მონაცემები

**მის გარშემო უამრავი მადლიერი ადამიანია. ხევისბერების შთამომავალი, ენერგობიოკორექტორი ნანა მამაგულაშვილი ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. სამაუწყებლო სივრცეში პოპულარობა იმანაც მოუტანა, რომ ძალიან ბევრი პიროვნებისთვის დაუბრუნებია ცხოვრების ხალისი, ბედნიერება და სიხარული. მას ბუნებრივად აქვს ნიჭი, რომელიც დღეს უკვე აღიარებულია ისეთი კომპეტენტური პიროვნების მიერ, როგორიც არის საქართველოს კომპლემენტარული და ალტერნატიური მედიცინის ეროვნული ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი, ალტერნატიული მედიცინის დამოუკიდებელი ექსპერტი, ჯუნა დავითაშვილის სახელობის ალტერნატიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ექიმი-ფსიქოთერაპევტი გია სულაქველიძე. ნანა მამაგულაშვილს პირადად მან მიანიჭა საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრის საპატიო ტიტული.**

**გია სულაქველიძე** *(ალტერნატიული მედიცინის დამოუკიდებელი ექსპერტი, აკადემიკოსი, ექიმი-ფსიქოთერაპევტი):*

– ნანა რომ გავიცანი, მივხვდი, რომ განსაკუთრებულ შემთხვევასთან მქონდა საქმე. ასეთი ბუნებრივი ნიჭი და შესაძლებლობები იშვიათად მინახავს. არსებობს ცნება – „კოსმიური სუფთა ენერგიები“ და ნანა თითქოს იზიდავს ამ ენერგიებს, რათა მერე იმას გადასცეს, ვისაც ის რეალურად სჭირდება. ნანას გარშემო მყოფი ადამიანები დადებითი ენერგიის მოზღვავებას გრძნობენ. მათი ცხოვრება უკეთესობისკენ იცვლება. ნანა მამაგულაშვილის ხალას ნიჭსა და ფენომენს ძალიან დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებისთვის.

**– მე ვიცი, რომ ქალბატონ ნანასთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები გაქვთ.**

– დიახ, საკმაოდ საინტერესო ჯგუფი შედგა და ვაპირებთ საქართველოს ფარგლებს გარეთაც ვიმუშაოთ, მასტერკლასები გავმართოთ. უკვე მაქვს მიწვევა ბაქოდან. მე შევხვედრივარ ვანგას, კარგად ვიცნობ ქალბატონ ჯუნა დავითაშვილს და ვიცი, რას ნიშნავს ნანა მამაგულაშვილის ფენომენი. ასეთები ბევრნი არ არიან, თანაც, არა მხოლოდ საქართველოში. ძალიან ბევრი კარგის თქმა შემიძლია ნანაზე.

**ნანა მამაგულაშვილი:** გულახდილად გეტყვით, ჩემთვის ეს აღიარება ძალიან მოულოდნელი იყო. ბატონმა გიამ რომ დამირეკა, ვიფიქრე, ნამდვილად ჩემს თავს ხდება ეს ამბავი თუ არა-მეთქი.

**– საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრობა. ეს დიდ პასუხისმგებლობასაც გაკისრებთ.**

– რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. დიპლომი რომ გადმომცეს, საოცარი შეგრძნება მქონდა. პასუხისმგებლობას რაც შეეხება, მე ყოველთვის უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობდი ჩემთან მოსული თითოეული ადამიანის მიმართ. ბატონი გია სულაქველიძე ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე სტუმრობისას გავიცანი – ორივე ვიყავით მიწვეული. მაშინ ბევრი ვისაუბრეთ. ერთი კვირის წინ კი დამირეკა და თავის ცენტრში მიმიწვია. ძალიან სერიოზული ტესტები ჩავაბარე – სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შემახვედრეს, ანუ, საპატიო დიპლომი იოლადაც არ მომიპოვებია *(იღიმება)*. ბატონი გია საკმაოდ დიდი ავტორიტეტია. ის არა მარტო საქართველოს კომპლემენტარული და ალტერნატიული მედიცინის ეროვნული ცენტრის ვიცე-პრეზიდენტია, არამედ, ალტერნატიული მედიცინის დამოუკიდებელი ექსპერტიც. ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. ალტერნატიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს ახლო ურთიერთობა აქვს ჯუნა დავითაშვილთან და ცნობილი ექიმი-ფსიქოთერაპევტიცაა. ტესტების ჩაბარების მერე მითხრა, უდიდესი პოტენციალი გაქვს, შეგიძლია, ადამიანებს ძალიან დაეხმაროო.

**– თქვენ ხომ აქამდეც აკეთებდით ამას.**

– დიახ, მაგრამ, სულ სხვაა, როცა აკადემიკოსები აღიარებენ შენს ნიჭს. ძალიან დიდი გეგმები მაქვს. ბედნიერებაა, როცა შენი შრომა ასე ფასდება. სერიოზულად მოვემზადები უცხოეთში მასტერკლასებისთვის.

**– იმ ადამიანებისთვის თუ დაგრჩებათ დრო, რომლებიც შვებას ელიან თქვენგან?**

– აუცილებლად. მართალია, უახლოეს მომავალში ქვეყნიდან გასვლა მომიწევს, მაგრამ, ჯერ აქ ვარ. მობილურიც სულ ჩართული მაქვს: 577-75-54-18. მზად ვარ, ყველას მოვუსმინო, დავეხმარო. მერეც ჩამოვალ ხოლმე. აქეთაც ვიქნები ხშირად. როგორ შემიძლია, ჩემი ნიჭი ჩემს ხალხს არ მოვახმარო?! საქართველოში განსაკუთრებით უჭირთ ადამიანებს. ისეთი პრობლემებით მოდიან და ისეთი თვალებით მიყურებენ, ვხვდები, რომ ჩემს იქით გზა აღარ აქვთ და ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოვავლინო. საკუთარ თავს ვუთხარი: ნანა, ეს სიგნალი იყო ზემოდან და იმაზე გაცილებით მეტი სიკეთე უნდა გაუკეთო ადამიანებს, ვიდრე აქამდე გიკეთებია-მეთქი.

**ნინო წულუკიძე**

# რა სიურპრიზს უნდა ელოდოს იღბლიანი მომხმარებელი „ნატახტარის“ ინოვაციური გათამაშებისგან

**კომპანია „ნატახტარი” განაგრძობს ტრადიციას და მომხმარებელს ინოვაციურ გათამაშებას სთავაზობს. წლევანდელი წამახალისებელი გათამაშება 15 მაისიდან დაიწყო და 15 ივლისამდე გაგრძელდება. გათამაშების წესები ძალიან მარტივი და მომხმარებლისთვის ხელსაყრელია. კერძოდ, შეგიძლიათ, შეძენისთანავე, ადგილზე გახსნათ ლუდი „ნატახტარის” ნებისმიერი მოცულობის პეტის (პლასტმასის) შეფუთვა და თავსახურში მოთავსებულ კაფსულაში აღმოაჩინოთ 10, 20, 50, 100 ან 200-ლარიანი კუპიურა. ასევე, ყველა ზომის შეფუთვაში, გარდა ქილისა (0.5-ლიტრიან მინის ბოთლში, 1-ლიტრიან, 2-ლიტრიან და 2.5-ლიტრიან პლასტმასის ბოთლებში), შეგიძლიათ, აღმოაჩინოთ ლაზერით დაბეჭდილი მომგებიანი თავსახურები: სუპერპრიზი – 50 000 ლარი და 300 000 ცალი უფასო 0.5-ლიტრიანი მინის ბოთლი „ნატახტარი.” მოგების ან გათამაშების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ, დარეკოთ სპეციალურად გათამაშებისთვის შექმნილ ცხელ ხაზზე: 2550 700.**

**თორნიკე ნიკოლაიშვილი** *(კომპანია „ნატახტარის” მარკეტინგის დირექტორი):* უკვე მეხუთედ ტარდება „ნატახტარის” დიდი გათამაშება. წლიდან წლამდე იზრდება საპრიზო ფონდი და, შესაბამისად, მოგების შანსი, რაც უფრო და უფრო ინოვაციურს ხდის გათამაშებას. გათამაშებაში მონაწილე შეფუთვები განსხვავდება გარკვეული ნიშნით, რომლებიც დატანილია პლასტმასისა და შუშის შეფუთვის საყელოზე. ეს იმიტომ ხდება, რომ მომხმარებელმა ზუსტად იცოდეს, რომ სწორედ იმ შეფუთვას ყიდულობს, რომელიც გათამაშებაში მონაწილეობს, რისი საშუალებითაც, აქვს იმის შანსი, რომ მოიგოს ესა თუ ის დაწესებული პრიზი.

ამ გათამაშების მთავარი ინოვაცია კი შემდეგში მდგომარეობს: ეს არის მოგების ყველაზე მყისიერი საშუალება, რაც კი შეიძლება არსებობდეს. ანუ, თუ ადამიანს გაუმართლებს, ის თავსახურში ნახავს კაფსულას, რომელშიც მოთავსებულია 10, 20, 50, 100 ან 200 ლარი. ამით მომხმარებელს შეუძლია, ყოველგვარი ბარიერის გადალახვის გარეშე მიიღოს მოგებული თანხა ისე, რომ ოფისში მოსვლაც კი არ დასჭირდეს თანხის მისაღებად. თამაშდება, ასევე, დიდი – 300 000 ცალი ლუდი „ნატახტარი.”



კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი

რაც შეეხება დიდ და ჩვენი ოცნების პრიზს, ესაა 50 000 ლარი. რადგან ეს თანხა კაფსულაში ვერ ჩაეტევა, ამიტომ თავსახურზე ლაზერით იქნება ამოტვიფრული. ვისაც ძალიან გაუმართლებს, მოიგებს ამ 50 000 ლარს. წინასწარ არავინ იცის, რომელ რეგიონში აღმოჩნდება მომგებიანი ბოთლი მთავარი პრიზით. მაგალითად, გასულ წელს გამარჯვებული რუსთავში გამოვლინდა.

**მარიკა ხიდურელი**






შარშან ზაფხულში ვიმუშავე ვალერი ტადაროვსკის სერიალში. 12 სერიაა. მინსკში და მოსკოვში იყო გადაღებები. ჰქვია: „ოტტეპელ“.

**დუტა სხირტლაძეს კარგად იცნობს ქართველი მაყურებელი, თუმცა ბოლო პერიოდში მისი ინტერვიუებით ნამდვილად არ გვანებივრებს. ჩვენ მას „ფულთან თამაშის“ ჩაწერაზე მივაკითხეთ. რამდენიმე გადაცემის ჩაწერასაც დავესწარით, შემდეგ კი დადებითად დამუხტულები, ფულის სუნით გაჟღენთილები და ამ ემოციებისგან თავბრუდახვეულები ინტერვიუს ჩაწერას შევუდექით.**

# სად ახურებს დუტა სხირტლაძე და როგორი მამაა ის

**– როგორ ხარ დუტა? რა ყოფილა ეს „ფულთან თამაში“...**

– საოცრება. გადასარევად ვარ – შრომაში ერთ ამბავში. ფულთან ვთამაშობ – ეს არის ინგლისური სუპერპროექტის ქართული ვერსია. კარგი გამოვიდა, მიხარია, ამ პროექტს რომ ვაკეთებ და მისი წამყვანი ვარ. მომწონს. ჩემთან ახლოს არის ასეთი პროექტები. ამით ვიწყებდი, დაახლოებით ეგეთი პროექტით: „ვის უნდა 20 ათასს“ ვგულისხმობ. მერე იყო რაღაც მუსიკალური პროექტები, რომლებიც გავითავისე, მაგრამ ეს „ფულთან თამაში“ რომ ჩემია, ეგრე – არც ერთი. მიხარია, რომ დავუბრუნდი ისევ გადაცემას, რომელშიც ინტელექტი ფასობს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. აქ ჩემი ადგილია.

**– ინტერვიუს ჩაწერამდე, გადაცემის ჩაწერას დავესწარი...**

– როგორი იყო?

**– კარგი, ძალიან ვისიამოვნე და ვუგულშემატკივრე კონკრეტულ ინტელექტუალ მოთამაშეს.**

– მოგინდა თამაში?

**– ძალიან.**

– შეავსე ანკეტა და მოდი ჩვენთან, გათამაშებთ.

**– აუცილებლად. თამაშის ჩაწერის მომენტში დავრწმუნდი, რომ ისეთი სიტუაცია არ არსებობს, რომლიდანაც ვერ გამოხვალ, თან ისე, რომ არავინ იძაბება, უფრო მეტიც, ყველას ამაღლებულ განწყობაზე ტოვებ. ოჯახშიც ასეთი ხარ? წვრილ-წვრილ ოჯახურ კონფლიქტებსაც ასე წარმატებითა და ღიმილით ამთავრებს?**

– ოჯახში კონფლიქტი არის ხოლმე, კი, რა თქმა უნდა, წვრილ-წვრილი და იქაც ასე გამოვდივარ. ერთი აფეთქება ვიცი ხოლმე 15-წუთიანი, მერე მეძინება, სამსახურში ძალიან ვიღლები. სახლი კარგი საშუალებაა, იქ მპატიობენ გახურებას.

**– ოჯახს შევეხეთ. შვილებზე მიამბე. როგორი მამიკო ხარ?**

– ცუდი, მოუცლელი მამიკო ვარ შვილებისთვის. მამიკო არა – მამა. ოჯახში არ ვლაპარაკობთ კნინობითად, რატომღაც არ მოგვწონს ეგ ამბავი. საერთოდ, ვმეგობრობთ ვიდრე ვმამაშვილობთ. ბიჭი 9 წლისაა, თოთხმეტის – შუათანა და მარიამი, რომელიც ახლა გერმანიაშია, ოცდაერთის გახდება მალე, უკვე ისეთ ასაკში შედის, რომ ასაკი არ უნდა გავამხილო.

**– დამაბარეს, აუცილებლად ჰკითხე, ხომ ემზადება იმისთვის, პაპა გახდესო.**

– ჯერ არ ვემზადები პაპობისთვის, თუმცა, ფსიქოლოგიურად, ამ ამბისთვის შარშანწინაც მზად ვიყავი. პატარა ბავშვებს არაფერი არ ჯობია, შვილი იქნება, თუ შვილიშვილი.

რაც შეეხება შვილებს, ყოჩაღები არიან, პროფესიები ჯერ არ აქვთ არჩეული. მე არ ვერევი, საერთოდ მშობლები არ ვერევით მაგ საკითხში. მარიამმა – მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე სხვა მიმართულებები ჰქონდა და ხატვა უფრო აინტერესებდა – პროგრამისტობა დაიწყო და ჩააბარა ინფორმატიკაზე, გერმანიაში სწავლობს. პატარები სკოლაში დადიან და გადაწყვეტილება ჯერ არ აქვთ მიღებული, თუმცა, ლუკა კარგად ძერწავს. სულ ძერწავს, კერამიკაზე დადის. კარგი ბიჭი გამოდგა „ტვორჩესკი ამბავში“. ნინი უფრო ენებს მიეძალა: რუსული, ინგლისური, ფრანგული და ახლა ესპანური დაიმატა. ყოჩაღობს მაგ მხრივ. ჩვენთან ის მომენტი არ არის, რომ გინდა თუ არა, ენა უნდა ისწავლო, დაძალებები არ ხდება. გადაწყვეტილებებს ბავშვები თვითონვე იღებენ. რაც მთავარია, კითხვა: იმეცადინე დღეს? – ჯერ არ დამისვამს.

**მიხარია, რომ დავბრუნდი ისევ პროექტში, რომელშიც ინტელექტი ფასობს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. აქ ჩემი ადგილია**

**– რატომ? ბავშვები არიან ძალიან მონდინებული, თუ მამაა ძალიან მოუცლელი?**

– არა, არ არის ამის აუცილებლობა. თვითონ მეცადინეობენ და მერე უკვე თავისუფალ დროს მეგობრებში ატარებენ. სიმშვიდეა ამ თვალსაზრისით.

ამ ბოლოს, ლუკამ ფულის გამომუშავება დაიწყო.

**– ეს როგორ?**

– როგორ და მაგალითად, გუშინ გადაწყვიტა, დაელაგებინა სადარბაზოს კიბე. ამით თავისთვის და მეგობრებისთვის ნაყინის ფული გამოიმუშავა. დღეს, როგორც ვიცი, დაპატიჟა ბიჭები.

**– როგორც ვიცი, ფრანგულ სკოლაში დადიან თქვენი შვილები.**

– კი, ვაკის პარკთან რომ არის.

**– როგორი მშობელი ხარ. სკოლაში აკითხავ, ან ზეიმებს თუ ესწრები?**

– მხოლოდ მე დამყავს ბავშვები სკოლაში. ყველა ზეიმზე ვცდილობ, მოვხვდე, იმიტომ რომ ძალიან ორგანიზებულ სკოლაში სწავლობენ ჩემი შვილები. წინასწარ გვაფრთხილებენ ხოლმე, მეილსაც გვიგზავნიან: ამ დროს იქნება ეს... კრებებზე უფრო მარინა დადის, მაგრამ ხანდახან მეც მივდივარ. ყოველ დილით კი, ჯერ აუზზე და შემდეგ სკოლაში, სულ მე მიმყავს შვილები.

**– თეატრსა და კინოცხოვრებასაც შევეხოთ.**

– სიამოვნებით. ამ ეტაპზე თეატრში ვთამაშობ 2 სპექტაკლს: მარჯანიშვილში და ყოფილ ვაკის სარდაფში, ილიაუნის თეატრში. ფილმების გადაღებას რაც შეეხება – ახლა, მე თვითონ ვიღებ.

**– მომიყევი ამ თემაზე უფრო დაწვრილებით.**

– ეს არის პროექტი „გივი“, სამუშაო სახელი ასე ჰქვია ამ ფილმს. ვთამაშობთ ყველანი შინაურები. არის კომედია.

**– შინაურები ვინ არიან?**

– მე და ჩემმა მეგობარმა ტორესა მოსიმ დავწერეთ სცენარი, ასეთი ფსევდონიმი აქვს, ისე ვახტანგ მოსიაშვილია, თელაველი, მეტსახელად ტორესა. მამამისსაც ტორესა ერქვა და ასე ტორესობით მოდიან. მე მიმაჩნია, რომ კარგი სცენარი გამოგვივიდა. თამაშობენ ზუკა პაპუაშვილი, ვანიკო თარხნიშვილი, ვასიკო ოდიშვილი, დები მაყაშვილები, სამორი ბალდე, ნუკი კოშკელიშვილი, ბაიკო დვალიშვილი, მე და ქეთათო ჩარკვიანი.

**– როდის ნახავს მაყურებელი ამ ფილმს?**

– მალე, მაისის ბოლოსთვის.

**– რუსეთში აღარ გეპატიჟებიან, რუსულ ფილმებში?**

– კი, მაგრამ ახლა არ მივდივარ. რაღაცეები არ მომეწონა. ვიყავი ერთ პროექტზე. შარშან ზაფხულს ვიმუშავე. ვალერი ტადაროვსკის სერიალში, 12 სერიაა. მინსკში და მოსკოვში იყო გადაღებები. ჰქვია: „ოტტეპელ“.

**– ვის განასახიერებ, ქართველ კანონიერ ქურდს? როგორც ხშირად ხდება ხოლმე რუსულ სერიალებში?**

– არა. ფირმის დირექტორს – გია რევაზოვიჩს.

**– შვილები რომ პრემიერებს ესწრებიან, რას გეუბნებიან, რა კარგი იყო რა მშვენიერიო, მოსწონთ?**

– მარტო მათ კი არა ...

**– დუტა, ტელევიზია უფრო შენია, თუ თეატრი?**

– კინო.

**ეკა სალაღაია**

# რატომ ამშვენებდა გერმანული ჟურნალების ყდებს მამია ახობაძის ფერწერული ნამუშევრები

*1960-იანელთა თაობის ძალიან ნიჭიერი მხატვრის, მამია ახობაძის სახელი ბევრს ნამდვილად არ გაუგია; ქართველმა საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცის იმ ხელოვანის ენერგიულობის, შრომისმოყვარეობისა და უზომოდ დიდი შემოქმედებითი უნარის შესახებ, რომელმაც საქართველოში ნიჭიერი ადამიანების თაობები აღზარდა; მას კი, ვინც დიდი ნიჭით არ გამოირჩეოდა, ჭეშმარიტი ხელოვნების დაფასება ასწავლა. მამია ახობაძის შვილს, ქალბატონ **ქეთი ახობაძეს**, მამის გარდაცვალების დღეს დავუკავშირდით და მისი გახსენება ვთხოვეთ.*

**ქეთი ახობაძე**: მამა 1933 წელს დაიბადა სამტრედიაში. თბილისის ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სწავლა სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 1960 წელს დაამთავრა. სწავლის პერიოდიდან ის ყველა



რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდა. აკადემიის დამთავრების შემდეგ, 37 წლის განმავლობაში, მამა გორის სამხატვრო სკოლის პედაგოგად მუშაობდა. ახალგაზრდა მხატვარი თავისი განსაკუთრებული ნიჭიერებით შეუმჩნეველი არ დარჩენილა საზოგადოებისთვის. უნივერსიტეტის პროფესორების რეკომენდაციით, ის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების კათედრაზე იწყებს მუშაობას, სადაც, სხვათა შორის, 1968 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა.



**– მიუხედავად ამისა, როგორც ვიცი, საბჭოთა ხელისუფლებისგან პრობლემები მაინც შეექმნა?**

– ის მთელი თავისი შემოქმედებითა და საქმიანობით ემსახურა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განათლებას. მაგრამ, ისევე, როგორც ქართული ფერწერის სამოციანელთა თაობამ, სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა არა მარტო როგორც მხატვარმა, არამედ, როგორც პიროვნებამ, რომელიც თავის დროზე სამაგალითოდ დასაჯეს იდეისთვის და საკანში გამოკეტეს. მისი სურვილი და იდეა იყო ახალგაზრდა მხატვრებისთვის შექმნილიყო ქვეგანყოფილება მხატვართა კავშირის ბაზაზე. თუმცა, მაშინდელი მთავრობა მალევე მოეგო გონს და, გათავისუფლებულს, თავად დაავალეს ამ ქვეგანყოფილების შექმნა და ხელმძღვანელობა. 1986 წლიდან მოყოლებული, მან თაობები აღზარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ბევრ ადამიანს მიანიჭა სიხარული თავისი პიროვნული, მორალური და მატერიალური მხარდაჭერით. მისი ოცნება ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრების აღმოჩენა და მხარდაჭერა იყო.

**– ბატონი მამია, როგორც მხატვარიც, ალბათ, საკმაოდ წარმატებული იყო.**

– დიახ. მამას პერსონალური გამოფენები, გარდა საქართველოსი, ჰქონდა მოსკოვში, ტოკიოში, იტალიაში. მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში მთელი ევროპის მასშტაბით. დიდი ხნის განმავლობაში, ჰაიდელბერგის მუნიციპალიტეტში გამოფენილი მისი ქართლის პეიზაჟების ფოტოები ამშვენებდა გერმანული ჟურნალების ყდებს. მისი ნამუშევრები გაბნეულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მუზეუმებში: კლაიპედაში, ინგლისის სამეფო აკადემიაში, კემბრიჯის უნივერსიტეტში, ასევე, სხვა ქვეყნების სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო კოლექციებში.

**სალომე გველესიანი**

# აზა დავითაშვილი – ნათელმხილველი, რომელზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა

## როგორ ხატავს აზა დავითაშვილი ადამიანების წარსულსა და მომავალს და რატომ გადაიღო მასზე ფილმი ცნობილმა რეჟისორმა

*ის, ვინც ნათელმხილველ **აზა დავითაშვილს** ერთხელ მაინც შეხვედრია, დამეთანხმება, რომ ამ ქალბატონის ფენომენალურ უნარს საზღვრები არ აქვს. მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა მის ამოუცნობ ფენომენზე თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა, ერთ-ერთმა ცნობილმა რეჟისორმა კი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აზა დავითაშვილის ნათელხილვის უნარი, მასზე ფილმიც გადაიღო. აზა დავითაშვილი არაერთხელ ყოფილა ცნობილი და რეიტინგული გადაცემების სტუმარი, სადაც, არა მხოლოდ გადაცემის სტუმრებისა და წამყვანების, არამედ, დიდი აუდიტორიის გაოცებაც შეძლო. წლების განმავლობაში, „აზანოთუბნელ აზას", როგორც მას უწოდებდნენ, ჰქონდა მიწვევები რუსეთიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან. ჩვენ ქალბატონ აზას იმ თემების შესახებ გავესაუბრეთ, რაც დღეს ბევრს აინტერესებს.*

**– ქალბატონო აზა, თქვენ ეხმარებით ადამიანებს ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების დაძლევაში, მომავლის განჭვრეტაში, პირადი ბედნიერების გახსნაში.**

– 40 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. ბებიაჩემი ცნობილი ნათელმხილველი იყო, საოცრებებს ახდენდა. ალბათ, მისგან მერგო ეს უნარი, თუმცა, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ჩვენ ძალიან რთულ გარემოში გვიწევს ცხოვრება. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ბევრი ადამიანი მოდის ჩემთან პირადი და ფინანსური პრობლემებით. ბევრი უმიზეზოდ გარბის ოჯახიდან და ანგრევს ყველაფერს, უამრავ ადამიანს კი გაუსაძლისი ფინანსური პრობლემები აწუხებს. ეს ხშირად მხოლოდ გარე ფაქტორებზე არ არის დამოკიდებული. მიზეზი ჩაკეტილ წრეში ტრიალი, დაბინძურებული და დაკეტილი აურაა, რომლის გახსნა და გასუფთავებაც სხვადასხვა საშუალებით შეიძლება. ძალიან ხშირად წარუმატებლობების მიზეზი ხდება ბოროტი ძალების ზემოქმედება, ჯადო.

**– როგორც ვიცი, თქვენ ერთადერთი ხართ, ვინც ხატავს იმ ადამიანის სახეს, ჯადოს და ამგვარ საშუალებებს რომ მიმართავს.**

– ეს ძალიან რთული პროცესია, ემოციური. ბევრჯერ მქონდა ისეთი შემთხვევა, ზოგისთვის ახლობელი და ძვირფასი ადამიანის სახეც კი დამიხატავს. ხშირად ბევრ დეტალს არ აქცევენ ყურადღებას, მაგრამ, თითქოს უმნიშვნელო რამ შეიძლება წარუმატებლობებისა და ცხოვრების დანგრევის მიზეზი გახდეს. ბევრს არ სჯერა ჯადოს ზემოქმედების და ზუსტად ასეთ ადამიანებზე ხდება ბოროტი ძალების ზემოქმედება. იცით, რამდენი ოჯახი ინგრევა სწორედ ამ გზით? რამდენ წარმატებულ ადამიანს მოეცარა ხელი ბიზნესში?! ჯადოზე არანაკლებ ცუდად მოქმედებს თვალის გავლენა – ზოგჯერ დედის თვალიც კი, შეიძლება, ცუდად ჭრიდეს შვილზე. ზოგიერთი ისე იოლად იღებს თვალს, ვერც კი წარმოიდგენთ. მან, ვინც იოლად იღებს თვალს, სხვადასხვა თილისმით უნდა დაიცვას თავი. მინდა ვუთხრა ყველას, რომ არსებობს უამრავი მეთოდი, რომლითაც ბოროტი ძალების განეიტრალება შეიძლება.



***აზა დავითაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა, აქ ბევრ საოცრებას მოისმენთ ქალბატონი აზას შესახებ. რამდენიმე ადამიანმა ჩვენთანაც არ დამალა თავისი შთაბეჭდილებები.***

**ნუგზარ ჯ.** ***(თბილისი):*** 50 წლის კაცი ვარ და, ის, რაც აზა დავითაშვილის წყალობით გადამხდა თავს, ვინმეს რომ მოეყოლა, არ დავიჯერებდი. მილიონერი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ, ბოლო წლებში განსაკუთრებით ცუდად წამივიდა საქმეები: ჯერ ჩემი პარტნიორი გარდაიცვალა, მერე ძალიან დიდი ფინანსური ზარალი განვიცადე, მოკლედ, გავკოტრდი. მეზობელმა მომასწავლა აზას მისამართი. იმ ოჯახს გაუთხოვარი გოგო ჰყავდა და სწორედ აზა დავითაშვილის წყალობით გაათხოვეს. ხომ იცით კაცების ამბავი – თავიდან არ მოვდიოდი, მერე ცოლმა ძალით გამომაგდო. ქალბატონმა აზამ თილისმა მომცა და რაღაცეები დამარიგა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ის დღე იყო და ჩემი საქმეებიც წინ წავიდა.

**ლელა კ. 40 წლის** ***(ქუთაისი):*** ერთ დღეს მოულოდნელად შეიცვალა ჩემი ცხოვრება – ჯერ სამსახური დავკარგე. ამას როგორმე გადავიტანდი, მაგრამ, კიდევ ერთი უბედურება დამატყდა თავს – მეუღლემ ორი შვილით მიმატოვა და სხვა ქალთან გადავიდა საცხოვრებლად. საშინელი დეპრესია დამეწყო, ფიზიკურადაც ძალიან ცუდად ვიყავი: მქონდა გულისრევა, თავბრუხვევა, ყოველწუთს გული მიმდიოდა. თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვძებნე ქალბატონი აზა დავითაშვილი. მან მომცა სპეციალური თილისმა, რომელშიც სხვადასხვა საშუალება იყო ჩადებული. ღმერთის შემწეობითა და ქალბატონი აზას დახმარებით, მალე ყველა პრობლემა მოგვარდა. სამ თვეში სამსახურშიც აღმადგინეს და ჩემი გაქცეული მეუღლეც დაბრუნდა სახლში. ეს არის ქალბატონი აზას ფენომენალური უნარი, რომელიც სიტყვებით არ გადმოიცემა. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც მას ერთხელ მაინც შეხვდება!

*გსურთ, მოაგვაროთ თქვენი საქმიანი და პირადი პრობლემები? საკუთარ თავზე გამოსცადოთ აზა დავითაშვილის ფენომენალური უნარი?*

*დარეკეთ ტელეფონებზე: 593 56-10-39; 274 63-08.*

*მისამართი: მეტროს სადგური „სამასი არაგველი", გუთნის ქუჩა №42.*

**თამარ ჩხენკელი**

# ბრძნული აზრები

**ტვენი**: ზარმაცი ადამიანი რაც უფრო დიდია წონაში, მით უფრო ზარმაცად გვეჩვენება.

**კუმორი**: თუ შესაძლებელია წამლის გამოგონება, ესე იგი, შესაძლებელია ავადმყოფობის გამოგონებაც.

**ლანდაუ**: კულტურის საფუძველს მწვერვალი წარმოადგენს.

**ემერსონი**: ცივილიზაცია – ეს არის მსოფლიოს მართვა, კულტურა – ეს არის მსოფლიოს სიყვარული.

**ეჟი ლეცი**: სახელმწიფოს კონსტიტუცია ისეთი უნდა იყოს, რომ არ დაირღვეს მოქალაქის კონსტიტუცია.

**ლიხტენბერგი**: კარგი წიგნების ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ ისინი ბევრი ცუდი წიგნის გავრცელებას უწყობენ ხელს.

**კარნეგი**: საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ, ხოლო სხვის შეცდომებზე – კარიერას იკეთებენ.

**კუშნერი**: ისტორია მომავლის ხელოვნებაა.

**კონსტანტინე**: უნდა ეცადო, უმცირესი შეითვისო, მაგრამ, უალრესად შეიგნო.

**შალვა ნუცუბიძე**: ჩვენში ყველაფერს გაპატიებენ, ნიჭს კი – არა.

**ვახტანგ მეექვსე**: უჭკუოდ კაცის სიკეთე, ვაი, რა ცარიელია.

**საბა**: არქონა არ ვარგა და ავად ქონა – უარესია.

**კანტი**: ვინც აკეთებს იმას, რაც შეუძლია, ის აკეთებს იმას, რაც საჭიროა.

**ნიცშე**: მოვალეობა – ეს არის ის, რაზეც აგდებულად ფიქრობ, აკეთებ უგუნებოდ, შემდეგ კი დიდი ხნის განმავლობაში ამაყობ მისით.

**სტალინი**: ჯანმრთელი უნდობლობა ერთობლივი მუშაობის კარგი საფუძველია.

**დეკურსელი**: ნდობა, როგორც მეთოდი, მომგებიანია, ხოლო უნდობლობა, როგორც პრინციპი – წამგებიანი.

**რივაროლი**: თითქმის არც ერთი დიდი საქმე არ რჩება დაუსჯელი.

**რუსო**: გონების ენას მაშინ გაიგებენ, როცა გულზე გაივლის.

**მოლიერი**: მეშურნეები კვდებიან, შური კი უკვდავია.

**მონტენი**: ბედნიერებას ნუ ელოდები, თავად მოიპოვე.

**ევრიპიდე**: თუ კაცი თავის ჯანმრთელობას თვითონვე მიხედავს, უკეთეს ექიმს ვერსად ნახავს.

**ჰუგო ჰუპერტი**: თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან, თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედდინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები თუ შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე.

**მარქსი**: შეერთების თავისუფლება ნიშნავს გამოყოფის თავისუფლებას.

**როლანი**: ქვეყნად არაფერია ისე იშვიათი, როგორც სრული გულახდილობა მშობლებსა და შვილებს შორის.

**ჰიუგო**: არასდროს უთხრა ქალს ის, რისი გაგებაც გაუძნელდება. ის ამაზე დაფიქრდება და ხშირად მეტად ცუდი აზრები ებადება თავში.

**ბოდლერი**: ათიდან ცხრა შემთხვევაში, ქალს ურჩევნია, აჩვენოს, რომ იმაზე მეტს გრძნობს, ვიდრე სინამდვილეში.

# თუ გაიგონებთ

1. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელი სადაზღვევო საზოგადოებები აზღვევენ ბინებს, ავტომობილებს, ადამიანის ჯანმრთელობას და ყოველივე ამქვეყნიურს, რასაც მფლობელი ისურვებს და ამისთვის იძლევა სპეციალურ მოწმობას – პოლისს. ოდესღაც კი იმქვეყნიური განსაცდელისგან „აზღვევდნენ“ მოკვდავთ. **რა ეწოდებოდა ჯოჯოხეთისგან დაზღვევის მოწმობას?**

2. გეოლოგები მადნების აღმოსაჩენად მიწისქვეშა ქანებს შეისწავლიან, რისთვისაც თხრიან სპეციალურ ღრმა ჭაბურღილებს. თუმცა, აფრიკაში ამის გაკეთება იშვიათად უწევთ. **რატომ?**

3. არაბულ ენაში მათი რაოდენობაა 28, ებრაულში – 5, ბერძნულში – 1, სხვა ევროპულ ენებში – არც ერთი. **რა?**

4. 1693 წელს საფრანგეთმა დაკარგა საგრძნობი ტერიტორია, თუმცა, ეს არავითარ პოლიტიკასა და ომს არ უკავშირდება. **როგორ?**

5. 1870 წელს ჩიკაგოში რომ არ მომხდარიყო ხანძარი, რომელმაც მთელი ქალაქი შთანთქა, ამერიკა სულაც არ იქნებოდა ისეთი, როგორიც დღესაა. **რა სიახლე დაინერგა ხანძრის შემდეგ ჩიკაგოში?**

6. დღეს, როდესაც „შტატებს“ ვახსენებთ, ერთმნიშვნელოვნად ვგულისხმობთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. **დაასახელეთ, რომელ ევროპულ ქვეყანას უწოდებდნენ მეჩვიდმეტე საუკუნეში „შტატებს“?**

7. ადრე არაბებში ყველაზე საშინელი ფიცი არ იყო ალაჰის დაფიცება. ამ საშინელ ფიცს დებდნენ დაოჯახებული მუსლიმანი მამაკაცები. **რას იფიცებდნენ ისინი?**

8. ძველ ქრისტიანებში იესო ქრისტეს სიმბოლოს თევზი წარმოადგენდა. **რატომ?**

9. მეცხრამეტე საუკუნეში დანიაში მოქანდაკეებს ხშირად ამზადებინებდნენ საკუთარ ბიუსტებს. შემკვეთები სულაც არ იყვნენ ხელოვანი ან მდიდარი ადამიანები. **ვინ უკვეთავდა ბიუსტებს?**

10. კიევის რუსეთში ის ცხენის ფასს ნიშნავდა, ახლა კი ფულის ერთეულია. **რა?**

***პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* საზამთრო ყველას უყვარს, მაგრამ მექსიკელები მას განსაკუთრებულ პატივს სცემენ. როდესაც მათ უცხო ქვეყნის ხელისუფლება დაამხეს და მექსიკა დამოუკიდებელი გახდა, პატრიოტები გამარჯვებას ბრძოლის ადგილას ზეიმობდნენ, ხელში კი სწორედ საზამთროები ეკავათ. ამიტომაცაა მექსიკის დროშა სამფეროვანი: მწვანე, თეთრი და ალისფერი – როგორც საზამთრო.

* მდინარე ამაზონმა სახელი 1540 წელს მიიღო, როდესაც ესპანელი მკვლევარი მის ნაპირებზე წააწყდა ტომს, რომელიც განვითარების მატრიარქალურ სტადიაში იმყოფებოდა. მეცნიერის აზრით, ეს იყო ამაზონთა ტომი და მდინარესაც ასე დაარქვა.

* ერკიულ პუარო – დეტექტივების გმირი ნიკარაგუის მარკაზეა გამოსახული. სახელი ერკიული – იგივე ჰერაკლეა, „პუარო“ კი ფრანგულად „უბრალოს“ ნიშნავს.

* ძველად ქარვას მრავალი დაავადების სამკურნალოდ იყენებდნენ: სიყრუის, გაციების, ნივთიერებათა ცვლის მოშლის, კუჭისა და გულის დაავადებების... პოლონეთში კბილების ამოჭრის დროს საღეჭად აძლევდნენ ჩვილებს. მისი ლიტვური დასახელება კი ითარგმნება, როგორც „ავადმყოფობებისგან დაცვა“.

* მოლდოვამ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, პირველი მარკა 1991 წლის 23 ივნისს გამოუშვა, რუსეთმა – 1992 წლის 14 იანვარს, უკრაინამ კი – იმავე წლის 1 მარტს.

* 1989 წელს ინგლისურ გაზეთში დაიბეჭდა ფოტომონტაჟი, რომელზეც ფრანსუა მიტერანი და მარგარეტ ტეტჩერი ახალდაქორწინებულ წყვილად იყვნენ წარმოდგენილნი. ეს ფოტოგრაფია მიეძღვნა ლა მანშის ქვეშ გვირაბის გაყვანის პროექტს, რომელსაც, როგორც სტატიაში იყო ნათქვამი, საფრანგეთსა და ინგლისს შორის მჭიდრო კავშირი უნდა დაემყარებინა, ამინდის, ატმოსფეროსა და პოლიტიკური კაპრიზების მიუხედავად.

* ქალაქი ნეფტიანიე კამნი (ნავთობის ქვები) აზერბაიჯანში, კასპიის ზღვაში მდებარეობს და იქ მხოლოდ მენავთობეები ცხოვრობენ. სახელის მიუხედავად, ქალაქი ქვებზე კი არა, ხიმინჯებსა და ესტაკადებზეა განლაგებული.

* ერთხელ ნიუ-იორკის ფილარმონიის ორკესტრს შესთავაზეს, კონცერტი ჩაეტარებინათ მათთვის მიუღებელ ადგილას – კაზინოში. რა თქმა უნდა, უარი მიიღეს, თუმცა, მოგვიანებით დასთანხმდნენ – მას შემდეგ, რაც დამატებით 100 დოლარი შესთავაზეს... 25-ცენტიანი მონეტებით.

* ძველი პარიზული საბავშვო სახლი „ბურბი“ მხოლოდ ღატაკთათვის იყო განკუთვნილი. „ბურბი“ – ტალახს ნიშნავს.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh1-b7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



მამაკაცები ქალს წინ უშვებენ იმიტომ, რომ კარგად შეაფასონ მისი უკანალი; ხელზე კი ჰკო-




ცნიან მკერდის შესაფასებლად.

***

კაცი ქალისგან მხოლოდ ერთ ინფორმაციას მოითხოვს: ან ჰოს, ან – არას, არადა, იღებს გიგაბაიტებს.

***

თუ აპირებთ გათხოვებას მდიდარსა და ხანში შესულ მამაკაცზე, უმჯობესია, გაჰყვეთ ძალიან მდიდარს და ძალიან ხანშიშესულს.

***

ნაღდი ნიშანია: თუ სიზმარში მაგარი ქალი გესიზმრება, თანაც შიშველი... – აუცილებლად მაღვიძარა დარეკავს...

***

– წარმოგიდგენია, როგორი მიამიტი ქმარი მყავს? ყოველ წელიწადს, დაბადების დღეზე, ოქროს სამკაულს მჩუქნიდა, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ყოველთვის ყალბი შემოატყუეს...

– ო... ოჯახში მართლაც გყოლიათ ძალიან მიამიტი ადამიანი.

***

– საყვარელო, სად იყავი მთელი ღამე?

– ბევრი გეცოდინება, მანქანა აღარ გეყოლება...

***

ქალების 40 პროცენტი ნაკლებთმიან მამაკაცს არჩევს, დანარჩენი 60 პროცენტი – თმიანს, ოღონდ, ასევე, ფულიანს...

***

– ყველაზე ცუდი ის კი არ არის, რომ ქმარი თავის დროზე არ მოდის, არამედ ის, როცა უდროოდ მოდის.

***

გახურებული ქეიფია. რეკავს ტელეფონი. დიასახლისი იღებს ყურმილს, მალევე დებს და შეშფოთებული კივის:

– ვაიმე, ხანძარია, ხანძარი!.. ოღონდ, ვერ გავიგონე, რომელი თქვენგანის სახლს უკიდია ცეცხლი!..

***

მეცნიერებმა გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ ყინულიანი არაყი აზიანებს თირკმელებს, ყინულიანი კონიაკი – ღვიძლს, ყინულიანი ვისკი – ტვინს... რა საშინელება ყოფილა ეს ყინული...

***

პარლამენტში ცნობილი გარჩევების შემდეგ მამა-შვილი აფთიაქში შედის. ბიჭმა თვალი მოჰკრა პრეზერვატივს და მამას ეკითხება:

– მამი, ეს რა არის?

მამამ ჩათვალა, რომ შვილი იმ ასაკისაა, უკვე უნდა იცოდეს:

– შვილო, ეს უსაფრთხო სექსისთვისაა.

– და შეკვრაში სამი ცალი რატომ არის?

– ეს თავისუფალი ადამიანებისთვისაა – პარასკევს, შაბათს, კვირას.

– ამაში რომ ორი შეკვრაა?

– ეს შეყვარებულებისთვის: 2 პარასკევს, 2 – შაბათს, 2 – კვირას.

– ეს თორმეტცალიანი შეკვრა ვისთვისაა?

– ო, ეს ცოლ-ქმრისთვის: 1 იანვარს, 14 თებერვალს, 8 მარტს...

***

საღამო ხანია, უკვე ბნელა. მანიაკმა გოგონა კუთხეში მიიმწყვდია. გოგონა ფიქრობს, რომ ყვირილს აზრი არ აქვს.




– გეშინია? – დანა ამოიღო ბიჭმა, უნდა დაემუქროს...

– არა, მრცხვენია...

***

სტუდენტი გამოცდის ჩასაბარებლად მიდის. არაყი იყიდა და პიჯაკის შიგნითა ჯიბეში ჩაიდო: ჩავაბარებ – დავლევ, აღვნიშნავ; ვერ ჩავაბარებ – დავლევ, გულს გადავაყოლებ. შევიდა აუდიტორიაში, უნდა აიღოს ბილეთი, დახრაში ბოთლმა შეუშალა ხელი, ამოიღო და მაგიდაზე დადგა.

პროფესორმა კმაყოფილებით შეხედა:

– მისაყოლებელიც გაქვს?

– არა...

– მაშინ – ოთხიანი...

***

მარომ მიხოს მაყვალასთან წაასწრო:

– ი, მეხი კი დაგაყარე! აი, როცა გინდა, ხო შეგიძლია?!

***

ქალი შედის ხალიჩებისა და ნოხების მაღაზიაში:

– მინდა რამე პრაქტიკული, მისაღებისთვის კი არა, ბავშვების ოთახისთვის.

– რამდენი შვილი გყავთ?

– ექვსი.

– მაშინ, მოაბეტონეთ.

***

– სად მიდიხარ? – ეკითხება ქმარი ცოლს.

– მაღაზიებში?

– ფული მიგაქვს?

– კი.

– კარგი, ოღონდ, არ დახარჯო...

***

გაიღვიძა მარომ შუაღამისას. ხედავს, მიხო საწოლში არ წევს. წამოდგა და ეძებს... დაინახა – ქმარი კიბეზე ზის ჩაფიქრებული, ცრემლები ჩამოსდის.

– მიხო, რა მოგივიდა, კაცო?




– გახსოვს, მარო, 20 წლის წინ, მანქანაში რომ წაგვასწრო მამაშენმა საქმეში... მაშინ 16 წლისები ვიყავით...

– მახსოვს, აბა, არა?..

– მაშინა, თოფი რო მამადო შუბლზე და მითხრა, თუ ჩემ გოგოს არ შაირთამ, მილიციას დავაჭერინებ შენ თავსაო...

– მახსოვს, მახსოვს...

მიხო ხმამაღლა ატირდა:

– დღეს უკვე გამოსული ვიქნებოდიიი....

***

– ოო, ასეთი ვირუსი ჯერ არ ყოფილა! – წამოიძახა სიძემ, როდესაც სიდედრი კომპიუტერთან დაინახა.

***

– მარო, ასეთი მოკლე კაბის ჩაცმას რატომ არ უშლი შვილსა?..

– გაუშვი, ჯერა ბავშვია!

– ხოდა, რაც მოკლეს ჩაიცვამს, მით მოკლე ბავშვობა ექნება, მე შენთვინ მითქვია და დამიჯერე...

***

მიმდინარეობს სასამართლო სხდომა. პროკურორი მიმართავს დამნაშავეს:

– თქვენი სინდისი ისეთივე შავია, როგორც თქვენი წვერი!

– თუ სინდისზე წვერით ვიმსჯელებთ, შემიძლია, ვთქვა, რომ თქვენ ის საერთოდ არ გაგაჩნიათ.

***

დაუქორწინებელ მიტუას ქალს ურიგებენ. გააცნეს.

– მოგწონს?

– რა ვიცი, ეგრე როგო უნდა შევაფასო, აი, რო გაიხდიდეს...

გადაულაპარაკეს ერთმანეთს, იჩურჩულეს და გოგო დაარწმუნეს, გაიხადეო.

– აბა, ახლა მოგეწონა?

– არა, მაგას ვერ შავირთამ...

– რათა, კაცო, რას უწუნებ?

– ალერსიანი თვალები არა აქვს.

# რას ელოდა პატარა მერაბიკო სეფაშვილი შეჭმული კარაქიანი პურის სანაცვლოდ




ჩვენი საყვარელი მომღერალი მერაბ სეფაშვილი სცენას ბავშვობიდან ეზიარა.

დედ-მამა (ჯულიეტა მურადელი და ედუარდ სეფაშვილი) ესტრადის ცნობილი მომღერლები იყვნენ.

ჯულია მურადელი, ანსამბლ „რეროს“ სოლისტი-მომღერალი, მუდამ გასტროლებზე დადიოდა და პატარა მერაბიკოც თან დაჰყავდა. ეგ კი არა, პატარა მერაბიკო სოლო სიმღერითაც კი გამოდიოდა ხოლმე დროდადრო (კოჭებში ეტყობოდა).

მოკლედ, ერთ-ერთი საგასტროლო გასვლაა უკრაინის დედაქალაქში – „რერო“ კიევშია.

კონცერტების დროს მერაბიკო კულისებში იჯდა და იქიდან ადევნებდა თვალს დედიკოს გამოსვლებს. მაგრამ, ამ საამო პროცედურას, როგორც აღმართს მოსდევს დაღმართი, ერთმა არასასიამოვნო შემთხვევამ ხანგრძლივად დაუსვა წერტილი.

ჩვეულებისამებრ, როცა ჯულია სცენაზე გადიოდა, თავის პატარა მერაბიკოს პურზე სქლად გადასმულ კარაქიან ბუტერბროდს უტოვებდა: დედიკო, სანამ მე სცენიდან გამოვალ, ეს კარაქიანი პური შეჭმული იყოს და, რომ გაიზრდები დიდი ბიჭი (გასუქებას გულისხმობდა, ალბათ), ველოსიპედს გიყიდიო.

– მე მანქანა მირჩევნია! – ჯიუტობდა მერაბი, მაგრამ დედა არწმუნებდა, რომ მანქანა ჯერ ადრე იყო და მხოლოდ ველოსიპედს უნდა დასჯერებოდა.

ასე იყო თუ ისე, მერაბი ძალიან „კაეშანში“ ჩავარდა, მაგრამ ღმერთი არსებობდა ქვეყანაზე და მერაბსაც მოწყალების თვალით გადმოხედა.

... „რეროში“ მღეროდა (აწ გარდაცვლილი) ძალიან კარგი პიროვნება – გენო ონაშვილი (მამუკა ონაშვილის მამა), დაშხოშიანი და ფრიად ვაჟკაცური პიროვნება, ძმაკაცების მუჭუჭი და ქალთა „რისხვა“.

ერთი მორიგი გასტროლია.

– მღერის ჯულიეტა მურადელი! – გამოაცხადა კონცერტის წამყვანმა. ჯულია აფუსფუსდა. ადრევე გამზადებული სქლად (!) კარაქგადასმული პური შეაჩეჩა მერაბიკოს ხელში და სცენაზე გასასვლელად მოემზადა.

– დედიკო, სანამ ვიმღერებ, ეს პური შეჭმული დამახვედრე, კარგი? მერე ველოსიპედი ხომ გინდა?!

– ქო... – გადაყლაპა ცრემლი მერაბმა.

იქუხა მუსიკამ და ჯულიაც გაენთო სცენისკენ.

მერაბი გატანჯული თვალებით დაჰყურებს პურზე გადასმულ კარაქს და, უცებ, „კარლსონიც“ მოევლინა – გენო ონაშვილი.

– მომეცი აქ ეგ პური!

– ლატომ? – სამართლიანად იკითხა ბიჭმა.

– მე შევჭამ და შენ დაიბრალე. ხომ გინდა ველოსიპედი?

– აუუ... – აჭყლოპინდა მერაბიკო, – მაგალია... მიდი, ლა...

გენომ მადიანად ჩაკბიჩა და მეორე ლუკმაც მიაყოლა... მერე მესამე... მადიანად და მადლიანად...

მაგრამ, ბედი უნდა ყველაფერს – მოულოდნელად, მთელ დარბაზში გამოირთო შუქი – ალბათ, რაღაც დაზიანება მოხდა სათავო ელსადგურში.

ჩაიფუშა ყველაფერი და შეწყდა სიმღერა.

ჯულიეტაც კულისებში დაბრუნდა.

კულისებში სათადარიგო შუქი აინთო და... გენოს პირისკენ წაღებული კარაქიანი პურის ნაჭერი ხელში შეაცივდა.

– იტ! შე ქურდო! – იყვირა მერაბიკოს დედამ.

მერაბი ფარდაშია გახვეული – შარშია.

– შე ქურდო! – ხელმეორედ იყვირა ჯულიამ, – ვის უჭამ ბუტერბროდს, ვის? ჩემს მერაბიკოს?!

ახლა ეს ამბავი სასაცილოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ, მაშინ გენოს სულაც არ გასცინებია. ჯულია გენოს დაემდურა და, სანამ ერთი კილოგრამი კარაქი (ადრეც უჭამდი, ალბათო) არ აყიდვინა, არაფრით შეურიგდა.

მაშინ კარაქი 3,5 მანეთი ღირდა...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რა დაუჯდა საქორწინო სამზადისი ქართველების სასიძო ჩინელ ბიჭს




გამარჯობა დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, მაგრამ, ცოტა საგონებელში ვარ ჩავარდნილი.

დედა, ჩვენ უკვე დავნიშნეთ ქორწილის დღე – ზუსტად ერთ კვირაში გვექნება, შაბათს. ქორწილები აქ ძირითადად შაბათ დღეს იმართება ხოლმე, იმის გამო, რომ ყველა სტუმარი უგონოდ თვრება და მეორე დღეს სამსახურში ნაბახუსევი რომ არ მივიდნენ. კვირას აქ იშვიათად მუშაობენ. ძალიან გამიხარდა, ჩვენი ნათესავები რომ მოდიან ქორწილში. თუ გემით მოდიან, ხვალვე წამოვიდნენ, თორემ, ვერ მოასწრებენ. რაც შეიძლება ღონიერი ხალხი წამოვიდეს, რადგან, გემზე მუშაობა ცოტა რთულია.

დედა, საქორწინო ბეჭედი ვიყიდე ლამზირასთვის და 600 ლარი გადავიხადე, მთელი ექვსი გრამია. იმედია, ძალიან მოეწონებათ მის ნათესავებს. ქორწილის ხარჯები დავთვალე და საშინელი თანხა გამოვიდა, თანაც ამ ყველაფრის გადახდას მე მავალდებულებს ქართული ტრადიციები. სხვა გამოსავალი არ მქონდა, ხელი მოვაწერეთ და მოქალაქეობა მივიღე – ეს ყველაფერი იმისთვის დამჭირდა, რომ ქართველებივით მოვქცეულიყავი და საქორწილო სესხი ამეღო. აბა რა მექნა? ერთი პირობა დავფიქრდი, უარი ხომ არ ვთქვა ცოლის მოყვანაზე-მეთქი, მაგრამ, აქ გოგოსთან სახლში სტუმრად თუ ახვედი და მერე მის მოყვანაზე უარი თქვი, მისმა ნათესავებმა, შეიძლება, დაგახრჩონ. მეც ავიღე ძალიან ბევრი ფული სესხად ბანკისგან და სამზადისს შევუდექი, პირველ რიგში საქორწილო კაბა ავარჩიეთ ლამზირასთვის – ყველაზე ძვირი რომელიც ღირდა, ის აიღო. გული დამწყდა, დედა, ხომ შეიძლებოდა, ცოტა იაფიანი აეღო, ან, საერთოდ, გვექირავებინა?! კაბისთვის არც შეუხედავს, ფასის მიხედვით აარჩია, ერთხელ გაიზომა და წამოვედით. მე ცოტა დავიწუწუნესავით, მაგრამ, მოკლედ მომიჭრა – ერთხელ ვთხოვდები და საუკეთესო მინდა მეცვასო, მერე საქორწილო კაბა გაიხადა და ისევ თავისი გახუნებული კაბა ჩაიცვა. ისიც მითხრა, დედაშენი როდის ჩამოდის, ბაზრობაზე უნდა წავიდეთ – ტანსაცმელი ხომ უნდა მიყიდოთო. მე ვუთხარი ტანსაცმელი ხომ გაცვია-მეთქი. მან კი მიპასუხა, რომ გავთხოვდები, სულ ახლები უნდა მეცვასო – თითქოს თანამდებობაზე ნიშნავდნენ სადმე. ჩვენი ოჯახის ოქროულობის შესახებაც გამომკითხა, დედა, რა გაქვთ და რამდენი გრამიო. მე ვუთხარი ოქრო საერთოდ არ გვაქვს-მეთქი და გაგიჟდა – აბა, საგვარეულო ნივთები სად გაქვთო. მე ვუთხარი, გვაქვს, მაგრამ, ოქროსი არც ერთი არ არის-მეთქი, აბა, ბრილიანტიაო? – გაუნათდა თვალები. მე ვუთხარი, ხის და რკინის არის-მეთქი, ამაზე ცხვირი ჩამოუშვა და მთელი საღამო ხმას არ მცემდა. კიდევ, ფული გამომართვეს ჭიათურაში ჭურჭლის, მუსიკოსების და პალატკების საქირავებლად. პალატკები რა არის, არ ვიცი, ქორწილის შემდეგ გეტყვი. სასიმამროს დაუბარებია, 500 ლარი გამოართვით, დანარჩენს მე დავდებო. დანარჩენი რამდენი იყო, არ ვიცი. ქორწილის ფულს მოგვიანებით ალბათ მე თვითონ გადავცემ ბატონ ბეჟანს. ჩემთვის ძლივს მოვახერხე კოსტიუმისა და ჰალსტუხის ყიდვა, დედა, ისიც, ყველაზე იაფიანის, იქნებ, პერანგიც ვიყიდო ახალი. ჯერჯერობით ეს არის სულ, მერე კიდევ მოგწერ დედა, ძალიან მენატრებით.

**გკოცნით**
**თქვენი ტოზი ვონგი**



რის გამო უჩივლა ნიუ-იორკის სასამართლოში ფოტოგრაფმა ალბერტ უოტსონმა მხატვარ დევიდ დათუნას

გვ. 15



რის გამო ეძახდა ლევან მასპინძელაშვილს დედა „ანჯელა დევისს“ და ვისთან აქვს მას დღეს არანორმალური კავშირი

გვ. 70



გვ. 66

რით გააოცებს ანრი ჯოხაძე მაყურებელს და რატომ არ არის ის სანდო და მართვადი

ISSN 1987-569X
9 771987 569002

...რთველო ბეჭედია ბ... ...ბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

ყოველკვირეული ... გამოდის №21 (647) • 20-26 მაისი • ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge